

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.ChiaturaINFO.GE

ფრანსუაზ საგანი

გიყვართ ბრამსი?

I

პოლი გულდასმით აკვირდებოდა სარკეში, ამ ცხრამეტი წლის მანძილზე დროს როგორ შეემუსრა მისი სახე, ოღონდ არც სასოწარკვეთას გრძნობდა, არც გაბოროტებას, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ რომ ეუფლებათ ხოლმე ქალებს; პირიქით, რაღაც უნდილ სიმშვიდეს აეტანა: ნაოჭი რომ მკვეთრად დამჩნეოდა, ორი თითით ოდნავ ჭიმავდა კანს, თითქოს ეს ცოცხალი კანი სულ სხვა ვინმესი ყოფილიყოს, სულ სხვა პოლის, ასე თავდავიწყებით რომ ზრუნავდა მუდამ თავის სილამაზეზე, ასე რომ უჭირდა ყმაწვილქალობიდან კარგად შემონახულ, ჯერაც ახალგაზრდული იერის ქალთა მარაქაში გადასვლა. ასეთ პოლს იგი თითქმის არ იცნობდა. გაეღიმა, რადგან სარკესთან დროის მოსაკლავად შეჩერებულმა, ერთბაშად აღმოაჩინა – სწორედ ეს დრო წვავდა მას ნელ ცეცხლზე ასე შეუმჩნევლად, ეს დრო მუსრავდა მის გარეგნობას, ასე ძალიან რომ მოსწონდა ყველას.

როჟე ცხრა საათზე უნდა მოსულიყო. ახლა შვიდი საათია; ასე რომ, პოლს საკმაო დრო რჩება იმისათვის, საწოლზე გაიშოტოს, თვალები დახუჭოს, დაძაგრული სხეული მოადუნოს, სული მოითქვას, არაფერზე იფიქროს. თუმცა რა ისეთი ფიქრები აქვს, რომ მათგან დასვენება სჭირდებოდეს საღამოს? პოლისთვის უცხო არ იყო ეს მოუსვენარი უხალისობა, რომლის წყალობით ხშირად უწრიალია ოთახებში, ხან ერთ ფანჯარას მისდგომია, ხან მეორეს. ასე სჩვეოდა ბავშვობაშიც, წვიმიან დღეებში.

სააბაზანოში შევიდა, დაიხარა და ხელი წყალში ჩაყო. ამან მაშინვე მოაგონა ერთი შემთხვევა... ეს მოხდა თხუთმეტი წლის წინ. მაშინ მარკთან იყო, შვებულებას მეორედ ატარებდნენ ერთად მარკის აფრიან ნავზე, მაგრამ პოლი უკვე გრძნობდა, მათი ერთად ცხოვრება დიდხანს არ გასტანდა. ქარი ქროდა და აფრა მოუსვენარი გულივით ფართხალებდა. პოლი ოცდახუთი წლისა იყო. ერთბაშად ისე ბედნიერად იგრძნო თავი, მთელი სამყარო, მთელი თავისი ცხოვრება დიდებული ეჩვენა, თითქოს ანაზდად თვალი აეხილა და მიხვდა, ყველაფერი კარგად აეწყოო. გაბრწყინებული სახე რომ დაემალა, გადაიხარა და წყლის სწრაფ ჭავლს თითები გააყოლა; აფრიანი ნავი გვერდზე გადაქანდა; მარკმა, როგორც სჩვეოდა, გულგრილად გადახედა და პოლსაც მაშინვე ბედნიერი იერის ნაცვლად დამცინავი ღიმილი აღებეჭდა სახეზე. პოლი მერეც ყოფილა ბედნიერი სხვებთან თუ სხვების წყალობით, მაგრამ ესოდენ სავსე, ესოდენ სრულყოფილი ბედნიერება არასოდეს უგრძნია. მერე და მერე ეს მოგონება ისე აღარ ახარებდა – დანაპირების, სიტყვის გატეხას აგონებდა...

* * *

საცაა როჟე მოვა, პოლი ყველაფერს აუხსნის. შეეცდება აუხსნას. როჟე ეტყვის: “ჰო, რა თქმა უნდა!” ეტყვის ისეთი კმაყოფილებით, როგორც იმ წუთებში, როცა ცხოვრებას რაიმე სიმახინჯეში გამოიჭერს და მერე ლამის ზეიმით მოჰყვეს მსჯელობას, რა უაზროა არსებობა და მაინც რა ჯიუტად ვცდილობთ ადამიანები მის გახანგრძლივებასო. ეს კია, როჟეს მსჯელობაში მუდამ იგრძნობა, რაოდენ უყვარს სიცოცხლე, რა უძღები მადით ეწაფება ამ სიცოცხლეს, სულის სიღრმეში კიდეც უხარია, რომ არსებობს ამ ქვეყანაზე და რომ ამ გრძნობას მხოლოდ ძილში ეთხოვება. თავს მიდებს თუ არა ბალიშზე, მაშინვე იძინებს: ხელს მკერდზე დაიდებს და ძილშიც ისევე უგდებს ყურს საკუთარი სიცოცხლის ფეთქვას, როგორც სიფხიზლეში. არა, პოლი ვერ შეაგნებინებს, რომ მას უკვე მოყირჭდა ის თავისუფლება, მათ ურთიერთობაში კანონად რომ ქცეულიყო; ამ თავისუფლებით ხომ მხოლოდ როჟე სარგებლობს, ხოლო პოლის წილ მარტოობაღა რჩება! ხომ ვერ ეტყვის, ზოგჯერ თავს ერთ-ერთ იმ უძღებ მესაკუთრე დედაკაცად ვგრძნობ, შენ რომ ასე ძალიან გეჯავრებაო!.. ერთბაშად ეს ცარიელი ბინაც ამაზრზენი და უმაქნისი ეჩვენა.

ცხრა საათზე როჟემ დარეკა. როცა პოლმა კარი გააღო და მისი მოღიმარი სახე, ჩასკვნილი ტანი დაინახა, ერთხელ კიდევ გაიფიქრა მორჩილად, აი ესაა ჩემი ხვედრიო, ერთხელ კიდევ დარწმუნდა, ნამდვილად უყვარდა ეს კაცი.

– რა კოხტად გამოწყობილხარ... რომ იცოდე, როგორ მომენატრე! მარტო ხარ?

– ჰო, შემოდი!

“მარტო ხარ?” ნეტა რას იზამდა, რომ ეთქვა, მარტო არა ვარო? მაგრამ ამ ექვსი წლის მანძილზე ერთხელაც არ უთქვამს ასეთი რამ. და მაინც, როჟე ყოველთვის ეკითხება ამას, ებოდიშება კიდეც, ხომ არ შეგაწუხეო. თავის გულში პოლი ღალატზე მეტად სწორედ ამ ეშმაკობას საყვედურობს როჟეს (როჟეს ვერ წარმოედგინა, რომ პოლის მარტოობის მიზეზი თვითონ იყო, რომ პოლი უბედურად გრძნობდა თავს). პოლმა გაუღიმა. როჟემ ბოთლი გახსნა, ორი ჭიქა შეავსო და დაჯდა.

– მოდი ჩემთან, პოლ. სად ვისადილოთ?

პოლი გვერდით დაუჯდა. როჟეს დაღლილი სახე ჰქონდა. ქალს ხელი დაუჭირა.

– რომ იცოდე, რამდენი თავსამტვრევი საქმე გამიჩნდა... ყველაფერი აირ-დაირია, ირგვლივ ბრიყვები და დოყლაპიები მახვევია! ნეტა ერთი ქალაქგარეთ მაცხოვრა...

პოლს გაეცინა:

– იმ შენი კე-დე ბერსის, საწყობებისა და საბარგო მანქანების გარეშე როგორღა გაძლებ? პარიზში ვინღამ იხეტიალოს ღამღამობით?

როჟეს გაეღიმა, გაიზმორა. დაქანცული დივანზე გადაწვა. პოლს არ შეუხედავს, საკუთარ ხელსღა დაჰყურებდა, როჟეს ხელისგულზე დადებულს. მისთვის ნაცნობი იყო როჟეს ყოველი ნაკვთი, გრუზა თმა, ოდნავ წამოზიდული ლურჯი თვალები, ბაგეებთან გაჩენილი ნაკეცი.

– ჰო, მართლა, ღამღამობით ხეტიალზე გამახსენდა, იმ დღეს პოლიციელებმა პატარა ბიჭივით გამომიჭირეს. ერთი ტიპი მაგრად მიგიტყიპე... ორმოცი წლის კაცი და პოლიცია! ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ვიქნებოდი...

– რატომ სცემე?

– აღარ მახსოვს... მაგრად კი მოხვდა!

თითქოს ამ მუშტი-კრივის მოგონებამ გამოაცოცხლაო, როჟე ერთბაშად წამოხტა:

– ვიცი, სადაც უნდა წავიდეთ! თქვა მან. – “პიემონტიაში”! ხოლო თუ წყალობას მოიღებ და აღიარებ, ცეკვა შეგიძლიაო, იქიდან საცეკვაოდ წაგიყვან.

– შენ კი არ ცეკვავ, დაფლატუნებ! – უთხრა პოლმა.

– ყველა შენსავით არ ფიქრობს.

– თუ იმ უბედურ ქალებს გულისხმობ, შენზე რომ ლოცულობენ, მაშინ რა მეთქმის.

სიცილი აუტყდათ. როჟეს სასიყვარულო თავგადასავლები მუდამ ართობდა ორივეს. სანამ კიბის მოაჯირს ხელს წაავლებდა, პოლი წამით კედელს მიეყრდნო, ერთბაშად ძალა წაერთვა.

როჟეს მანქანაში მან უგულისყუროდ ჩართო რადიო. რადიომიმღების ნათურის სუსტ შუქზე საკუთარ ხელს დააკვირდა, წაგრძელებულ, მოვლილ ხელს. ძარღვები თითებისკენ მიცოცავდა და აბურდული ნახაზივით ინასკვებოდა კანქვეშ. “ჩემი ცხოვრების მსგავსად”, – გაიფიქრა პოლმა, მაგრამ ერთბაშად მოისაზრა, რომ შედარება ყალბი გამოუვიდა. მას ხომ უყვარდა თავის ხელობა, ხომ არ ნანობდა წარსულს, ხომ ჰყავდა კარგი მეგობრები და ხომ იყო ადამიანი, ვინც უყვარდა და ვისაც უყვარდა.

– თუ იცი, რამდენჯერ ჩამირთავს რადიო ამ მანქანაში, აი ასე, შენთან ერთად სასადილოდ რომ მივდიოდი? – მიუბრუნდა იგი როჟეს.

– აბა რა ვიცი!

როჟემ ცალი თვალით გადახედა. ამდენი წელია, ერთად არიან, თუმცა ღრმად სწამდა, პოლს მართლა ვუყვარვარო, როჟე საოცარი სიფრთხილით ეკიდებოდა პოლის გუნება-განწყობას, მუდამ ისევე ფხიზლად იყო, როგორც პირველ დღეებში. პოლმა კინაღამ წამოიწყო: "გახსოვს?", მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა, ამ საღამოს ზედმეტ მგრძნობიარობას მოვერიდებიო.

– უკვე გაცვეთილ ამბად მიგაჩნია, ხომ?

– არა, ოღონდ ზოგჯერ მგონია, თავად გამიცვდა გრძნობები.

როჟემ ხელი გაუწოდა და პოლმაც ხელისგულებში მოიმწყვდია მისი მარჯვენა; როჟეს სწრაფად მიჰყავდა მანქანა, ნაცნობი ქუჩები ელვის სისწრაფით ქრებოდა; შემოდგომის წვიმა თვალისმომჭრელად ალაპლაპებდა პარიზს.

როჟეს გაეცინა:

– ნეტა ვიცოდე, ასე სწრაფად რად დამყავს მანქანა? ალბათ იმიტომ, რომ ჭაბუკად გაჩვენო თავი.

პოლს ხმა არ გაუღია. რაც როჟეს იცნობდა, იგი მუდამ ცდილობდა ჭაბუკივით მოქცეულიყო. როჟე მართლაც "ჭაბუკი" იყო. სულ ახლახან თვითონვე თქვა ეს და მისმა სიტყვებმა კიდეც შეაშინა პოლი. ქალს უკვე აფრთხობდა მესაიდმულის როლი, რასაც ნელ-ნელა შეეგუა ურთიერთგაგებისა და როჟეს სიყვარულის გამო. ამ ცხოვრებაში მისი ერთადერთი მიზანი როჟე იყო, თუმცა როჟეს ეს ხშირად ავიწყდებოდა პოლის ზედმეტად მოკრძალებული ხასიათის წყალობით. ისადილეს მშვიდად, ისაუბრეს იმ დაბრკოლებებზე, რასაც იმხანად როჟეს სამსახურისთანა სატრანსპორტო სააგენტოები განიცდიდნენ. შემდეგ პოლი ორ თუ სამ სასაცილო ამბავს მოჰყვა იმ მაღაზიებზე, სადაც დეკორატორად მუშაობდა. ფატისგან გამოგზავნილ ერთ ქალს გადაჭრით მოუთხოვია, მაინცდამაინც პოლმა მომიწყოს ბინაო, ამერიკელი ყოფილა, თანაც საკმაოდ მდიდარი.

– ვან დენ ბეში? – იკითხა როჟემ, – მოიცა, რაღაც მაგონდება... ჰო, ჰო!

პოლმა გაოცებით აზიდა წარბები. როჟე უდარდელად იცქირებოდა. ასე იცოდა ხოლმე სამიჯნურო ამბების მოგონებისას.

– ჰო, ოდესღაც ვიცნობდი. თუ არ ვცდები, ომამდე. სულ ერთთავად კაფე "ფლორანსში" იჯდა.

– ამის შემდეგ გათხოვდა, გაეყარა და სხვა ბევრი რამეც მოასწრო...

– ჰო, ჰო... – თქვა ფიქრებში წასულმა როჟემ, – მოიცა, რა ჰქვია? ჰმ...

პოლი გაბრაზდა, ძლივს შეიკავა თავი, როჟესთვის ჩანგალი არ გაერჭო ხელისგულში.

– სულაც არ მაინტერესებს, რა ჰქვია, – თქვა მან, – მთავარია, ფული თავსაყრელადა აქვს, ხოლო გემოვნების ნატამალი არ გააჩნია. მე კი სწორედ ეს მჭირდება საარსებოდ.

– ახლა რამდენი წლის იქნება?

– დაახლოებით სამოცისა, – გულგრილად მიუგო პოლმა, მაგრამ, როჟეს რომ შეხედა, გაეცინა. როჟე მაგიდიდან გადმოიხარა, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

– იცი, რა საძაგელი ქალი ხარ? ოღონდაც კი დამამცირო და რას არ იტყვი! სულ ერთია, მაინც მიყვარხარ, თუმცა ამის ღირსი არ ბრძანდები.

როჟეს მუდამ უყვარდა, მსხვერპლად წარმოეჩინა თავი. პოლმა ამოიოხრა:

– ასეა თუ ისე, ხვალ მასთან უნდა მივიდე კლებერის გამზირზე. ფული ძალიან მჭირდება, უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა. შენც ჩემს დღეში ხარ! – დასძინა მან, როცა როჟემ ხელი ასწია და რაღაცის თქმა დააპირა.

– სხვა რამეზე ვილაპარაკოთ! – შესთავაზა როჟემ, – მოდი, საცეკვაოდ წავიდეთ.

ღამის რესტორანში პატარა მაგიდას მიუსხდნენ საცეკვაო მოედნის მოშორებით და უსიტყვოდ მიაჩერდნენ მოცეკვავე ქალ-ვაჟებს. პოლს როჟეს ხელზე დაედო ხელი, მის გვერდით თავს მშვიდად გრძნობდა, ისე შეეჩვია... ძალა ალბათ აღარც ეყოფა, სხვას ასე დაუახლოვდეს. ამის შეგრძნება თან აღონებდა და თან ბედნიერებას ანიჭებდა. მერე მათაც იცეკვეს. როჟემ მაგრად მოხვია წელზე მკლავი და, საკუთარი თავით კმაყოფილმა, ურიტმოდ დაატრიალა საცეკვაო მოედანზე. პოლი ბედნიერი იყო.

შინ მანქანით დაბრუნდნენ. როჟე გადმოვიდა, სადარბაზომდე მიაცილა და მოეხვია:

– ახლა წადი, მშვიდად დაიძინე. ხვალამდე, საყვარელო!

სწრაფად აკოცა და წავიდა. პოლმა ხელი დაუქნია. ამ ბოლო დროს როჟე სულ უფრო ხშირად ტოვებდა მარტოდ, მშვიდად დაიძინეო. პოლი ცარიელ ბინაში შევიდა და სანამ საწოლზე ჩამოჯდებოდა, გაიხადა და გულდასმით დაალაგა ტანსაცმელი. ამ საღამოსაც მარტო დარჩა. ასე ეგონა, მომავალში მარტოდ გატარებული გრძელი ღამეები ელოდა მხოლოდ, გატკიცინებულ ზეწრებსა და უღიმღამო სიმშვიდეში გატარებული ღამეები, როგორც ლოგინზე მიჯაჭვულ სნეულს. საწოლში რომ ჩაწვა, უნებლიეთ მკლავი გადასწია, თითქოს თბილ სხეულს ეძებსო, სუნთქვა შეიკრა, თითქოს ეშინია, ვიღაცას ძილი არ დავუფრთხოო, სულ ერთია, ვის, გინდ მამაკაცსა და გინდა ბავშვს, ოღონდ ვინმეს დასჭირდეს მისი სიფხიზლე, ოღონდაც ვინმეს დაეხმაროს მისი სითბო, დააძინოს თუ გამოაღვიძოს ვინმე! მაგრამ, ვაი რომ არავის სჭირდებოდა მისი ზრუნვა! იქნებ როჟეს? თუმცა მასაც მხოლოდ დროდადრო... ეს სიყვარული კი არა, ფიზიოლოგია იყო მხოლოდ. პოლი ამას კარგად გრძნობდა და სიმწარენარევი სიტკბოებით ეძლეოდა მარტოობას.

* * *

როჟემ მანქანა სახლთან გააჩერა და გადაწყვიტა ფეხით გაევლო. ღამის გრილ ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. ნაბიჯს ნელ-ნელა აუჩქარა, თავს კარგად გრძნობდა. პოლთან შეხვედრის შემდეგ თავს მუდამ კარგად გრძნობდა. პოლის გარდა არავინ უყვარდა. მაგრამ, როცა ამ საღამოს გამოემშვიდობა, სევდა შეატყო, თქმით კი ვერაფერი უთხრა. პოლი თითქოს რაღაცას სთხოვდა, სთხოვდა ისეთ რამეს, რისი მიცემაც როჟეს არ

შეეძლო, არც არავისთვის მიუცია ოდესმე. ალბათ პოლთან უნდა დარჩენილიყო, ეს ღამეც ალერსში გაეტარებინა. ქალის დასამშვიდებლად ამაზე უკეთესი საშუალება არ არსებობს. მაგრამ რა ქნას, თუკი სიარული სწყურია, ქუჩაში ხეტიალი, ქვაფენილზე საკუთარი ნაბიჯების ხმის გაგონება; სწყურია ისევ და ისევ იგრძნოს ამ კარგად ნაცნობი ქალაქის სუნთქვა. ან იქნებ წინასწარ ნეტარებას ჰგვრის ის ამბავი, ვის ან რას გადაეყრება ამაღამ? როჟე სანაპიროს გაუყვა; სადღაც შორს შუქი ციმციმებდა.

II

პოლს ჩვეულებრივზე გვიან გამოეღვიძა. მოთენთილი იყო, მაგრამ მაინც გავიდა სახლიდან. კანტორაში მისვლამდე ამერიკელ ქალთან უნდა შეევლო. ათ საათზე უკვე კლებერის გამზირის, თითქმის ცარიელ სასტუმრო ოთახში შევიდა. რაკი სახლის დიასახლისი არ იყო ამდგარი, სარკეს მიუახლოვდა და მშვიდად გაიპუდრა სახე. სიმონს სწორედ ამ სარკეში მოჰკრა თვალი: განიერი დილის ხალათი ეცვა, თმა ასწეწოდა და მართლაც ძალიან ლამაზი ჩანდა. “ჩემი გემოვნების ყმაწვილი არაა”, – გაიფიქრა პოლმა, მისკენ არც შებრუნებულა, საკუთარ თავს გაუღიმა სარკეში. სიმონი მეტისმეტად გამხდარი, მეტისმეტად შავგვრემანი, ნათელთვალება და მეტისმეტად დახვეწილი ყმაწვილი იყო.

სიმონმა ვერც შეამჩნია პოლი და სტვენა-სტვენით გაემართა ფანჯრისკენ. პოლმა ჩაახველა. სიმონი ისე სწრაფად შემოტრიალდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. პოლმა გაიფიქრა, ქალბატონ ვან დენ ბეშის უკანასკნელი ხუშტური იქნებაო.

– მაპატიეთ, – თქვა სიმონმა, – ვერ დაგინახეთ. სიმონ ვან დენ ბეში გახლავართ.

– დედათქვენმა მთხოვა ამ დილით შემომევლო და ბინის მოწყობის თაობაზე მოვლაპარაკებოდი. მგონი, მთელი სახლი გავაღვიძე.

– სულ ერთი არაა! ადრე თუ გვიან მაინც უნდა გაგვეღვიძა, – ნაღვლიანად წაილაპარაკა სიმონმა.

პოლმა უხალისოდ გაიფიქრა, ამ ყმაწვილს წუწუნი ჰყვარებიაო.

– დაბრძანდით! – უთხრა სიმონმა, დილის ხალათი მჭიდროდ შემოიკრა და დინჯად ჩამოჯდა პოლის პირდაპირ.

სიმონს მორცხვი ბიჭის იერი უფრო ჰქონდა. პოლს ერთბაშად მოეწონა: ყოველ შემთხვევაში, ისეთ კაცს არ ჰგავდა, სილამაზით რომ მოაქვს თავი, ეს კი უკვე ბევრს ნიშნავდა.

– თუ არ ვცდები, გარეთ ისევ წვიმს?

პოლს გაეცინა. წარმოიდგინა, რა მოუვიდოდა როჟეს, პოლი რომ ენახა აქ, დილის ათ საათზე საქმიანად მჯდარი ვიღაც საშინაო ხალათში გამოწყობილი, შეცბუნებული ლამაზი ყმაწვილის პირისპირ.

– დიახ, დიახ, წვიმს, – მხიარულად მიუგო პოლმა.

სიმონმა შეხედა.

– აბა, სხვა რა გითხრათ? მე ხომ არ გიცნობთ! ნაცნობები რომ ვყოფილიყავით, გეტყოდით, ბედნიერი ვარ, კვლავ რომ გიხილეთ-მეთქი.

პოლი შეცბა, სიმონს გადახედა.

– რატომ?

– აბა რა ვიცი.

სიმონმა თავი მიაბრუნა. პოლს უფრო და უფრო მეტად უცნაური ეჩვენა იგი.

– თქვენს ბინას მართლა სჭირდება მოწყობა, – თქვა მან, – ჩვეულებრივ სად სხდებით ხოლმე, როცა სამზე მეტი კაცი მოიყრით თავს?

– ვერაფერს მოგახსენებთ, – მიუგო სიმონმა, – მე აქ იშვიათად ვარ. მთელი დღე ვმუშაობ, დაღლილი ვბრუნდები და მაშინვე ვწვები.

პოლი საბოლოოდ დარწმუნდა, ამ ყმაწვილის შეფასებაში მართლა შევცდიო. თურმე თავისი გარეგნობით სულაც არ ყოყოჩობს, პირიქით, დღედაღამ შრომობს. კინაღამ ჰკითხა, რას აკეთებთო, მაგრამ თავი შეიკავა: საერთოდ არ სჩვეოდა ამგვარი ცნობისმოყვარეობა.

– მე სტაჟიორად ვმუშაობ ერთ ვექილთან, – წამოიწყო სიმონმა, – ბევრი საქმე მაქვს, შუაღამისას ვწვები და გარიჟრაჟზე უკვე ფეხზე ვარ...

– ახლა ათი საათია! – შენიშნა პოლმა.

– ჩემს ერთ კლიენტს თავი მოჰკვეთეს ამ დილით! – წაილაპარაკა სიმონმა.

პოლი შეკრთა. სიმონი თავდახრილი იჯდა.

– ღმერთო ჩემო, მოკვდა? – ჰკითხა პოლმა.

ორივეს სიცილი წასკდა. სიმონი წამოდგა და ბუხრის თაროდან სიგარეტი აიღო.

– არც ისე თავგამოდებით ვმუშაობ, როგორც საჭიროა. სამაგიეროდ თქვენ დილის ათ საათზე უკვე ზეზე ხართ და მზად ბრძანდებით ეს ჩვენი საძაგელი სასტუმრო მოაწყოთ. თქვენ მართლაც პატივისცემის ღირსი ხართ.

სიმონმა აღელვებით გაიარ-გამოიარა ოთახში.

– დამშვიდდით! – ურჩია პოლმა.

ქალი ერთბაშად კარგ გუნებაზე დადგა, გამხიარულდა. სიმონის საქციელი ართობდა, უკვე ნატრობდა, ნეტავ დედამისი არ შემოვიდესო.

– წავალ, ჩავიცვამ! – თქვა სიმონმა, – წამში მზად ვიქნები, დამიცადეთ!

* * *

პოლმა ერთი საათი დაყო ქალბატონ ვან დენ ბეშთან, რომელიც დილიდანვე უგუნებოდ გამოიყურებოდა; ქალებმა სახლის მოწყობის რთული გეგმა შეადგინეს. პოლი აღფრთოვანებული ჩარბოდა კიბეზე, გახარებული ფიქრობდა თავის გასამრჯელოზე და სიმონი არც მოჰგონებია. გარეთ წვიმდა. პოლმა ხელი აუწია ტაქსს, მაგრამ ამ დროს პატარა, დაბალი მანქანა შეჩერდა მის წინ. სიმონმა მანქანის კარი გამოაღო.

– არ წამობრძანდებით? მეც სწორედ კანტორაში მივდივარ.

ეტყობა, მთელი საათი ელოდა პოლს. მისმა იდუმალმა იერმა გული მოულბო ქალს. ორად მოკაკვული ძლივს ჩაჯდა სიმონის მანქანაში და გაეღიმა.

– მატინიონის გამზირზე უნდა მიმიყვანოთ.

– დედაჩემთან თუ მოაგვარეთ საქმე?

– მერედა როგორ! სულ მალე რბილ სავარძლებზე მოასვენებთ თქვენს დამაშვრალ სხეულს. ძალიან ხომ არ დაგაგვიანებთ სამუშაოზე? უკვე თორმეტი დაიწყო. ამასობაში ერთს კი არა და, მგონი, ყველა თქვენს კლიენტს წააცლიდნენ თავს.

– დრო თავსაყრელად მაქვს, – კუშტად წაილაპარაკა სიმონმა.

– არ იფიქროთ, თითქოს დაგცინოდეთ, – დაუყვავა პოლმა, – უბრალოდ, კარგ გუნებაზე ვარ, ფული მიჭირდა, დედათქვენის წყალობით კი ყველაფერი კარგად მოგვარდა.

– ფული წინასწარ გამოართვით! – ურჩია სიმონმა, – დიდი ძუნწი ვინმეა.

– მშობლებზე ასე ლაპარაკი არ გეკადრებათ.

– თორმეტი წლისა კი არა ვარ!

– აბა, რამდენის?

– ოცდახუთის. თქვენ?

– ოცდაცხრამეტის.

სიმონმა ისე მოურიდებლად დაუსტვინა, პოლი ჯერ კინაღამ გაბრაზდა, მერე სიცილი აუტყდა.

– რა გაცინებთ?

– ისეთი აღფრთოვანებით დაუსტვინეთ...

– წარმოიდგინეთ, მე უფრო მეტად ვარ აღფრთოვანებული, ვიდრე თქვენ გგონიათ! – თქვა სიმონმა და ისე ნაზად გადახედა, პოლი შეიშმუშნა.

მინსაწმენდი რიტმულად სრიალებდა, კოკისპირულ წვიმას ვერ უმკლავდებოდა. პოლს კიდეც უკვირდა, სიმონს როგორ მიჰყავს მანქანაო. დაჯდომისას წინდა გაეხა, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე დააყენა ამ პატარა მანქანამ, ამ ბიჭმა, მისით აშკარად მოხიბლულმა, და ამ წვიმამაც, კაპოტიდან რომ წვეთავდა და ღია ფერის პალტოს უსველებდა. პოლი თავისთვის ღიღინებდა: ჯერ სახლის ქირას გადაიხდის, მერე დედას გაუგზავნის ყოველთვიურად განკუთვნილ ფულს, მაღაზიის ვალსაც გაისტუმრებს და საკმაოდ დარჩება სხვა ხარჯებისთვის... თუმცა ანგარიშის თავი აღარ ჰქონდა. თანაც სიმონს ისე ჩქარა მიჰყავდა მანქანა, როჟე, წუხანდელი ღამე გაახსენდა და გუნება შეეცვალა.

– ხომ არ ისაუზმებდით ჩემთან ერთად... ერთ მშვენიერ დღეს? – ჰკითხა სიმონმა ერთი ამოსუნთქვით და პოლისთვის არ შეუხედავს. პოლს ძალიან შეეშინდა. ერთმანეთს ხეირიანად არ იცნობენ, ძალაუნებურად საუბარი უნდა გაუბას, რაღაც ჰკითხოს, უცხო ადამიანის სამყაროში შეიჭრას... არა, ამის სურვილი სულაც არა აქვს.

– ამ დღეებში არ მეცლება, ბევრი სამუშაო მაქვს.

– ჰოო? რა გაეწყობა! – წაილაპარაკა სიმონმა და აღარ ჩასციებია. პოლმა მალულად გადახედა. სიმონს ახლა ნელა, თითქოს ნაღვლიანად მიჰყავდა მანქანა. პოლმა სიგარეტი ამოიღო, სიმონმა სანთია მიაწოდა. მისი გამხდარი მაჯა სასაცილოდ მოჩანდა სქელი ტვიდის პიჯაკის სახელოდან. “ასეთი გარეგნობის ახალგაზრდას ჩრდილოამერიკელ მონადირესავით არ უნდა ეცვას”, – გაიფიქრა პოლმა და უცებ მოუნდა სიმონის ჩაცმაზე თვითონ ეზრუნა. ამ ყაიდის ბიჭები მუდამ დედობრივ გრძნობას უღვიძებენ ხოლმე პოლის ასაკის ქალებს.

– მე უკვე მოვედი! – თქვა მან.

სიმონი უსიტყვოდ გადმოვიდა, მანქანის კარი გამოაღო, გაბუტული და თან დაღონებული ჩანდა.

– გმადლობთ! – უთხრა პოლმა.

– მადლობად არ ღირს!

პოლმა სამი ნაბიჯი გადადგა და მოიხედა. სიმონი იდგა და უყურებდა.

III

სიმონი თხუთმეტი წუთი ეძებდა მანქანის დასაყენებელ ადგილს; ბოლოს კანტორიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით გააჩერა. დედამისის მეგობართან მუშაობდა. ეს ცნობილი ვექილი, მაგრამ საძაგელი კაცი, მოთმინებით იტანდა სიმონის ყოველ უსაქციელობას, თუმცა რა იყო ამის მიზეზი, სიმონს ამაზე ფიქრიც არ

სურდა. ზოგჯერ მოუნდებოდა ხოლმე გაემწარებინა, მოთმინებიდან გამოეყვანა ვექილი, მაგრამ აქაც სიზარმაცე უშლიდა ხელს. მანქანიდან გადმოსვლისას ფეხი იტკინა და ბედს შერიგებული კაცის იერით კოჭლობით განაგრძო გზა. თითქმის ყველა ქალი უკან უხედავდა. სიმონმა იცოდა, რას ფიქრობდნენ ისინი: "აფსუს, რა ლამაზი ყმაწვილი დაკოჭლებულა!" მართალია, თავის გარეგნობას არაფრად აგდებდა, მაგრამ ბევრჯერ შვებით უფიქრია: "არა, ნამდვილად გამიჭირდებოდა, უშნო რომ ვყოფილიყავი!" და მყის ხან განდეგილად მცხოვრები ბედკრული მხატვარი, ხანაც ლანდელი მწყემსი წარმოუდგებოდა თვალწინ.

კანტორაში კოჭლობით შევიდა. მოხუცმა მდივანმა, მადმუაზელ ალისამ თან ალერსით და თან დაცინვით შეავლო თვალი. კარგად იცოდა სიმონის ოინები, მაგრამ მაინც ლმობიერად ექცეოდა, წუხდა, მეტი სიდინჯე რომ გამოიჩინოს, ასეთი ლამაზი და გონებამახვილი ბიჭი ნამდვილად სახელგანთქმული ვექილი დადგებოდაო.

სიმონი გადაჭარბებული თავაზით მიესალმა ქალს და სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

– რატომ კოჭლობთ?

– ისე, საშიში არაფერია. აბა, წუხელ ვინ ვისი მსხვერპლი გახდა? ნეტა ვიცოდე, როდის ჩამივარდება ხელში გამოსაძიებლად მართლაცდა საშინელი ბოროტმოქმედება?!

– ამ დილით სამჯერ გიკითხეს. უკვე თორმეტის ნახევარია.

მაშასადამე, თვითონ ვექილმა ფლერმა იკითხა. სიმონმა კარისკენ გაიხედა.

– გვიან გამეღვიძა. მერე კი ისეთი მშვენიერება ვიხილე...

– ქალი?

– დიახ. ძალზე ლამაზი, ნაზი, ოდნავ მოტეხილი სახე... ნუ იტყვით, ისეთი მიხრა-მოხრა... რაღაც აწუხებს, თუმცა რა, ვერ გაუგებ...

– გირჩევნიათ, გიოს დოსიეს გადახედოთ!

– კეთილი და პატიოსანი!

– გათხოვილია?

სიმონი ფიქრებიდან გამოერკვა.

– არ ვიცი... თუ გათხოვილია, ალბათ უხეირო ქმარი ჰყავს. ფული უჭირს, მაგრამ, როცა ეს საკითხი მოაგვარა, მაშინვე კარგ გუნებაზე დადგა. მიყვარს, ქალს რომ ფული გაახალისებს.

ალისამ მხრები აიჩეჩა.

– მაშასადამე, ყველა ქალი გყვარებიათ.

– თითქმის ყველა, გარდა მეტისმეტად ნორჩებისა...

სიმონმა გიოს დოსიე გადახსნა. ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და ვექილი ფლერი გამოჩნდა.

– ბატონო ვან დენ ბეშ... ერთი წუთით!

სიმონმა მდივან ქალს გადახედა, მერე წამოდგა და კაბინეტში შევიდა. ინგლისურ სტილზე მორთული კაბინეტი თავისი უზადო წესრიგით მუდამ ზიზღს ჰგვრიდა ყმაწვილ კაცს.

– იცით, რომელი საათია?

ვექილმა ხოტბა შეასხა საერთოდ სიზუსტეს, შრომისმოყვარეობას, ილაპარაკა კარგა დიდხანს და ბოლოს საკუთარი და ქალბატონი ვან დენ ბეშის მოთმინებაც შეაქო. სიმონი ფანჯარაში იყურებოდა. ასე ეგონა, ოდესღაც, დიდი ხნის წინ ერთხელ უკვე იყო მოწმე ასეთი სცენისა, ასე ეგონა, მთელი სიცოცხლე ამ ინგლისურ კაბინეტში გაატარა და სულ ამ სიტყვებს ისმენდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა მარწუხებს უჭერდა, ახრჩობდა და სიკვდილით ემუქრებოდა. "ნეტა რას ვაკეთებდი მთელი ოცდახუთი წელიწადი? – გაიფიქრა ერთბაშად, – ერთი მასწავლებლიდან მეორის ხელში გადავდიოდი, ყველა მე მტუქსავდა და რატომღაც მიაჩნდათ, ძალზე მადლიერი უნდა ვყოფილიყავი". პირველად თავის სიცოცხლეში ეს კითხვა ისეთი სიმძაფრით წამოეჭრა, უნებურად ხმამაღლა იკითხა:

– მაინც რა გავაკეთე?

– რა? უბედურებაც ისაა, ჩემო კარგო, რომ არაფერი გაგიკეთებიათ!

– მე მგონი, არც არავინ მყვარებია არასოდეს! – განაგრძო სიმონმა.

– სულაც არა გთხოვთ, მე ან მოხუცი ალისა შეგვიყვაროთ, – აღშფოთდა ფლერი, – მხოლოდ იმას გთხოვთ, იმუშავეთ! ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

– საზღვარი ყველაფერს აქვს! – წაილაპარაკა ფიქრებში წასულმა სიმონმა. ასე ეგონა, უაზრო ოცნებები ჭაობივით ითრევდა, თითქოს ათი დღის უძინარი, მშიერ-მწყურვალი იყო.

– დამცინით? – იყვირა ვექილმა

– არა. მაპატიეთ, ამიერიდან ყურადღებით ვიმუშავებ.

უკან-უკან დაიხია და ისე გავიდა კაბინეტიდან. მერე სამუშაო მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

მადმუაზელ ალისა გაკვირვებული შესცქეროდა. "კი მაგრამ, რა მომივიდა? – ფიქრობდა სიმონი, – რა ამბავია ჩემს თავს?" გონება დაძაბა და გაიხსენა თავისი ცხოვრება: ინგლისში გატარებული ბავშვობა, სტუდენტობის წლები, სიყვარულობანა... ჰო, თხუთმეტი წლის ასაკში დედამისის მეგობარი ქალი მოსწონდა, იმ ქალმა ერთი კვირის თავზე ყველაფერში გაანათლა. მერე უდარდელი დროსტარება, მხიარული მეგობრები, გოგოები, მზიანი გზები... ყველაფერი

ერთმანეთში ისე აირია, ვერცერთზე ვერ შეაჩერა ყურადღება. იქნებ არც არაფერი გადახდენია. უბრალოდ, ოცდახუთი წლისა იყო.

– ასე ახლოს ნუ მიიტანთ გულთან! – დაუყვავა მადმუაზელ ალისამ. – ხომ იცით, მალე გადაუვლის ხოლმე.

სიმონმა არაფერი უპასუხა, ფანქრით რაღაცას უაზროდ ხატავდა ბიუვარზე.

– ჯობს თქვენს მეგობარ ქალზე იფიქროთ! – განაგრძო შეწუხებულმა ალისამ, – უფრო აჯობებდა, გიოს დოსიეს გასცნობოდით.

– მე მეგობარი ქალი არა მყავს.

– კი მაგრამ, ამ დილას ვის შეხვდით? რა ჰქვია მაინც?

– არ ვიცი.

სიმონმა მართლა არ იცოდა პოლის სახელი. პარიზში ვინმეს შეხვდე და მისი არაფერი იცოდე, თავისთავად უკვე მოულოდნელი სიხარულია! ვინაიდან შეგიძლია მთელი დღე მასზე იფიქრო და რაც გინდა, ის წარმოიდგინო!

* * *

როჟე დივანზე გაწოლილიყო სასტუმრო ოთახში და, მოღლილ-მოქანცული, სიგარეტს ეწეოდა. მთელი დღე დეზარკადერზე გაატარა, საბარგო მანქანების დაბრუნებას ადევნებდა თვალს. ამ თავსხმაში სულ მთლად გაიწუწა, მერე სასაუზმოდ დააპირა წასვლა, რომ სასწრაფოდ ლილში მოუხდა გამგზავრება: კატასტროფა მომხდარიყო, რამაც ასი ათასი ფრანკის ზარალი მიაყენა როჟეს სააგენტოს.

პოლი სუფრას ალაგებდა.

– ტერეზა რასა იქმს? – იკითხა როჟემ.

– ვინ ტერეზა?

– ქალბატონი ვან დენ ბეში. ღმერთმა უწყის, ამ დილით რატომ გამახსენდა მისი სახელი.

– საქმე მოგვარდა – თქვა პოლმა, – ბინის მორთვა მე მომანდო. აქამდე განგებ არაფერი მოგიყევი, შენ თვითონ იმდენი უსიამოვნება შეგხვედრია...

– მაშ, შენ გგონია მეწყინება, საქმე თუ კარგად წაგივა?

– არა, ოღონდ მეგონა...

– ნუთუ ასეთი თავკერძა გგონივარ, პოლ?

როჟე წამოჯდა და ლურჯი თვალები პოლს კუშტად მიაპყრო; მაშ, ისევ პოლმა უნდა დაამშვიდოს, უნდა დაარწმუნოს, რომ იგი ყველაზე უკეთესია (ერთი მხრივ, ეს მართალიცაა) და პოლი უზომოდ გააბედნიერა. პოლი გვერდით დაუჯდა.

– თავკერძა არა, უბრალოდ, საკუთარი საქმეებით ხარ დაკავებული... ამიტომ ბუნებრივია, მუდამ საკუთარ უსიამოვნებებზე ილაპარაკო...

– არა, მე გეკითხები, მართლა ასეთი თავკერძა ვარ შენ მიმართ?

ანაზდად როჟე მიხვდა, რომ მთელი დღე თურმე ამაზე ფიქრობდა. ალბათ იმ წუთიდან, როცა წუხელ პოლის სასოწარკვეთილი მზერა დაიჭირა. პოლი შეყოყმანდა: ასეთი რამ მისთვის არასოდეს უკითხავს როჟეს. იქნებ ახლა ჯობს გულახდილად უთხრას ყველაფერი. მაგრამ დღეს ისე სჯეროდა საკუთარი თავისა, ისეთ კარგ გუნებაზე იყო, როჟეს კი ისეთი დაღლილი სახე ჰქონდა... ვეღარ გაბედა.

– არა, როჟე. მართალია, ზოგჯერ... მარტოობას კი ვგრძნობ, თითქოს ასაკიც მახსენებს თავს და შენი აყოლა მიჭირს, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ.

– ბედნიერი ხარ?

– ჰო.

როჟე ხელახლა გაწვა დივანზე. პოლმა თქვა, ბედნიერი ვარო, და თავისთავად გაქრა ის ამაფორიაქებელი ფიქრი, მთელი დღე რომ არ ასვენებდა. ჰოდა, ძალიანაც კარგი, მასაც ეს უნდა!

– მისმინე, ის შემთხვევითი ამბები... ერთი სიტყვით, შენ კარგად იცი მათი ფასი.

– ვიცი, ვიცი.

პოლმა როჟეს შეხედა, თვალდახუჭული იწვა; მაინც რა ბავშვია ამოდენა კაცი... წევს თავისთვის დივანზე და გულუბრყვილოდ ეკითხება: “ბედნიერი ხარ?” როჟემ ხელი გაუწოდა, პოლმა აიღო და ახლოს მიუჯდა. როჟეს თვალები არ გაუხელია.

– პოლ... პოლ... ხომ იცი, უშენოდ... პოლ... – წაიჩურჩულა ბოლოს.

– ჰო, ვიცი.

პოლი დაიხარა, ლოყაზე აკოცა. როჟეს უკვე ეძინა. ანგარიშმიუცემლად გამოაცალა ხელი ქალს და გულზე დაიდო. პოლმა წიგნი გადახსნა.

როჟეს ერთი საათის შემდეგ გამოეღვიძა, მკვირცხლად დახედა საათს და გამოაცხადა, აბა, საცეკვაოდ წავიდეთ და დავლიოთ, იქნებ ეს საბარგო მანქანები გადამავიწყდესო. პოლს ეძინებოდა, მაგრამ როჟემ თუ რამე აიჩემა, მორჩა, ვეღარ გადააფიქრებინებ.

როჟემ უცნობ რესტორანში წაიყვანა, სენ-ჟერმენის ბულვარზე. სარდაფი პატარა ბაღის ლამაზ კუთხეს წააგავდა, კედლებზე ლანდები დალიცლიცებდა. ბრაზილიურ ჰანგებს ლამის გაეყრუებინა კაცი.

– ყოველ საღამოს რესტორნებში წანწალს ნამდვილად ვერ გავუძლებ! – წაილაპარაკა პოლმა, მაგიდას რომ მიუსხდნენ, – ხვალ ასი წლის დედაბერს ვემგვანები. დღეს ძლივს წამოვდექი ლოგინიდან.

ერთბაშად სიმონი მოაგონდა. მისი არსებობა აღარც ახსოვდა.

– წარმოიდგინე, ამ დილით... – მიუბრუნდა როჟეს და მაშინვე ჩაჩუმდა. მის წინ სიმონი იდგა.

– საღამო მშვიდობისა! – უთხრა მან.

– ბატონი ფერტე! ბატონი ვან დენ ბეში! – ერთმანეთს გააცნო პოლმა.

– გეძებდით და კიდეც გიპოვეთ! – უთხრა სიმონმა, – ეს კარგი ნიშანია.

მოპატიჟებას არ დაუცადა, ისე ჩამოჯდა სკამზე. როჟე გაბრაზდა, წელში გასწორდა, უკმაყოფილება დაეტყო.

– ყველგან გეძებდით, – განაგრძო სიმონმა, – ბოლოს ვიფიქრე, ალბათ სიზმარში ვნახე-მეთქი.

ანთებული თვალებით შეჰყურებდა პოლს და მკლავზე უჭერდა ხელს. გაოგნებულ ქალს ხმა ვერ ამოეღო.

– ეტყობა, მაგიდა შეგეშალათ! – უთხრა როჟემ.

– გათხოვილი ხართ? – ჰკითხა სიმონმა პოლს, – ვერ დავიჯერებ...

– გაწყალდა გული! – წამოიძახა როჟემ. – ახლავე მოვაშორებ აქაურობას.

სიმონმა შეხედა, შემდეგ ორივე იდაყვით მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

– მართალს ბრძანებთ, ბატონო, მაპატიეთ! ჩანს, მეტი მომივიდა დალევა. მაგრამ ამ დილით აღმოვაჩინე, მთელი ცხოვრება თურმე არაფერი მიკეთებია, სულ არაფერი!

– ახლა მაინც გაისარჯეთ და მოწყდით აქედან!

– თავი დაანებე! – ხმადაბლა სთხოვა პოლმა, – უბედური ბიჭია. ვინ არ დამთვრალა ერთხელ მაინც ზომაზე მეტად... ეს შენი... დაიცა... ჰო, ტერეზას ვაჟია.

– ვაჟი? – გაუკვირდა როჟეს, – ესღა მაკლდა!

როჟე წინ გადაიხარა. სიმონს უღონოდ დაედო თავი მკლავზე.

– გაიღვიძეთ! – უთხრა როჟემ. – მოდით, თითო ჭიქაც დავლიოთ. ამასობაში თქვენს დარდებსაც გაგვიზიარებთ. წავალ, მე თვითონ მოვიტან ჭიქებს, თორემ შუაღამემდე მოგვიწევს ლოდინი.

პოლი გამხიარულდა, როჟესა და ამ დამთხვეული ყმაწვილის საუბარი რომ წარმოიდგინა. სიმონმა თავი ასწია და თვალი გააყოლა როჟეს, რომელიც მაგიდებს შორის გზას ძლივს მიიკაფავდა.

– აი, მამაკაციც ამას ჰქვია! – თქვა მან. – ნამდვილი ვაჟკაცი! თუმცა ეგეთი ჯანმაგარი, ვაჟკაცური, საღად მოაზროვნე ტიპები ჭირივით მეჯავრება... მე...

– ადამიანის ბუნება არც ისე მარტივია, როგორც გგონიათ! – მკვახედ მიუგო პოლმა.

– გიყვართ?

– თქვენი საქმე არ არის.

სიმონს თმა თვალებზე ჩამოჰყროდა, სანთლების შუქი უფრო მკვეთრად აჩენდა მის ლამაზ ნაკვთებს. დიდებული სანახავი იყო. მეზობელი მაგიდიდან ორი ქალი აღტაცებით შესცქეროდა.

– მაპატიეთ, – თქვა სიმონმა, – რა საოცარი ამბავია: დილიდან მოყოლებული ყველას ბოდიშს ვუხდი. იცით, მე მგონი, არარაობა ვარ!

როჟემ სამი ჭიქა მოიტანა; სიმონის ბოლო სიტყვების გაგონებაზე წაიბურტყუნა, ადრე თუ გვიან ყველა ამ დასკვნამდე მიდისო. სიმონმა უცბად გამოცალა თავისი ჭიქა და გაჩუმდა. ასე მდუმარედ, გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან და უყურებდა, როგორ ცეკვავდნენ ისინი, უსმენდა, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ თითქოს არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. როჟესა და პოლს მალე დაავიწყდათ მისი არსებობა. ხანდახან პოლი თუ გადახედავდა და სიცილს ძლივს იკავებდა: ისეთი დამჯერი, ჭკვიანი ბიჭივით გატრუნულიყო სიმონი.

როცა წასასვლელად მოემზადნენ, სიმონიც წამოდგა, მაგრამ მუხლები მოეკეცა და სკამზე დავარდა. გადაწყვიტეს, შინ მიეყვანათ. სიმონს როჟეს მანქანაში ჩაეძინა. თავი პოლის მხარზე ექინდრებოდა. აბრეშუმივით ნაზი თმა ჰქონდა, მშვიდად ფშვინავდა. პოლს შეეშინდა, მინას არ მიარტყას თავიო, და შუბლზე დაადო ხელი. კლებერის გამზირზე როჟე გადმოვიდა, მანქანას შემოუარა და კარი გააღო.

– ფრთხილად! – ხმადაბლა უთხრა პოლმა.

როჟემ შეამჩნია, რა თვალები ჰქონდა პოლს, გაუკვირდა, მაგრამ არაფერი თქვა და სიმონი მანქანიდან გადმოათრია. იმ საღამოს პოლთან დარჩა და დიდხანს, ძილშიც ისე მაგრად ჰყავდა გულში ჩაკრული, რომ ქალმა ვერ დაიძინა.

IV

მეორე დღეს შუადღისას პოლი ვიტრინაში ჩამუხლულიყო და მაღაზიის პატრონს არწმუნებდა, თაბაშირის ბიუსტზე ქუდის ჩამოდება ვერაფერი ორიგინალური იდეაა რეკლამისთვისო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა სიმონი. ხუთი წუთის წინ გაზეთების

ჯიხურს მოფარებული გულისფანცქალით უთვალთვალებდა პოლს. ნეტა ასე ძალუმად რად უცემს გული, პოლი რომ დაინახა, თუ იმიტომ, ასე სულელურად რომ იმალება? დამალვა მუდამ უყვარდა სიმონს. მარცხენა ხელს გიჟივით აქნევდა, თითქოს კრუნჩხვები აწუხებსო, მარჯვენა კი ჯიბეში ისე ედო, იტყოდით, რევოლვერი უდევს შიგ ან ხელზე ეგზემა აქვსო; მისმა საქციელმა მაღაზიაში მყოფი ხალხი დააფრთხო. სიმონი ფსიქოანალიტიკოსისათვის მართლაც მისწრება იყო, ყოველ შემთხვევაში, დედამისს ასე მიაჩნდა.

როცა პოლი ვიტრინაში ჩაჩოქილი დაინახა, სიმონმა გაიფიქრა, ნეტა სულაც არ გამეცნო ეს ქალი და არც მინიდან მეჭვრიტა ახლა მისთვისო. მაშინ დღესაც არ ეტყოდა უარს. ნეტა გუშინ რაები მოჩმახა? ჩერჩეტი ბიჭივით საძაგლად გამოთვრა, ან რა საკადრისი იყო, იმდენი სისულელე რომ ილაქლაქა სულიერ ტანჯვაზე... სიმონი კვლავ ამოეფარა ჯიხურს, წასვლაც კი დააპირა, მაგრამ ერთხელ კიდევ რომ გახედა პოლს, ერთბაშად მოუნდა ქუჩა გადაერბინა, ხელიდან გამოეგლიჯა ქინძისთავებით დაცხრილული ქუდი, აეშორებინა მისთვის ეს სამუშაო, ეს ცხოვრება, რომ აღარ ამდგარიყო დილაადრიან, აღარ დაჩოქილიყო გამვლელების თვალწინ ვიტრინაში; აგერ ხალხი წამდაუწუმ ჩერდება, ცნობისმოყვარეობით უჭვრეტენ, ზოგ კაცს, ვინ იცის, სურვილიც კი აღუძრა ამ ჩამუხლულმა, მანეკენისკენ მკლავებგაწვდილმა ქალმა. სიმონსაც მისკენ გაუწია გულმა და ქუჩა გადასერა.

სიმონს ეგონა, უცხოთა ჭვრეტით გაღიზიანებული პოლი სიხარულით შეეგებებოდა, მაგრამ შეცდა, პოლმა გულგრილი ღიმილიღა გაიმეტა მისთვის.

– ქუდი ხომ არ გინდათ შეარჩიოთ ვინმესთვის?

სიმონმა რაღაც ჩაიბუტბუტა, მაგრამ მაღაზიის პატრონმა კეკლუცად წაჰკრა ფერდში ხელი:

– პოლს ელოდებით, ბატონო? კეთილი და პატიოსანი. ოღონდ დაბრძანდით და დაგვიცადეთ... ჯერ საქმეს უნდა მოვრჩეთ.

– საიდან მოიგონეთ, რომ მე მელოდება? – თქვა პოლმა და შანდალი გადადგა.

– მაგ შანდალს მე მარცხნივ დავდგამდი, – უთხრა სიმონმა, – ოდნავ უკან, ასე უფრო თვალში მოსახვედრია.

პოლმა გაბრაზებით შეხედა. სიმონი იღიმებოდა. ახლა მას დიდი გემოვნების ყმაწვილივით ეჭირა თავი, თავისი შეყვარებულისათვის რომ გამოევლო და რჩევას აძლევდა. ხოლო მაღაზიის ჰომოსექსუალისტი პატრონის აღფრთოვანება (სიმონს ეს ამბები არ აღელვებდა), რა თქმა უნდა, ხუმრობის საგნად იქცეოდა ორივესთვის.

– მართალი ბრძანდებით! – მოუწონა მაღაზიის პატრონმა, – ასე უფრო თვალში მოსახვედრია.

– ვითომ რატომ? – მკვახედ იკითხა პოლმა.

მამაკაცებმა შეხედეს.

– აბა, რა ვიცი.

სიმონმა ისე გულიანად გადაიხარხარა, პოლმა სახე მოარიდა, შეეშინდა, თვითონაც არ გასცინებოდა. ნაწყენი მაღაზიის პატრონი განზე დადგა. პოლმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, რათა შორიდან შეეხედა ვიტრინისათვის და უნებურად მხარით შეეხო სიმონს, რომელიც შეუმჩნევლად მიახლოებოდა.

– შეხედეთ! – მეოცნებე ხმით უთხრა სიმონმა, – მზე!

ჯერ კიდევ სველი მინიდან მზე სახეში უჭყეტდათ. შემოდგომის ამ დღეებში ეს უეცარი სითბო დაგვიანებულ სინანულს ჰგავდა. პოლი თითქოს ამ მზის სხივებში ბანაობდა.

– ჰო, – თქვა მან, – მზეა!

ერთხანს უძრავად იდგნენ – პოლი სიმონისკენ ზურგშექცევლი, ოღონდ მაინც მის მხარს მიყრდნობილი. მერე განზე გადგა.

– ჯობდა დასაძინებლად წასულიყავით.

– მშია, – თქვა სიმონმა.

– ჰოდა, წადით და ისაუზმეთ!

– თქვენ არ წამომყვებით?

პოლი შეყოყმანდა. როჟემ დაურეკა, ალბათ დამაგვიანდება ან სულაც ვერ მოვალო. ამიტომ პოლს გადაეწყვიტა, სანამ მაღაზიაში საყიდლებზე წავიდოდა, ბარში შესულიყო და სენდვიჩები ეჭამა. მაგრამ მზის ამ მოულოდნელმა გამოჭყეტამ კაფეებისა და უნივერმაღების დარბაზები ერთბაშად შეაზიზღა. ბალახის ნახვა, თუნდაც შემოდგომაზე გადაყვითლებული ბალახის ნახვა მოუნდა.

– ბალახი მომენატრა! – თქვა მან.

– წავიდეთ! ჩემი ჯაბახანა აქვე დგას. არც სოფელია შორს...

პოლი დაიძაბა. ამ უცნობ ჭაბუკთან ერთად ქალაქგარეთ გასეირნება და მთელი ორი საათით პირისპირ ყოფნა ალბათ ძალზე მოსაწყენი იქნება!..

– ან არადა, ბულონის ტყეში წავიდეთ, – სწრაფად შესთავაზა სიმონმა, – თუ მოგწყინდებათ, ტაქსის გამოვიძახებთ ტელეფონით.

– რა წინდახედული ბრძანდებით!

– გამოგიტყდებით, დღეს დილით რომ გამოვიღვიძე, სირცხვილით დავიწვი. ბოდიშის მოსახდელად შემოგიარეთ.

– არა უშავს, ვის არ მოსვლია! – გულთბილად უთხრა პოლმა და პალტო მოისხა. იგი მუდამ გემოვნებით, მოხდენილად იცვამდა. სიმონმა მანქანის კარი გაუღო და პოლიც ისე ჩაჯდა, ვერ მოიგონა, როდის დაეთანხმა ამ სულელურ საუზმეზე წაჰყოლოდა.

მანქანაში რაღაცას წამოსდო წინდა და სასოწარკვეთით ამოიკვნესა. – თქვენს მეგობარ ქალებს, ეტყობა, შარვლები აცვიათ.

– მე აღარა მყავს მეგობრები.

– აღარ გყავთ მეგობარი ქალები?

– აღარ მყავს.

– როგორ მოხდა?

– არ ვიცი.

პოლი დაცინვის გუნებაზე დადგა. ფრიად გაართო ამ ბიჭმა, ერთსა და იმავე დროს მორცხვმა და გამბედავმა, ენაკვიმატმა და დინჯმა, შიგადაშიგ კი დამცინავმა. სიმონმა ისე იდუმალად, ისე ხმადაბლა თქვა, არ ვიციო, პოლმა თავი გადააქნია.

– ეცადეთ მოიგონოთ... როდის შემოგეპარათ ასეთი გულგრილობა?

– ყველაფერი ჩემი ბრალია. ერთი კარგი, მაგრამ მეტისმეტად რომანტიკული გოგო მყავდა. ასეთი გოგოები ორმოცი წლის ასაკის კაცებს მოსწონთ.

პოლს გულზე მოხვდა ეს სიტყვები.

– მაინც როგორი გოგოები მოსწონთ ორმოცი წლის კაცებს?

– როგორი და... ერთი სიტყვით, დიდი დამთხვეული ვიღაც იყო, პირმოკუმული, გიჟივით მიაქროლებდა მანქანას, თვალს გაახელდა თუ არა დილით, მაშინვე სიგარეტს გამოირჭობდა პირში... მე კი მეუბნებოდა, სიყვარული ორი ეპიდერმის კონტაქტია და მეტი არაფერიო.

პოლს გაეცინა.

– მერე რა მოხდა?

– როცა დავშორდი, მაინც იტირა. ოღონდ ტრაბახში არ ჩამომართვათ, – სწრაფად დაუმატა სიმონმა, – ტრაბახი არ მიყვარს.

ბულონის ტყეში სველი ბალახის სუნი იდგა, ხავსმოდებული ხისა და შემოდგომის ბილიკების სუნი. სიმონმა პატარა რესტორნის წინ გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, სირბილით შემოუარა და კარი გაუღო პოლს, რომელსაც მთელი სხეულის დაძაბვა დასჭირდა, მანქანიდან რომ მოხდენილად გადმოსულიყო. რაკიღა ასე დაუფიქრებლად წამოჰყვა, ბოლომდე კიდეც უნდა გაეძლო.

სიმონმა მისვლისთანავე კოქტეილი შეუკვეთა. პოლმა მკაცრად გადახედა:

– წუხანდელის შემდეგ წყლის გარდა არაფერი არ უნდა დალიოთ.

– ჯერ ერთი, შესანიშნავად ვგრძნობ თავს! მეორეც, გამხნევება მჭირდება. არ მინდა მოიწყინოთ, ამიტომ ძალას ვიკრებ.

რესტორანი თითქმის ცარიელი იყო, ოფიციანტიც წარბშეყრილი შეხვდათ. სიმონმა საუზმე დაუკვეთა და მერე გაიტრუნა. პოლს არც უფიქრია მოეწყინა, გრძნობდა, სიმონი ყასიდად გაყუჩებულიყო; ალბათ გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდა, რაზე ესაუბრა. ჩანს, კატასავით მალავდა თავის ზრახვებს.

– ასე უფრო თვალში მოსახვედრია! – ერთბაშად წაიკნავლა სიმონმა მაღაზიის პატრონივით და მოულოდნელობისაგან პოლს სიცილი აუტყდა.

– მუდამ ასე კარგად ბაძავთ ხალხს?

– არცთუ ცუდად. სამწუხაროდ, საერთო ნაცნობები ცოტა გვყავს, თორემ გაგართობდით. დედაჩემს რომ მივბაძო, მეტყვით, უდიერი ხარო. თუმცა მაინც გავბედავ: “როგორ გგონიათ, აქ ატლასი არ აჯობებდა? ოდნავ მარჯვნივ. უფრო მეტ სიმყუდროვეს შესძენდა, უფრო მეტ სითბოს არ მოჰფენდა ოთახს?”

– უდიერი კი ხართ, მაგრამ მაინც კარგად აჯავრებთ.

– აი, თქენს გუშინდელ მეგობარს კი ხეირიანად ვერ დავაკვირდი. თუმცა მგონია, გამიჭირდებოდა მისი მიბაძვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. პოლს გაეღიმა.

– მართლაც ასეა.

– მე კი ერთ-ერთი იმ მეტისმეტად განებივრებული ახალგაზრდების უფერული ასლი გახლავართ, მშობლების წყალობით რომ იოლი ხელობა აურჩევიათ და საკუთარი თავის გართობის გარდა სხვა არაფერი აწუხებთ. ასე რომ, თქვენ წაგებული დარჩებით: მე ვგულისხმობ დღევანდელ საუზმეს.

მისი გამომწვევი კილო პოლს არ მოეწონა.

– როჟეს არ ეცალა, თორემ ახლა აქ არ ვიქნებოდი, – თქვა მან.

– ვიცი, – ისე სევდიანად მიუგო სიმონმა, პოლს საქციელი წაუხდა. შემდეგ დიდხანს ისაუბრეს თავიანთ საქმიანობაზე; სიმონმა ერთ-ერთი სასამართლო პროცესი ძალიან სასაცილოდ წარმოადგინა: საქმე ეხებოდა ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობას. სამსჯავრო სხდომის გათამაშებისას ერთბაშად წელში გაიმართა, თითი პოლისკენ გაიშვირა, გულიანად იცინოდა, და წამოიძახა:

– თქვენ კი ბრალსა გდებთ იმაში, რომ მოქალაქეობრივი ვალი არ შეასრულეთ და ჰუმანურობა არ გამოიჩინეთ. ამ მიცვალებულის წინაშე ბრალსა გდებთ იმაში, რომ სიყვარულს ხელი ჰკარით, არად ჩააგდეთ თითოეული ადამიანის მოვალეობა, გეცხოვრათ ისე, ბედნიერი ყოფილიყავით, თქვენ კი თავი აარიდეთ ამას... და ბედს დამორჩილდით. თქვენ სიკვდილით დასჯის ღირსი ხართ: თქვენ მოგესჯებათ მარტოობა!

სიმონი შეჩერდა, ჭიქას დაავლო ხელი და გადაჰკრა. პოლი არ განძრეულა.

– საშინელი განაჩენია! – ჩაილაპარაკა მან.

– ამაზე საშინელი განაჩენი არც შეიძლება, პირადად მე ისე არაფერი მაშინებს, როგორც მარტოობა; ალბათ ყველა ასეა. ოღონდ არავის უნდა აღიაროს. მე კი ზოგჯერ ლამის ვიბღავლო: მეშინია! მეშინია! შემიყვარეთ!

– მეც ასე მომდის, – უნებურად წამოსცდა პოლს.

წამით თვალწინ დაუდგა თავისი ოთახი, კედლის კუთხე საწოლის პირდაპირ, ჩამოშვებული ფარდები, ძველებური სურათი, პატარა კომოდი ოთახის მარცხენა კუთხეში, ყველაფერი, რასაც ყოველ დილას, ყოველ საღამოს და ალბათ ერთი ათი წელი უყურებს. მომავალში კიდევ უფრო მარტო იქნება. როჟე? როჟე რაღას აკეთებს? არა, როჟეს უფლება არა აქვს, მარტოხელა სიბერე მიუსაჯოს; ამის უფლება არავის არა აქვს, თვით როჟესაც კი...

– დღეს უფრო სასაცილო და წუწუნა გეჩვენებით ალბათ, ვიდრე გუშინ, – ხმადაბლა თქვა სიმონმა, – ან იქნებ გგონიათ, თქვენი გულის მოსაგებად გავითამაშე კომედია?

სიმონი პოლის პირდაპირ იჯდა; ნათელ თვალებში დროდადრო შეშფოთება გაუკრთებოდა, სახე კი ისეთი კრიალა, ისეთი გულღია ჰქონდა, პოლმა კინაღამ ხელი მოუთათუნა.

– არა, არა, მე მეგონა... მე ვფიქრობ, საამისოდ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ და ბევრსაც უყვარხართ.

– სიყვარული ორმხრივი უნდა იყოს, – წაილაპარაკა სიმონმა. – წამოდით, გავისეირნოთ, გარეთ კარგი დარია.

რესტორნიდან გამოვიდნენ. სიმონმა მკლავი გაუყარა. ერთხანს უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ. შემოდგომის სითბო ნელ-ნელა ეუფლებოდა პოლის გულს. გადაწითლებული, გათელილი და ერთმანეთს მიწებებული სველი ფოთლები მიწას ეკვროდა. პოლი უცნაური სინაზით განიმსჭვალა ამ ყმაწვილისადმი, გვერდით რომ მდუმარედ მოსდევდა. ეს უცხო ბიჭი რამდენიმე წამით მის ამხანაგად, მის თანამგზავრად იქცა, ვისთან ერთადაც განძარცულ ხეივანში მიაბიჯებდა გვიანი შემოდგომით. პოლი მუდამ ასეთი სინაზით იმსჭვალებოდა თავისი თანამგზავრებისადმი გინდ სეირნობისას და გინდ ცხოვრებაში. მუდამ მადლიერი იყო მათი, ასე მაღალნი რომ იყვნენ მასზე, ასე არ ჰგავდნენ მას და ამავე დროს ასე ახლობლები იყვნენ. გაახსენდა თავისი ქმარი მარკი, რომელიც მიატოვა და მასთან ერთად უზრუნველ ცხოვრებასაც დაემშვიდობა, გაახსენდა მეორე მამაკაცი, პოლი რომ გაგიჟებით უყვარდა, ბოლოს თვალწინ დაუდგა როჟე, ერთადერთი კაცი, მეხსიერებამ ასე ცოცხლად, თუმცა სულ სხვადასხვანაირად რომ დაანახვა. სამი თანამგზავრი, სამი კარგი თანამგზავრი ერთი ქალის ცხოვრებაში განა უდიდესი გამარჯვება არაა?

– მოიწყინეთ? – ჰკითხა სიმონმა.

პოლმა მოიხედა და გაუღიმა . გზა განაგრძეს.

– მინდა ვირწმუნო... – ჩაწყვეტილი ხმით წამოიწყო სიმონმა, – მინდა ვირწმუნო... მართალია, არ გიცნობთ, მაგრამ მაინც მინდა ვირწმუნო, რომ ბედნიერი ხართ... მე... ჰმ... მე აღფრთოვანებული ვარ თქვენით!

პოლი ყურს არ უგდებდა. გვიანი იყო. ვინ იცის, როჟემ დაურეკა, ყავის დასალევად რომ წასულიყვნენ. ის კი შინ არ დახვდა. გუშინ ხომ უთხრა, შაბათს ქალაქგარეთ გავიდეთ და დავისვენოთო. მოახერხებს კი პოლი სამსახურიდან გათავისუფლებას? ვინ იცის, როჟემ კიდეც გადაიფიქრა? იქნებ ეს დაპირება სხვა მრავალ დაპირებასავით ალერსით სავსე ღამის წყალობა იყო, როცა როჟეს პოლის გარეშე ვერც წარმოედგინა ცხოვრება და მათი სიყვარული ისეთ ცხად ჭეშმარიტებად ეჩვენა იმ წუთს, თავს ველარ მოერია?! მაგრამ როგორც კი პოლის სახლის კარს გასცდება როჟე, როგორც კი დამოუკიდებლობის მძაფრ სურნელს შეიგრძნობს ქუჩაში, პოლი მას ხელახლა ჰკარგავს.

უკან დაბრუნებისას პოლს თითქმის არ ამოუღია ხმა. მერე სიმონს მადლობა გადაუხადა საუზმისათვის და უთხრა, მოხარული ვიქნები, თუკი როდესმე დამირეკავთო. სიმონი გაოგნებული მისჩერებოდა მიმავალ პოლს. საოცარი დაღლა იგრძნო და თავისი თავი ძალზე მოუქნელი ეჩვენა.

V

ასეთ სიამოვნებას მართლაც არ მოელოდა! როჟემ ხელი გადასწია და საწოლთან მდგარ პატარა მაგიდიდან სიგარეტი აიღო. ახალგაზრდა ქალმა, გვერდით რომ ეწვა, ჩაიხითხითა:

– არ შეიძლება მამაკაცმა ამის შემდეგ არ გააბოლოს!

ვერაფერი ორიგინალური შენიშვნა იყო! როჟემ სიგარეტი ქალსაც გაუწოდა, მაგრამ მან უარის ნიშნად თავი გადააქნია.

– მეზი, შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ? ნეტა ამ საღამოს რა მოგეჩვენათ? აგერ, უკვე ორი თვეა, ერთმანეთს ვიცნობთ და ბატონ შერელს გვერდიდან არ მოსცილებიხართ...

– ბატონი შერელი ჩემი საქმეებისათვის მჭირდება, დღეს კი თავშექცევა მომინდა, მიხვდი?

როჟემ გაიფიქრა, მეზი იმ ქალთა მოდგმას ეკუთვნის, გვერდით რომ მოგიწვება, მაშინვე შენობით დაგიწყებს ლაპარაკსო. სიცილი წასკდა.

– კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც მე ამირჩიეთ? კოკტეილზე იმდენი მოხდენილი ახალგაზრდა იყო!

– იცი რა, ახალგაზრდები ლაქლაქს უნდებიან... შენ კი ეს საქმე ნამდვილად გიყვარს. მერწმუნე, ასეთი მამაკაცი ახლა იშვიათია. ქალის თვალს არ გამოეპარება. ახლა არ მითხრა, ქალი მაშინვე არ მნებდებაო...

– ასე სწრაფად მაინც არა! – გაეცინა როჟეს.

ქალი მართლა ლამაზი იყო. ამ პატარა ვიწრო შუბლის მიღმა, ვინ იცის, რა წვრილმანი აზრები ტრიალებს ცხოვრებაზე, მამაკაცებზე, ქალებზე. როჟე რომ ჩასციებოდა, იქნებ კიდეც ეთქვა, რა იყო მისი ცხოვრების მიზანი, საინტერესოც იქნებოდა მისი მოსმენა. როგორც ყოველთვის, ახლაც გული აუჩუყდა როჟეს, მაგრამ ამასთან თითქოს შიშსაც ჰგვრიდა იმის გაფიქრება, ამ ნაირ-ნაირ ლამაზ სხეულებს – მისი ძიების მუდმივ საგანს ქუჩაში თუ ცხოვრებაში – ჩიტის პატარა ჭკუა განაგებსო. როჟემ თმაზე ხელი გადაუსვა ქალს.

– ეტყობა, ბუნებით ალერსიანი ხარ! – უთხრა ქალმა, – შენისთანა ზორბა ოყლაყები მუდამ ასეთი ნაზები არიან.

– მაშ, მაშ! – უგულისყუროდ ჩაილაპარაკა როჟემ.

– შენთან დაშორება აღარ მინდა. რომ იცოდე, რა აბეზარია ეს შერელი...

– ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ!

– როჟე, მოდი ორი დღით სადმე წავიდეთ ამ შაბათ-კვირას, არ გინდა? ქალაქგარეთ... საწოლი ოთახიდან ფეხს არ მოვიცვლით...

როჟემ გადახედა. მეზი ცალ იდაყვს დაყრდნობოდა. როჟე დააკვირდა კისერზე ატოკებულ ლურჯ ძარღვს. იმ დღესაც კოქტეილზე ასეთი გამომეტყველება ჰქონდაო, გაიფიქრა და გაეღიმა.

– თქვი, ჰო-თქო! გესმის? ახლავე თქვი!

– ახლავე! გაიმეორა როჟემ და ქალი თავისკენ მიიზიდა.

მეზიმ მხარზე უკბინა და აკრუსუნდა. "სიყვარულობია თურმე სულელურადაც შეიძლება", გაიფიქრა როჟემ.

* * *

– ძალიან მწყინს, მაგრამ რას იზამ! აბა, კარგად იმუშავე. მანქანა სწრაფად არ ატარო! გკოცნი, – თქვა პოლმა და ყურმილი დაკიდა. ესეც შენი ქალაქგარეთ დასვენება! როჟე თურმე ლილში უნდა წავიდეს შაბათს, იქაურ კომპანიონთან ჰქონია საქმე. იქნებ მართლაც ასე იყოს! პოლი მუდამ ცდილობდა, როჟეს ნათქვამი ერწმუნა. ცოცხლად წარმოიდგინა პატარა სასტუმრო, სადაც მუდამ ჩერდებოდნენ, აგუზგუზებული ბუხარი, მყუდრო ოთახი; იგრძნო კიდეც ნაფტალინის სუსტი სუნი; წარმოიდგინა, რა კარგად გაატარებდნენ იმ ორ დღეს, როგორ გაისეირნებდნენ, ისაუბრებდნენ, დილით როჟეს გვერდით გაიღვიძებდა, მერე მთელი ის დღე, თბილი და მშვიდი დღე ერთად იქნებოდნენ. ტელეფონს გადახედა. იქნებ რომელიმე მეგობარ ქალს დაურეკოს, ერთად ვისაუზმოთ ან ბრიჯი ვითამაშოთო?.. მაგრამ გული არსად მიუწევდა. არადა, ორი დღე მარტო დარჩენისაც ეშინოდა. სძაგდა მარტოხელა ქალების კვირა დღეები: გვიანობამდე ლოგინში კითხვა, ხალხით გაჭედილი კინო-თეატრები, კოქტეილზე ან სადილად ვინმესთან წასვლა და ბოლოს შინ დაბრუნება, სადაც დახვდება აშლილი

საწოლი და ისეთი გრძნობა დაეუფლება, თითქოს დილიდან არც ერთი წუთი არ უცხოვრია. როჟე დაჰპირდა, ზეგ დაგირეკავო. იგი ჩვეულებისამებრ ტკბილად ელაპარაკა. პოლი დაუცდის როჟეს ზარს, მანამ კი შინ იჯდება. ასეა თუ ისე, აჯობებს ბინა მიალაგოს, ჩვეულებრივი ოჯახური საქმეებით გაერთოს, დედაც ხომ მუდამ დაბეჯითებით ურჩევდა ამას! მაგრამ პოლს გულში ეს საქმიანობა ძალიან სძაგდა. დრო ხომ მოლუსკი არაა, შენს ნებაზე გაწელო! ახლა კი პოლი თითქმის ნანობდა, ასეთ საქმეებს რომ გულს ვერ უდებდა. იქნებ მართლაც არის წუთები, როდესაც ცხოვრებაზე კი არ უნდა გაილაშქრო, პირიქით, მისგან უნდა დაიცვა თავი, როგორც მეტისმეტად აბეზარი მეგობარი ქალისგან? იქნებ პოლისთვისაც დადგა უკვე ასეთი წუთი? უკნიდან თითქოს კიდეც მოესმა მრავალხმიანი გუნდის ოხვრით მოძახილი: “კი, დადგა”.

გადაწყვიტა, შაბათს, დღის ორ საათზე ქალბატონ ვან დენ ბეშისთვის დაერეკა. თუკი ღმერთმა ქნა და დოვილში არ დახვდა წასული, ნაშუადღევს მასთან წაიმუშავებს. ახლა მხოლოდ ეს იზიდავდა პოლს. “კაცებმა იციან ასე, ოღონდაც შინ არ დარჩნენ და კვირაობითაც კანტორაში დადიან!” – გაიფიქრა მან. ქალბატონ ვან დენ ბეშს თურმე ღვიძლის შეტევა ჰქონია, მოწყენილი იყო და პოლის წინადადებას აღტაცებით შეხვდა. პოლმა წაიღო ნიმუშები და კლებერის გამზირზე წავიდა. ქალბატონი ვან დენ ბეში ჭრელ ხალათში დახვდა, “ევიანის” მინერალური წყლით სავსე ჭიქა ეჭირა, სახე წითლად აფორეჯებოდა. პოლმა გაიფიქრა, ალბათ სიმონის მამა იყო ძალიან ლამაზი, თორემ დედა მეტად უფერული ჰყავსო.

– თქვენი ვაჟი როგორ ბრძანდება? იცით, ერთ საღამოს ერთმანეთს შევხვდით.

ის აღარ უთხრა, წინადღით ერთად რომ ისაუზმეს. თავისი გულჩახვეულობისა თვითონვე გაუკვირდა. მის თანამოსაუბრეს მაშინვე წამებული გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე:

– საიდან უნდა ვიცოდე? თითქმის არაფერს მიამბობს, მხოლოდ მაშინ გავახსენდები, როცა ფული შემოაკლდება. თანაც ბევრს სვამს. მამამისიც სვამდა.

– ლოთს სულაც არ ჰგავს! – გაეღიმა პოლს და ერთბაშად თვალწინ დაუდგა სიმონის გადატკეცილი სახე, კარგად ნაპატიები ინგლისელივით მისი ნაზი ფერ-ხორცი.

– ხომ ლამაზი ბიჭია?

ქალბატონი ვან დენ ბეში გამოცოცხლდა და სიმონის ბავშვობის სურათებით სავსე ალბომები გადმოიღო: აი, ჩვილი სიმონი, აი, პონიზე შემჯდარი, გრძელკულულებიანი სიმონი, აი, შემცბარი სიმონი – კოლეჯის მოსწავლე და სხვა. სურათები ბლომად შემოენახათ. პოლს ესიამოვნა, სიმონი რომ არც ჰომოსექსუალისტი გამხდარიყო და არც სალახანა.

– თუმცა შვილი ადრე თუ გვიან თანდათან შორდება მშობლებს! – ნაღვლიანად ამოიოხრა დედამ.

წამით იგი კვლავ იქცა იმ ქარაფშუტა ქალად, როგორიც ოდესღაც იყო.

– უნდა გამოგიტყდეთ, მოსვენებას აღარ აძლევენ...

– ეჭვიც არ მეპარება! – ზრდილობიანად დაუკრა კვერი პოლმა, – აბა, თუ შეიძლება, ამ ქსოვილებს დახედეთ, ქალბატონო, აქ...

– გეხვეწებით, ტერეზა დამიძახეთ!

იგი მეგობრულად ელაპარაკებოდა პოლს, კითხვას კითხვაზე აყრიდა, მერე მსახურს ჩაი შემოატანინა. პოლი კი იმაზე ფიქრობდა, ოცი წლის წინ როჟე ამ ქალთან ცხოვრობდაო, და მის შეშუპებულ სახეზე ამაოდ ეძებდა წარსული სილამაზის კვალს. რამდენჯერაც არ სცადა თავის საქმეზე წამოეწყო საუბარი, არაფერი გამოუვიდა. ტერეზა თავისას არ იშლიდა და გულითადი აღსარებისკენ ილტვოდა. ასე ხდებოდა მუდამ. პოლის ამაყი და მშვიდი იერი, მისდა სამწუხაროდ, მოსაუბრეს ლაპარაკის საღერღელს უშლიდა.

– შესაძლებელია, თქვენ ჩემზე ახალგაზრდა იყოთ, – თქვა ქალბატონმა ვან დენ ბეშმა და პოლს გაეღიმა ამ სიტყვებზე, – მაგრამ ალბათ მოგეხსენებათ, რა დიდი გავლენა აქვს გარემოსა და წრეს...

პოლი აღარ უგდებდა ყურს. ეს ქალი ვიღაცას აგონებდა. ბოლოს მიხვდა, იმ ტერეზას წააგავდა, წინადღით სიმონმა ასე კარგად რომ გამოაჯავრა. სიმონს უთუოდ აქვს მიბაძვის ნიჭი და უთუოდ დაუნდობელიც არის, მაგრამ მორცხვია და ვერ ამჟღავნებს. აკი გუშინ უთხრა: “მე ბრალს გდებთ იმაში, რომ სიყვარულს ხელი ჰკარით... ბედს დამორჩილდით... ამიტომ თქვენ მოგესჯებათ მარტოობა!” პოლს ხომ არ გულისხმობდა? ნუთუ მიხვდა ყველაფერს? განგებ ხომ არ უთხრა ასე? ამის გაფიქრებაზე პოლი ერთბაშად გაბრაზდა.

ქალბატონ ვან დენ ბეშის ყბედობას ყურს არ უგდებდა და როდესაც სიმონი მოულოდნელად შემოვიდა, შეკრთა. პოლის დანახვაზე სიმონი გაშეშდა. სიხარულის ღიმილი რომ დაეფარა, ისე სასაცილოდ დამანჭა სახე, პოლს გული მოულბა.

– თურმე დროზე მოვსულვარ, მოგეხმარებით!

– სამწუხაროდ, ჩემი წასვლის დროა.

პოლმა გადაწყვიტა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას, გაჰქცეოდა დედა-შვილის შემოხედვას, შინ წასულიყო და წიგნი ეკითხა. წესით, ახლა როჟეს მანქანაში უნდა იჯდეს, რადიო ჩართოს ან გამორთოს, როჟესთან ერთად იცინოს და შიშით გული გადაელიოს, როცა ავტომობილისტის ბრმა, გაცოფებულ ჟინს აყოლილი როჟე გიჟივით გააქროლებს მანქანს და ორივეს სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. პოლი ნელა წამოდგა.

– გაგაცილებთ! – უთხრა სიმონმა.

კარში გასვლისას პოლმა მოიხედა; სიმონის შემოსვლის შემდეგ ახლა პირველად შეხედა სახეში და მაშინვე უთხრა, რა ცუდად გამოიყურებითო.

– ამინდის ბრალია! – თქვა სიმონმა, – ნება მომეცით სადარბაზომდე მაინც მიგაცილებთ.

პოლმა მხრები აიჩეჩა და კიბეს ჩაუყვა. სიმონი უხმოდ მისდევდა. ქვემო სართულზე შეჩერდა. მისი ფეხის ხმა რომ აღარ მოესმა, პოლი თავისდა უნებურად მოტრიალდა. სიმონი მოაჯირს დაყრდნობოდა.

– უკანვე ახვალთ?

ერთბაშად სინათლე ჩაქრა. ამ განიერ კიბეს ფანჯრიდან შემოსული შუქიღა ანათებდა. პოლმა მიიხედ-მოიხედა, ამომრთველი მოიძია თვალით.

– ამომრთველი თქვენს უკანაა, – უთხრა სიმონმა.

მერე ბოლო საფეხურიდან ჩამოვიდა და პოლს მიუახლოვდა. “ახლა მეცემა ალბათ!” – უსიამოდ გაიფიქრა პოლმა. სიმონმა მარცხენა ხელი ამომრთველისკენ წაიღო, კინაღამ თმაზე შეეხო პოლს, შუქი აანთო და მერე მარჯვენა მკლავიც რომ გასწია, პოლი მის მკლავებში მოექცა.

– გამიშვით! – მშვიდად უთხრა მან.

სიმონი უხმოდ დაიხარა და თავი ფრთხილად ჩამოადო მხარზე; პოლს გარკვევით მოესმა მისი აჩქარებული გულისცემა და უცბად აფორიაქდა.

– გამიშვით, სიმონ... ასეთი რამ არ მსიამოვნებს!

სიმონი არ განძრეულა, ოღონდ ორჯერ ჩუმად გაიმეორა მისი სახელი: “პოლ! პოლ!” სიმონის უკვან ვეებერთელა განიერი კიბე თითქოს, კუშტად, მედიდურად გაყუჩებულიყო.

– სიმონ, ჩემო პატარა სიმონ, – ასევე ჩუმად ჩაილაპარაკა მან, – გამატარეთ! – სიმონი მაშინვე განზე გადგა. გასვლამდე პოლი შემობრუნდა და წყნარად გაუღიმა.

VI

კვირა დილას პოლს ბარათი დახვდა კართან. ასეთ ბარათებს ადრე პოეტური სახელი – “ცისფერი პნევმატიკი” ერქვა. იგი მართლაც პოეტური მოეჩვენა პოლს, იქნებ იმიტომ, რომ ნოემბრის მოწმენდილ ცაზე კვლავ აკაშკაშებულ მზეს ჩრდილებითა და თბილი ათინათით აევსო ოთახი! “ექვს საათზე დიდებული კონცერტია პლეილის დარბაზში, – იწერებოდა სიმონი, – გიყვართ ბრამსი? გუშინდელ ჩემს საქციელზე ბოდიშს ვიხდი”. პოლს გაეღიმა ამ სიტყვებზე: “გიყვართ ბრამსი?” ზუსტად ასე ეკითხებოდნენ ბიჭები, როცა ჩვიდმეტი წლისა იყო. ასევე ეკითხებოდნენ შემდეგაც, ოღონდ პასუხს ყურს არ უგდებდნენ. ამ ასაკში განა ვინ უსმენს ერთმანეთს მათ წრეში? ჰო, მართლა, უყვარს კი ბრამსი?

პოლმა ფირსაკრავი ჩართო და სწორედ ის ფირფიტა შეარჩია, რომლის ერთ მხარეზე ვაგნერის უვერტიურა იყო ჩაწერილი, მეორეზე – ბრამსის კონცერტი. პოლს ბრამსი ერთხელაც არ მოუსმენია; როჟესაც ვაგნერი უყვარდა, ამბობდა, ჰო, ჰო, რა

ბრახაბრუხია, ნამდვილი მუსიკაარ. პოლმა ფირფიტა დაატრიალა. შესავალი ნაწილი რომანტიკული ყოფილაო, გულში გაივლო და ფიქრს მისცა თავი, ბოლომდე აღარ მოუსმენია. ფირფიტა რომ ჩათავდა, მხოლოდ მაშინღა მოაგონდა ბრამსის კონცერტი და თავის თავზე გაბრაზდა. ამ ბოლო ხანებში ერთი წიგნის წაკითხვას ექვს დღეს ანდომებდა, ავიწყდებოდა, სად შეჩერდა, მელოდიებსაც ვერ იხსენებდა. მთელი გულისყური ქსოვილების ნიმუშებსა და იმ მამაკაცზე გადაიტანა, რომელიც მის გვერდით არასოდეს არ იყო. პოლი კარგავდა საკუთარ "მეს", საკუთარ გზას და ალბათ ვერც ვერასოდეს იპოვიდა. "გიყვართ ბრამსი?" – ამ პატარა წინადადებამ გაახსენა ყველაფერი, რაც მივიწყებული ჰქონდა, ყველა ის კითხვა, შეგნებულად რომ თავს არიდებდა, "გიყვართ ბრამსი?" უყვარს კი ვინმე საკუთარი თავისა და საკუთარი სიცოცხლის გარდა? რომ გეკითხათ, იტყოდა, სტენდალი მიყვარსო, იცოდა, მართლაც უყვარდა, თუმცა საქმეც ეს იყო, რომ იცოდა! იქნებ ისიც იცოდა, რომ როჟე უყვარს? იქნებ ეს ყველაფერი ათვისებული ჭეშმარიტებები იყო, მხოლოდ გზის მისანიშნებლად გამოსადეგი! პოლს ერთბაშად მოუნდა ვინმეს გამოლაპარაკებოდა, აი ისე, როგორც ოცი წლისას ულაპარაკია.

სიმონს დაურეკა, თუმცა წინასწარ არ იცოდა, რას ეტყოდა. ალბათ ამას: "არ ვიცი, მიყვარს თუ არა ბრამსი. არა მგონია!" არც ის იცოდა, წავიდოდა თუ არა კონცერტზე, გააჩნია, როგორ დაელაპარაკებოდა სიმონი, რას იტყოდა, პოლი ყოყმანობდა და ეს ყოყმანი სიამოვნებდა. თურმე სიმონი ქალაქგარეთ წასულიყო სასაუზმოდ და შინ ხუთ საათზე დაბრუნდებოდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. პოლმა ყურმილი დაკიდა. ამასობაში უკვე გადაწყვიტა კონცერტზე წასვლა. "სიმონთან შეხვედრა სულაც არ მინდა, მუსიკას მოვისმენ, – ფიქრობდა იგი, – ვინ იცის, იქნებ სულ მალე დღის კონცერტებზე დავიწყო სიარული, თუ მეტისმეტად მოსაწყენი არ იქნა. სწორედ რომ მისწრებაა მარტოხელა ქალისთვის!" ძალიან ნანობდა, დღეს რომ კვირა იყო და მაღაზიაში ვერ იყიდდა მოცარტის ფირფიტებს, თან ბრამსის რამდენიმე ფირფიტასაც მოაყოლებდა. მხოლოდ ის აშინებდა, კონცერტზე სიმონს მკლავზე არ წაევლო ხელი, მით უფრო, რომ წინასწარ გრძნობდა, ასე იქნებოდა. როცა პოლს მოლოდინი უმართლდებოდა, მუდამ სევდა მოიცავდა ხოლმე. როჟეც ამიტომ უყვარდა. მას არასოდეს გაუმართლებია პოლის მოლოდინი, სხვებივით თავის დღეში არ მოქცეულა.

ექვს საათზე პლეილის საკონცერტო დარბაზში პოლი ხალხის ტალღას შეჰყვა, კინაღამ ასცდა სიმონს. ყმაწვილმა კაცმა უსიტყვოდ გაუწოდა ბილეთი, სწრაფად აირბინეს კიბე, სადაც კონტროლიორი ქალები დაფუსფუსებდნენ. უზარმაზარი დარბაზი ჩაბნელებული დახვდათ. ისმოდა ორკესტრის შეუწყობელი ხმები, თითქოსდა ეს შესავალი ხალხს უნდა დახმარებოდა უფრო მეტად შეეგრძნოთ მუსიკალური ჰარმონიის სასწაული.

– თურმე არ ვიცოდი, მიყვარდა თუ არა ბრამსი! – მიუბრუნდა პოლი სიმონს.

– მე კი არ ვიცოდი, თუ მოხვიდოდით! – მიუგო სიმონმა. – ხოლო გიყვართ თუ არა ბრამსი, ჩემთვის სულ ერთია.

– ქალაქგარეთ წასვლით კმაყოფილი დარჩით?

სიმონმა გაკვირვებით შეხედა.

– მე დაგირეკეთ, – გამოუტყდა პოლი, – მინდოდა მეთქვა, წამოვალ-მეთქი.

– მე კი ისე შემეშინდა, დამირეკავს და უარს მეტყვის, ან საერთოდ არ დამირეკავს-მეთქი, რომ ქალაქიდან გავვარდი.

– მოგეწონათ იქაურობა? სად იყავით?

პოლმა ნაღველნარევი ნეტარებით წარმოიდგინა უდანის ბორცვი მზის ჩამავალ სხივებზე: გულით უნდოდა სიმონს ამაზე მოეთხრო რამე. როჟეს რომ წაეყვანა, სეტეილში, ახლა ალბათ იმ გზაზე ისეირნებდნენ გადაწითლებულ ხეივანში.

– თვითონაც არ ვიცი, სად ვიყავი; ისე მივაქროლებდი მანქანას, წარწერებს აღარ ვუყურებდი. აი უკვე დაიწყო.

გაისმა ტაში. დირიჟორი ხალხს მიესალმა, ჯოხი ასწია და ორი ათას მსმენელთან ერთად პოლი და სიმონიც სავარძლებს გაეკრნენ. სიმონი კარგად იცნობდა ამ პათეტიკურ, ადგილ-ადგილ მეტისმეტად პათეტიკურ კონცერტს. მკლავზე პოლის იდაყვი ეხებოდა. ორკესტრი რომ აიწყვეტდა, მუსიკის აღმაფრენა თითქოს მასაც აიტაცებდა, შენელდებოდა და სიმონიც ხედავდა, რა ხდებოდა მის გარშემო: ესმოდა, როგორ ახველებდნენ აქა-იქ, ხედავდა ორი რიგით წინ ვიღაც მამაკაცის უცნაურ თავს. რაც მთავარია, ძალიან ბრაზობდა. ქალაქგარეთ უდანის მახლობლად როჟეს შეხვდა სასტუმროში ვიღაც ქალთან ერთად! როჟე წამოდგა, მიესალმა, ოღონდ ქალი არ გააცნო.

– ასე მგონია, წარამარა ვხვდებით ერთმანეთს. განა არა?

გაოცებულმა სიმონმა არაფერი უპასუხა. როჟე მუქარის თვალით უყურებდა, თითქოს უბრძანებდა, ამ შეხვედრაზე კრინტი არ დაძრაო. კიდევ კარგი, ისე არ შეხედა, როგორც ერთი მუსუსი შეხედავს მეორეს, ნამუსი შემინახეო. პირიქით, როჟე განრისხებული ჩანდა. სიმონს არაფერი უთქვამს. განა იმიტომ, როჟესი ეშინოდა, უბრალოდ, პოლს არ სტკენოდა გული. დაფიცებული ჰქონდა, მისი მიზეზით არაფერი სწყენოდა პოლს. პირველად თავის სიცოცხლეში გულით ეწადა, ვიღაც დაეცვა, ვიღაცისთვის აეცდინა მწუხარება. სიმონს სწრაფად ბეზრდებოდა საყვარლები, მუდამ ეშინოდა მათი აღსარებისა, საიდუმლოებებისა, მათი ჯიუტი სურვილისა – ძალად გაეხადათ სიმონი თავიანთ მფარველად. ამიტომაც დიდხანს არ იცდიდა არავისთან. ახლა კი ერთბაშად მოუნდა დაცდა. თუმცა რას დაუცადოს? იმას, რომ ეს ქალი თავად მიხვდეს, ყოვლად ჩვეულებრივი ხეპრე მყვარებიაო? ასეთ რამეს ხომ ყველაზე გვიან ხვდებიან! როგორ დარდობს ალბათ, როგორ წონის და სჯის როჟეს საქციელს, იქნებ უკვე შეამჩნია პირველი ბზარიც... ორკესტრს ვიოლინოს ხმა გამოეყო, სასოწარკვეთილებით ათრთოლდა და აჟღერდა, მერე მელოდიას შეერია, ჩაწყდა, სხვა საკრავები აიყოლია. სიმონი კინაღამ შემობრუნდა, კინაღამ მკლავი მოხვია პოლს და აკოცა. დიახ, კინაღამ აკოცა... ცხადად წარმოიდგინა, როგორ დაიხრება მისკენ... როგორ შეეხება ქალის ბაგეს, როგორ შემოხვევს მკლავებს... თვალები დახუჭა. პოლმა შეხედა და იფიქრა, ნამდვილი მელომანი ყოფილაო. სწორედ ამ დროს სიმონის აკანკალებული ხელი მის მკლავს შეეხო. განაწყენებული პოლი გვერდზე გაიწია.

კონცერტის შემდეგ კოქტეილის დასალევად წაიყვანა სიმონმა. უკეთ, პოლმა ფორთოხლის წვენი, ხოლო სიმონმა ორი ჭიქა ჯინი დალია. სიმონი ხელებს იქნევდა და გატაცებით, თვალანთებული ლაპარაკობდა მუსიკაზე, მაგრამ პოლი უგულისყუროდ უსმენდა: ვინ იცის, იქნებ როჟემ ისე მოაგვარა საქმე, ლილიდან ადრე წამოვიდა და სადილობისას ჩამოვიდა! თანაც ხალხი უკვე მათ უყურებდა. ან რა იყო გასაკვირი: მეტისმეტად ლამაზ, უფრო სწორად, მეტისმეტად ახალგაზრდა სიმონს პოლის ასაკის ქალი არ შეეფერებოდა.

– ყურს არ მიგდებთ?

– როგორ არა. მაგრამ წასვლის დროა. მე უნდა დამირეკონ. თანაც ყველა ჩვენ გვიყურებს!

– ნუთუ დღემდე ვერ შეეჩვიეთ ამას? – აღტაცებით უთხრა სიმონმა, რომელიც გრძნობდა, მუსიკისა და ვისკის წყალობით უსაშველოდ იყო შეყვარებული.

პოლს გაეცინა: ეს ბიჭი დროდადრო მართლაც გულს აუჩუყებდა ადამიანს!

– სიმონ, ანგარიში მოითხოვეთ!

სიმონმა ისე უხალისოდ აასრულა მისი მოთხოვნა, რომ პოლმა ამ საღამოს პირველად შეხედა დაკვირვებით: სიმონს მართლა ხომ არ შევუყვარდიო, ან ეს უწყინარი არშიყობა ჩემს წინააღმდეგ ხომ არ შეტრიალდაო! პოლი დარწმუნებული იყო, რომ სიმონს მოყირჭებული ჰყავდა ქალები. მაგრამ ვაითუ სიმონი ურო მგრძნობიარე და ნაკლებ პატივმოყვარე ბიჭია, ვიდრე პოლს ჰგონია? საოცარია, მაგრამ სწორედ მისი სილამაზე ვნებდა სიმონს პოლის თვალში. ასეთი ლამაზი ყმაწვილი არ შეიძლება გულწრფელი იყოს! თუ ასეა, პოლი შეცდა, რომ შეხვდა, უარი უნდა ეთქვა. სიმონმა გარსონი მოიხმო და ჭიქა უაზროდ შეატრიალა ხელში. მერე ერთბაშად ჩაჩუმდა. პოლმა მკლავზე დაადო ხელი.

– ნუ გეწყინებათ, სიმონ, მეჩქარება, როჟე ალბათ უკვე მელოდება.

იმ პირველ საღამოს რესტორანში სიმონმა ჰკითხა: “გიყვართ კი როჟე?” ნეტა რა უპასუხა მაშინ? პოლს აღარ ახსოვს. მაგრამ სიმონმა სიმართლე უნდა იცოდეს.

– ჰოო... როჟე! აი ნამდვილი მამაკაცი! დიდებული მამაკაცი!

– მე როჟე მიყვარს, – შეაწყვეტინა პოლმა და გაწითლდა. ისე ეჩვენა, მეტისმეტად თეატრალურად გამომივიდა ნათქვამიო.

– მას?

– მასაც.

– თუმცა რა საკითხავია! ამ ჩინებულ სამყაროში ყველაფერი ჩინებულია.

– სკეპტიკოსის როლს ნუ თამაშობთ! – ალერსით უთხრა პოლმა. – ადრეა თქვენთვის. ჯერჯერობით ყველაფრისა უნდა გჯეროდეთ...

სიმონმა უცბად მხრებზე წაავლო ხელი და შეანჯღრია.

– ნუ დამცინით! შეწყვიტეთ ასეთი ტონით ჩემთან ლაპარაკი!

“მავიწყდება, რომ მაინც მამაკაცია! – გაიფიქრა პოლმა და სცადა სიმონის ხელები მოეშორებინა მხრებიდან. – “ამ წუთში მას ნამდვილი მამაკაცის, დამცირებული მამაკაცის სახე აქვს. თხუთმეტი წლის ხომ არ არის მართლა, ოცდახუთი წლისაა!”

– თქვენ კი არა, თქვენს საქციელს დავცინი! – წყნარად უთხრა პოლმა, – იმიტომ, რომ თამაშობთ...

სიმონმა ხელი მოაცილა, ერთბაშად მოეშვა.

– მართალია, ვთამაშობ! თქვენ წინაშე ახალგაზრდა, ბრწყინვალე ვექილის, შმაგი მიჯნურის, განებივრებული ბავშვისა და, ღმერთმა უწყის, კიდევ ვის როლს ვთამაშობ! რაც გაგიცანით, მას აქეთ მხოლოდ თქვენ წინაშე ვთამაშობ. როგორ გგონიათ, ამას სიყვარული ხომ არ ჰქვია?

– ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ კარგად განსაზღვრეთ სიყვარული! – გაიღიმა პოლმა.

ერთხანს ჩაჩუმდნენ, საუბარი ვერ აეწყო.

– მერჩივნა გაგიჟებული საყვარლის როლი მეთამაშა! – წაილაპარაკა სიმონმა.

– აკი გითხარით, როჟე მიყვარს-მეთქი.

– მე კი დედაჩემი, მოხუცი ძიძა, ჩემი მანქანა მიყვარს...

– ვერ გამიგია, ეს რა მოსატანია აქ?.. – შეაწყვეტინა პოლმა და უცბად წასვლა მოუნდა.

ეს მეტისმეტად ახალგაზრდა მტაცებელი განა გაიგებს მის ამბავს, მისა და როჟეს ამბავს, ხუთი წლის სიხარულსა და ტანჯვას, სიამოვნებასა და ეჭვებს?! არავის ძალუძს დააშოროს იგი როჟეს. ამ რწმენამ ისეთი სიყვარულით და მადლიერებით აავსო პოლი, უნებურად მაგიდის კიდეს წაავლო ხელი.

– როჟე გიყვართ, მაგრამ მარტო კი ხართ! – უთხრა სიმონმა. – მარტო ხართ კვირა დღეს, სადილობთ მარტო და ალბათ... ალბათ ხშირად მარტოსაც გძინავთ. მე კი მუდამ თქვენ გვერდით დავიძინებდი, გულში ჩაგიკრავდით და მძინარეს ჩუმად დაგკოცნიდით. მე ჯერ კიდევ შემიძლია სიყვარული. მას კი აღარ... ეს თქვენც კარგად იცით...

– ვინ მოგცათ უფლება... – პოლი წამოდგა.

– მე მაქვს ამის თქმის უფლება. მე უფლება მაქვს მიყვარდეთ და, თუ შევძლებ, იმის უფლებაც, თქვენი თავი წავართვა.

მაგრამ პოლი უკვე გარეთ იყო. სიმონი წამოდგა, ისევ დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო... “ჩემი უნდა იყოს... ჩემი უნდა იყოს... არადა, მთელი სიცოცხლე ტანჯვად მექცევა!” – ფიქრობდა იგი.

VII

შაბათ-კვირა სასიამოვნოდ გაატარეს. მეზის – იგი როჟეს მანჭვით გამოუტყდა, მარსელი მქვია, მაგრამ ასეთი სახელი მომავალი კინოვარსკვლავისთვის შეუფერებელიაო, – სიტყვა არ გაუტეხია. როგორც კი დაწვა, ლოგინიდან არც ამდგარა. როჟეს სხვა ნაცნობი ქალები ასე როდი იქცეოდნენ. ისინი კოქტეილის, საუზმის, სადილისა და ჩაისთვისაც პოულობდნენ დროს და შემთხვევას არ უშვებდნენ, ნაირ-ნაირი ტანსაცმელი გამოეფინათ. როჟე და მეზი ორი დღე ოთახიდან არ გასულან, თუ არ ჩავთვლით იმ ერთ შემთხვევას, როცა როჟე ძვირფასი ტერეზას ლამაზ ვაჟიშვილს შეეფეთა. როჟეს ვერც წარმოედგინა, ეს ყმაწვილი თუ პოლს ნახავდა, მაგრამ გაურკვეველი წუხილი მაინც არ ასვენებდა. მართალია, ლილში გამგზავრება მოიმიზეზა და, ცოტა არ იყოს, ტლანქადაც იცრუა, მაგრამ ამ ღალატითა და სიცრუით თუ პოლს შეურაცხყოფდა, ამას ვერ ხვდებოდა. უბრალოდ, არ სურდა მისი ღალატი დროითა და სივრცით ყოფილიყო აღნუსხული: “კვირას უდანში ვისაუზმე და თქვენი მეგობარი ვნახე, იმ საღამოს რესტორანში რომ გამაცანით”. როჟემ იცოდა, პოლი ისე მოისმენდა ამ ფრაზას, კრინტს არ დაძრავდა, ოღონდ წამით განზე გაიხედავდა. ეს იყო და ეს. მაგრამ ტანჯული პოლი... ეს ახალი ამბავი არ იყო როჟესთვის. იმდენჯერ მოუშორებია ამაზე ფიქრი, რომ კიდეც რცხვენოდა. როჟეს იმ ფიქრისაც შერცხვა, თავში რომ გაჰკრა: როგორც კი მეზის შინ მივიყვან, მაშინვე პოლთან გავეშურებიო, შერცხვა და გაეხარდა კიდეც. არა, პოლი ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს! ალბათ თვითონაც კარგად დაისვენა ეს ორი დღე! ისინი ხომ საღამოობით ხშირად არიან ერთად! პოლი ალბათ მეგობრებთან წავიდოდა ბრიჯის სათამაშოდ, ბინას დაალაგებდა, ახალ წიგნს წაიკითხავდა... ანაზდად თვითონვე გაუკვირდა, ასე ჯიუტად რატომ ცდილობს პოლის კვირა დღე შეავსოს.

– რა მარჯვედ მიგყავს მანქანა! – შემოესმა ხმა და შეკრთა. მეზის გადახედა.

– ვითომ?

– თუმცა შენ ყველაფერში მარჯვე ხარ! – განაგრძო ქალმა და სკამზე გადაწვა.

როჟეს ერთი სული ჰქონდა ეთქვა, წამით მაინც დაივიწყე შენი ჩამოსხმული სხეული, შენი დაკმაყოფილებული ვნებაო. ქალი მიბნედილი კისკისებდა. ყოველ შემთხვევაში, ეგონა, მიბნედილად ვიცინიო. მერე როჟეს ხელი მუხლზე დაიდო. მუხლი მკვრივი და თბილი ჰქონდა. როჟეს გაეღიმა. მეზი ერთი უჭკუო, ყბედი, თვალთმაქცი ქალი გამოდგა, მისი სიყვარულიც ასევე სულელური და ტლანქი იყო, ხოლო როჟეს სინაზესა და მეგობრულ ქცევას რომ არაფრად აგდებდა, უფრო მეტად აღიზიანებდა ამით. “უსულო, ურცხვი, კნინი, ტლანქი და მეტიჩარა გოგოა, მაგრამ მისი ალერსი მაინც მსიამოვნებს”, – გაიფიქრა როჟემ და ხმამაღლა გაიცინა. ქალს სიცილის მიზეზი არ უკითხავს, რადიომიმღებისკენ გასწია ხელი. როჟემ თვალი

გააყოლა... რა თქვა იმ დღეს პოლმა? რადიოსა და ერთად გატარებულ საღამოებზე?.. კარგად აღარც ახსოვს. რადიოში კონცერტს გადმოსცემდნენ. ქალმა სხვა ტალღაზე გადართო, მაგრამ რაკი უკეთესს ვერაფერს წააწყდა, ისევ კონცერტი ამჯობინა. "თქვენ მოისმინეთ ბრამსის კონცერტი!" – ჩაიკიკინა დიქტორმა და ტაშიც აგრიალდა.

– რვა წლისას დირიჟორობა მინდოდა! – თქვა როჟემ. – შენ?

– მე მაშინაც კინომსახიობობაზე ვოცნებობდი და კიდეც ავისრულებ ოცნებას!

როჟემ გაიფიქრა, ალბათ ასეც იქნებაო. მანქანა ქალის სახლის წინ გააჩერა. მეზი სახელოში ჩააფრინდა.

– ხვალ იმ საძაგელ შერელთან უნდა ვისადილო. მაგრამ რაც შეიძლება მალე უნდა ვნახო ჩემი პატარა როჟე. როგორც კი დროს მოვიხელთებ, მაშინვე დაგირეკავ.

როჟეს გაეღიმა, ეამა ახალგაზრდა, მალული საყვარლის როლი, მეტადრე, რომ მეტოქე მისი ტოლი იყო!

– ხომ შეძლებ? მითხრეს, თავისუფალი არაარ.

– მე თავისუფალი კაცი ვარ! – როჟეს სახე დაეღრიჯა. ესღა აკლია, ამ ქალთან პოლი ახსენოს!

მეზი მანქანიდან გადმოცქრიალდა, ხელი დაუქნია და ჭიშკარში შევარდა. როჟემ მანქანა დაძრა. ბოლო ფრაზამ – "მე თავისუფალი კაცი ვარ", ააფორიაქა. მისი ნათქვამი ნიშნავდა: "ყოველგვარი მოვალეობის გრძნობისგან თავისუფალი ვარ!" ველარ ითმენდა, ისე ეჩქარებოდა პოლის ნახვა. მხოლოდ მას შეეძლო მისი დამშვიდება. და კიდეც დაამშვიდებდა.

* * *

ეტყობა, პოლმა ერთი ფეხით მოასწრო შინ მისვლა, პალტო ჯერაც არ გაეხადა. სახეზე ფერი არ ედო და როცა როჟე შემოვიდა, მიირბინა, თავი მხარზე მიადო და გაინაბა. როჟემ მკლავი მოხვია, ლოყა თავზე დაადო, უცდიდა, როდის ამოიღებდა ხმას. რა კარგად მოიქცა, პოლისკენ რომ გამოეშურა. პოლს იგი სჭირდება, ჩანს, რაღაცა მოხდა. ასეთმა გულთამხედაობამ პოლის სიყვარული გაუათკეცა. როჟე არავის დააჩაგვრინებს პოლს! რა თქმა უნდა, პოლი თვითონაც ძლიერია, დამოუკიდებელი, ჭკვიანი, მაგრამ ყველა მის ნაცნობ ქალთან შედარებით მაინც უმწეო. ამიტომაა როჟე აუცილებელი მისთვის. პოლმა ნელა ჩამოიშორა როჟეს მკლავები.

– კარგად იმგზავრე? ლილში როგორი ამინდი იყო?

როჟემ სწრაფად შეხედა. არა, რა თქმა უნდა, პოლს ეჭვიც არ გაუვლია გულში, მახის დაგება არასოდეს სჩვეოდა. როჟემ წარბები აზიდა.

– ისე რა! შენ? შენ რა მოგივიდა?

– არაფერი.

პოლმა თავი მიაბრუნა. როჟე აღარ ჩასციებია, სულ ერთია, პოლი მერე თვითონვე უამბობს ყველაფერს.

– რას აკეთებდი?

– გუშინ ვიმუშავე. დღეს კი კონცერტზე ვიყავი პლეილის საკონცერტო დარბაზში.

– შენ რა, ბრამსი გიყვარს? – ღიმილით ჰკითხა როჟემ.

პოლი ზურგშექცეული იდგა და ისე სწრაფად შემობრუნდა, როჟემ უკან დაიხია.

– რატომ მეკითხები?

– რომ ვბრუნდებოდი, კონცერტის ბოლო ნაწილი რადიოთი მოვისმინე.

– ჰო, მართლა, კონცერტს რადიოთი გადასცემდნენ... უბრალოდ გამიკვირდა, როდის აქეთ შეგიყვარდა მუსიკა...

– მეც იგივე მინდა გითხრა... რამ წაგიყვანა?.. მე კი მეგონა, დარესთან ზის და ბრიჯს თამაშობს-მეთქი, ან...

პოლმა შუქი აანთო სასტუმრო ოთახში. მერე ზანტად გაიხადა მანტო.

– ახალგაზრდა ვან დენ ბეშმა დამპატიჟა კონცერტზე. საქმე არ მქონდა და არც მახსოვდა, ბრამსი თუ მიყვარდა... წარმოგიდგენია! ვეღარ მოვიგონე. მიყვარდა თუ არა ბრამსი!

პოლს ჯერ ჩუმად ჩაეცინა, მერე თანდათან უმატა სიცილს. როჟეს ათასნაირი ფიქრი მოეძალა. სიმონ ვან დენ ბეში? ნუთუ უამბო, უდანში რომ შეხვდა როჟეს?.. თუ ასეა, რაღად იცინის?

– პოლ, დამშვიდდი. ჯერ ის მითხარი, რას აკეთებდი იმ ლაწირაკთან?

– ბრამსს ვუსმენდი, – სიცილით უთხრა პოლმა.

– გეყოფა, ბრამსს თავი დაანებე...

– რას ამბობ, ბრამსია მთავარი...

როჟემ მხრებში წაავლო ხელი. სიცილისგან პოლს ცრემლიც კი მოადგა თვალებზე.

– პოლ, ჩემო პოლ... რა გითხრა იმ ტიპმა? ან საერთოდ რა უნდა შენგან? – როჟე გაცოფებული იყო; გრძნობდა, დაასწრეს, გააბრიყვეს. – ჰო, რას იზამ, იგი ოცდახუთი წლისაა! – ჩაილაპარაკა ბოლოს.

– ჩემთვის ამაზე დიდი ნაკლი არ არსებობს, – წყნარად მიუგო პოლმა.

როჟემ ისევ მოხვია მკლავები.

– პოლ, მე ისე გენდობი! ისე გენდობი! ჭკუაზე შევიშლები, ვიღაც თავქარიანი ლაწირაკი რომ მოგეწონოს.

როჟემ ქალი გულში ჩაიკრა; ერთბაშად წარმოიდგინა, როგორ უწვდიდა პოლი სხვას მკლავებს, როგორ კოცნიდა, რა ნაზად, ყურადღებით ექცეოდა იმ სხვას. როჟე იტანჯებოდა. “რა შეუგნებლები არიან მამაკაცები!” – მშვიდად ფიქრობდა პოლი, – ისე გენდობი... ისე გენდობი, შემიძლია გიღალატო, მარტო დაგტოვო, მაგრამ შენც რომ ასე მოიქცე, გადავირევი!.. რა დიდებულია!”

– სიმონი კეთილი ბიჭია, მაგრამ უფერული! – თქვა მან ხმამაღლა. – ესაა და ეს. სად ვისადილოთ?

VIII

“ბოდიშს ვიხდი, – იწერებოდა სიმონი, – მართლაც არ მქონდა უფლება იმის თქმისა, რაც გითხარით, ყველაფერი ეჭვიანობის ბრალია. ეჭვიანობის უფლება კი, ვფიქრობ, ადამიანს მხოლოდ მაშინ აქვს, როცა რაიმეს ფლობს. ერთი რამ ცხადია, თავი მოგაბეზრეთ. მალე გათავისუფლდებით ჩემგან... პროვინციაში მივყვები ჩემს პატივცემულ ვექილს, პროცესის მასალებს უნდა გავეცნოთ. ხის ძველ სახლში დავიდებთ ბინას; სახლი მის მეგობარს ეკუთვნის. წინასწარ ვიცი, ზეწრებს ვერბენის სუნი ექნება, ყოველ ოთახში ცეცხლს ავაგუზგუზებთ, ყოველ დილით ჩემს ფანჯარასთან ჩიტები იჟღურტულებენ; მაგრამ ისიც კარგად ვიცი, აშკარად მართლა ვერ მოვახერხებ სოფლის მწყემსის როლი გავითამაშო. ღამით თქვენ მეყოლებით გვერდით, სულ ახლოს, ცეცხლის ალით განათებული; შევეცდები, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე იქ. არ დაიჯეროთ, – თუნდაც ჩემი ნახვა არასოდეს მოისურვოთ, – არ დაიჯეროთ, რომ არ მიყვარხართ!

თქვენი სიმონი”.

პოლს ხელი აუკანკალდა. ბარათი ჯერ საბანზე დაეცა, მერე ხალიჩაზე. თავი ბალიშს მიაყრდნო, თვალები დახუჭა. რა თქმა უნდა, სიმონს უყვარს იგი... ამ დილით მოქანცული იყო. ცუდად ეძინა. ყველაფერი კი სულ იმ რამდენიმე სიტყვის ბრალია, წინა ღამით როჟეს რომ წამოსცდა. პოლი ლილიდან დაბრუნების ამბავს ეკითხებოდა. იმ სიტყვებს ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მერე დაუფიქრდა... როჟეს ამ ფრაზის თქმაზე ენა დაება, ხმა ჩაუწყდა, მერე წაილუღლუღა:

– რასაკვირველია, კვირა დღეს მანქანით სიარული მუდამ ძალიან ჭირს... თუმცა... მანქანებით გაჭედილ საავტომობილო გზაზე დიდი სიჩქარით სვლა მაინც შეიძლება...

როჟეს რომ კილო არ შეცვლოდა, პოლი მართლაც ვერაფერს შეამჩნევდა. შეუცნობელი რეფლექსის, თავდაცვის ამ საშინელი რეფლექსის წყალობით, რაც პოლს ასე გამახვილებული ჰქონდა ბოლო ორი წლის მანძილზე, მაშინვე თვალწინ დაუდგა ლილის ახალი საავტომობილო გზა. როჟეს სიტყვა გაუწყდა, პოლს მისთვის არ შეუხედავს, თხუთმეტი წამის მერე კი თვითონვე განაახლა საუბარი. სადილზედაც

წყნარად მუსაიფობდნენ, თუმცა პოლს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეჭვიანობა ან ცნობისმოყვარეობა კი არა, ეს დაღლა და გულგატეხილობა არ გაუვლიდა არასდროს. უცქერდა ამ ნაცნობ, საყვარელ სახეს, რომელზეც მხოლოდ ეს წუხილი ეწერა – მიხვდა თუ არაო, თვალებიც ჯალათის სიჯიუტით აკვირდებოდნენ და ტანჯვის კვალს ეძებდნენ მის სახეზე. პოლმა ისიც კი გაიფქრა: "ტანჯვით ხომ მტანჯავს, მევე მაიძულებს დავამშვიდო და ვუთხრა, ჩემს ტანჯვას ნურაფრად აგდებ-მეთქი". ასე ეგონა, სკამიდან სხეულს ვერ აიტანდა, რესტორნის დარბაზს ისეთი ნარნარი რხევით ვერ გაივლიდა, როჟეს რომ ასე უყვარდა, და ვერც თავის სახლის კართან ეტყოდა, "ღამე მშვიდობის". რასაკვირველია, სჯობდა გაელანძღა, ჭიქა თავში ესროლა, მაგრამ რა ექნა, ხომ არ შეეძლო ერთბაშად განდგომოდა თავის თავს, დაეთმო ყველაფერი, რაც ასე კეთილშობილსა და ღირსეულს ხდიდა, დაეთმო ყველაფერი, რითაც განსხვავდებოდა როჟეს საყვარლებისაგან?! როჟემ ბევრჯერ უთხრა, ეს ქალები არარას წარმოადგენენ ჩემთვის, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ და არც არაფრის დამალვა არ მინდაო. დიახ, როჟე თავისებურად პატიოსანი იყო. მაგრამ განა ამ ჩვენს არეულ ცხოვრებაში ერთადერთი პატიოსნება ის არ არის, მთელი გულით გიყვარდეს ვიღაც და ბედნიერება მიანიჭო, თუნდაც ამისთვის შენს სანუკვარ თეორიებზე ხელი აიღო?!

სიმონის ბარათი ისევ ხალიჩაზე ეგდო. პოლი ლოგინიდან წამოდგა, ფეხი დაადგა წერილს, მერე კვლავ დასწვდა, გადაიკითხა, მაგიდის უჯრა გამოსწია, ქაღალდი და მუდმივი კალამი აიღო და პასუხი მისწერა.

* * *

სიმონი მარტო დარჩა სასტუმრო ოთახში – არ უნდოდა გარეულიყო იმ ხალხში, ცნობილ ვექილს რომ ირგვლივ შემოხვეოდა და სასამართლო პროცესის დამთავრებას ულოცავდა... სახლი ჩაჟამებული და ცივი იყო. წინა ღამით ყინავდა და ფანჯრიდან გათოშილი სოფელი, ფოთლებშემოძარცული ორი ხე და გადაყვითლებული მდელო მოჩანდა; დაუდევარ მებაღეს უპატრონოდ მიეგდო ორი დაწნული სავარძელი და ისინი შემოდგომის ამ წვიმაში ლპებოდა. სიმონი ინგლისურ რომანს კითხულობდა მელად ქცეულ ერთ ქალზე და დროდადრო ხმამაღლა იცინოდა; მოხერხებულად ვერა და ვერ დამჯდარიყო: ფეხებს ხან გადააჯვარედინებდა, ხან ისევ გაშლიდა. ამან ისე მოაბეზრა თავი, წამოდგა, წიგნი მაგიდაზე მიაგდო და გარეთ გავიდა.

სიმონი ბაღის ბოლოს, პატარა გუბურასთან დადგა, ღრმად შეისუნთქა საღამოს ცივი ჰაერი და კვამლის სუნი: ღობის გადაღმა გამხმარ ფოთლებს წვავდნენ. სიმონს ძალიან უყვარდა კვამლის სუნი და ერთხანს თვალდახუჭული იდგა. დროდადრო რომელიღაც ფრთოსანი ჩხაოდა. ნაღველით შეზავებული ეს გარემო თითქოს საკუთარ დარდს უმსუბუქებდა. სიმონი მდორე წყლისკენ დაიხარა, ხელი ჩაყო, საკუთარ გამხდარ თითებს დააკვირდა. წყალში ისე მოჩანდა, თითქოს ისინი შვეულად ერჭო ხელისგულში. იდგა გაუნძრევლად და მუშტს ისე ნელა კუმშავდა, იტყოდით, უხილავი თევზის დაჭერას ლამობსო. უკვე შვიდი დღეა, თითქმის შვიდ-ნახევარიც, პოლი არ უნახავს. მისი წერილი ალბათ მიიღო, მხრები აიჩეჩა, მერე გადამალა, როჟემ არ ნახოს და სიმონს არ დასცინოსო. სიმონმა კარგად იცოდა, პოლი კეთილი ქალი იყო. კეთილი, გულთბილი და უბედური ქალი. პოლის გარეშე სიმონს ცხოვრება არ შეუძლია. მაგრამ როგორ დააჯეროს? ერთ საღამოს ამ ჩაჟამებულ სახლში სულ პოლზე ფიქრობდა დაჟინებით, იქნებ ჩემმა ფიქრმა პარიზამდე

მიაღწიოსო! მერე ლოგინიდან წამოხტა, პიჟამის ამარა ბიბლიოთეკაში ჩავიდა და დიდხანს ეძება ტელეპათიაზე რაიმე წიგნი. რა თქმა უნდა, ამაოდ. იცოდა, ბავშვურად იქცეოდა, მაგრამ ჩიხიდან თავის დასაღწევად მუდამ ან ბავშვურად მოქმედებდა ან ალალბედზე. ისიც კარგად იცოდა, რომ პოლისნაირი ქალის სიყვარული თავად უნდა დაემსახურებინა. მარტო კარგი გარეგნობით ვერ მოიგებდა პოლის გულს. პირიქით, პოლს ნაკლად მიაჩნდა მამაკაცის სილამაზე. ამას კარგად გრძნობდა. "პარიკმახერის შეგირდს ვგავარ!" – ხმადაბლა დაიკვნესა მან და წამით ჩიტმაც შეწყვიტა გამაბეზრებელი ჭახჭახი.

სიმონი ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას სახლისკენ. ოთახში შევიდა, ხალიჩაზე გაწვა და ბუხარში კუნძი შეაგდო. საცაა ბატონი ფლერი დაბრუნდება, გამარჯვებით ვითომ დამორცხვებული, მაგრამ თავის თავში კიდევ უფრო დარწმუნებული. პარიზულ პეწზე შეშლილი პროვინციელი ქალების წინაშე ალბათ მოჰყვება ისევ თავისი საყოველთაოდ ცნობილი სასამართლო საქმეების ამბავს: ოდნავ მოქანცული, დესერტზე შესმული ღვინით გაბრუებული ქალები კი მზერას გააპარებენ ახალგაზრდა, ზრდილი და სიტყვაძუნწი სტაჟიორისკენ. "აი, იმ ქალს ნამდვილად მოეწონეთ, ჩემო კარგო სიმონ!" – ჩურჩულით ეტყვის ბატონი ვექილი და ალბათ ყველაზე ხანშიშესულ მანდილოსანზე მიანიშნებს. წინათაც უმოგზაურიათ ერთად, მაგრამ სახელოვანი ვექილის აბეზარი ნართაულები სიმონს ყურში არასოდეს შეუშვია.

სიმონს აუხდა წინათგრძნობა. ოღონდ ასე მხიარულად არასოდეს ყოფილა სადილზე: ენად გაიკრიფა, სახელოვან ვექილს ლაპარაკს არ აცლიდა, მანდილოსნები მოხიბლა. საქმე ის იყო, რომ სადილობამდე ბატონმა ფლერიმ ბარათი გადასცა: კლებერის გამზირიდან რუანში გადმოეგზავნათ. პოლის წერილი იყო. სიმონს ხელი ჯიბეში ედო, ბარათს ატრიალებდა და ბედნიერი იღიმებოდა. იგი ხმამაღლა ლაპარაკობდა და თან ცდილობდა წერილი სიტყვა-სიტყვით გაეხსენებინა.

"ჩემო პატარა სიმონ, – პოლი მუდამ ასე მიმართავდა – რა სევდიანი წერილი მომწერეთ! არ ღირს ჩემზე ასე იდარდოთ. მე უკვე მომენატრეთ. თვითონაც არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს!" – პოლს ხელმეორედ დაეწერა მისი სახელი – სიმონ" და შემდეგ ორი დიდებული სიტყვა დაემატებინა: "მალე ჩამოდით!"

ახლავე, ნასადილევს დაბრუნდება იგი პარიზში. მანქანას მთელი სიჩქარით გააქროლებს. პოლის სახლს ჩაუვლის, იქნებ სადმე თვალი მოჰკრას.

ორ საათზე მის სახლთან შეაყენა მანქანა. ნახევარი საათი იდგა და ელოდა. უცებ სახლთან მანქანა გაჩერდა და პოლი მარტო გადმოვიდა. სიმონი არ განძრეულა, თვალი გააყოლა მარტო მიმავალ პოლს, რომელმაც თავი მოაბრუნა დაძრულ მანქანისკენ და ხელი დაუქნია ვიღაცას. სიმონი მიჯაჭვულივით იჯდა. აი, ის ქალი, ვინც ასე ძალიან უყვარს, ვისთვისაც სიყვარულით უძგერს გული. სიმონი გაუნძრევლად იჯდა, შეშინებული, გულნატკენი და შინაგანად დაცლილი.

IX

ბულონის ტყეში გაყინულ ტბას უღიმღამო მზე დანათოდა; ერთადერთი სპორტსმენი-ნიჩბოსანი თავგადაკლული ლამობდა ზაფხული უკან შემოებრუნებინა. იგი იმ უცნაურ სპორტსმენთა რიცხვს ეკუთვნოდა, ფორმის შესანარჩუნებლად ყოველ ცისმარე დღეს რომ ვარჯიშობენ, თუმცა უფერული გარეგნობის გამო ამ სიბეჯითეს არავინ უფასებს. მისი ნიჩაბი ციმციმა, ვერცხლისფერ შხეფებს მაღლა ისროდა, მაგრამ რაკი სიცივით დათრთვილული ხეებიდან უკვე ნაღვლიანი ზამთარი იმზირებოდა, შხეფები ამიტომაც გეხამუშებოდა. პოლი უცქერდა შუბლშეკრულ სპორტსმენს. იგი ალბათ კუნძულს შემოუვლის, მერე კი დაქანცული და თავის საკუთარი კმაყოფილი უკან დაბრუნდება; ეს ყოველღდიური ჯიუტი შემოვლა პოლს რაღაც სიმბოლური ეჩვენა. გვერდით სიმონი ეჯდა მდუმარედ. პოლი შემობრუნდა და გაუღიმა. სიმონმა ღიმილი არ შეაგება. ქალი, ვისი გულისთვისაც წინაღამეს მან მთელი დეპარტამენტი გადასერა, ვინც მის წარმოდგენაში გაშიშვლებული, წუხანდელ გზასავით მორჩილი, თავის თავს სთავაზობდა, სულაც არ ჰგავდა იმ ქალს, ვინც ახლა მის გვერდით რკინის სკამზე მშვიდად იჯდა, მასთან შეხვედრით არცთუ ძალიან გახარებული, და ამ მოსაბეზრებელი სურათის შემყურე, ლამის თვლემდა. იმედგაცრუებული ვაჟი განგებ სხვა მიზეზს აწერდა თავის გულგატეხილობას და თავს არწმუნებდა, პოლი აღარ მიყვარსო. სოფლის ამ ჩაჟამებულ სახლში გატარებული ერთი კვირა იმის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა, რა სისულელემდე მიჰყავდა ზოგჯერ იგი ოცნებებს. და მაინც, საოცარი სურვილი ჰქონდა, თავბრუდამხვევი, მწარე სურვილი – ხელები მაგრად შემოეჭდო, თავი ისე აეწია პოლისათვის, ტკივილი მიეყენებინა და დაჰკონებოდა მის მსხვილ, მშვიდ ტუჩებს, რომლებიც მთელი ორი საათი მხოლოდ ზრდილობიან, დამამშვიდებელ სიტყვებს წარმოთქვამდნენ. დამშვიდება სულაც არ სჭირდებოდა სიმონს. აკი მისწერა პოლმა, “მალე ჩამოდიო”? სიმონი თავბედს იწყევლიდა, განა იმიტომ, რაღაც უჩვეულოს მოელოდა ამ სიტყვების შემდეგ, არამედ იმიტომ, რომ ცას ეწია სიხარულით, სულელური ნდობით აღივსო. თურმე, სჯობს დიდმა მიზეზმა გაგაუბედუროს, ვიდრე პატარამ გაგაბედნიეროს! ასეც უთხრა პოლს. ქალმა თვალი მოაშორა ნიჩბოსანს და გაკვირვებულმა შეხედა სიმონს.

– ჩემო პატარა სიმონ, ყველა ასეა ახლა. ასე რომ, თქვენი სურვილი ბუნებრივია!

პოლს სიცილი აუტყდა. ამ დილით სიმონი გიჟივით მოვარდა მატინიონის გამზირზე და ქალმაც მაშინვე აგრძნობინა, ეს წერილი დიდს არაფერს ნიშნავსო.

– კი მაგრამ, თქვენ ხომ ის ქალი არა ხართ, პირველივე შემხვედრს რომ მისწეროთ, მალე ჩამოდიო?

– მარტო ვიყავი, – გამოტყდა პოლი, – თანაც უცნაურ გუნებაზე. მართალი ხართ, არ უნდა მომეწერა, მალე დაბრუნდით-მეთქი.

თუმცა გულში ასე არ ფიქრობდა. სიმონი გვერდით ჰყავდა და ამით ბედნიერი იყო, იგი ხომ სულ მარტოა! როჟეს თურმე ახალი საყვარელი გაუჩენია, კინოზე გაგიჟებული ვიღაც ახალგაზრდა ქალი (უკვე აცნობეს კეთილის მსურველებმა); ეტყობა, როჟეს კიდეც რცხვენია თავისი ახალი გატაცებისა, თუმცა კრინტი არ დაუძრავს. ჩვეულებრივ, როცა სატრფიალო თავგადასავლებით ტრაბახობდა, თავის მართლება და მიკიბ-მოკიბვა არ იცოდა ხოლმე. ამ კვირაში ორჯერ ისადილეს ერთად, მხოლოდ ორჯერ! სიმონი, მისი სიყვარულით გატანჯული ეს ყმაწვილი, გვერდით რომ არ ჰყოლოდა, პოლი ძალიან უბედური იქნებოდა.

– წავიდეთ, – თქვა სიმონმა, – თქვენ უკვე მოგბეზრდათ აქაურობა.

პოლი არ შეჰკამათებია, ისე წამოდგა; ძალიან მოუნდა წონასწორობიდან გამოეყვანა სიმონი, თუმცა თავადვე ბრაზობდა თავის სისასტიკეზე. ეს სისასტიკე თითქოს მისი ნაღველის მეორე მხარე იყო, სულელური სურვილი, შური ეძია იმაზე, ვინც შურისძიებას სულაც არ იმსახურებდა. ისინი სიმონის პატარა მანქანაში ჩასხდნენ. ყმაწვილს მწარედ გაეღიმა, სულ სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი დღევანდელი დღე: აი, მარცხენა ხელით საჭეს მართავს, მარჯვენაში პოლის ხელი უჭირავს, მისი ლამაზი თავი სიმონისკენაა მობრუნებული! პოლისთვის არც შეუხედავს, ისე გასწია მისკენ ხელი, ქალმა ხელისგულებში მოიქცია სიმონის ხელი და გაიფიქრა: “რა იქნება, ერთხელ მეც ჩავიდინო სისულულე?” სიმონმა მანქანა გააჩერა; პოლს არაფერი უთქვამს. სიმონი დაჰყურებდა საკუთარ ხელს. ალბათ ერთი სული აქვს პოლს, ვინმემ მის ხელს მოიშორებდეს. ერთბაშად საშინელი დაღლილობა იგრძნო ყმაწვილმა. თავი უკან გადააგდო, თითქოს შეურიგდა კიდეც ამ გარდაუვალ განშორებას. იმ წუთში უცბად მოტყდა, ოცდაათი წლით დაბერდა, ქალმა თითქოს მხოლოდ ახლა დაინახა სიმონის ნამდვილი სახე.

პირველად იგრძნო, სიმონი მას, არა, მათ ორთავეს ჰგავდა (როჟესა და პოლს), განა იმიტომ, რომ ადვილად ატკენდი გულს, ეს თვისება მან ადრევე შეამჩნია სიმონს. ამ თვისების გარეშე ვერც წარმოედგინა ადამიანი. არამედ იმიტომ, რომ მის წინაშე იყო ყოველივე იმისგან განძარცული, გათავისუფლებული ჭაბუკი, რასაც ახალგაზრდობა, სილამაზე და გამოუცდელობა ანიჭებს ადამიანს. მის თვალში სიმონი მუდამ ტყვე იყო საკუთარი ფუქსავატობის, საკუთარი ზერელე ცხოვრებისა. სწორედ ამიტომ ვერ იტანდა სიმონს. ახლა კი, როცა პოლს კი არა, ხეებს უყურებს ცოცხალ-მკვდარი, ბრძოლის უნარწართმეული, პოლს უეცრივ გაახსენდა ის სიმონი, პირველად საშინაო ხალათში რომ ნახა, მხიარული, უდარდელი, მისი ხილვით განცვიფრებული, და საოცრად მოუნდა კვლავ დაბრუნებოდა სიმონს ძველი სილაღე, კვლავ ეპოვა თავისი თავი, ჩამოშორებოდა პოლს, სცოდნოდა მხოლოდ წუთიერი დარდი და სცნობოდა მხოლოდ ის სულელი გოგოები, მრავლად რომ გაუჩნდებოდა მომავალში. დრო პოლზე უკეთ და თანდათან გაანათლებდა მას. სიმონის ხელი უძრავად ედო ხელის გულზე, გრძნობდა მის მაჯისცემას და ერთბაშად თვალცრემლიანმა – თვითონაც არ იცოდა, ეს ცრემლი იმ მეტისმეტად მგრძნობიარე ყმაწვილმა მოჰგვარა თუ საკუთარმა ნაღვლიანმა ცხოვრებამ – ბაგესთან მიიტანა სიმონის ხელი და აკოცა.

სიმონმა უსიტყვოდ დაძრა მანქანა. მიხვდა, მათ შორის პირველად მოხდა რაღაც. და იმ წუთში გუშინდელზე უფრო ბედნიერი იყო. როგორც იქნა, პოლმა “დაინახა” სიმონი, ხოლო თუ სიმონი ისე ბრიყვი იყო, რომ იფიქრა, პირველი შემთხვევა პირველი სამიჯნურო ღამით დამთავრდებაო, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოს! მას ჯერ კიდევ დიდი მოთმინება, დიდი სინაზე და, რა თქმა უნდა, დიდი დრო დასჭირდება. მაგრამ სიმონი გრძნობდა, სინაზეც ჰქონდა, მოთმინებაც და მთელი ცხოვრებაც წინ ედო! ისიც კი გაიფიქრა, თუკი ოდესმე დადგებოდა სიყვარულის ღამე, ეს იქნებოდა მხოლოდ ერთი ეტაპი და არა ჩვეულებრივი დაბოლოება, სხვა დროს რომ წინასწარვე წარმოდიგენდა. მათ ალბათ ბევრი უსასრულო დღე და ღამე ექნებათ. და მაინც პოლთან სიახლოვის მძაფრი სურვილი მოსვენებას არ აძლევდა.

X

ქალბატონი ვან დენ ბეში ბერდებოდა. ფიზიკური მონაცემებისა თუ იმის წყალობით, რასაც შეიძლება "მოწოდება" დავარქვათ (ყოველ შემთხვევაში, ჟერომ ვან დენ ბეშთან მოულოდნელ ქორწინებამდე), უფრო მეტად მამაკაცებთან მეგობრობდა, ვიდრე ქალებთან. ჭკნობის პირველივე ნიშნის შემჩნევისთანავე მიხვდა, მარტო ვრჩებიო და, დაბნეული, ყოველ ახლად გაცნობილ მამაკაცს თუ ქალს ებღაუჭებოდა. პოლი მისთვის იდეალური მოსაუბრე გამოდგა, თუმცა მათ მასლაათს საქმიანი ხასიათი ჰქონდა. კლებერის გამზირზე მისი ბინა თავდაყირა იდგა: პოლს ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე უხდებოდა მისვლა და ქალბატონი ვან დენ ბეშიც ათას საბაბს იგონებდა პოლი მეტ ხანს გაეჩერებინა. არც ის გამოჰპარვია ქალბატონ ვან დენ ბეშს, რომ პოლი ძალიან მეგობრულად ექცეოდა სიმონს; თუმცა სიახლოვის ნიშნებს ვერ ატყობდა, თავს მაინც ვერ იკავებდა, წარამარა თვალს უკრავდა პოლს, ნართაულად ელაპარაკებოდა, პოლი კი აინუნშიც არ აგდებდა მის ნართაულებს; სამაგიეროდ, სიმონი ცოფდებოდა. ერთ საღამოს გაფითრებული, გაღიზიანებული მივარდა დედას – დიახ, დიახ, დედას! – და დაემუქრა: "იცოდე, კარგი დღე არ დაგადგება, თუ საქმეს ჩამიშლი!"

– რა უნდა ჩაგიშალო? ხელი გამიშვი! გამაგებინე, შენი საყვარელია თუ არა?

– აკი გითხარი, არა-მეთქი!

– მაშინ რა გინდა ჩემგან? რაკი თვითონ ამაზე არ ფიქრობს, მე ვაიძულებ, იფიქროს! შენივე სასიკეთოდ. თორმეტი წლის გოგო კი არაა! როგორ გგონია, კონცერტებზე, გამოფენებზე რომ დაგყავს, მარტო ეს მოხიბლავს? ბრიყვო, ნუთუ არ გესმის...

სიმონმა ბოლომდე აღარ მოუსმინა და სახლიდან გავარდა. რუანიდან დაბრუნების შემდეგ ეს სამი კვირა მხოლოდ პოლით, მხოლოდ პოლისათვის ცოცხლობდა, იმ რამდენიმე საათის იმედით, რასაც პოლი მისთვის გამოიმეტებდა. სიმონი ცდილობდა გაეჭიანურებინა პაემანი, რამდენიმე წამით კიდევ სჭეროდა მისი ხელი იმ რომანტიკული გმირივით, წინათ რომ თვითონვე დასცინოდა. სწორედ ამიტომ შეშფოთდა ერთ დღეს, როცა სასტუმრო ოთახის მორთვა დაამთავრეს და დედამისმა გადაწყვიტა, სადილზე პოლს მოვიწვევ და მის მეგობარ როჟესაც მოვიპატიჟებ ათიოდე სტუმართან ერთადო.

როჟე მოწვევაზე დათანხმდა, უნდოდა ახლოს გაეცნო ეს ახალგაზრდა კოხტაპრუწა, პოლს რომ კუდში დასდევდა და პოლიც ასე გულთბილად ახსენებდა. ეს კი როჟესთვის დიახაც ხელსაყრელი იყო, ვიდრე თავშეკავებული დუმილი. თანაც სინდისი ქენჯნიდა; თითქმის მთელი თვე მიტოვებული ჰყავდა პოლი. მთლად მოაჯადოვა მეზიმ, მოაჯადოვა თავისი ცეტობით, სხეულით, ეჭვიანობით, ურცხვობითა და ვნებით. როჟეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თურქულ აბანოში მოხვედრილიყო; გულის სიღრმეში ფიქრობდა, რომ თავის სიცოცხლეში უკვე ვეღარავის აღუგზნებდა ასეთ მხურვალე ვნებას და ამიტომაც ნებდებოდა, ამიტომაც აუქმებდა პოლთან დანიშნულ პაემანს ასე ხშირად. პოლი მშვიდად ეუბნებოდა: "კეთილი, ჩემო კარგო, აბა, ხვალამდე..." და როჟეც მირბოდა იმ აუტანელ

ბუდუარში, სადაც თვალცრემლიანი მეზი ეფიცებოდა, თუკი მოისურვებ, ჩემს კარიერას მსხვერპლად შემოგწირავო. როჟე უცნაური ცნობისმოყვარეობით უკვირდებოდა საკუთარ თავს, აინტერესებდა, სადამდე გაუძლებდა ამ სულელურ კავშირს, მერე მკლავებს მოხვევდა ბრიყვულად და ურცხვად აჭიკჭიკებულ ქალს და აქამდე უცნობ ვნებიან ექსტაზს ეძლეოდა. ასე რომ, სიმონი, პოლის მოკრძალებული თანამგზავრი, სწორედაც ხელს აძლევდა როჟეს. როცა მეზის ჩამოიცილებს, ყველას თავის ადგილს მიუჩენს და, რაც მთავარია, პოლს ცოლად შეირთავს. და თუმცა როჟე არაფერში არ იყო დარწმუნებული, საკუთარ თავშიაც კი, ერთი რამ მაინც ღრმად სწამდა: პოლი მისი ერთგული იყო და მასაც მხოლოდ პოლი უყვარდა ამ ბოლო წლებში.

როჟე დაგვიანებით მოვიდა. როგორც კი თვალი გადაავლო იქაურობას, მიხვდა, მოსაწყენი წვეულება იქნებოდა. პოლი ხშირად საყვედურობდა, გულღია არა ხარ, ხალხს გაურბიო და მართლაც, სამუშაოს გარეთ არავის ხვდებოდა, თუ რაღაც გარკვეული მიზანი არ ჰქონდა. სასაუბროდ კი პოლთან ან თავის ერთადერთ ძველ მეგობართან მიდიოდა. როჟე განმარტოებით ცხოვრობდა, არ უყვარდა პარიზული თავყრილობები, მაშინვე სურვილი უჩნდებოდა, ან უხეშად მოქცეულიყო, ან სულაც გასცლოდა იქაურობას. ქალბატონ ვან დენ ბეშთან რამდენიმე რჩეული პიროვნება დახვდა, იმ წრეში კარგად ცნობილი ან გაზეთში მოხსენიებული ფრიად თავაზიანი ხალხი, ვისთანაც სადილობისას უნდა ესაუბრა თეატრსა თუ კინოზე, ანდა სიყვარულზე, რაც კიდევ უფრო აუტანელი იქნებოდა; ამაზე საუბრისა ყველაზე მეტად ეშინოდა, გრძნობდა, სიყვარულისა არაფერი გაეგებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, ზუსტად არ შეეძლო გადმოეცა თავისი მოსაზრება.

როჟე მედიდურად მიესალმა ყველას. როდესაც მისი ზორბა, ოდნავ დაძაბული ტანი კარებში გამოჩნდა, როგორც ყოველთვის, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მოულოდნელად ორპირი ქარი მოაწყო ოთახშიო. ეს შთაბეჭდილება არც ისე მცდარი იყო: როჟეს გამოჩენა ხალხში ოდნავ ჩოჩქოლს იწვევდა, იმდენად მოუთვინიერებელი ჩანდა, ამიტომაც მოსწონდათ ალბათ ქალებს. პოლს შავი გულმოხდილი კაბა ჩაეცვა: როჟეს ძალიან მოსწონდა ეს კაბა. ჰოდა, დაიხარა და ისე გაუღიმა, თითქოსდა მადლობას უხდისო, პოლი რომ ასეთი იყო და მას ეკუთვნოდა. მხოლოდ პოლს სცნობდა იგი ამ უცხო ხალხში. პოლმა წამით მინაბა თვალები, გულით მოუნდა, როჟე მოხვეოდა. როჟე გვერდით მიუჯდა და მაშინღა შეამჩნია იქვე უძრავად მდგარი სიმონი. "ალბათ როგორ იტანჯება, აქ რომ მხედავს!" – გაიფიქრა როჟემ და უნებურად ჩამოიღო პოლის სკამზე გადადებული მკლავი. საერთო ჟრიამულში უცებ სამთა დაძაბული დუმილი შეიჭრა, რომელიც სიმონმა დაარღვია: იგი დაიხარა და პოლს ანთებული სანთებელა გაუწოდა. როჟე შესცქეროდა ორივეს, აკვირდებოდა სიმონის მაღალ ტანს, მის მშვიდ, მეტისმეტად დახვეწილ პროფილს, პოლის ნაზ, გოროზ სახეს და ძლივს შეიკავა სურვილი, ხმამაღლა გადაეხარხარა. ორივენი მეტისმეტად თავშეკავებულნი, მგრძნობიარენი, ზრდილნი ჩანდნენ: სიმონი ცეცხლს სთავაზობდა, პოლი უარს ეუბნებოდა, თანაც დიდი თავაზით და ბოდიშით: "გმადლობთ! ნუ წუხდებით!" როჟე კი სულ სხვა ყაიდის კაცი იყო, მას ელოდებოდა ერთი პატარა კახპა, იაფი თავშექცევა, მერე პარიზის ღამე და სხვა ათასგვარი თავგადასავალი, ხოლო ალიონზე მძიმე, თითქმის ფიზიკური შრომა მასავით დაღლილ-დაქანცულ ხალხთან ერთად, რომელთა ხელობა მისი ხელობაც იყო ოდესღაც. იმავე წუთს პოლის ხმა შემოესმა, სიმონს მშვიდად უხდიდა მადლობას. როჟემ თავი ვერ შეიკავა,

ხელი მოჰკიდა პოლს, თავი შეახსენა. როჟეს იგი უყვარდა. ამ ყმაწვილს შეუძლია კონცერტებზე თუ მუზეუმებში ატაროს პოლი, სულ ერთია, ხელს მაინც ვერ ახლებს. როჟე წამოდგა, ლანგრიდან ვისკიანი ჭიქა აიღო, გადაჰკრა და მაშინვე გულზე მოეშვა.

როჟეს წინათგრძნობა გამართლდა: სადილმა მოსაწყენად ჩაიარა. როჟე შეეცადა საუბარში ჩარეულიყო, რამდენიმე ფრაზა წაილუღლუღა და მხოლოდ სადილის ბოლოს გამოერკვა ფიქრებიდან, როცა ქალბატონმა ვან დენ ბეშმა ჰკითხა, ხომ არ იცით ბატონი X-ის საყვარელი ვინ არისო; აშკარა იყო, ქალს თვითონ სურდა ეს ამბავი როჟესთვის ემცნო. როჟემ მიუგო, ეს ამბავი სულაც არ მაინტერესებს, ვინ ვისი საყვარელია, მე არ მეკითხება, ისევე როგორც არ მეკითხება, ვინ რას მიირთმევს სადილად, თუმცა ჯობს ხალხი მეზობლის სუფრით დაინტერესდეს და სხვისი საწოლის ამბებზე ნაკლებად იფიქროს, ნაკლები უსიამოვნება შეხვდებათო. პოლს გაეცინა, რადგან როჟემ ერთბაშად ჩაუშალა სტუმრებს სასაუბრო თემა; სიმონმაც თავი ვერ შეიკავა და გაიცინა. როჟემ ზომაზე მეტი დალია, ადგომისას ოდნავ წაბარბაცდა და დროზე ვერ შეამჩნია ქალბატონი ვან დენ ბეში, რომელიც კეკლუცად უხმობდა.

– დედაჩემი გთხოვთ! – უთხრა სიმონმა.

ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. როჟე დააკვირდა სიმონის სახეს, იქნებ ნაკლი აღმოვუჩინოო, თუნდაც დუნე ნიკაპი და ტუჩ-პირიო, მაგრამ ამაოდ. იმედის გაცრუებამ ცუდ გუნებაზე დააყენა.

– თქვენ კი პოლი გეძებთ, არა?

– ახლავე მივალ! – უთხრა სიმონმა და ზურგი აქცია.

როჟემ იდაყვში სტაცა ხელი. ერთბაშად გაცეცხლდა. სიმონმა დაკვირვებით შეხედა.

– დაიცათ... – წაილუღლუღა როჟემ, – რაღაც მინდა გითხრათ.

ერთმანეთს ჯიქურ ათვალიერებდნენ. ორივეს კარგად ესმოდა, ჯერჯერობით არაფერი ჰქონდათ სათქმელი; როჟეს თვითონვე გაუკვირდა თავისი საქციელი, სიმონი კი ამაყად გაიმართა წელში და ღიმილი ვერ შეიკავა. როჟე მიხვდა, დავმარცხდიო, და ხელი უშვა.

– სიგარა მინდოდა მეთხოვა.

– ახლავე მოგართმევთ.

როჟემ თვალი გააყოლა. შემდეგ პოლთან მივიდა. პოლი სტუმრებს ესაუბრებოდა. როჟემ მკლავში წაავლო ხელი, ხალხს გაარიდა.

– რა უთხარი სიმონს? – მაშინვე ჰკითხა პოლმა.

– სიგარა ვთხოვე. რამ შეგაშინა?

– თვითონაც არ ვიცი, – შვებით ამოისუნთქა ქალმა, – ისეთი გაცეცხლებული სახე გქონდა...

– რას უნდა გავეცეცხლებინე? ხომ არ გგონია, ამ თორმეტი წლის ბიჭზე ვეჭვიანობ?

– არა, – თქვა პოლმა და თვალები დახარა.

– თუ ეჭვიანობაა, მარცხნივ რომ კაცი გეჯდა, იმაზე ვიეჭვიანებდი. მამაკაცი მაინცაა.

პოლი ერთბაშად ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა, მერე მოისაზრა და გაიღიმა. აქამდე არც შეუმჩნევია ის კაცი. მთელი საღამო მისთვის სიმონის თვალების შუქით იყო განათებული, წარამარა პოლისკენ რომ იყურებოდა, იქნებ მისი მზერა დავიჭიროო. ზოგჯერ პოლი მართლაც შეაგებებდა მზერას და სიმონიც ისე ნაზად, ისე ნაღვლიანად გაუღიმებდა, პოლს ძალა არ შესწევდა, უარი ეთქვა ამ წყალობაზე. სიმონი უფრო ლამაზი იყო, უფრო სიცოცხლით სავსე, ვიდრე მარცხნივ მჯდომი მისი მეზობელი. ამიტომაც გაიფიქრა, ამ ამბებისა როჟეს არაფერი გაეგებაო. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა სიმონი და სიგარების კოლოფი გაუწოდა როჟეს.

– გმადლობთ, – უთხრა როჟემ (კოლოფიდან გულდასმით შეარჩია ერთი ცალი), – თქვენ ჯერ არ იცით კარგი სიგარის ფასი. ეს სიამოვნება მხოლოდ ჩემი ასაკის ადამიანს შეუძლია იგრძნოს.

– სულ დაიტოვეთ. არ მიყვარს სიგარა.

– პოლ, ბოლი ხომ არ შეგაწუხებს? – ჰკითხა როჟემ, მერე სიმონს მიუბრუნდა, – ჩვენ მალე უნდა წავიდეთ, ხვალ დილით ადრე ვარ ასადგომი.

სიმონს ყურადღება არ მიუქცევია სიტყვისთვის "ჩვენ". იგი ფიქრობდა: "პოლს ალბათ სახლამდე მიაცილებს, თვითონ იმ დედაკაცთან წავა, მე კი სიამოვნებას მაკლებს, ცოტა ხნით კიდევ ვიყო პოლთან!" მერე პოლს გადახედა, იგივე აზრი წაიკითხა მის სახეზე და ხმადაბლა თქვა:

– პოლი თუ ძალიან არ დაიღალა... მე მივაცილებ მოგვიანებით... როჟე და სიმონი ერთდროულად შეტრიალდნენ პოლისკენ. მან სიმონს გაუღიმა და უთხრა, არა, ჯობს მეც წავიდე, უკვე გვიანი არისო.

მანქანაში სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. პოლი იცდიდა. როჟემ ძალით წამოიყვანა წვეულებიდან, არადა, პოლი ლაღად გრძნობდა თავს სადილზე, როჟემ მოაკლო ეს სიამოვნება. ახლა კეთილი ინებოს და აუხსნას, რად მოიქცა ასე, ან ბოდიში მაინც მოუხადოს. როჟემ სახლთან გააჩერა მანქანა, მაგრამ ძრავა არ გამორთო... პოლი მაშინვე მიხვდა, როჟე არც არაფერს აუხსნიდა, არც შინ აჰყვებოდა; მისი საქციელი წინდახედული მესაკუთრის საქციელი იყო და მეტი არაფერი. პოლი მანქანიდან გადმოვიდა, ღამე მშვიდობისაო, წაილაპარაკა და ქუჩა გადასერა. როჟემ მაშინვე დაძრა მანქანა; იმ წუთს საკუთარი თავი სძაგდა.

მაგრამ სახლის წინ პოლმა სიმონის მანქანა დაინახა. მანქანიდან სიმონმა დაუძახა. გაოცებული პოლი მაშინვე მივიდა.

– აქ როგორ გაჩნდით? ალბათ გიჟივით მოაქროლებდით მანქანას. კი მაგრამ, დედათქვენის სტუმრები მიატოვეთ?

– ცოტა ხნით დაჯექით! – შეევედრა სიმონი.

სიბნელეში ისე ჩურჩულებდნენ, თითქოს შეიძლებოდა ვიღაცას მოესმინა მათი საუბარი. პოლი ისე მარჯვედ შეძვრა დაბალ მანქანაში, კიდეც გაიფიქრა, უკვე მივეჩვიე ამ პატარა მანქანასო. ასევე მისჩვეოდა მისკენ ნდობით შემობრუნებულ სახესაც, ცალ მხარეზე ფარნის შუქი რომ სცემდა.

– ძალიან მოსაწყენი საღამო იყო, არა? – ჰკითხა სიმონმა.

– ოჰ, არა... მე...

რა ძალიან ახლოს ზის სიმონი, მეტისმეტად ახლოს. თანაც უკვე გვიანაა, რა დროს მუსაიფია, ან რატომ გამოეკიდა უკან, ვინც იცის, როჟემ კიდეც დაინახა! რა გიჟური საქციელია... პოლმა აკოცა სიმონს.

ზამთრის სუსხიანმა ქარმა დაუბერა, მანქანაშიც შეიჭრა და თმა აუჩეჩა ორივეს, ერთმანეთში გადაუხლართა; სიმონმა მთელი სახე დაუკოცნა პოლს; ალერსით თავბრუდახვეული პოლი ისუნთქავდა მისი ჭაბუკური ხსეულის სურნელსა და ღამის სიგრილეს. მერე უსიტყვოდ მიატოვა და სადარბაზოში შევიდა.

განთიადზე გამოეღვიძა. ძილ-ღვიძილში თვალწინ დაუდგა ღამით ამოვარდნილი ქარი, აწეწილი თმა, სიმონის შავი კულულები, აბრეშუმის რიდესავით რომ წამოფარებოდა სახეზე, ხელახლა იგრძნო მისი ცხელი ტუჩები, გაიღიმა და ისევ ძილს მისცა თავი.

XI

იმ მღელვარე, იმ ტკბილი საღამოს შემდეგ როცა პოლმა აკოცა, სიმონს მთელი ათი დღე აღარ უნახავს იგი. მეორე დილითვე მიიღო პოლის ბარათი, ჩემს ნახვას არ ეცადოთ, “არ მინდა გული გატკინოთ, რადგან ძალზე თბილი გრძნობით ვარ თქვენდამი!” სიმონი ვერ მიმხვდარიყო, რომ პოლს საკუთარი თავისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მისი; დარწმუნდა, მხოლოდ ვებრალებიო, და არც გაბრაზებულა, ცდილობდა, ისეთი გზა მოენახა, პოლის გარეშე ცხოვრება შესძლებოდა. ის კი ვერ მოისაზრა, რომ ამგვარი თქმა: “არ მინდა გული გატკინოთ...” იმედს არამც და არამც არ წარუკვეთს არავის, იგი მეტწილად ფრჩხილებში ჩაისმის უშუალოდ რომანის წინ ან რომანის შემდეგ... არც პოლმა იცოდა ეს. ქალს ეშინოდა და თან უნებლიეთ ელოდა, სიმონი მოვიდოდა და აიძულებდა გაეზიარებინა მისი სიყვარული. პოლს უკვე ვეღარ აეტანა ზამთრის ერთფეროვანი საღამოები, ერთი და იგივე გზა სახლიდან სამსახურამდე, მარტოობა და ეს ვერაგი ტელეფონი – სულ სანანებლად ჰქონდა, რატომ ავიღე ყურმილიო, ისე უცხოდ, დარცხვენით მოისმოდა როჟეს ხმა. იმ განუმეორებელ წარსულ დღეებზე ნაღველმა ხომ სულ მოუღო ბოლო! ყოველივე ამან ისეთ ცუდ გუნებაზე დააყენა, ისე მოადუნა, რომ არ შეიძლებოდა, “რაღაც არ მომხდარიყო”.

სიმონი კი დადიოდა სამსახურში, უფრო პუნქტუალური, ბეჯითი და სიტყვაძვირი გახდა. დროდადრო თავს ასწევდა, უაზროდ მიაშტერდებოდა მადმუაზელ ალისას და თითს გაუბედავად ჩამოისვამდა ტუჩზე... პოლი... უკანასკნელი საღამო... რა მოულოდნელად, თითქმის მბრძანებლურად აკოცა ტუჩებში... როგორ გადააგდო თავი უკან... რა ნაზად მიიზიდა სიმონის სახე... ქარი... სიმონის გამოხედვით შეცბუნებული მადმუაზელ ალისა დროდადრო ფრთხილად ჩაახველებდა და სიმონიც უგულისყუროდ უღიმოდა. რა თქმა უნდა, ფიქრობდა სიმონი, პოლი ნაწყენი იყო და ამიტომ მოიქცა ასე! იმის შემდეგ სიმონი არც ცდილა მის ნახვას. სწორად იქცევა კია? ათჯერ, ოცჯერ მაინც გაიხსენა დაწვრილებით წარსული ამბები: მანქანით გასეირნება, მოსაწყენი გამოფენის დათვალიერება, საიდანაც ორივე გამოიპარა, დედამისის წვეულება... ყოველი წვრილმანის, ყოველი სურათის წარმოდგენა ულმობლად უფლეთდა გულს. ამასობაში დღეები გადიოდა. მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს მხოლოდ დრო გადაწყვეტდა, მაგრამ, ავად თუ კარგად, ეს არ იცოდა.

ერთ საღამოს მეგობართან ერთად უცნობ პატარა რესტორნის კიბეს ჩაუყვა. უკვე საკმაოდ შეზარხოშებული იყვნენ, მაგრამ მაინც მოითხოვეს სასმელი, შესვეს ბევრი და მოიწყინეს. მერე შავკანიანი ქალი გამოჩნდა ესტრადაზე, სიმღერა წამოიწყო. ქალს უშველებელი ვარდისფერი პირი ჰქონდა: მისი სიმღერა სევდისმომგვრელი იყო და უიმედო ცეცხლს უკიდებდა ორივე მეგობარს.

– ორი წლის სიცოცხლეს არ დავიშურებ, ოღონდაც ვინმე შემყვარებოდა! – თქვა სიმონის მეგობარმა.

– მე უკვე მიყვარს! – წაილაპარაკა სიმონმა, – მაგრამ მან არ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რომ მიყვარს!

ახსნა-განმარტებას კი აღარ მოჰყოლია. ასე ეგონა, ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული, ასე რომ იყოს, უაზრო იქნება ცხოვრებაო. ნუთუ მთელი ეს მღელვარება ამაოდ ჩაივლის?! მეგობრებმა სუფრასთან მოიპატიჟეს მომღერალი ქალი; იგი პიგალის მოედნიდან იყო, მაგრამ ისე კი მღეროდა, გეგონებოდა, ახალი ორლეანიდანაა ჩამოსულიო. გაბრუებულ სიმონს მოცისფრო ბურუსი ეზმანებოდა, სადაც ნაზი ნაკვთები და გაწვდილი ხელები ერთმანეთს გადახლართოდა. სიმონი გვიანობამდე დარჩა რესტორანში, მარტო უსმენდა მომღერალს და შინ მხოლოდ გათენებისას დაბრუნდა გამოფხიზლებული.

* * *

მეორე დღეს საღამოს ექვს საათზე სიმონი მაღაზიასთან ელოდა პოლს. წვიმდა. სიმონმა ხელების კანკალი ვერ შეაჩერა და გაბრაზებულმა ჯიბეში ჩაიწყო. უცნაურ სიცარიელესა და გულგრილობას გრძნობდა. “ღმერთო ჩემო, იქნებ მხოლოდ იმისთვის ვვარგივარ, რომ მასთან ვიყო და ვიტანჯო”? – გაიფიქრა და სახე ზიზღით დაებრიცა.

შვიდის ნახევარზე პოლი გამოვიდა. თალხი კოსტიუმი ეცვა, თავისივე თვალების ფერი მუქი ცისფერი ყელსახვევი ეკეთა. დაღლილი სახე ჰქონდა. სიმონი მისკენ გაემართა, პოლმა გაუღიმა და ერთბაშად გრძნობის ისეთმა მოზღვავებამ, ისეთმა

სიმშვიდემ შეიპყრო ბიჭი, თვალები დახუჭა. მას პოლი უყვარს. დაე, რაც უნდა ის მოუვიდეს ამ ქალის გამო, ამაზე უარესი რა მოუვა! პოლმა შეამჩნია მისი ჩინდაკარგული თვალები, გაწვდილი ხელები და შეჩერდა. ეს ათი დღე მასაც აკლდა სიმონი თვალში. უკვე მისჩვეოდა მასთან ყოფნას, მის აღფრთოვანებას, სიჯიუტეს და ახლა რაღად უნდა გადასჩვეოდა?! მაგრამ როცა მისკენ მობრუნებული სახე დაინახა, მიხვდა, რომ ეს მარტო მიჩვევა არ იყო ოცდაცხრამეტი წლის ქალისთვის. ეს სულ სხვა რაღაც იყო. რუხი ქვაფენილი, გამვლელები, მანქანები ერთბაშად რაღაც სტილიზებულ, გაქვავებულ, დროის მიღმა მყოფ დეკორაციად ეჩვენა. ორიოდ მეტრი აშორებდათ ერთმანეთს. და ვიდრე ქუჩის კუშტი, გამაყრუებელი სინამდვილე შთანთქავდა პოლს, ვიდრე ჯერ კიდევ ფხიზლად იდგა საკუთარი ცნობიერების ზღურბლზე, სიმონმა ნაბიჯი გადადგა მისკენ და მოეხვია.

მოეხვია, მაგრამ გულში არ ჩაუკრავს, ეს კია, სუნთქვა შეუგუბდა და რაღაც უსაზღვრო სიმშვიდემ მოიცვა. მერე ლოყით შეეხო მის თმას და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მაღაზიის აბრას მიაშტერდა: “ეპოქის განძი”... “ნეტა რა უფრო მეტია ამ წიგნის მაღაზიაში, განძი თუ ხარახურა?” – გაიფიქრა და თან გაუკვირდა, ამ სანუკვარ წუთებში საიდან მომივიდა თავში ეს უაზრო კითხვაო. სიმონს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს, როგორც იქნა, უძნელესი ამოცანა გადაეწყვიტოს.

– სიმონ, დიდი ხანია აქა ხართ? – ჰკითხა პოლმა, – სულ გაწუწულხართ.

პოლი ისუნთქავდა სიმონის პიჯაკის, მისი კანის სუნს და განძრევა არ უნდოდა. სიმონის დაბრუნებამ მოულოდნელი შვება მოჰგვარა, თითქოსდა რაღაც უბედურებას დააღწია თავი.

– არა, უთქვენოდ სიცოცხლე მართლა არ შემიძლია, – უთხრა სიმონმა, – ასე მეგონა, სიცარიელეში ვიყავი. მოწყენილობა კი არ მკლავდა, უბრალოდ არ ვარსებობდი. თქვენ?

– მე? – გაიმეორა პოლმა, – თქვენც კარგად იცით, წლის ამ დროს პარიზი თითქმის ჩამკვდარია (პოლი ცდილობდა ბუნებრივად ელაპარაკა). ახალ კოლექციას ვათვალიერებდი, ერთი სიტყვით, ნამდვილი საქმიანი ქალივით ვიქცეოდი; ორ ამერიკელ ქალს შევხვდი. შესაძლოა, ნიუ-იორკში მომიხდეს გამგზავრება...

პოლი გრძნობდა, ჭკუადაკარგული შეყვარებულივით წვიმაში დგომა ამ ჭაბუკის მკლავებში და ასე საუბარი უაზრობა იყო, მაგრამ განძრევა არ შეეძლო. სიმონი ისე ნაზად ჰკოცნიდა საფეთქლებზე, თმაზე, ლოყაზე, იტყოდით, პოლის ყოველ ფრაზას წერტილს უსვამსო. პოლი გაჩუმდა და უფრო მაგრად მიაყრდნო თავი მხარზე.

– გინდათ კი ნიუ-იორკში წასვლა? – ზემოდან მოესმა სიმონის ხმა.

სიმონი რომ ლაპარაკობდა, პოლი საფეთქელზე გრძნობდა მისი ყბის მოძრაობას და კინაღამ მოწაფესავით გადაიკისკისა.

– შეერთებული შტატები მართლაც საინტერესო უნდა იყოს. თქვენ რას იტყოდით? იქ არასოდეს ვყოფილვარ.

– არც მე, – თქვა სიმონმა, – დედაჩემი აღშფოთებულია, თუმცა არც თვითონ უყვარს მგზავრობა.

სიმონს შეეძლო ასე მდგარიყო და დაუსრულებლად ესაუბრა პოლთან დედაზე, მოგზაურობაზე, ამერიკასა და რუსეთზე, ელაპარაკა ათასნაირ თემაზე მშვიდად, ძალდაუტანებლად. აღარ აპირებდა არც მის გაკვირვებას, არც მის მოხიბვლას. თავს კარგად გრძნობდა. საკუთარ თავში დარწმუნებულიც იყო და თან უსუსურიც. ჯობდა შინ წაეყვანა პოლი და თავისუფლად მოჰფერებოდა, მაგრამ ხელის გაშვებაც ვერ გაებედა.

– არ ვიცი, უნდა მოვიფიქრო! – თქვა პოლმა.

თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა, სიმონთან ურთიერთობას თუ ამერიკაში გამგზავრებას. ზევით ახედვისა და მისკენ დახრილი ჭაბუკის სახის დანახვისა კი ეშინოდა: ვაითუ კვლავ ალაპარაკებულიყო ის მეორე, ჭკვიანი, მტკიცე ნებისყოფის პოლი და გაეკიცხა თავისივე საქციელი.

– სიმონ! – წაიჩურჩულა მან.

სიმონი დაიხარა, ნაზად აკოცა ტუჩებში. არც ერთს აღარ დაუხრია თვალი. ორივე ხედავდა დიდ, მოციმციმე ლაქას – უჩვეულოდ გაფართოებულ, დანისლულ და თითქოსდა შეშინებულ გუგებს.

ორი დღის შემდეგ ერთად ისადილეს. პოლის რამდენიმე ფრაზით სიმონი მიხვდა, რა გადაეტანა ქალს ამ ათ დღეში: მარტოობა, როჟეს გულგრილობა, სიმონის გამუდმებული კილვა. ალბათ პოლს იმედი ჰქონდა, ამ ათ დღეში როჟეს როგორმე დაიბრუნებდა, ყოველ შემთხვევაში, უნდოდა უფრო ხშირად შეხვედროდა, ძველებურად გაეგოთ ერთმანეთის, მაგრამ როჟე ბავშვივით გაჯიუტებულიყო. პოლის ეს მონდომება კი ნამდვილად გულს აუჩუყებდა კაცს თავისი სიმარტივით: როჟეს საყვარელი სადილი, იმ კაბების ჩაცმა, როჟეს რომ მოსწონდა, იმ საგნებზე საუბარი, როჟეს რომ აინტერესებდა; ერთი სიტყვით, ყველა ხერხს მიმართავდა, რასაც ქალთა ჟურნალები ურჩევდნენ მკითხველებს; მაგრამ ამ სასაცილო, მდარე რეცეპტებმა, ჭკვიანი ქალი რომ მართლაც საოცარ იარაღად გადააქცევდა, პოლს ვერ უშველა. ქალს დამამცირებლად სულაც არ მიაჩნდა, ამ რჩევებს მიჰყოლოდა, არც იმას უკადრისობდა, როჟესთვის მყუდროდ, ოსტატურად განათებული ოთახი ან გემრიელი კერძი დაეხვედრებინა, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: “როჟე, შენი მიზეზით უბედური ვარ! როჟე, ჩვენს ურთიერთობაში რაღაც უნდა შეიცვალოს!” პოლის ასეთი საქციელი არც ოდითგანვე ძვალ-რბილში გამჯდარი ქვეშეცნეული ქალური გუმანით აიხსნებოდა, არც ბედის მწარე მორჩილებით. არა, ეს უფრო ერთგვარი სადიზმი იყო, როგორც საკუთარი თავის, ისე როჟეს მიმართ. თითქოსდა როჟე ან პოლი ერთბაშად უნდა წამომდგარიყო და ეთქვა: “კმარა!” ჰოდა, იცდიდა, როდის გაჩნდებოდა ეს გრძნობა, თუმცა ამ გრძნობას თავის მხრიდანაც ისეთივე ძრწოლით ელოდა, როგორც როჟესგან. მაგრამ ამაოდ. ეტყობოდა, რაღაც უკვე ჩამკვდარიყო. ასეთ ფიქრებსა და ფუჭ იმედებში გაატარა ეს ათი დღე, ამიტომაც აღარ შეეძლო არ დამორჩილებოდა სიმონის სიტყვებს: “მე ბედნიერი ვარ, მე თქვენ მიყვარხართ”. უხამსობას ვერ დასწამებდა იმ სიმონს, ტელეფონით რომ მუდამ ჩურჩულით ელაპარაკებოდა, იმ სიმონს, რაღაცით რომ უვსებდა ცხოვრებას, ყოველ შემთხვევაში, ნახევრად მაინც!

მაგრამ იგი უკვე დაღალა მუდამ მოთავედ და მაინც მუდამ მარტოდ ყოფნამ. “შენ რომ გიყვარდეს, ეს კიდევ ყველაფერი არაა, – ამბობდა სიმონი, – მთავარია, შენც უყვარდე!” პოლის აზრით, ეს სიტყვები უშუალოდ მას შეეხებოდა; მართალია, ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა საამისოდ, მაინც უკვირდა, რომ არც ტკბილ მღელვარებას განიცდიდა და არც ლტოლვას, როგორც როჟესთან დაახლოების წინ; მხოლოდ უსაზღვრო, საამო მოქანცულობას გრძნობდა და ეს სიარულზეც ეტყობოდა. ნაცნობები ურჩევდნენ, გარემო შეიცვალეო, მაგრამ თვითონ დაღონებული ფიქრობდა, საყვარელს შევიცვლი ალბათ და ეს იქნებაო: ეს ნაკლებ თავსატეხი ხერხი იყო, პარიზისთვის უფრო ჩვეული... პოლი საკუთარ თავს თვალს არიდებდა სარკეში ან სახეზე სქლად ისვამდა კრემს. მაგრამ, როცა იმ საღამოს სიმონმა ზარი დარეკა მის კარზე, როცა პოლმა მისი მუქი ჰალსტუხი, დაძაბული მზერა დაინახა, მისი აღტაცებული და თან შემცბარი იერი, ცხოვრებაში მეტისმეტად განებივრებულ ადამიანს რომ გამოეხატება სახეზე, როცა ბედი კიდევ ერთ მემკვიდრეობას არგუნებს, პოლსაც მოუნდა გაეზიარებინა ის ბედნიერება, რაც მან სიმონს მიანიჭა! “აი, ჩემი სხეული, ჩემი სითბო, ჩემი სიყვარული! მე აღარაფერი მჭირდება, მაგრამ შენთან იქნებ კვლავაც ვიგრძნო, რა სიტკბოებას ანიჭებს სხვას ეს ყველაფერი!” იმ ღამეს სიმონს მის მხარზე ედო თავი.

პოლს თითქოს ცხადად ესმოდა, რა კილოთი იტყოდნენ მისი ნაცნობ-მეგობრები: “გაიგეთ? პოლი თურმე...” მაგრამ არც მითქმა-მოთქმა, არც ის ამბავი, რომ ყველაზე მეტად ასაკობრივი განსხვავებისთვის გაჭორავდნენ, ისე არ აწუხებდა, როგორც სირცხვილი იმის გაფიქრებაზე, რომ ეს ჭორიკნები ცას ეწევიან სიხარულით, კაცმა არ იცის, რამდენ სისულელეს მიაწერენ, ლაღი ცხოვრებისა და ჭაბუკების ტრფიალს დასწამებენ და ჩირქს მოსცხებენ. ის კი არ იციან, რომ პოლს ცხოვრებისაგან მოღლილი ბებრუხანა ჰგონია თავი და ერთადერთი, რაც სწადია, მხარდაჭერაა! ზიზღს ჰგვრიდა ის ფიქრი, რომ მის საქციელს, ისევე როგორც სხვებისას – ამის მოწმე თვითონ ბევრჯერ ყოფილა – ხალხი კიდეც დაგმობს და კიდეც მოიწონებს. მასზე ამბობდნენ: “საცოდავი პოლი!” – როცა კი როჟე ღალატობდა; ან: “დამოუკიდებლობა მოუნდა იმ ქერქეტას!” – როცა მან ახალგაზრდა, ლამაზი, მაგრამ ძალზე მოსაწყენი ქმარი მიატოვა. ზოგს ებრალებოდა, ზოგიც ჰკიცხავდა, მაგრამ ისეთი შური და ზიზღი, რასაც მისი ახლანდელი საქციელი გამოიწვევს ხალხში, მას ალბათ არასოდეს რგებია წილად.

XII

პოლს ვარაუდი არ გაუმართლდა. იმ პირველ ღამეს სიმონს თვალი არ მოუხუჭავს. იწვა გაუნძრევლად, ხელი პოლის წელზე ედო და ცდილობდა, საკუთარი სუნთქვა მისი მშვიდი სუნთქისთვის აეყოლებინა. “თავი რომ მოიმძინარო, ან მეტისმეტად შეყვარებული უნდა იყო ან მეტისმეტად გულმოყირჭებული!” – ფიქრობდა სიმონი, რაკი აქამდე მეორე გრძნობას უფრო იყო შეჩვეული, ახლა ისეთივე სიამაყითა და პასუხისმგებლობით დარაჯობდა პოლის მშვიდ ძილს, როგორც ქურუმები – წმინდა ცეცხლს. ასე გაატარეს მთელი ღამე, დაძაბულნი და გულაჩვილებულნი უფრთხილდებოდნენ ერთმანეთის მოჩვენებით ძილს და განძრევას ვერ ბედავდნენ.

სიმონი ბედნიერი იყო. თავისზე თხუთმეტი წლით უფროსი ქალი მართლაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას უღვიძებდა, ვიდრე თექვსმეტი წლის გოგონა. კვლავაც აღტაცებული ფიქრობდა პოლის სიკეთეზე და, პირველად თავის სიცოცხლეში, ალერსი წყალობად ჩათვალა... ამიტომაც თავი მოვალედ მიაჩნდა, თვალი არ მოეხუჭა, თითქოს წინასწარ იცოდა, რა მწარე ტკივილს მიაყენებდა ოდესმე ამ ქალს და წინასწარ უფრთხილდებოდა; იმედი ჰქონდა, საკუთარ სილაჩრეს, წარსულ კომედიებს, შიშს, უმიზეზო სასოწარკვეთასა და უსუსურობას ააშორებდა პოლს, მასაც გააბედნიერებდა და თვითონაც ბედნიერი იქნებოდა; თან უკვირდა კიდეც საკუთარი თავისა, ყველაზე დიდი გამარჯვების მოპოვებისას კი ასეთი ფიცი არასოდეს დამიდევიაო.

დილით ორივემ გაითამაშა ვითომ ეს წუთია გაიღვიძეს: ამთქნარებდნენ, მშვიდად იზმორებოდნენ, ოღონდ სხვადასხვა დროს. როცა სიმონი მისკენ გადმობრუნდებოდა ან იდაყვს დაეყრდნობოდა, პოლი უნებლიეთ თავზე წაიხურავდა საბანს, ეშინოდა, სიმონს არ შეეხედა, იცოდა, პირველი შემოხედვა ყველაზე გადამწყვეტი იყო პირველი სიახლოვის შემდეგ. ხოლო როცა პოლი გაინძრეოდა, სიმონი სუნთქვას იკრავდა და შიშით თვალს ხუჭავდა, იმღამინდელი ბედნიერება სიზმარივით არ გაქრესო. ბოლოს ისევ პოლმა გაუსწორა თვალი. სიმონი თვალმოჭუტული უყურებდა. პოლი გაიტრუნა, იცოდა, ჩამოშვებული ფარდებიდან შემოჭრილ შუქზე დაბერებული და უშნო იქნებოდა, ამიტომაც თვალი თვალში გაუყარა, რათა სიმონი კარგად დაკვირვებოდა, რათა აღარ ეგრძნო ის უხერხულობა, გამოღვიძებისას რომ გრძნობ ხოლმე მუდამ. სიმონმა გაუღიმა, ჩურჩულით წარმოთქვა მისი სახელი და მისკენ მიიწია. “სიმონ!” – თქვა პოლმაც და გაინაბა. იმედი ჰქონდა, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ ღამის გადაქცევა წუთიერ ჟინად. სიმონმა მკერდზე მიადო თავი, ნაზად დაუკოცნა მკლავები, მხარი, ლოყები, მერე გულში ჩაიხუტა. “სიზმარში გნახე,” – უთხრა მან, – ამიერიდან მხოლოდ შენ გნახავ სიზმარში”. პოლმა მკლავები მოხვია.

სიმონმა უთხრა, სამსახურში მე წაგიყვანო და თუ გერიდება, ქუჩის კუთხეში გადმოგსვამ მანქანიდანო. პოლმა ნაღვლიანად უპასუხა, ჩემს საქციელზე ანგარიშს არავის ვაბარებო. ერთხანს გაჩუმდნენ. სიჩუმე ისევ სიმონმა დაარღვია:

– ექვს საათამდე არ დაბრუნდები? იქნებ ერთად გვესაუზმა?

– ალბათ ვერ მოვიცლი. იქვე შევჭამ სენდვიჩს.

– მე რაღა გავაკეთო ექვს საათამდე? – აწუწუნდა სიმონი.

პოლმა შეხედა, შეშფოთდა: ხომ ვერ ეტყოდა, სულაც არ არის აუცილებელი ექვს საათამდე ერთმანეთს შევხვდეთო! მეორე მხრივ, სიმონი რომ ყოველ საღამოს თავისი პატარა მანქანით მოუთმენლად დაელოდებოდა მაღაზიის კართან, ეს ფიქრი მართლა ბედნიერებას ანიჭებდა.. როცა ვინმე ყოველდღე გელოდება, თანაც ისეთი ვინმე, რომელიც რვა საათზე არ გირეკავს და დაბნეული არ გელაპარაკება ტელეფონში, ანდა, როცა მოესურვება, მაშინ გირეკავს... პოლს გაეღიმა.

– კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ დღეს მარტო ვისადილებ?

სიმონი მაჯის საკინძეს აწვალებდა, ვერა და ვერ შეიკრა, მაგრამ ამ სიტყვებზე თავი ასწია და მშვიდად ჩაილაპარაკა: “მართლაც არავის უთქვამს!” ცხადია, სიმონი როჟეს

გულისხმობდა. იგი ხომ სულ როჟეზე ფიქრობდა, სულ ეშინოდა, პოლი არ წამართვასო. სამაგიეროდ, პოლმა იცოდა, როჟეს მისთვის არ ეცალა. ერთბაშად ყველაფერი შეზიზღდა. არა, თვითონ მაინც იქნება დიდსულოვანი.

– დღეს არავისთან არ ვსადილობ, – უთხრა სიმონს, მოდი აქ, მე შეგიკრავ!

პოლი საწოლზე იჯდა, სიმონმა მის წინ დაიჩოქა და ხელები ბორკილდადებულივით გაუწოდა. სიმონს ბავშვური მაჯები ჰქონდა, ნაზი და გამხდარი. საკინძის შეკვრისას პოლს რატომღაც მოეჩვენა, ზუსტად ასეთი სცენა ოდესღაც უკვე ვითამაშეო... "მეტისმეტად თეატრალურია!" – დაასკვნა ბოლოს, მაგრამ ლოყა მაინც მიადო შუბლზე, თავი ვერ შეიკავა და ბედნიერი სიცილი წასკდა.

– კი მაგრამ, ექვს საათამდე რა ვაკეთო? – ჯიუტად გაიმეორა სიმონმა.

– აბა რა ვიცი... იმუშავე!

– არ შემიძლია... მეტისმეტად ბედნიერი ვარ!

– ეს ხელს არ უშლის მუშაობას.

– მე მიშლის. თუმცა ვიცი, რასაც გავაკეთებ: ქუჩებში ვიხეტიალებ და შენზე ვიფიქრებ, მერე მარტო ვისაუზმებ და შენზე ვიფიქრებ, შემდეგ ექვს საათს დაველოდები. შენც კარგად იცი, საქმიანი ახალგაზრდა კაცისა არაფერი მცხია.

– შენი ვექილი რაღას იტყვის?

– ეგ არ მადარდებს. რატომ გინდა მომავალზე ფიქრით დრო ტყუილად დამაკარგვინო... ჩემთვის მხოლოდ აწმყო არსებობს... ის მივსებს ყველაფერს, – სიმონმა ქალს მდაბლად დაუკრა თავი.

პოლმა მხრები აიჩეჩა. არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეებში სიმონს თავისი გეგმისთვის არ უღალატია: მთელ პარიზს შემოუარა მანქანით, გამვლელებს უღიმოდა, პოლის მაღაზიას ათჯერ მაინც ჩაუარა საათში ათი კილომეტრის სიჩქარით, სადაც მოესურვებოდა, იქ აჩერებდა მანქანას და წიგნს კითხულობდა, ზოგჯერ ისვენებდა, თავს საზურგეზე გადააგდებდა და თვალებს დახუჭავდა. მთვარეულს ჰგავდა ბედნიერებით გაბრუებული. მისი საქციელი გულს უჩუყებდა პოლს, უფრო მეტად აყვარებდა სიმონს. თვითონაც უკვირდა, რად არ ენანებოდა სიმონისთვის არაფერი და რად გახდა მისთვის ეს წყალობანი აუცილებელი!

* * *

როჟეს მთელი ათი დღე საძაგელ ამინდში მოუხდა მგზავრობა. საქმიანი შეხვედრები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ნორის დეპარტამენტიდან მეხსიერებაში დარჩა მხოლოდ ტალახიანი, დაუსრულებელი გზა და მოსაწყენი რესტორნები. დროდადრო პარიზში რეკავდა, ერთდროულად ორ ნომერს დაუკვეთდა, ჯერ მეზი-მარსელის წუწუნს მოისმენდა, რომ მერე თვითონ დაეჩივლა პოლთან. ეს რა უბედურ დღეში ვარო, ანდა პირიქით. როჟე იმედგაცრუებული იყო, ასე ეგონა, არაფრის მაქნისი აღარ იყო; მისი

ცხოვრებაც ამ პროვინციას წააგავდა. პოლის ხმა უფრო და უფრო შეშფოთებული და შორეული ხდებოდა. როჟეს ძალიან ენატრებოდა. მუდამ ასე იყო: პოლის გარეშე ორი კვირა ვერ გაეძლო. კარგად იცოდა, პარიზში ყოფნისას მუდამ შეეძლო პოლის ნახვა, ამიტომაც არ უძნელდებოდა გადაედო დანიშნული პაემანი, მაგრამ ლილში ისევე ენატრებოდა, როგორც მათი დაახლოების პირველ დღეებში, როცა პოლთან შეხვედრა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო მისთვის... მაშინ ისევე ეშინოდა მისი დასაკუთრებისა, როგორც ახლა მისი დაკარგვის. ლილში ყოფნის უკანასკნელ დღეს პოლს აცნობა, ვბრუნდებიო. პოლი გაჩუმდა, მერე ერთბაშად მტკიცედ უთხრა: "აუცილებლად უნდა მოგელაპარაკო!" როჟეს არაფერი უკითხავს და მესამე დღისთვის დაუნიშნა პაემანი.

პარიზში ღამით დაბრუნდა და ორ საათზე უკვე პოლის სახლთან გააჩერა მანქანა. პირველი შემთხვევა იყო, როცა შეყოყმანდა, ავიდე თუ არაო. დარწმუნებული არ იყო, ექნებოდა თუ არა პოლს ბედნიერი სახე, წინანდებურად ნაძალადევი სიმშვიდე მისი მოულოდნელი გამოცხადებისას. ახლა როჟეს ეშინოდა. ათი წუთი დაიცადა, თავისი მერყეობით დარცხვენილმა საკუთარ საქციელს ათასი უაზრო გამართლება მოუძებნა: "სძინავს, ბევრს მუშაობს და სხვა". შემდეგ გაბრუნდა. უკვე შინ იყო მისული, როცა ისევ შეყოყმანდა, ერთბაშად გადაწყვიტა მეზისთან წასულიყო. ქალს ეძინა; ძილისგან შეშუპებული სახე საკოცნელად მიუშვირა: "გვიანობამდე დავყავი იმ საძაგელ პროდიუსერებთან... რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ... სხვათა შორის, ეს-ეს არის სიზმარში გნახე..." – ბუტბუტებდა მეზი. როჟემ სასწრაფოდ გაიხადა და მიუხედავად მეზის ბუზღუნისა, მაშინვე დაიძინა. პირველად იყო, ამ ქალისადმი ლტოლვა რომ არ იგრძნო. გათენებისას უგულისყუროდ მიუალერსა, მეზის ნაამბობს სიცილით მოუსმინა და ერთბაშად გადაწყვიტა, სანერვიულო არაფერია, ყველაფერი რიგზეაო. მთელი დილა მეზისთან დარჩა და პოლთან შეხვედრამდე ათი წუთით ადრე გავიდა მისი სახლიდან.

XIII

– უნდა დავრეკო, ნასაუზმევს გვიან იქნება, – თქვა პოლმა და სუფრიდან წამოდგა, როჟე მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და პოლმაც დამნაშავესავით გაუღიმა; ასეთი ღიმილი მისდა უნებურად აღებეჭდებოდა ხოლმე სახეზე, როცა ზრდილობისა თუ გრძნობის კარნახით, როჟე მისთვის თავს იწუხებდა. პოლი რესტორნის ნესტიან კიბეს ჩაუყვა და ტელეფონის ჯიხურისკენ მიმავალი ბრაზით ფიქრობდა როჟეს ამ ნაძალადევ ზრდილობაზე. სიმონი სულ სხვაგვარი იყო; იგი ისეთ ყურადღებას, ისეთ კმაყოფილებას ამჟღავნებდა, ისე ცდილობდა მისი გულის მოგებას, გაიქცეოდა კარის გასაღებად, მიაწვდიდა სანთებელას, გუმანით ხვდებოდა მის ყოველ სურვილს და წამსვე უსრულებდა. ეს ყოველივე კი ყურადღების ნიშანი იყო და არა მოვალეობის მოხდა. დილით სიმონი ნახევრად მძინარე დატოვა ლოგინში, ორივე ხელით ჩაებღუჯა ბალიში, რომელზეც მისი შავი კულულები ეფინა. მაგიდაზე ბარათი დაუტოვა: "შუადღისას დაგირეკავ!", მაგრამ შუადღისას როჟეს შეხვდა და ახლა თვითონაც უკვირდა, მარტო რომ დატოვა და თავის ჭაბუკ, ზარმაც საყვარელთან დასარეკად წავიდა. ნეტა როჟე ხომ არაფერს მიხვდა? შეწუხებული როჟე კი ამ დროს

ისე იჭმუხნიდა წარბებს, როგორც იმ დღეებში, როცა საქმე უკუღმართად წაუვიდოდა. იგი თითქოს დაბერებულიყო.

სიმონმა მაშინვე აიღო ყურმილი. როგორც კი პოლის ხმა გაიგონა, სიცილი აუტყდა.

– გაიღვიძე? – გაეცინა პოლსაც.

– თერთმეტი საათიდან მღვიძავს. უკვე პირველი საათია. სადგურში დარეკვაც მოვასწარი, ტელეფონის ხაზი ხომ არაა-მეთქი გაფუჭებული!

– რატომ?

– აკი თორმეტ საათზე უნდა დაგერეკა! სად ხარ?

– ლუიჯისთან, ვსაუზმობ.

– ჰოო?.. კარგია.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს პოლმა ცივად უთხრა:

– როჟესთან ერთად ვსაუზმობ.

– ჰოო?... კარგია.

– ამის მეტს ვერაფერს იტყვი?.. “ჰოო.?... კარგია, კარგია!” – გამოაჯავრა პოლმა. – მაღაზიაში სამის ნახევარზე ვიქნები. შენ რას აპირებ?

– დედაჩემთან წავალ, კოსტიუმებს წამოვიღებ, – სწრაფად უთხრა სიმონმა, – შენს კარადაში უნდა ჩამოვკიდო. მერე დენოსთან შევივლი და იმ აკვარელს ვიყიდი, შენ რომ მოგეწონა.

პოლმა ძლივს შეიკავა სიცილი; სიმონის მთელი ბუნება ამ ნათქვამში ჩანდა: წინადადების ასე გადაბმა მხოლოდ მას შეეძლო!

– რა საჭიროა? გინდა მთელი შენი ტანსაცმელი ჩემთან გადმოიტანო?

თუმცა საწინააღმდეგო მაინც ვერაფერი უთხრა. სიმონი უკვე ნაბიჯითაც არ სცილდებოდა და აქამდე არც პოლს უსაყვედურებია ამის გამო...

– ჰო, – მიუგო სიმონმა. – ირგვლივ ძალზე ბევრი ხალხი გახვევია, მე კი დარაჯ ძაღლად მინდა დაგიდგე, ამიტომ სუფთად უნდა ვიყო ჩაცმული.

– ამაზე მერე ვილაპარაკოთ! – უთხრა პოლმა.

ასე ეგონა, მთელი საათი ემუსაიფებოდა სიმონს. ამასობაში როჟე მარტო იჯდა ზევით; ალბათ გამოჰკითხავს და პირისპირ რომ აღმოჩნდება, პოლიც ვეღარ მოიშორებს დამნაშავის გრძნობას.

– მიყვარხარ! – უთხრა სიმონმა და ყურმილი დაკიდა.

პოლი ჯიხურიდან გამოვიდა, გასახდელ ოთახში სარკის წინ შეჩერდა, სავარცხელი ამოიღო და ანგარიშმიუცემლად თმაზე გადაისვა. სარკიდან იმ ქალის სახე უმზერდა, რომელსაც ეს-ეს არის უთხრეს, მიყვარხარო.

როჟე კოქტეილს წრუპავდა. პოლს გაუკვირდა. იცოდა, საღამომდე ჩვეულებრივ არაფერს სვამდა ხოლმე.

– რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგხვდა?

– რატომ მეკითხები? ჰოო, კოქტეილის გამო?.. არა, ცოტა დავიღალე, მეტი არაფერი.

– რამდენი ხანია არ მინახიხარ! – თქვა პოლმა და, რაკი როჟე ოდნავ დაბნეული დაეთანხმა, ცრემლი ძლივს შეიკავა. ალბათ დადგება დრო, როცა იტყვიან: "რამდენი თვეა ერთმანეთი არ გვინახავს, ორი თუ სამი?" და მშვიდად გამოითვლიან, რამდენი დრო გავიდა მათი უკანასკნელი შეხვედრიდან. მიუხედავად ძლიერი და თითქმის სასტიკი იერისა, როჟეს ისევ ასეთი ახირებული მიმოხრა, დაღლილი სახე და ბავშვური ხასიათი ექნება ალბათ... პოლმა თავი მიაბრუნა. როჟეს ისევ ის ძველი ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა. ვინ იცის, რამდენჯერ ეკიდა ეს სულ ახალთახალი კოსტიუმი მათი სიახლოვის პირველ დღეებში პოლის საწოლ ოთახში სკამზე. იმ ხანებში როჟეს განსაკუთრებით მოსწონდა თავი ამ კოსტიუმით, ის ხომ იშვიათად ზრუნავდა საკუთარ სიკოხტავეზე! თანაც ისეთი მოუქნელი იყო, ვერასოდეს იფიქრებდით, მოხდენილად ჩაცმულიაო.

– თხუთმეტი დღეა! – მშვიდად თქვა პოლმა, – ხომ კარგადა ხარ?

– კი. საერთოდ არა მიშავს.

როჟე გაჩუმდა, ალბათ პოლის შეკითხვას ელოდა: "როგორ მიდის შენი საქმეები?" მაგრამ პოლს არაფერი უკითხავს. ჯერ სიმონზე უნდა ელაპარაკოს. მერე როჟესაც შეუძლია ისე გაანდოს თავისი ამბები, საკუთარი გულახდილობა სანანებლად არ დაურჩეს შემდეგში.

– ცოტათი მაინც გაერთე? – ჰკითხა როჟემ.

პოლი ერთხანს დუმდა. საფეთქლები უცემდა, მერე იგრძნო, საცაა გული გამიჩერდებაო, ბოლოს საკუთარი ხმა მოესმა:

– ჰო, სიმონს ვხვდებოდი... ხშირად...

– ოჰო, – აღმოხდა როჟეს, – იმ ლამაზ ბიჭს? ისევ ისე გაგიჟებით უყვარხარ?

პოლმა ნელა დაუქნია თავი, მაგრამ შეხედვა ვერ გაბედა.

– ისევ გართობს ეს ამბავი? – ჰკითხა როჟემ.

პოლმა თავი აიღო, ამჯერად როჟემ აარიდა თვალი: მთელი გულისყური გრეიპფრუტზე გადაიტანა. "მიხვდა" – გაიფიქრა პოლმა.

– ჰო, – თქვა მან.

– გართობს თუ გართობაზე ცოტა მეტია?

ახლა კი თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. როჟემ კოვზი თეფშზე დადო. პოლი რაღაც სასოწარკვეთილი სინაზით უკვირდებოდა მისი ბაგის ირგვლივ გაჩენილ ორ ღრმა ნაოჭს, გაქვავებულ სახეს და ამოღამებულ ლურჯ თვალებს.

– ჰო, მეტია! – მიუგო მან.

როჟემ კოვზი მოძებნა და ხელში აიღო. პოლს თავში გაუელვა, რომ გრეიპფრუტის წესიერად ჭამა არასოდეს შეეძლო როჟეს. დროს თითქმის შეეწყვიტა მოძრაობა, თუ პირიქით, ისე სწრაფად მიქროდა, მის წივილს გრძნობდა ყურებში.

– ვფიქრობ, სათქმელი აღარაფერი მაქვს! – თქვა როჟემ.

ამ სიტყვებზე პოლი მიხვდა, როჟე უბედური იყო. ბედნიერი რომ ყოფილიყო, ასე ადვილად არ დაუთმობდა. ახლა კი თითქოს ჩაქოლილს, უკანასკნელი ქვა პოლმა ესროლა.

– სათქმელი ბევრი გქონდა.

– შენ თვითონ გადაგაქვს წარსულში ყველაფერი.

– მხოლოდ იმიტომ, რომ შენ დაგინდო, როჟე, რომ მეთქვა, ყოველივე შენზეა დამოკიდებული-მეთქი, რას იტყოდი?

როჟე დუმდა, სუფრას ჩაშტერებოდა.

– ალბათ მეტყოდი, თავისუფლება ძვირად მიღირსო, – განაგრძო პოლმა, – მეტყოდი, არ მინდა დავკარგოო... და ამიტომაც აღარ ცდილობ... ჩემს დაბრუნებას.

– აკი გეუბნები, თვითონ არაფერი ვიცი-მეთქი! – მკვახედ მოუჭრა როჟემ, – რა თქმა უნდა, მზარავს იმის გაფიქრებაც, რომ... ვარგა კი მაინც რამედ?

– რა მნიშვნელობა აქვს, ვარგა თუ არა. მე მას ვუყვარვარ.

პოლმა შეამჩნია, როგორ გაუნათდა დაძაბული სახე როჟეს და წამით შესძულდა ეს კაცი. როჟე უკვე დამშვიდებულიყო: მხოლოდ წუთიერ აფეთქებად მიიჩნია ყველაფერი და მეტი არაფერი. მისი ნამდვილი სიყვარული, ნამდვილი მამაკაცი კი როჟე იყო.

– თუმცა იმას ვერ ვიტყვი, არ მაღელვებს-მეთქი! – დაუმატა პოლმა.

“პირველად შეგნებულად ვატკინე გული!” – გაიფიქრა თავგზააბნეულმა.

– გამოგიტყდები, საუზმეზე რომ დაგპატიჟე, არ მეგონა, შენი და იმ ბიჭის თავშექცევის ამბებს თუ მოვისმენდი, – თქვა როჟემ.

– ალბათ თვითონ აპირებდი იმ ახალგაზრდა ქალთან შენი თავშექცევის ამბის მოყოლას, არა? – მაშინვე შეესიტყვა პოლი.

– ეს უფრო ბუნებრივი იქნებოდა! – კბილებში გამოცრა როჟემ.

პოლი შეკრთა, მაგიდიდან ჩანთა აიღო და წამოდგა.

– ვატყობ, ახლა ჩემს ასაკს შემახსენებ.

– პოლ...

როჟე წამოდგა და თვალი გააყოლა რესტორნის კარში გასულ პოლს; თვალები ცრემლმა დაუნისლა. იმ დროს დაეწია, როცა პოლი მანქანაში ჯდებოდა. ვერა და ვერ აამუშავა ძრავა. როჟემ ფანჯარაში გაყო ხელი და კონტაქტი ჩართო, რაც პოლს სულ გადავიწყებოდა. როჟეს ხელი... მერე გაწამებული სახე როჟესკენ მიაბრუნა.

– პოლ... თვითონაც კარგად იცი... საზიზღრად მოვიქეცი. მაპატიე... ხომ იცი, მე ასე არ ვფიქრობ...

– ვიცი, არც მე მოგექეცი კარგად. ჯობს ერთხანს ნუღარ შევხვდებით ერთმანეთს.

როჟე დაბნეული, გაქვავებული იდგა. პოლმა გაუღიმა:

– ნახვამდის, საყვარელო!

როჟე მანქანის ფანჯარასთან დაიხარა.

– პოლ, უშენოდ არ შემიძლია...

პოლმა უცებ დაძრა მანქანა, არ უნდოდა, თვალებზე მოწოლილი ცრემლი როჟეს დაენახა. მექანიკურად ჩართო მინსაწმენდი და მწარედ გაეცინა. დრო საკმაო ჰქონდა, შინ დაბრუნებამდე დამშვიდებასაც მოასწრებდა და სახეზე კრემის წასმასაც. თან იმედი ჰქონდა და თან ეშინოდა, სიმონი შინ არ დამხვდებაო. სადარბაზოსთან შეეჩეხნენ ერთმანეთს.

– პოლ, რა დაგემართათ?

სიმონს ისე შეეშინდა, კვლავ თქვენობით მიმართა. “შემამჩნია, ნამტირალევი რომ ვარ და შევეცოდე!” – გაიფიქრა პოლმა და ცრემლი ღაპაღუპით წამოსცვივდა. არაფერი უპასუხა. ლიფტში სიმონმა მკერდზე მიიკრა, ცრემლები კოცნით შეუშრო, ევედრებოდა, ნუღარ ტირიო, და ისე უცნაურად შეჰფიცა, იმ ტიპს მე მოვკლავო, პოლს უნებურად გაეცინა.

– რა საშინელი სანახავი ვარ ალბათ! – თქვა და ასე ეგონა, თითქოს ეს ფრაზა ათასჯერ ჰქონდა წიგნებში ამოკითხული თუ კინოში მოსმენილი. მერე დივანზე ჩამოჯდა სიმონის გვერდით, მისი ხელი აიღო და სთხოვა:

– ნუ მკითხავ ნურაფერს.

– დღეს არ გკითხავ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს გათქმევინებ. თანაც სულ მალე. ვერ ავიტან, ვიღაცის გულისთვის იტირო, განსაკუთრებით კი ის რომ აქ

მოვიდეს! – გაშმაგებით წამოიყვირა მან, – ნეტავ ჩემთვის, ჩემი გულისთვის თუ იტირებ როდესმე?

პოლმა შეხედა: “ყველა მამაკაცი ნამდვილად მხეცია!”

– ნუთუ ასე ძალიან გინდა მატირო?

– არა, მირჩევნია თვითონ ვეწამო! – მიუგო სიმონმა და მხარზე მიადო თავი.

საღამოს შინ რომ დაბრუნდა, პოლმა მაშინვე შეამჩნია, სიმონს თითქმის მთელი ბოთლი ვისკი დაეცალა და სახლიდან არც გასულიყო. მან მედიდურად განუცხადა პოლს, პირადი უსიამოვნებები მაქვსო, შეეცადა საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა ცხოვრების სიძნელეზე და სანამ გულაჩვილებული თუ შეშინებული პოლი ფეხსაცმელს გახდიდა, ჩაცმულს იქვე ჩაეძინა.

* * *

როჟე ფანჯარასთან იდგა, დღე-ღამის გაყრას უყურებდა. ფერმა-სასტუმროში იყო. ილ დე ფრანსში ბუნება საოცრად შეესაბამება ქალაქური ცხოვრებით დაქანცული ხალხის წარმოდგენას სოფელზე: მშვიდი ბექობები, ნაყოფიერი ყანები, გზების გაყოლებით ჩარიგებული სარეკლამო პანოები... მაგრამ ახლა, განთიადის წინ წვიმის მძიმე, ცივი სურნელი შეეფრქვა და თავისი ბავშვობის დროინდელი ნამდვილი სოფელი გაახსენა. შემდეგ ოთახისკენ შემობრუნდა და დაცინვით წაილაპარაკა: “დიდებული ამინდია დასასვენებლად!” გულში კი გაივლო: “მართლაც რომ დიდებულია! მიყვარს ბურუსი. მარტო რომ ვიყო...”

მეზიმ გვერდი იცვალა თბილ ლოგინში.

– ფანჯარა დახურე, ცივა! – თქვა და საბანი შუბლამდე წაიფარა. მიუხედავად მთელ ტანში სასიამოვნო მოთენთილობისა, ლამის ეკივლა იმის გაფიქრებაზე, რომ ეს დღე მდუმარე, ფიქრებში წასულ როჟესთან უნდა გაეტარებინა ამ უცნობ ადგილას. თან ეს მინდვრები... ეს თვალუწვდენელი მინდვრები... მეზის კინაღამ კვნესა აღმოხდა.

– აკი გთხოვე, ფანჯარა დახურე-მეთქი, – მკვახედ გაუმეორა როჟეს.

როჟემ პირველ სიგარეტს მოუკიდა და მაშინვე მძაფრი, თითქმის უსიამოვნო, მაგრამ მაინც დიდებული სიმწარე შეიგრძნო. იგი უკვე მოსწყვიტეს დილის ოცნებებს. გაბრაზებული, ზურგითაც კი გრძნობდა მეზის მტრულ განწყობას. “იჩხუბოს რამდენიც უნდა! თუნდაც ადგეს, ავტობუსში ჩაჯდეს და პარიზში წაბრძანდეს! მე კი საღამომდე მინდვრებში ვიხეტიალებ, ერთ უპატრონო ძაღლს როგორ ვერ ვიპოვი, რომ გავიყოლო!” როჟე მარტოობას ვერ იტანდა.

მაგრამ მეორედ შეხსენების შემდეგ მეზი შეყოყმანდა: არაფრად ჩააგდოს ღია ფანჯარა, ხელახლა დაიძინოს თუ ჩხუბი ატეხოს? ძილისგან ჯერაც გაბრუებული, გონებაში უკვე აწყობდა ასეთ ფრაზებს: “მე ქალი ვარ, მცივა. ის მამაკაცია, მოვალეა ფანჯარა დახუროს!” და მაინც, ქალურმა ალღომ დროზე უკარნახა, ახლა როჟეს გაგულისება არ ღირსო. ამიტომაც შერიგება ირჩია.

– იქნებ ფანჯარა დაგეხურა და საუზმე შეგეკვეთა, საყვარელო!

როჟემ სახე შეჭმუხნა, შემობრუნდა და მიახალა:

– საყვარელოო? რას ნიშნავს ეს შენი "საყვარელო"?

მეზის სიცილი აუტყდა. როჟე აღარ მოეშვა:

– ტყუილად იცინი. იცი კი, რას ნიშნავს "საყვარელო"? განა გიყვარვარ? სიტყვა "სიყვარული" მხოლოდ ყურმოკვრით გაგიგია!

"ეტყობა, მოთმინება ამევსო! – გაიფიქრა როჟემ და თავისი საქციელისა თვითონვე გაუკვირდა. – როცა ქალის ლექსიკონი დაგაინტერესებს, წასულია საქმე!"

– რა მოგივიდა? – ჰკითხა მეზიმ და თავი გამოყო საბნიდან. ისეთი შეშინებული ჩანდა, როჟეს კინაღამ სიცილი აუტყდა. მისმა შიშველმა მკერდმა არც ააღელვა. ურცხვი! მართლაც რომ ურცხვია!..

– სიყვარული შენ ხუმრობა ნუ გგონია! – თქვა როჟემ. – მე შენთვის წამიერი ხუშტური ვარ, ხელს რომ გაძლევს, ისეთი ხუშტური, ასე რომ, "საყვარელოს" ნუ მეძახი, მით უმეტეს, დილით... ღამით კიდევ არა უშავს...

– კი მაგრამ, როჟე, – ხელები გაასავსავა შეშფოთებულმა მეზიმ, – მე ხომ შენ მიყვარხარ!

– ოო, როგორ გეკადრება! რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი კი არ უნდა თქვა! – წამოიყვირა როჟემ და თვითონვე შერცხვა, – მაინც პატიოსანი კაცი იყო – თუმცა შვებაც იგრძნო, რადგან ამ სიტყვებმა მათი დამოკიდებულება საყვარლის უადგილო ვნებიანობით თავმობეზრებული მამაკაცის დრამად აქცია, კლასიკურ დრამად.

როჟემ სვიტრი ჩამოიცვა, მაგრამ შარვალში აღარ ჩაუტანებია ისე გავიდა ოთახიდან. მერე ინანა, ტვიდის პიჯაკი რომ ოთახში დატოვა; პიჯაკი საწოლის თავთან ეკიდა და მის ასაღებად იქ რომ მისულიყო, იქნებ ვეღარც გამოეღწია ოთახიდან. გარეთ ერთბაშად შეისუნთქა სუსხიანი ჰაერი და თავბრუ დაეხვა. პარიზში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ პოლს რომ ვერ ნახავს?! გზა სველია და მანქანა ალბათ დაუცურდება, ოტეილის კარიბჭესთან ყავას დალევს კვირადღეობით დაცარიელებულ პარიზში. როჟე სასტუმროში შებრუნდა, ფული გადაიხადა და ქურდულად გაიპარა. მის პიჯაკს მეზი წამოიღებს. როჟე კი მდივანი ქალის ხელით თაიგულს გაუგზავნის და პიჯაკსაც დაიბრუნებს. "მაინც ვერ ვისწავლე ჭკუა!" – ნაღვლიანად გაიფიქრა როჟემ.

ერთხანს წარბშეკრული მიაქროლებდა მანქანას. მერე რადიომიმღებისკენ გაიწოდა ხელი და მოაგონდა: "საყვარელო! სიყვარული მე და პოლმა ვიცოდით!" არაფრის ხალისი აღარ ჰქონდა. მიხვდა, პოლი დაკარგა.

XIV

გავიდა ერთი კვირა. როცა პოლი თავის ბინაში შევიდა, თამბაქოს კვამლმა კინაღამ გაგუდა. სასტუმრო ოთახში სასწრაფოდ გააღო ფანჯარა. “სიმონ!” დაიძახა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. თან შეეშინდა და თან გაუკვირდა. მერე საწოლ ოთახში გავიდა. სიმონი ლოგინზე გაშხლართულიყო, პერანგის საყელო გახსნოდა. დაუძახა მეორედ, სიმონი არ განძრეულა. პოლი სასტუმრო ოთახში შებრუნდა, კედლის განჯინა გამოაღო, ვისკის ბოთლი შეამოწმა და ზიზღით ადგილზევე დადგა. ჭიქა ვერსად იპოვა, სველი ჭიქა სამზარეულოში დახვდა ბაკანზე. ერთხანს გაქვავებული იდგა, მერე ნელა გაიხადა პალტო, სააბაზანო ოთახში სახეზე კრემი გადაისვა და თმაც გულდასმით დაივარცხნა. მერე ერთბაშად გული მოუვიდა, ეს კეკლუცობა სისუსტის ნიშნად ჩათვალა და თმის ჯაგრისი თაროზე მიაგდო. სწორედ კარგი დრო შეარჩია სიმონის მოსახიბლავად!

პოლი საწოლ ოთახში დაბრუნდა, სიმონი შეანჯღრია და სასთუმალთან ნათურა აანთო. სიმონი გაიზმორა, პოლის სახელი წაიბუტბუტა და კედლისკენ ინაცვლა გვერდი.

– სიმონ! – მკვახედ შეუძახა პოლმა.

სიმონი შემობრუნდა. პოლმა თვალი მოჰკრა თავის ყელსახვევს, სიმონი რომ დაწოლისას მუდამ სახეზე იფარებდა და პოლი მუდამ დასცინოდა ამაზე. ახლა კი აღარ იყო ხუმრობის გუნებაზე, ისე აიტანა ბრაზმა. სიმონს მივარდა და ძალით შემოაბრუნა სინათლისკენ. სიმონმა თვალები გაახილა, გაიღიმა, მაგრამ ღიმილი მაშინვე შეეყინა პირზე..

– რა მოხდა?

– უნდა მოგელაპარაკო!

– ასეც ვიცოდი! – თქვა სიმონმა და საწოლზე ჩამოჯდა.

პოლმა დროზე შეიკავა თავი, თვალებზე ჩამოცვენილი კულულები კინაღამ გადაუწია. სწრაფად წამოდგა და ფანჯრის რაფას დაეყრდნო.

– სიმონ, ასე არ შეიძლება. ამას უკანასკნელად გეუბნები. უნდა იმუშაო. უკვე ჩუმ-ჩუმადაც დაიწყე სმა.

– ჭიქა აკი გავრეცხე! ხომ ვიცი, არეულობა გძაგს!

– მე ყოველგვარი უწესრიგობა მძაგს, მძაგს ტყუილი, მძაგს უნებისყოფო ადამიანები! – გაბრაზებით მოუჭრა პოლმა, – უკვე შენც მეზიზღები.

სიმონი წამოდგა. პოლი გრძნობდა, სიმონს სახე რომ დამანჭოდა და განგებ არ შემობრუნდა.

– დიდი ხანია ვგრძნობ, ველარ მიტან, – თქვა სიმონმა. – აკი ამბობენ, სიყვარულსა და სიძულვილს შორის ერთი ნაბიჯიაო, ასე არაა?

– გრძნობები აქ არაფერ შუაშია, სიმონ. საქმე ისაა, რომ სვამ, უსაქმურობ, გამოყეყეჩდი. რამდენჯერ გითხარი, იმუშავე-მეთქი? ახლა უკანასკნელად გაფრთხილებ.

– მერე რა იქნება?

– მერე ის იქნება, რომ დასანახად შემძულდები.

– ნუთუ შეგიძლია, ასე ხელაღებით მიმატოვო? – დაფიქრებით ჰკითხა სიმონმა.

– შემიძლია.

ჰოლი შემობრუნდა და დაუმატა:

– ყური მიგდე, სიმონ..

სიმონი საწოლზე ჩამომჯდარიყო და უცნაური გამომეტყველებით დაშტერებოდა საკუთარ ხელებს, მერე ხელები ასწია და პირზე მიიფარა. პოლი გაოგნებული იდგა. სიმონი არ ტიროდა, არ ინძრეოდა. პოლს თავის სიცოცხლეში არ უნახავს ესოდენ სასოწარკვეთილი ადამიანი. მერე ხმადაბლა დაუძახა, ისეთმა გრძნობამ აიტანა, თითქოს სიმონს რაღაც ემუქრებოდა, და მიუახლოვდა. სიმონი ახლა მთელი ტანით ირწეოდა. პოლს ჯერ ეგონა, მთვრალიაო, და ხელი მოჰკიდა, რომ ეს უაზრო რწევა შეეწყვეტინებინა, მერე შეეცადა ხელები ჩამოეშორებინა მისთვის სახიდან. სიმონი გაძალიანდა; მაშინ პოლი მუხლებზე დაეცა და მაჯებზე წაავლო ხელი.

– სიმონ, შემომხედე... სიმონ, შეწყვიტე ეს პამპულობა!

როგორც იქნა, ხელები ჩამოაშორებინა სახიდან. სიმონმა შეხედა. გაქვავებული სახე ჰქონდა, როგორც ქანდაკებას და ისეთივე უჩინო მზერა. მისდა უნებურად პოლმა ხელის გული ააფარა თვალებზე.

– რა მოგივიდა, სიმონ?.. მითხარი, რა მოგივიდა?..

სიმონი გადმოიხარა, თავი მხარზე ჩამოადო და საოცრად მოქანცული ადამიანივით ღრმად ამოიოხრა.

– ის მომივიდა, რომ აღარ გიყვარვარ, – წყნარად თქვა მან, – ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი... კიდევ ის მომივიდა, რომ თავიდანვე ვიცოდი, გამაგდებდი. ის მომივიდა, რომ ვიცდიდი, წელში მოდრეკილი ვიცდიდი... ზოგჯერ მაინც მომეცემოდა იმედი... სწორედ ესაა საშინელი, ზოგჯერ რომ მოგეცემა იმედი, ისიც მხოლოდ ღამით, – ხმადაბლა დაუმატა მან და პოლმა იგრძნო, როგორ გაწითლდა, – ჰოდა, დღეს მოსახდენი მოხდა! მთელი ერთი კვირა ამას ველოდი! ჩემი დამშვიდება ქვეყნად არაფერს შეუძლია, ვისკისაც კი... ვგრძნობდი, დღითი დღე როგორ გემატებოდა სიძულვილი. და აჰა... პოლ! პოლ!

თვალცრემლიანმა პოლმა მკლავები მოხვია, ჩაიხუტა, თვითონვე ესმოდა საკუთარი ჩურჩული: “სიმონ, გაგიჟდი?.. ნამდვილი ბავშვი ყოფილხარ!.. ჩემო პატარა, ჩემო საბრალო, ჩემო საყვარელო...” შუბლზე, ლოყებზე ჰკოცნიდა სიმონს. ერთბაშად მწარე ფიქრმა გაჰკრა თავში, უკვე დედობრივი სიყვარულის ხანი დამიდგაო. და მაინც

გულის კუნჭულში რაღაც ეწინააღმდეგებოდა ჯიუტად, მაინც კმაყოფილებას გრძნობდა, სიმონის დამშვიდებით თითქოს ორივეს ტკივილს აყუჩებდა.

– უბრალოდ, დაიღალე, – ხმადაბლა განაგრძო პოლმა, – მიტოვებული კაცის როლი გაითამაშე და საკუთარი მონაგონის მსხვერპლი გახდი. შენ არც გესმის, რა ძვირფასი ხარ ჩემთვის, ვერც წარმოიდგენ, რა ძვირფასი! ბოლო დროს ყურადღება მოგაკელი, მაგრამ ეს ჩემი სამუშაოს ბრალია, სხვა არაფრის.

– სხვა არაფრის? მაშ, არ გინდა წავიდე?

– ყოველ შემთხვევაში, დღეს არა! – ღიმილით უთხრა პოლმა, – მაგრამ მინდა კი იმუშაო.

– რასაც მოისურვებ, ყველაფერს გავაკეთებ. მოდი, გვერდით მომიწექი. პოლ, რომ იცოდე, როგორ შემაშინე! შენ არც იცი, ისე მჭირდები... მომეხვიე, არ გაინძრე! როგორ მეჯავრება, კაბებს ამდენი რამ რომ აკერია... პოლ!

შემდეგ პოლი გაუნძრევლად იწვა. სიმონი დუმდა, ოდნავ ესმოდა მისი სუნთქვა მხართან. როცა პოლმა კეფაზე დაადო ხელი, საკუთრების ისეთმა მტკივნეულმა, ისეთმა გამჭვალავმა გრძნობამ მოიცვა, ერთბაშად დარწმუნდა, სიმონი მართლა მიყვარსო.

მეორე დღეს სიმონი სამუშაოზე წავიდა. ძლივს შემოირიგა თავისი ვექილი,რამდენიმე საქმეს გადახედა, ექვსჯერ მაინც დაურეკა პოლს, დედასთან მივიდა, ფული ესესხა, – ქალბატონი ვან დენ ბეში ცას ეწია სიხარულით, – და ცხრის ნახევარზე მუშაობით დამაშვრალი კაცივით გამოეცხადა პოლს. ბოლო ორი საათი ბარში გაატარა, 421 ითამაშა ერთადერთი მიზნით – შინ ღირსეულად დაბრუნებულიყო. გულში კი ფიქრობდა, რა მოსაწყენი იყო დროის ამგვარად მოკვლა და რა ტანჯვით მომიხდებოდა უსაქმოდ გატარებული საათების შევსებაო.

XV

თებერვალში როჟე და პოლი ჩვეულებრივ ერთი კვირით მთებში მიდიოდნენ. შეთანხმებულები იყვნენ, სამიჯნური საქმეების მიუხედავად (იმ ხანებში მხოლოდ როჟეს სამიჯნურო საქმენი იგულისხმებოდა) ყოველ ზამთარს როგორმე გამოენახათ რამდენიმე დღე დასასვენებლად. ერთ დილას როჟემ კანტორაში დაურეკა პოლს; შეატყობინა, ათი დღის შემდეგ ვაპირებ წასვლას და ბილეთი აგიღო თუ არაო. პოლი შიშით ეკითხებოდა თავის თავს, ამ დაპატიჟების მიზეზი სინდისის ქენჯნა იყო თუ, უბრალოდ, მისი და სიმონის დაშორების სურვილი. პოლის გადაწყვეტილებას კი პირველი მიზეზი თუ შეარყევდა. თუმცა ისიც კარგად იცოდა, როჟეს რაც არ უნდა ეთქვა, მთებში ერთად ყოფნა ორივესთვის ტანჯვად იქცეოდა. ხოლო როდესაც გაიხსენა, რა მხიარული იყო როჟე მთებში, რა სისწრაფით ეშვებოდა მთის კალთებზე და შეშინებულ პოლს როგორ მიათრევდა, იგრძნო, დარდით გული ლამის დაფლეთოდა.

– რას იტყვი?

– არა მგონია, როჟე, რომ შევძლოთ. თავს მოვიტყუებთ, თითქოს... ერთი სიტყვით, ისე მოვაჩვენებთ ერთმანეთს თავს, თითქოს მთების გარდა სხვა არაფერზე ვფიქრობდეთ!

– სწორედ ამიტომაც მივდივარ, სხვა არაფერზე ვიფიქრო. გარწმუნებ, შევძლებ კიდეც ამას.

– იმ შემთხვევაში წამოგყვებოდი თუ... (კინაღამ უთხრა, ჩემზე ან ჩვენზე თუ შეძლებდი ფიქრსო, მაგრამ გაჩუმდა) თუ აუცილებლად გჭირდები. მაგრამ შენ უჩემოდაც მშვენივრად იქნები მარტო ან... სხვა ვინმესთან ერთად.

– კეთილი. თუ სწორად გაგიგე, ჯერჯერობით არ გინდა პარიზიდან წასვლა. "სიმონს გულისხმობს! – გაიფიქრა პოლმა. – რატომ ხდება ასე? რატომ არავის ძალუძს გარეგნულის მიღმა სინამდვილე დაინახოს!". თუმცა ისიც იგრძნო, ეს ერთი თვე სიმონს ძალზე მისჩვეოდა, მასთან ცხოვრება ყოველდღიურ ყოფად ქცეულიყო. ალბათ სწორედ სიმონის გამო უთხრა უარი როჟეს.

– თუ გნებავს, ასეცაა...

სიჩუმე ჩამოვარდა.

– შენ ცუდად გამოიყურები, პოლ. ძალიან დაღლილი სახე გაქვს. ჩემთან თუ არ გინდა წამოსვლა, სულ ერთია, სხვასთან ერთად წადი. შენთვის ეს აუცილებელია.

როჟე ნაღვლიანად და ალერსით ელაპარაკებოდა. პოლს თვალებზე ცრემლი მოადგა. ჰო, როჟე უთუოდ მასთან უნდა იყოს, ოღონდ ათდღიან მოწყალებას კი არ სთავაზობდეს, არამედ მისი სამუდამო მფარველი გახდეს. ეს უნდა იცოდეს როჟემ; ყველაფერს საზღვარი აქვს, მამაკაცის თავკერძოებასაც კი.

– აუცილებლად წავალ! – უთხრა პოლმა, – და ერთმანეთს ღია ბარათებსაც გავუგზავნით ერთი მწვერვალიდან მეორეზე.

როჟემ ყურმილი ჩამოკიდა. ვინ იცის, იქნებ დახმარებას სთხოვდა პოლს, მან კი უარი უთხრა?! ნუთუ ესაა პოლის სიყვარული! და მაინც პოლი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მართალია და რომ უფლება აქვს და მოვალეც არის იყოს მომთხოვნი, თუნდაც ამის გამო დაიტანჯოს. ბოლოს და ბოლოს იგი ქალია, რომელიც გაგიჟებით უყვართ!

ჩვეულებრივ, პოლი და სიმონი ახლომახლო, თითქმის ცარიელ რესტორნებში დადიოდნენ. მაგრამ ამ საღამოს შინდაბრუნებულ პოლს სიმონი კარის ზღურბლზე დახვდა. მუქი კოსტიუმი ეცვა, თმა გულდასმით დაევარცხნა, ერთი სიტყვით, საზეიმო იერი ჰქონდა. პოლს ერთხელ კიდევ მოხვდა თვალში სიმონის სილამაზე, მისი უჩვეულო ჭრილის თვალები, სწორედ ისეთი, კატას რომ აქვს, ლამაზად მოყვანილი ბაგე და ლაღად გაიფიქრა, ამ ყმაწვილს, დღენიადაგ რომ ჩემს კაბებში აქვს თავი ჩარგული და მთელ დღეებს ჩემს ლოდინში ატარებს, რაინდისა და ქალების გულთა მპყრობელის გარეგნობა აქვსო.

– ღმერთო, რა დიდებული სანახავი ხარ! რა მოხდა? – ჰკითხა მან.

– გასართობად უნდა წაგიყვანო! – მიუგო სიმონმა, – სადმე ბრწყინვალე რესტორანში ვისადილებთ, მერე კი ვიცეკვებთ! მე შინაც სიამოვნებით დავრჩებოდი და ერბო-კვერცხსაც გემრიელად შევჭამდი, მაგრამ მინდა დიდ საზოგადოებაში გაგიყვანო!

სიმონმა პალტო გახადა. პოლმა ოდეკოლონის სუნი იგრძნო. საწოლ ოთახში მისი გულმოხდილი საღამოს კაბა ლოგინზე ეფინა. ორჯერ თუ ექნებოდა ეს კაბა ჩაცმული.

– ყველაზე უფრო ეს კაბა მომეწონა! – უთხრა სიმონმა, – კოკტეილი მოგიმზადო?

სწორედ ისეთი კოკტეილი მოუმზადა, პოლს რომ უყვარდა. პოლი საწოლზე ჩამოჯდა, დაბნეული იყო. განა მთებს იმიტომ მოსწყდა, რომ დიდ საზოგადოებაში მოხვედრილიყო! პოლმა სიმონს გაუღიმა.

– კმაყოფილი ხარ? ძალიან ხომ არ დაიღალე? თუ გინდა, ახლავე გამოვიცვლი კოსტიუმს და შინ დავრჩები.

სიმონმა მუხლი საწოლზე ჩამოდო და პიჯაკის გახდა დააპირა. პოლმა მკერდზე მიადო თავი, ხელი პერანგის ქვეშ შეუცურა და მისი სხეულის სითბო იგრძნო, ცოცხალი სითბო!

– კარგი აზრი მოგსვლია თავში! – თქვა ბოლოს, – მაშასადამე, გინდა ეს კაბა ჩავიცვა? მე კი მგონია, ამ კაბაში, ცოტა არ იყოს, ცანცარა ქალს ვგავარ.

– მე შენი სიშიშვლე მომწონს, ეს კაბა კი სხვასთან შედარებით უფრო გულმოხდილია. მთელი კარადა გადაგიქექე.

პოლმა ჭიქა აიღო, გამოცალა. სიმონი რომ არა, იგი ალბათ მარტოკა დაბრუნდებოდა შინ, ლოგინში ჩაწვებოდა, წიგნს აიღებდა და მოიწყენდა. სიმონის გამოჩენამდე ხომ ხშირად იყო ასე! სამაგიეროდ, ახლა გვერდით ჰყავს სიმონი, იგი იცინის, ბედნიერია, თვითონაც მასთან ერთად იცინის. სიმონმა სთხოვა, ფოქსტროტი მასწავლეო, ის კი არ იცოდა, რომ ამ თხოვნით ოცი წლით აბერებდა პოლს. ისიც ასწავლიდა, ხალიჩაზე ბორძიკობდა და, აქოშინებული, მკლავებში უვარდებოდა სიმონს. პოლი გულიანად კისკისებდა, როჟეც გადაავიწყდა, თოვლიც და გულისტკივილიც. იგი გაახალგაზრდავებული, გალამაზებული იყო. მერე სიმონი ოთახიდან გააგდო, სახეზე კრემი წაისვა და ეს გულმოხდილი კაბა ჩაიცვა. სიმონი მოუთმენლად უბრახუნებდა კარზე. როცა პოლი გამოვიდა, სიმონმა აღტაცებისაგან თვალები დახუჭა, მერე შიშველი მხრები დაუკოცნა და მეორე ჭიქა კოკტეილი ძალით შეასვა, თუმცა პოლს სასმელი არ უყვარდა. პოლი ბედნიერი იყო, ზღაპრულად ბედნიერი!

ღამის კაბარეში მეზობელ მაგიდასთან ორი მანდილოსანი იჯდა, ორივე პოლზე ხნიერი; ოდესღაც პოლი ამ ქალებს ხვდებოდა, ერთადაც მუშაობდნენ. ქალები გაკვირვებული ღიმილით მიესალმნენ, ხოლო როცა სიმონი წამოდგა და პოლი საცეკვაოდ გაიწვია, პოლმა ქალების ნათქვამი გაიგონა:

– რამდენი წლისა იქნება ახლა?

პოლი მძიმედ დაეყრდნო სიმონს მკლავზე. მთელი სიამოვნება ჩაუშხამდა. კაბა შეუფერებელი აცვია, სიმონის გარეგნობაც ყველას თვალში ხვდება. პოლი მართლა უაზროდ ცხოვრობს. შინ წამიყვანეო, სთხოვა სიმონს. სიმონი არ გასძალიანებია. პოლი მიხვდა, ქალების ნათქვამი იმანაც გაიგონა.

შინ მისვლისთანავე კაბა სასწრაფოდ გაიხადა. სიმონი ორკესტრს აქებდა. პოლს კი უნდოდა სიმონი შინ წასულიყო. ვიდრე სიმონი გაიხდიდა, პოლი სიბნელეში იწვა, სინათლე არ აანთებინა. შეცდა, ორი ჭიქა კოქტეილი და მერე შამპანური რომ დალია, კარგი შესახედავი იქნება ხვალ, სახემოტეხილი! საშინელი დარდი შემოაწვა გულზე. სიმონი ოთახში შემოვიდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და შუბლზე დაადო ხელი.

– არა, სიმონ, დღეს დაღლილი ვარ, – უთხრა პოლმა.

სიმონს ხმა არ ამოუღია, არც განძრეულა. სააბაზანო ოთახიდან შემოჭრილ შუქზე პოლმა დაინახა, სიმონს თავი დაეხარა და დაფიქრებულიყო.

– პოლ, – თქვა მან ბოლოს, – უნდა მოგელაპარაკო!

– გვიანაა. მეძინება. ხვალ ვილაპარაკოთ.

– არა, ახლავე უნდა გელაპარაკო. და შენც მომისმენ!

გაოცებულმა პოლმა თვალები გაახილა: სიმონი პირველად ელაპარაკებოდა ასეთი გადამწყვეტი კილოთი.

– შენი არ იყოს, მეც გავიგონე იმ ორი ბებერი როკაპის ნათქვამი, არ მინდა განიცადო ეს ამბავი. არ გეკადრება ასეთი ლაჩრობა, ჩემთვის ეს შეურაცხმყოფელია.

– სიმონ, ტრაგედიას ნუ ქმნი... ისიც არაფრისგან...

– ტრაგედიას მე არა ვქმნი, პირიქით, მინდა შენ არ ქმნიდე. ცხადია, ეცდები ყველაფერი დამიმალო, მაგრამ ვერ მოახერხებ. პატარა ბიჭი აღარა ვარ, პოლ! მე შემიძლია გაგიგო და იქნებ დაგეხმარო კიდევაც. ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ შენთან, შენც კარგად იცი, მაგრამ ეს არ კმარა, მე მინდა შენც ბედნიერი იყო ჩემთან. ჯერჯერობით ბედნიერი ვერ იქნები, რადგან როჟე ისევ გიყვარს. დროა მიხვდე, რომ ჩვენი ამბავი მარტო ბედნიერი შემთხვევა არაა, სერიოზული ამბავია და შენ უნდა დამეხმარო, რომ იგი განმტკიცდეს! აი, ამის თქმა მინდოდა.

სიმონი დარწმუნებით, მაგრამ მაინც დაძაბულად ლაპარაკობდა. პოლი გაკვირვებითა და ერთგვარი იმედითაც უსმენდა. თურმე სულაც არ ყოფილა სიმონი მიუხვედრელი, როგორც მას ეგონა, მას სჯერა, რომ პოლს ხელახლა შეუძლია ყველაფერი თავიდან დაიწყოს. იქნებ მართლაც მოახერხოს ეს!..

– არც ისეთი უგუნური ვარ, ეს შენც იცი. უკვე ოცდახუთი წლისა ვარ, შენს გაცნობამდე ადამიანურად არ მიცხოვრია და თუ დაგცილდი, ვერც მერე ვიცხოვრებ. შენ ის ქალი ხარ და, რაც მთავარია, ის ადამიანი, მე რომ მჭირდება. ეს მე კარგად ვიცი. თუ გინდა, ხვალვე შეგირთავ ცოლად.

– მე ოცდაცხრამეტი წლისა ვარ, სიმონ! – შეახსენა პოლმა.

– ცხოვრება ქალების დღიური როდია, არც ძველი გამოცდილების გაგრძელებაა. შენ თოთხმეტი წლით უფროსი ხარ ჩემზე, მე კი შენ მიყვარხარ და ძალიან დიდხანსაც მეყვარები. აი, ესაა მთავარი! ამიტომაც მიმძიმს, როცა იმ ბებერ თხუნელებს ყურადღებას აქცევ ან საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს უწევ. შენთვის, ჩვენთვის მთავარი როჟეა. სხვა ჩვენთვის არ არსებობს.

– სიმონ, მაპატიე... მე მეგონა...

– შენ გეგონა, ფიქრი არ შემეძლო! ახლა კი ცოტა მიიწი!

სიმონი გვერდით დაუწვა პოლს, მოეხვია, მიუალერსა. პოლს აღარ მოუმიზეზებია დაღლილობა... მერე სიმონი ოფლით დაცვარულ შუბლზე მოეფერა, მხართან მიიდო მისი თავი, თუმცა ჩვეულებრივ თვითონ იძინებდა პოლის მხარზე, საბანი შემოუკეცა ორივე მხრიდან და წასჩურჩულა:

– ახლა დაიძინე, მე ვიზრუნებ ყველაფერზე.

პოლს ნაზად გაეღიმა სიბნელეში და მხარზე აკოცა. სიმონმაც მბრძანებლის ოლიმპიური სიმშვიდით მიიღო ეს ამბორი და, საკუთარი სიმტკიცით კიდეც შეცბუნებულსა და კიდეც გაამაყებულს, დიდხანს არ მოუხუჭავს თვალი.

XVI

აღდგომა ახლოვდებოდა და სიმონიც მთელი დღეები ვექილ ფლერის კანტორაში თუ პოლის სასტუმრო ოთახში ხალიჩაზე გეოგრაფიულ რუკებს ჩაჰკირკიტებდა. ამგვარად შეადგინა მან ორი მარშრუტი იტალიაში გასამგზავრებლად, სამი – ესპანეთისთვის და ახლა საბერძნეთისკენ გაუწია გულმა. პოლი უსიტყვოდ უგდებდა ყურს; დიდი-დიდი, ათი დღის შვებულებას თუ მოახერხებდა, თან ისეთი დაღლილი იყო, მოგზაურობაზე ფიქრიც კი აშინებდა. დიდი სიამოვნებით დაისვენებდა სადმე სოფელში, სადაც დღეები ერთმანეთს ემგვანებოდა. ერთი სიტყვით ისე, როგორც ბავშვობაში არდადეგებზე. მაგრამ სიმონის გაწბილებაც არ შეეძლო. მას უკვე თავი გამოცდილი მოგზაური ეგონა, ვაგონიდან ჩამოხტომისას პოლს რომ ხელს შეაშველებდა, ათი დღით ადრე შეკვეთილი მანქანისკენ გააქანებდა, ქალაქის საუკეთესო სასტუმროში დააბინავებდა და ყვავილებით მორთულ ოთახში შეიყვანდა (ყვავილებსაც წინასწარ დაუკვეთდა დეპეშით); ის კი ავიწყდებოდა, რომ დროზე წერილსაც ვერ წერდა და ბილეთსაც ბაქანზევე კარგავდა. სიმონი ოცნებობდა, მის ოცნებებს ბოლო არ უჩანდა და ყველა ეს ოცნება ისევ მიისწრაფოდა პოლისკენ, როგორც აბობოქრებული მდინარე მშვიდი ზღვისკენ. სიმონს არასოდეს ისე ლაღად არ უგრძვნია თავი, როგორც ამ ბოლო თვეებში; ყოველდღე ერთსა და იმავე კანტორაში იჯდა, ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ქალთან ატარებდა, ერთადერთი სურვილით, ერთადერთი საზრუნავითა და ერთადერთი სატანჯველით შეპყრობილი, რადგან პოლი დროდადრო თითქოს ხელიდან უსხლტებოდა, თვალს არიდებდა, სიმონის აღტყინებულ სიტყვებს მკრთალ ღიმილსღა აგებებდა. როჟეს ხსენებაზე ჯიუტად დუმდა. სიმონი ხშირად გრძნობდა, რა უაზროდ და უშედეგოდ

იბრძოდა. დრო კი არაფერს შველოდა. იგი როჟეზე მოგონებებს კი არ უნდა შებრძოლებოდა, არამედ ძირშივე მოეძირკვა ის, რაც პოლის სულში მტკივნეული ფესვივით ჩაბუდებულიყო. ზოგჯერ კიდეც ფიქრობდა, იქნებ სწორედ ამ სიჯიუტემ, ამ ტანჯვამ შეაყვარა პოლი და მის სიყვარულსაც ეს ასაზრდოებდა?! მაგრამ როგორც კი გაახსენდებოდა, პოლი მელოდება, ერთ საათში გულში ჩავიკრავო, როჟეს არსებობა მაშინვე ავიწყდებოდა. სჯეროდა, პოლს იგი უყვარდა, ყველაფერი ბედნიერების შუქით იყო განათებული. პოლსაც სწორედ ასეთი წუთები უყვარდა ყველაზე მეტად, რადგან სიმონი ამ წუთებში აიძულებდა მათი სიახლოვე სინამდვილედ ეცნო და ანგარიში გაეწია მისთვის. ეტყობა, ბოლოს და ბოლოს თავშეკავებაც გბეზრდება ადამიანს. მაგრამ როგორც კი მარტოდ დარჩებოდა, როგორც კი გაიფიქრებდა, როჟე უიმისოდ ცხოვრობდა, მომხდარი ამბავი დიდ შეცდომად მიაჩნდა და თავის თავს ეკითხებოდა, ასეთი რამ ჩვენ როგორ მოგვივიდაო. "ჩვენ" მუდამ როჟეს და პოლს გულისხმობდა. სიმონი კი "ის" იყო. მაგრამ როჟემ ხომ არაფერი იცოდა ამაზე. როცა ცხოვრება დაღლის, მოვა პოლთან, ბედზე შესჩივლებს და ალბათ შეეცდება პოლი დაიბრუნოს! ვინ იცის, იქნებ მართლაც დაიბრუნოს! სიმონი საბოლოოდ დამცირდება, პოლი კი მარტოდმარტო დარჩება ტელეფონის გაურკვეველი ზარისა და სავსებით გარკვეულ წვრილმან წყენათა მოლოდინში. და პოლსაც ერთბაშად აღაშფოთებდა საკუთარი ფატალიზმი, იმის შეგრძნება, რომ ეს ამბავი აუცდენელი იყო. აუცდენელი მის ცხოვრებაში მხოლოდ როჟე იყო.

და მაინც, ეს ხელს არ უშლიდა ყოფილიყო სიმონთან, მის მკლავებში მომწყვდეულს ნეტარების კვნესა აღმოხდენოდა, ზოგჯერ თვითონაც ჩახუტებოდა, ისე მოხვეოდა, როგორც მხოლოდ ბავშვს ან შმაგ საყვარელს ეხვევა ხოლმე ქალი, მოხვეოდა იმ მესაკუთრესავით, რომელსაც თვითონვე არ სჯერა, რომ ეს ბედნიერება მუდმივად გასტანს. ასეთ წუთებში პოლი გრძნობდა, რომ აღარ იყო ახალგაზრდა, რომ იგი აიტაცა სიყვარულის იმ დიდებულმა სურვილმა, რაიც მხოლოდ და მხოლოდ სიბერემ იცის. ჰოდა, ბრაზობდა საკუთარ თავზე, ბრაზობდა როჟეზე, რომელიც მის გვერდით არ იყო, რომელიც არც ცდილა სიმონი ჩამოეშორებინა მისთვის. როჟესთან პოლს გაორების გრძნობა არ აწვალებდა, იცოდა, რომ როჟე მისი მბრძანებელი იყო, თვითონ კი – როჟეს საკუთრება. როჟე ოდნავ თუ იყო მასზე ხნიერი, მათი სიახლოვე იმ ზნეობრივი თუ ესთეტიკური ნორმების შესაბამისი იყო, რასაც მისდა უნებურად ანგარიშს უწევდა თურმე. რაც შეეხება სიმონს, მას არასოდეს უგრძვნია თავი პოლის მბრძანებლად, ქვეშეცნეულად მუდამ პატარა ბავშვის როლს თამაშობდა, ის კი არ ესმოდა, რომ სწორედ ეს ღუპავდა; უსუსური ბავშვივით იძინებდა მეგობარი ქალის მხარზე, თითქოს მფარველობას სთხოვსო, ალიონზე წამოხტებოდა საუზმის მოსამზადებლად, ყოველ ნაბიჯზე რჩევას ეკითხებოდა. ყოველივე ეს თან გულს უჩუყებდა პოლს, თან ეჩოთირებოდა. ასე ეგონა, რაღაც არაბუნებრივს სჩადიოდა. სიმონი პატივსაც სცემდა პოლს: იგი უკვე მუშაობდა; ერთხელ ვერსალშიც კი წაიყვანა სასამართლო პროცესზე, სადაც პოლის გულის მოსაგებად ბრწყინვალე ახალგაზრდა ვექილის როლი გაითამაშა, ხელს ართმევდა ვიღაცებს, უღიმოდა ჟურნალისტებს და მაინც მთელი ყურადღება პოლისკენ ჰქონდა, თითქოს ის ყოფილიყოს მთელი მისი შთაგონების ღერძი. ერთბაშად სიტყვას შეწყვეტდა, პოლს გადახედავდა, თუ მიყურებსო. არა, სიმონი გულგრილი კაცის როლს არ თამაშობდა პოლის წინაშე. პოლიც თვალს არ აშორებდა, აღტაცებული, სმენადქცეული შესცქეროდა. მაგრამ როგორც კი სიმონი მიბრუნდებოდა, მაშინვე შეეცვლებოდა მზერა, სინაზე და სიამაყე

ჩაუდგებოდა თვალებში. ქალებიც თვალს ვერ სწყვეტდნენ სიმონს. პოლს სიამოვნებდა, რომ არსებობდა ადამიანი, ვინც მისთვის ცოცხლობდა. უკვე აღარ აწუხებდა ასაკობრივი განსხვავება, აღარ ეკითხებოდა თავის თავს, ათი წლის შემდეგ ეყვარები თუ არაო? რაღაც შინაგანი ხმა ჯიუტად უმტკიცებდა, ათი წლის შემდეგ ან მარტო იქნები, ან როჟესთანო. იგი ამაოდ ებრძოდა თავის გაორებულ გრძნობას და მეტი სინაზით ევსებოდა გული სიმონისადმი: "ჩემი მსხვერპლი, ჩემი საყვარელი მსხვერპლი, ჩემი პატარა სიმონი!" პირველად თავის სიცოცხლეში ტკბებოდა იმ შემზარავი სიხარულით – გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც სულ მალე უცილობლად დატანჯავ!

ეს "უცილობლობა" და მისი შედეგები შიშს ჰგვრიდა პოლს: ერთ მშვენიერ დღეს ხომ ჰკითხავდა სიმონი – დაჩაგრულს ჰქონდა ამის უფლება – "რატომ მამჯობინე როჟე? რითი მაჯობა მაგ გულგრილმა ხეპრემ, განა მე ყოველდღე არ გთავაზობდი ჩემს დიდ სიყვარულს?" როგორ აეხსნა სიმონისათვის, რას ნიშნავდა მისთვის როჟე; პოლი ვერ იტყოდა როჟეზე "ის", როჟე "ჩვენ" იყო ყოველთვის, თავისი და როჟეს ცხოვრების გათიშვა შეუძლებლად მიაჩნდა. რატომ? თვითონაც არ იცოდა. იქნებ იმიტომ, რომ მათი სიყვარულის შესანარჩუნებლად ამ ექვს წელიწადში იმდენი ტანჯვა გადაიტანა, იმდენი ძალა დახარჯა, რომ ბოლოს და ბოლოს ბედნიერებაზე ძვირფასი გახდა მისთვის?! ან იქნებ იმიტომ, რომ პოლი ამაყი იყო და ვერ შერიგებოდა იმ აზრს, ეს ტანჯვა ამაო იყოო. და რაკი ამდენი ტკივილი გადაიტანა, რაკი როჟე არჩია ამ ტანჯვა-წამებაში საწვრთნელად, ყოველივე ამან სიამაყე გაუათკეცა?! ასე იყო თუ ისე, როჟე მუდამ ხელიდან უსხლტებოდა და მასთან ჭიდილი პოლის ცხოვრების აზრი გამხდარიყო.

მაგრამ პოლი არ იყო ბრძოლისთვის გაჩენილი, ამას ზოგჯერ კიდეც ახსენებდა საკუთარ თავს, როცა სიმონს აბრეშუმივით თმაზე ეფერებოდა. მასაც ისევე სრიალ-სრიალით შეეძლო გაევლო ეს ცხოვრება, როგორც მისი ხელი დასრიალებდა სიმონის კულულებზე. ამასვე ეჩურჩულებოდა სიმონს. სანამ დაიძინებდნენ, ორივე დიდხანს იწვა სიბნელეში, ხელიხელჩაკიდებულნი, და ჩურჩულებდნენ. ზოგჯერ პოლს სულელური შეგრძნება იპყრობდა, ასე ეგონა, გვერდით სკოლის მეგობარი გოგო მიწევს, ორივენი თოთხმეტი წლისა ვართ და ზმანებებით სავსე ჩაბნელებულ საძინებელში ვჩურჩულებთო. სიმონი აღტაცებაში მოჰყავდა ამ იდუმალ აღსარებებს და თვითონაც ხმადაბლა ელაპარაკებოდა.

– ჰო, როგორ მოიქცეოდი?

– მარკთან, ჩემს ქმართან დავრჩებოდი. ბოლოს და ბოლოს იგი ძალიან სასიამოვნო და ფაქიზი ბუნების კაცი იყო... ძალიან მდიდარიც... მე კი მინდოდა მეცადა...

პოლს უნდოდა სიმონისათვის აეხსნა, როგორ მოხდა, რომ იმ დღიდან, რა დღიდანაც გადაწყვიტა იმ მძიმე, დამამცირებელ სამყაროში ამოეყო თავი, ქალის სამსახური რომ ჰქვია, სადაც გამუდმებული ფუსფუსი, ფულზე ზრუნვა გჭირდება, სადაც ხან ღიმილი და ხან დუმილი გმართებს, მისი ცხოვრება სულ სხვა კალაპოტით წარედინა. სიმონი უსმენდა და ამ მოგონებებში მხოლოდ ის აინტერესებდა, რასაც მათ სიყვარულთან ჰქონდა საერთო.

– მერე?

– მერე... ცოტა ხნის შემდეგ, მგონია, მარკს ვუღალატებდი, თუმცა არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ბავშვი მეყოლებოდა. ამისთვის კი ღირდა...

პოლი გაჩუმდა. სიმონი მოეხვია. მასაც უნდოდა პოლისგან შვილი, მას ყველაფერი უნდოდა. პოლს გაეცინა, ნაზად აკოცა თვალებზე და განაგრძო:

– ოცი წლისას სულ სხვაგვარად მეჩვენებოდა ყველაფერი. კარგად მახსოვს, როგორ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ბედნიერი ვყოფილიყავი.

დიახ, ეს კარგად ახსოვდა. ოცნებით შეპყრობილი დაეხეტებოდა ქუჩებში, პლაჟზე; დადიოდა და დადიოდა, ვიღაცას ან რაღაცას რომ გადაჰყროდა. ბედნიერებისაკენ ლტოლვა მასაც ისევე ფრთას ასხამდა, როგორც წინა სამ თაობას. დაბრკოლებებიც საკმაო შეხვდა, მაგრამ მაინც ეცოტავებოდა. ახლა კი უკვე აღარ ცდილობს რაიმე დაიპყროს, ახლა ცდილობს მხოლოდ შეინარჩუნოს, მრავალი წლით შეინარჩუნოს ის ხელობა, რომელიც აქვს, ის მამაკაცი, რომელიც ჰყავს, თუმცა ოცდაცხრამეტი წლის ქალს დიდი რწმენა არც ერთისა და არც მეორისა არ გააჩნდა!

სიმონი თვლემდა, პოლი კი ისევ ჩურჩულებდა: “გძინავს, ძვირფასო?” ეს ორი სიტყვა მაშინვე აფხიზლებდა სიმონს, ეუბნებოდა, არაო, მაგრად ეხუტებოდა სიბნელეში, საერთო სურნელით, საერთო სითბოთი გალაღებული და უჩვეულოდ ბედნიერი.

XVII

ოცდამეათე სიგარეტი ნამწვავებით სავსე საფერფლეში ჩააქრო. პირში უსიამოვნო გემო დარჩა, შეაჟრჟოლა და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, სასთუმალთან ლამპა აანთო. ღამის სამი საათია და აქამდე თვალი ვერ მოხუჭა. ფანჯარას სწრაფად ჰკრა ხელი და გააღო. ყინულივით ჰაერი ისე მძაფრად მოხვდა სახეში და მკერდზე, ფანჯარა მაშინვე მიხურა; შუბლი მინას მიადო, თითქოსდა სიცივის “დანახვა” სურსო. მაგრამ უკაცრიელი ქუჩის ცქერა მოსწყინდა. სარკეში საკუთარი თავი შეათვალიერა და მაშინვე თვალი მოარიდა. ცუდად გამოიყურებოდა. მაგიდიდან ისევ აიღო “გოლუაზის” კოლოფი, სიგარეტი ანგარიშმიუცემლად ჩაიდო პირში, მაგრამ იმწამსვე მაგიდაზე მიაგდო. აღარ მოსწონდა ეს უნებური მოძრაობები, მის თვალში რომ ოდესღაც ცხოვრების მთელ ეშხს წარმოადგენდა, აღარც მარტოხელა მამაკაცის ჩვევები მოსწონდა, აღარც თამბაქოს გემო; უნდა უმკურნალოს თავს, სულ მთლად მოეშვა. მართალია, პოლთან დაშორებას ნანობდა, მაგრამ განა ამან გახადა ავად? პოლს ახლა ალბათ სძინავს იმ განებივრებული ბიჭის მკლავებში და ყველაფერი გადაივიწყა. როჟესაც შეუძლია სახლიდან გავიდეს, ვინმე დედაკაცს გადაეყაროს და გამოთვრეს! პოლს ხომ სწორედ ასეთ ადამიანად მიაჩნდა! არა, პოლი სინამდვილეში პატივს არასოდეს სცემდა როჟეს, გაუთლელ, უხეშ მამაკაცად თვლიდა, თუმცა რაც კი სიკეთე ჰქონდა, როჟემ ყველაფერი პოლს მიუძღვნა; ყველა ქალი ერთნაირია: ყველაფერს შენგან წაიღებს, ყველაფერს თავისას მოგცემს, შეუმჩნევლად სრულ ნდობას ჩაგინერგავს, მერე კი რაღაც სისულელეს მოიმიზეზებს და მიგატოვებს. განა სისულელე არაა პოლისა და სიმონის დაახლოება, სხვა რა უნდა დაერქვას! ასეა თუ ისე, ის ბიჭი ახლა პოლს ეხვევა, მის უკან გადაგდებულ თავს

დაჰყურებს, მის ნაზ, ალერსს დამყოლ სხეულს დაჰყურებს... როჟე ერთბაშად შებრუნდა ოთახში, სიგარეტს მოუკიდა და ხარბად მოქაჩა; მერე ნამწვავები ბუხარში ჩაჰყარა; ცეცხლი უნდა დაანთოს! როდესაც პოლი მასთან მოდიოდა, შემოსვლისთანავე ბუხარს მიაშურებდა, ჩაცუცქდებოდა, მარჯვედ აწყობდა ნაფოტებს და ვიდრმე ცეცხლი არ აბრდღვიალდებოდა, არ ადგებოდა. მერე უკან დაიხევდა სიბნელეში და ოთახიც გამოცოცხლდებოდა, ვარდისფერი შუქით აივსებოდა, ჩრდილები ალიცლიცდებოდა. ამ წუთში როჟესთვის განსაკუთრებით სასურველი იყო პოლი და არც მალავდა. რამდენი ხანია პოლი არ მოსულა? ალბათ ორი თუ სამი წელი იქნება. ჩვეულებრივ როჟე დადიოდა მასთან: ასე უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის, იცოდა, პოლი მუდამ ელოდა.

საფერფლე ისევ ხელში ეჭირა. მერე დაუვარდა, იატაკზე გაგორდა, მაგრამ არ გატყდა. როჟეს კი რატომღაც უნდოდა გატეხილიყო, ხელში აღარ სჭეროდა ეს უსულგულო საგანი, უნდოდა ოთახი ნატეხებით, ნამსხვრევებით ავსებულიყო! მაგრამ საფერფლე არ გატყდა; საფერფლე მხოლოდ რომანებსა და კინოში ტყდება. აი, ძვირფასი ბროლი რომ ყოფილიყო, როგორიც პოლს ბლომად აქვს ბინაში, სხვა ამბავია. ამ ჩვეულებრივ, უნივერსალურ მაღაზიაში ნაყიდ საფერფლეს კი რა გატეხდა! რამდენი ლამაზი ნივთი გაუტეხა პოლს, მაგრამ მას ერთხელაც არ დასცდენია საყვედური, პირიქით, მუდამ გულიანად იცინოდა; უკანასკნელად ულამაზესი ბროლის ჭიქა დაუმსხვრია, შიგ ჩასხმული ვისკი უჩვეულო ოქროსფრად ლივლივებდა. სხვათა შორის, ყველაფერი ლამაზად გამოიყურებოდა იმ ბინაში, სადაც როჟე მასპინძლად და ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. იქ ყველაფერი ჰარმონიული, ფაქიზი და დამამშვიდებელი იყო. ასე ეგონა, მუდამ ძნელად შორდებოდა იქაურობას, მაშინაც კი, როცა პოლის სახლიდან სახეტიალოდ მიდიოდა ღამით. ახლა კი ზის მარტო შინ და ამაოდ ბრაზობს საფერფლეზე, რად არ დაიმსხვრაო. როჟე დაწვა, სინათლე ჩააქრო, ცალი ხელი მკერდზე დაიდო და სანამ ჩაეძინებოდა, საკუთარ თავს გამოუტყდა, უბედური ვარო.

XVIII

ერთ საღამოს რესტორნის კარებში შეეჩეხნენ ერთმანეთს; სამივემ ერთდროულად გაითამაშა პარიზული ბალეტისთვის ჩვეული ესოდენ კლასიკური და უაზრო სცენა: ქალი თავის დაკვრით მიესალმა მამაკაცს, ვის მკერდზეც არაერთხელ აღმოხდენია ოხვრა და კვნესა და არაერთხელ ჩასძინებია! მამაკაცი დაბნევით მიესალმა, ხოლო სიმონმა წამით თვალი თვალში გაუყარა და, დიდი სურვილის მიუხედავად, არ გაურტყამს. ისინი ერთმანეთის მოშორებით შემოუსხდნენ მაგიდებს. პოლმა ისე შეუკვეთა სადილი, თავი არ აუღია. რესტორნის პატრონისა და პოლის ზოგიერთი ნაცნობისთვის ეს გახლდათ ჩვეულებრივი სცენა. სიმონმა მტკიცედ მოითხოვა სასმელი. მეორე მაგიდასთან როჟე თავის თანამესუფრე ქალს ეკითხებოდა, რომელი კოქტეილი გირჩევნიათო. პოლმა, როგორც იქნა, თავი აიღო, სიმონს გაუღიმა და როჟესკენ გააპარა თვალი: მას კვლავაც უყვარს ეს კაცი! როგორც კი როჟე შესასვლელში დაინახა, მისთვის ჩვეული გაბღენძილი იერით მომავალი, უმალ ეს გაიფიქრა და ამ ფიქრმა მწარედ უჩხვლიტა გულში. იგი თითქოს ხანგრძლივი

ძილისგან გამოფხიზლდა. როჟემაც გახედა პოლს, შეეცადა გაეღიმა, მაგრამ წამსვე პირზე შეაცივდა ღიმილი.

– რას დალევთ? – ჰკითხა სიმონმა პოლს, – თეთრ ღვინოს?

– სიამოვნებით.

პოლი დაჰყურებდა საკუთარ ხელებს, ლამაზად გაშლილ სუფრას, სიმონის სახელოს თავის შიშველ მკლავთან. მან ერთბაშად გადაჰკრა ღვინო. სიმონი მისთვის ჩვეული გატაცებით ლაპარაკობდა, თითქოს რაღაცას ელოდა პოლისა და როჟესგან. მაინც რას? ნუთუ პოლს შეეძლო ამდგარიყო, სიმონისთვის პატიება ეთხოვა, მერე დარბაზი გადაესერა, როჟესთან მისულიყო და ეთქვა: "გეყოფა, შინ წავიდეთ!" არა, ასე არ ხდება. თუმცა მათ ასაკში გონივრული და რომანტიკული განა რა ხდება!

სადილის შემდეგ საცეკვაოდ წამოდგნენ. სიმონთან ცეკვისას პოლი თვალს არ აშორებდა როჟეს, რომელსაც წელზე ხელი მოეხვია სანდომიანი ქალისთვის და აცეკვებდა. როგორც ყოველთვის, როჟე ახლაც მოუქნელად დააბოტებდა. სიმონი კარგად ცეკვავდა, თვალმილული, მოქნილი და წერწეტა, თან ღიღინებდა და პოლიც სიამოვნებით აყოლებდა ფეხს. სწორედ ამ დროს მისი შიშველი მკლავი როჟეს ხელს შეეხო. პოლმა თვალები გაახილა. ერთმანეთს შეხედეს. "როჟე!", "პოლ!" – გაიფიქრა თითოეულმა, თავიანთ მეწყვილეთა მხრებს ამოფარებულებმა. ორკესტრი ნელა უკრავდა თითქმის ურიტმო მელოდიას. ათიოდე სანტიმეტრის დაშორებით უყურებდნენ ერთმანეთს, არც გაუღიმიათ, არც გამომეტყველება შეუცვლიათ, თითქოსდა არც იცნობდნენ ერთმანეთს. მერე ერთბაშად როჟემ ხელი მოაშორა შავგვრემანი ქალის წელს, პოლის მკლავს მიუახლოვა, ფრთხილად მოეფერა თითებზე და ისეთი ვედრება აღებეჭდა სახეზე, პოლმა თვალები დახუჭა. სიმონი შემოტრიალდა და მათაც ერთმანეთი თვალთაგან დაჰკარგეს.

იმ ღამით სიმონი არ გაიკარა, დაღლილობა მოიმიზეზა. არა, დაღლილი არ იყო. ლოგინში დიდხანს იწვა თვალღია, უკვე იცოდა, რაც მოხდებოდა, იცოდა, სხვა გამოსავალი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იწვა სიბნელეში ბედს მორჩილი და ყელში რაღაც უჭერდა. შუაღამისას წამოდგა, სასტუმრო ოთახში გავიდა, სადაც სიმონს დივანზე ეძინა. საწოლი ოთახიდან ირიბად შემოჭრილ შუქზე პოლი დასცქეროდა ჭაბუკს, უსმენდა მის სუნთქვას, ხედავდა სიმონის კისერზე გაჩენილ საყვარელ ფოსოს. დივანზე მის საკუთარ ახალგაზრდობას ეძინა. როგორც კი სიმონმა სინათლისკენ მოაბრუნა თავი და დაიკვნესა, პოლი მაშინვე გაერიდა, ვერ გაბედა დალაპარაკებოდა.

მეორე დილით როჟეს დეპეშა დახვდა კანტორაში: "უნდა გნახო. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. დამირეკე!" პოლმა დაურეკა. შეთანხმდნენ, საღამოს ექვს საათზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ ათი წუთის შემდეგ როჟე უკვე მასთან იყო. ეს ვეებერთელა კაცი დაბნეული იდგა ამ ქალთა სამფლობელოში. პოლი მიუახლოვდა, მერე სალონში გაიყვანა, სადაც დაწნული, ოქროცურვილი სკამები იდგა: კოშმარული ინტერიერი! მხოლოდ აქ შეათვალიერა როჟე. ჰო, ნამდვილად როჟე იყო. როჟემ ნაბიჯი გადადგა მისკენ, ორივე ხელი მხრებზე დაადო, ჩაახველა – მაშასადამე, ძალიან ღელავდა – და წაილუღლუღა:

– შენ არ იცი, რა უბედური ვიყავი!

– მეც! – პოლს საკუთარი ნათქვამი მოესმა, როჟეს მკერდს აეკრა და ატირდა. ამ ერთი სიტყვის გამო გულში პატიება შესთხოვა სიმონს.

როჟე ლოყით შეეხო მის თმას:

– სუ! სუ! ნუ ტირი, – უაზროდ იმეორებდა იგი.

– მე ვეცადე... – მობოდიშებით წამოიწყო პოლმა, – მე მართლა ვეცადე...

მერე მიხვდა, როჟესთვის კი არა, სიმონისთვის უნდა ეთქვა ეს სიტყვები, სულ დაიბნა. თურმე მუდამ ფხიზლად უნდა იყო, თურმე არ შეიძლება ერთსა და იმავე ადამიანს უთხრა ყველაფერი. სახეგაქვავებულს ისევ ჩამოსდიოდა ცრემლები. როჟე დუმდა.

– თქვი რამე! – ხმადაბლა შეევედრა პოლი.

– მე ისე მარტო ვიყავი! ბევრი ვიფიქრე. დაჯექი, აჰა, ჩემი ცხვირსახოცი, ახლავე ყველაფერს აგიხსნი!

და აუხსნა კიდეც. უთხრა, რომ ქალი არ შეიძლება მარტო დატოვო, რომ იგი დაუდევრად მოიქცა და რაც მოხდა, ყველაფერი მისი ბრალია. იგი არ ბრაზობს პოლის დაუფიქრებელ საქციელზე. ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. პოლი ეთანხმებოდა, “ჰო, ჰო, როჟე!” უნდოდა მთელი ხმით ეტირა და თან სიცილსაც ვერ იკავებდა. იყნოსავდა ესოდენ ნაცნობ სუნს, თამბაქოს სუნს და გრძნობდა, გადარჩა. გადარჩა და... დაიღუპა.

* * *

ათი დღის შემდეგ სიმონი უკანასკნელად იყო პოლის ბინაში.

– აი, ეს გავიწყდება! – უთხრა პოლმა.

და ორი ჰალსტუხი ისე გაუწოდა, არ შეუხედავს. გრძნობდა, ძალა თანდათან ეცლებოდა. მთელი ორი საათი ეხმარებოდა ბარგის ჩალაგებაში ამ შეყვარებულ, მოუწესრიგებელ ბიჭს. ყოველ კუთხეში სიმონის სანთებელა, სიმონის წიგნები, სიმონის ფეხსაცმელი ეყარა. სიმონს არაფერი უთქვამს. ვაჟკაცურად ეჭირა თავი, ამას თვითონვე გრძნობდა და ლამის სული ეხუთებოდა.

– კმარა! – თქვა ბოლოს, – დანარჩენი მეკარე ქალს ჩაუტანეთ.

პოლმა არაფერი უპასუხა. სიმონმა თვალი მოავლო იქაურობას. “უკანასკნელად! უკანასკნელად!” – შთააგონებდა თავის თავს, მაგრამ ვერაფერი გაეწყო, მთელი ტანი უცახცახებდა.

– მე არასოდეს დამავიწყდება... – თქვა პოლმა და ახედა.

– არც მე. მაგრამ საქმე ეს არ არის, ეს არ არის...

დააპირა მწუხარებისგან დაღრეჯილი სახე ქალისკენ მიებრუნებინა, მაგრამ წაბარბაცდა. პოლმა ორივე ხელი შეაშველა, კვლავაც მხარში ამოუდგა მწუხარებაში, ისევე როგორც ბედნიერებისას ედგა გვერდით. პოლს ლამის შეშურდა ასეთი მძაფრი, ასეთი ლამაზი მწუხარება, ასეთი დიდებული ტკივილი, რასაც თვითონვე ღარასოდეს განიცდიდა. სიმონი ერთბაშად მოწყდა პოლს და ისე გავარდა ოთახიდან, ბარგის წაღება არ გახსენებია. პოლი გამოეკიდა, მოაჯირზე გადაიხარა და ჩასძახა:

– სიმონ! სიმონ! – და თვითონაც არ იცოდა, რატომ დაუმატა: – სიმონ, მე უკვე დავბერდი... დავბერდი...

სიმონს არ გაუგონია. თვალებში ცრემლჩამდგარი ჩარბოდა კიბეზე. ჩარბოდა, როგორც ბედნიერი ადამიანი: იგი ოცდახუთი წლისა იყო. პოლმა წყნარად მიხურა კარი და ზურგით მიეყრდნო.

რვა საათზე ტელეფონის ზარი გაისმა. სანამ ყურმილს აიღებდა, უკვე იცოდა, რასაც გაიგონებდა.

– მაპატიე, – ეუბნებოდა როჟე, – საქმიან სადილზე მეჩქარება, გვიან მოვალ, თუკი, რა თქმა უნდა.

დასასრული.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.ChiaturaINFO.GE

ფრანსუაზ საგანი

სალამი, სევდავ!

წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში

თანამედროვე ფრანგი მწერალი ქალი, ფრანსუაზ საგანი (ფრანსუაზ კუარესი, 1935–2004) ორმოცდაათიან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. 18 წლისამ გამოაქვეყნა პირველი რომანი "სალამი, სევდავ!" (1954 წ.) და მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. ეს რომანი კრიტიკოსთა პრემიით დაჯილდოვდა. ფ. მორიაკმა ახალგაზრდა მწერალს "თვრამეტი წლის მშვენიერი მონსტრი" უწოდა.

ფ. საგანის კალამს ეკუთვნის რომანები: "გიყვართ ბრამსი?", "ღიმილის მაგვარი რამ", "ერთი თვის, ერთი წლის შემდეგ", "ცოტაოდენი მზის სხივი ცივ წყალში", ნოველების კრებული "აბრეშუმივით ნაზი შემოხედვა" და სხვ. მისი შემოქმედება უდიდესი ინტერესით აღიქვა თანამედროვე საზოგადოებამ.

1985 წელს ფრანსუაზ საგანს მიაკუთვნეს მონაკოს პრინცის პრემია.

მთარგმნელისაგან

სალამი, სევდავ!

მშვიდობით, სევდავ,

სალამი, სევდავ,

შენ აწერიხარ ჭერსაც, თვალებსაც,

რომლებიც მიყვარს, უბედურებაც

არა ხარ სულაც, რადგან ამქვეყნად

ყველაზე მწირი – ტუჩებიც კი შენ

გამჟღავნებენ

თავის ღიმილით.

სალამი, სევდავ, სიყვარულო

მშვიდთა სხეულთა

და ძლიერებავ თვით სიყვარულის.

ეგ სათნოება არის ურჩხული

უსხეულო, პირმშვენიერი და განხიბლული.*

პოლ ელუარი

ნაწილი პირველი

I

არ ვიცი, დავარქვა თუ არა სევდა – ეს მშვენიერი, ამაღლებული სახელი ამ უცნობ გრძნობას, თავისი სიმწარითა და სიტკბოთი უკვე რომ მიმორჩილებს. ეს იმდენად ყოვლისმომცველი, იმდენად თავკერძა გრძნობაა, თითქმის მრცხვენია მისი, რადგან სევდა მუდამ მოწიწებას იწვევდა ჩემში. წინათ არასოდეს განმიცდია ეს გრძნობა. სამაგიეროდ, მოწყენას, სინანულს, ხოლო იშვიათად სინდისის ქენჯნას, კარგად ვიცნობდი. დღეს კი ეს ნაზი, ამაფორიაქებელი რამ გრძნობა აბრეშუმივით მეხვევა გარს და სხვებისგან მაშორებს.

იმ ზაფხულს ჩვიდმეტი წელი შემისრულდა და ძალიან ბედნიერი ვიყავი. “სხვებისგან”-მეთქი რომ ვამბობ, მამაჩემსა და მის საყვარელს, ელზას ვგულისხმობ. მცდარი წარმოდგენა რომ არ შეგექმნათ, ჯობს, ახლავე გაგაცნოთ საქმის ვითარება: მამაჩემი ორმოცი წლის ასაკში თხუთმეტი წლის დაქვრივებული იყო. იგი ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე მამაკაცი გახლდათ. ამ ორი წლის წინ, როცა პანსიონიდან გამოვედი, მაშინვე მივხვდი, საყვარელი რომ ჰყავდა. მაგრამ ქალებს წელიწადში ორჯერ რომ იცვლიდა, ამის შეგუება გამიჭირდა! თუმცა მალე მისმა მომხიბვლელმა გარეგნობამ, ჩემთვის ახალმა, უზრუნველმა ცხოვრებამ, საკუთარმა მიდრეკილებებმა ამ აზრსაც შემაჩვიეს. მამა უდარდელი, საქმეში მარჯვე, ერთთავად ცნობისმოყვარე კაცი გახლდათ, ოღონდ ყველაფერი ადვილად ბეზრდებოდა; სამაგიეროდ, ქალებს ძალიან მოსწონდათ. მე მაშინვე გულით შემიყვარდა, რადგან ძალიან კეთილი, გულუხვი, მხიარული იყო და თანაც ძალიან ნაზად მეპყრობოდა. მასზე უკეთესი მეგობარი თუ უფრო საამური ადამიანი არავინ მეგულება. იმ ზაფხულის დამდეგს იმდენი თავაზიანობა გამოიჩინა, მკითხა, ელზამ (მისი მშვენიერი მიჯნური გახლდათ) ჩვენთან ერთად რომ დაისვენოს, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებაო. ისღა დამრჩენოდა, თანხმობა მიმეცა, რადგან ვიცოდი, უქალოდ ცხოვრება არ შეეძლო და თანაც ელზას ატანა სულაც არ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი. ელზა მაღალ-მაღალი, წითური ქალი გახლდათ, ნახევრად ფეხმსუბუქი, ნახევრად დემიმონდენი. შანზელიზეზე მასობრივ სცენებში მონაწილეობდა ბარებსა და სტუდიებში. სანდომიანი, უბრალო და უპრეტენზიო

ქალი იყო. ამას გარდა, მე და მამას ისე გვიხაროდა ქალაქიდან გასვლა, ასეთ უმნიშვნელო რამეზე დავა არც ღირდა.

მამამ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე სწორედ ისეთი დიდი, თეთრი, ლამაზი აგარაკი დაიქირავა, რაზედაც ივნისის ცხელი დღეების დადგომისთანავე ვოცნებობდით. აგარაკი განმარტოებით იდგა კონცხზე, ზღვას გადაჰყურებდა და, ფიჭვნარში ჩამალული, შარაგზიდან არც კი მოჩანდა. საცალფეხო ბილიკს მოწითალო კლდეებში მოქცეულ, ოქროსფერ ყურემდე ჩავყავდით, სადაც ზღვა ლივლივებდა.

პირველ ხანებში ზღაპარში გვეგონა თავი: სიცხისგან გათანგულნი საათობით ვიწექით ხოლმე ზღვის ნაპირას, ნელ-ნელა გვედებოდა ჯანსაღი ბრინჯაოსფერი – ელზას გამოკლებით... ელზას მზე კი არ ეკიდებოდა, კანი უწითლდებოდა, ექერცლებოდა და მხოლოდ საშინელ ტკივილს ჰგვრიდა. მამაჩემი დღენიადაგ რაღაც უცნაურ ვარჯიშს აკეთებდა ფეხებით, უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაეგდო ღიპი, ნელ-ნელა რომ ედებოდა და მის დონჟუანურ ჩვევებს სრულებით არ შეეფერებოდა. როგორც კი ირიჟრაჟებდა, მე უკვე წყალში ვიყავი, გრილ და გამჭვირვალე წყალში, ვყვინთავდი, ვფართხალებდი, ვცდილობდი პარიზის ჩრდილი და მტვერი ჩამომერეცხა. შემდეგ ქვიშაზე გავიშოტებოდი, მუჭით მოყვითალო, თბილ ქვიშას ვიღებდი და თითებში ვცრიდი. ვფიქრობდი, სილაც დროსავით გადის-მეთქი. ერთბაშად გამიელვებდა, ეს რა მოსწრებული აზრი გამომივიდა, რა სასიამოვნოა ასეთი მოსწრებული აზრები-მეთქი! ზაფხული იყო.

მეექვსე დღეს პირველად ვნახე სირილი. მჩატე აფრიანი ნავით მოჰყვებოდა ნაპირს. უცებ ნავი ჩვენს ყურესთან გადაუყირავდა. მივეშველე. სიცილ-ხარხარით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. შევიტყვე, რომ სახელად სირილი ერქვა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და არდადეგებს დედასთან ერთად ატარებს მეზობელ აგარაკზე. მისი შავგვრემანი სახე, გულღია, დინჯი, მზრუნველი კაცის იერით, ძალიან მომეწონა. მართალი გითხრათ, მუდამ გავურბოდი უნივერსიტეტის სტუდენტებს. უხეში, თავკერძა ხალხია და, რაც მთავარია, თავი მოაქვთ, ახალგაზრდები რომ არიან, ამაში დრამატული განცდის მიზეზს თუ მოწყენილობის საბაბს ხედავენ! ახალგაზრდებისკენ გული არ მიმიწევდა. ბევრად მერჩია მამაჩემის მეგობრები, ორმოცი წლის მამაკაცები, დათაფლული თავაზიანობით რომ მექცეოდნენ და მამობრივ სითბოსთან ერთად მიჯნურივით მესიყვარულებოდნენ. მაგრამ სირილი მომეწონა. მაღალი ტანისა იყო, ლამაზიც, ნდობის აღმძვრელი სილამაზისა. მე არ ვიზიარებდი მამაჩემის სიძულვილს ფიზიკური სიმახინჯისადმი. ამ სიძულვილის გამო ხომ მეტწილად ბრიყვთა საზოგადოებაში გვიხდებოდა ყოფნა! ეს კია, ულამაზო ადამიანებთან რატომღაც უხერხულად, უცხოდ ვგრძნობდი თავს; რაღაც სამარცხვინო ხეიბრობად მიმაჩნდა ის ფაქტი, რომ ეს ხალხი ბედს შერიგებოდა, სულ ერთია, არავის მოვეწონებითო. განა მოწონების სურვილს გარდა სხვა რამ მისწრაფება გვაქვს? დღემდე არ ვიცი, რა იმალება სხვისი მოხიბვლის ამ სურვილში: სიცოცხლის ჭარბი უნარი, ხელში ჩაგდებისკენ ლტოლვა თუ ფარული, შეუცნობელი მოთხოვნილება, საკუთარ თავში რწმენის განმტკიცებისა, საკუთარი თავის იმედისა?!

წასვლის წინ სირილმა შემომთავაზა, აფრიანი ნავის ტარებას გასწავლითო. შინ რომ დავბრუნდი სასადილოდ, სირილზე ფიქრმა ისე გამიტაცა, მამაჩემისა და ელზას საუბარში თითქმის არ ჩავრეულვარ. ეს კია, ბოლოს შევამჩნიე, მამა რატომღაც

ღელავდა. ნასადილევს, როგორც ყოველ საღამოს, ტერასაზე გავედით და სავარძელში მოვიკალათეთ. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. შევცქეროდი და ბუნდოვანი იმედი მესახებოდა გულში, იქნებ ვარსკვლავთცვენა დროზე ადრე დავინახო-მეთქი ცაზე. მაგრამ ჯერ მხოლოდ ივლისის პირველი დღეები იყო და ვარსკვლავები ადგილიდან არ იძვროდნენ. ტერასაზე დაყრილ ხრეშში ჭრიჭინები ხმიანობდნენ. სიცხითა და მთვარის შუქით გაბრუებულნი ათასობით ირეოდნენ ირგვლივ და მთელი ღამე მათი სასაცილო სერენადები გვესმოდა. ვიღაცამ მითხრა, ჭრიჭინი ფრთების ერთმანეთზე ხახუნით ჩნდებაო, მაგრამ მე ვამჯობინებდი მეფიქრა, ჭრიჭინებს ისევე სტიქიურად ამოსდით ყელიდან ეს სიმღერა, როგორც კატებს კნავილი მარტის თვეში. სამივენი კარგად ვგრძნობდით თავს. ოღონდ უბეში ჩაცვენილი სილა მიფრთხობდა ამ სასიამოვნო ბურანს.

უეცრად მამამ ჩაახველა, შეზლონგიდან წამოიწია და გვითხრა:

– სტუმრის ჩამოსვლა უნდა გაუწყოთ!

სასოწარკვეთილმა თვალები დავხუჭე. ასეც ვიცოდი. ისე მშვიდად ვცხოვრობდით აქამდე, ეს ნეტარება დიდხანს არ გაგრძელდებოდა!

– ჩქარა გვითხარით, ვინ ჩამოვა? – იყვირა სტუმართმოყვარე ელზამ.

– ანა ლარსენი, – თქვა მამამ და გადმომხედა.

გაკვირვებისგან ენა დამება და უსიტყვოდ მივაჩერდი.

– ასე ვუთხარი, როცა კოლექციები თავს მოგაბეზრებთ, ჩვენთან ჩამოდით-მეთქი. ჰოდა... ჩამოდის!

ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ანა ლარსენი საცოდავი დედაჩემის მეგობარი იყო და მამას იშვიათად ხვდებოდა. მიუხედავად ამისა, ორი წლის წინ პანსიონიდან რომ გამოვედი, მამაჩემს ისე მძიმე ტვირთად დავაწექი, არ იცოდა, რა ექნა, და ანას მიმართა. ანამ ერთ კვირაში დიდი გემოვნებით გამომაწყო და საზოგადოებაში თავის დაჭერაც მასწავლა. მაშინ ამ ქალს სულ თვალებში შევციცინებდი, მაგრამ ეს გატაცება თვითონვე მეტად მოხერხებულად გადამატანინა ერთ ჭაბუკზე. ამგვარად, პირველი კეკლუცობა და პირველი სიყვარულიც მისი წყალობით ვიგემე და დიდად მადლიერიც დავრჩი.

ორმოცდაორი წლის ასაკში ანა ლარსენი ძალიან მიმზიდველი, დახვეწილი ქალი გახლდათ და მის მშვენიერ, ამაყ, დაღლილ სახეს გულგრილი გამომეტყველება არასოდეს შორდებოდა. ამ გულგრილობის გარდა, ვერავითარ წუნს ვერ უპოვიდით. ყველასთან თავაზიანი, ოღონდ ძალიან უკარება იყო. მთელ მის გარეგნობაში ისეთი მტკიცე ნებისყოფა, ისეთი სულიერი სიმშვიდე იგრძნობოდა, უნებურად მოკრძალება გიპყრობდათ. თუმცა ქმარგაყრილი და თავისუფალი გახლდათ, ჭორის საბაბი არავისთვის მიუცია. სხვათა შორის, ნაცნობების საერთო წრე არ გვქონდა: იგი ზრდილ, ჭკვიან, დარბაისელ ხალხთან მეგობრობდა, ჩვენ კი – სიცოცხლესმოწყურებულ, ხმაურიან საზოგადოებასთან, მამაჩემი ლამაზ, მხიარულ ნაცნობებისგან რომ შეკრებდა ხოლმე. ჩემი აზრით, ანა ათვალწუნებით გვიყურებდა მე და მამაჩემს, რადგან ჩვენ მხოლოდ გართობასა და ქარაფშუტულ დროსტარებაზე

ვფიქრობდით, მას კი საშინლად სძულდა ყოველივე ზღვარგადასული. საგანგებოდ გამართულ სადილებზე თუ შევხვდებოდით ერთმანეთს, როცა ამას საერთო საქმე მოითხოვდა: ანა მოდელირებით იყო დაკავებული, მამაჩემი – რეკლამით. ამას გარდა, დედაჩემის ხსოვნა და ჩემი გულმოდგინებაც გვაკავშირებდა, რადგან, თუმცა მის წინაშე თავს შებოჭილად ვგრძნობდი, აღტაცებას მაინც ვერ ვფარავდი. ერთი სიტყვით, მის მოულოდნელ სტუმრობას დროულად ვერ ჩავთვლიდი, თუკი მხედველობაში არ მივიღებდი ელზას აქ ყოფნას და ანას აზრებს ჩემი აღზრდის თაობაზე.

ანას ვინაობის გამოსარკვევად ელზამ კითხვა კითხვაზე დააყარა მამაჩემს და, როცა ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა, დასაძინებლად წავიდა. მე და მამა მარტო დავრჩით. კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი მის ფეხებთან. იგი დაიხარა, ორივე ხელი მხრებზე დამადო და მითხრა:

– ასეთი გაკნაჭული რატომ ხარ, ჩემო ტკბილო გოგო? იცი, უპატრონო კატუნიას ჰგავხარ! მე კი მინდა, ლამაზი, ქერა გოგონა მყავდეს, ფუნჩულა, ფაიფურისთვალება და...

– რა დროს ეგაა! – ვუთხარი, – ანა ლარსენი რად დაპატიჟე? ან თავად რატომ დაგთანხმდა?

– აბა რა ვიცი? შენი ბეხრეკი მამის სანახავად თუ ჩამოდის!

– შენისთანა მამაკაცები ანას არ აინტერესებს! – ვთქვი მე, – მეტისმეტად ჭკვიანია და თავს პატივსაც სცემს. მერედა ელზა? ელზაზე თუ იფიქრე? შეგიძლია წარმოიდგინო, რაზე უნდა ისაუბრონ ანამ და ელზამ? პირადად მე, არ შემიძლია.

– ამაზე არც მიფიქრია, – აღიარა მამამ, – მართლაც საშინელება იქნება! სესილ, ჩემო საყვარელო გოგო, იქნებ პარიზს დავბრუნებულიყავით?!

ხმამაღლა იცინოდა და ხელს კეფაზე მითათუნებდა. მოვტრიალდი და შევხედე. მუქი თვალები უცნაურად უელავდა, თვალის კუთხეები სასაცილო, პაწია ნაოჭებით დაჰფარვოდა, ბაგეები ღიმილისაგან ოდნავ ასწეოდა. ნამდვილ ფავნს ჰგავდა. სიცილში მეც ავყევი. ასე ვიცოდით ხოლმე, როცა საქმეს თვითონვე გაართულებდა.

– უშენოდ რა მეშველებოდა, ჩემო თანამზრახველო?! – თქვა მან.

ეს სიტყვები ისე მტკიცედ, ნაზად წარმოთქვა, მივხვდი, უჩემოდ მართლაც უბედური იქნებოდა. გვიანობამდე ვისაუბრეთ სიყვარულზე და მის სირთულეებზე. მამაჩემის აზრით, ყველაფერი მოჩვენებითი იყო. დაბეჯითებით უარყოფდა ერთგულების, სერიოზული დამოკიდებულების, რაიმე მოვალეობის ცნებებს. მიხსნიდა, ყველა ეს ცნება ამაო და პირობითიაო. სხვისგან რომ ასეთი რამ მომესმინა, ალბათ მეჩოთირებოდა. მაგრამ ვიცოდი, მიუხედავად ამ აზრებისა, მამა მაინც მოსიყვარულე, ერთგული იყო, მისდა უნებურად ადვილად ემორჩილებოდა სწორედ იმ გრძნობებს, რასაც წარმავლად თვლიდა. მისი შეხედულებები ძალიან მომწონდა: ნაჩქარევი, მძაფრი, წუთიერი სიყვარული! მე ჯერ კიდევ არ ვიყავი იმ ასაკში, როცა ადამიანმა იცის ერთგულების ფასი. არც სიყვარულისა გამეგებოდა ბევრი რამ: ჯერჯერობით პაემანი, კოცნა და სწრაფი მოყირჭება გამომეცადა მხოლოდ.

II

ანა ერთი კვირის შემდეგ უნდა ჩამოსულიყო. მეც ვსარგებლობდი ნამდვილი არდადეგების უკანასკნელი დღეებით. აგარაკი ორი თვით გვქონდა ნაქირავები, მაგრამ ვიცოდი, როგორც კი ანა ჩამოვიდოდა, ჩვენს ნებაზე ვეღარ დავისვენებდით. იგი ყველაფერს თავისებურად განსაზღვრავდა, ყოველ სიტყვას ისეთ მნიშვნელობას მიაწერდა, რისი გაგებაც მე და მამაჩემს გვიჭირდა. გემოვნებასა და წესიერებას მკაცრი ნორმებით უდგებოდა და მის უეცარ გულჩათხრობილობაში, შეურაცხმყოფელ გაყუჩებასა და მწარე გამოთქმებში ეს იგრძნობოდა კიდეც. მართალი გითხრათ, მისი საქციელი გამაღიზიანებელიც იყო, დამქანცველიც და დამამცირებელიც, რადგან ვგრძნობდი, ანა მუდამ მართალი იყო.

გადავწყვიტეთ, მისი ჩამოსვლის დღეს ფრეიჟიუს სადგურზე ელზა და მამა დახვედროდნენ ანას. მე გადაჭრით ვთქვი უარი ამ ექსპედიციაში მონაწილეობაზე. იმედგაცრუებულმა მამაჩემმა, რაც კი ხმალა იყო ბაღში, სულ დაკრიფა, რათა ანასთვის მიერთმია მატარებლიდან ჩამოსვლისას. მე ესღა ვურჩიე, თაიგულს ელზას ნუ დააჭერინებ-მეთქი.

სამ საათზე პლაჟზე ჩავედი. საშინლად ცხელოდა. ქვიშაზე გავწექი, ჩავთვლიმე, მაგრამ მალე სირილის ხმამ გამომაფხიზლა. თვალი გავახილე. ცა სიცხისგან გადათეთრებულიყო. სირილისთვის პასუხი არ გამიცია, არავისთან ლაპარაკის თავი არ მქონდა: მკლავებდამძიმებული, პირგამშრალი ვიწექი, გავარვარებულ ზაფხულს თითქოს მთელი ძალით მივეკარი ქვიშას.

– ცოცხალი ხართ? – მკითხა სირილმა, – შორიდან რომ დაგინახეთ, ნაპირზე გამორიყული ნაფოტი მეგონეთ...

უნებურად მხარზე მომხვდა მისი ხელი და გული ამიჩქროლდა. მთელი კვირის განმავლობაში, ჩემი ნაოსნობის ბრწყინვალე მანევრების წყალობით, ათჯერ მაინც გადავყირავდით წყალში ერთმანეთს მიკრულნი, მაგრამ სულაც არ ავღელვებულვარ. დღეს კი აუტანელი სიცხე, ბურანი, მოუქნელი შეხება საკმარისი გახდა იმისთვის, რომ მთელ სხეულში ტკბილად ჩამღვენთოდა რაღაც. სირილისკენ მივაბრუნე თავი. მიყურებდა. ცოტათი უკვე ვიცნობდი მის ბუნებას: თავშეკავებული და უფრო მეტად სპეტაკი იყო, ვიდრე მისი ასაკის ახალგაზრდები არიან ხოლმე. ამიტომაც ჩვენი ცხოვრება, ჩვენი უჩვეულო ოჯახური სამეული ეჩოთირებოდა. იმდენად კეთილი ან იქნებ იმდენად მოკრძალებული იყო, ამაზე ხმა არ ამოუღია, მაგრამ მამაჩემს ისე გამკილავად, ისე ალმაცერად გადახედავდა ხოლმე, ყოველივეს ადვილად ვხვდებოდი. როგორ ეწადა ამ ამბავს ავეფორიაქებინე, იმ წუთში მე მხოლოდ სირილის გამოხედვა და საკუთარი გულის ჩქროლვა მაღელვებდა. ჩემკენ დაიხარა. უნებურად გასული კვირის დღეები გამახსენდა, მის ახლოს გატარებული მშვიდი წუთები და ამ მსხვილი ტუჩების მოახლოება არ მესიამოვნა.

– სირილ, რა ბედნიერები ვიყავით... – წამოვიწყე.

ფრთხილად მაკოცა. ცას ავხედე. შემდეგ კი, მოხუჭული ქუთუთოებიდან ავარდნილი წითელი სხივების გარდა, აღარაფერი დამინახავს. სიცხე, გაბრუება, პირველი კოცნის გემო, ოხვრა დიდხანს გაგრძელდა. მანქანის საყვირის ხმამ ქურდებივით გაგვყარა. სირილი უსიტყვოდ მივატოვე და შინისკენ გავუყევი გზას.

მიკვირდა, ასე მალე რატომ დაბრუნდნენ-მეთქი. ანას მატარებელი ჯერაც არ უნდა ყოფილიყო მოსული. მიუხედავად ამისა, ანა ტერასაზე დამხვდა. საკუთარი მანქანით ჩამოსულიყო.

– მძინარე მზეთუნახავის სახლსა ჰგავს თქვენი აგარაკი! – თქვა მან, – როგორ გაშავებულხართ, სესილ! ძალიან მიხარია თქვენი ნახვა.

– მეც. კი მაგრამ, განა პარიზიდან არ ჩამოხვედით?

– მანქანით ვამჯობინე წამოსვლა. ძალიან კი დავიღალე...

მისთვის განკუთვნილ ოთახში ავიყვანე, ფანჯარა გავაღე, იმედი მქონდა სირილის ნავს დავინახავ-მეთქი, მაგრამ წასულიყო. ანა საწოლზე ჩამოჯდა. შევამჩნიე, თვალის უპეები ოდნავ ჩამუქებოდა.

– რა ლამაზი აგარაკია! – ამოიოხრა მან, – ოჯახის უფროსი სად ბრძანდება?

– მამა და ელზა სადგურზე წამოვიდნენ თქვენს დასახვედრად.

ანას ჩემოდანი სკამზე დავდგი. როცა მოვბრუნდი, გული შემეკუმშა. ანას ერთბაშად შეცვლოდა სახე, ბაგეები უთრთოდა.

– ელზა მაკენბური? განა ელზა მაკენბური აქ ჩამოიყვანა?

ვერაფერი ვუპასუხე. გაოგნებული შევცქეროდი. მისი მუდამ მშვიდი, აუღელვებელი სახე ახლა თითქოს ერთბაშად გაშიშვლდა ჩემ წინაშე და ათასი თავსატეხი გამიჩინა... ანა მომშტერებოდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, მხოლოდ იმათ ხედავდა, ვინც ეს-ესაა ვუხსენე. ბოლოს, როგორც იქნა, მეც შემამჩნია და პირი იბრუნა.

– უნდა გამეფრთხილებინეთ, – თქვა მან, – მაგრამ ისე მეჩქარებოდა წამოსვლა, ისე დაღლილი ვიყავი...

– ახლა... – ჩემდა უნებურად წამოვიწყე.

– ახლა რა? – მკითხა.

ისე გამომწვევად, ისე ამრეზით მიყურებდა, თითქოს მეკითხებოდა, განა ისეთი რა მოხდაო.

– ახლა... აქა ხართ! – ხელების ფშვნეტით დავასრულე ბრიყვულად, – იცით, ძალიან მიხარია, აქ რომ გხედავთ. ქვევით დაგიცდით. თუ მოგწყურდათ, დიდებული ბარი გვაქვს.

უაზროდ ვბუტბუტებდი, მერე აფორიაქებული ჩავუყევი კიბეს. რატომ გაუხდა ასეთი სახე, რას ნიშნავს ეს ჩამწყდარი ხმა, უეცარი მოდუნება? შეზლონგზე ჩამოვჯექი, თვალები დავხუჭე, ვცდილობდი, მომეგონებინა ანას ადრინდელი, მკაცრი, მშვიდი გამომეტყველება, მუდამ ირონიული, ძალდაუტანებელი, გოროზი. ახლა კი ამ დაკოდილი სახის ნახვამ კიდეც ამაფორიაქა და კიდეც გამაბრაზა. მამაჩემი ხომ არ უყვარს? ნუთუ ეს შესაძლებელია? მამა სულ არ შეესაბამება მის გემოვნებას. მამაჩემი სუსტი, თავქარიანი, ზოგჯერ უნებისყოფო ადამიანია. იქნებ მგზავრობამ მოქანცა, ან იქნებ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი? მთელი საათი ამ ფიქრში გავატარე.

ხუთ საათზე მამა და ელზა დაბრუნდნენ. ვუყურებდი, როგორ გადმოდიოდა მანქანიდან მამა, ვცდილობდი, გამომეცნო, შეიძლებოდა თუ არა ანას შეჰყვარებოდა! სწრაფად წამოვიდა ჩემკენ, თავი უკან გადაეგდო. იღიმებოდა. ერთბაშად გავიფიქრე, ადვილი შესაძლებელია, ანას შეუყვარდეს-მეთქი!

– ანა ვაგონში ვერ ვნახეთ, – შორიდანვე დამიყვირა, – იმედია, მატარებლიდან არ გადახტებოდა.

– ანა თავის ოთახშია. მანქანით ჩამოვიდა.

– მართლა? ჩინებულია! შეგიძლია თაიგული აუტანო.

– როგორ, ყვავილებიც მომიტანეთ? – გაისმა ანას ხმა, – რა გულისხმიერი ხართ!

იგი ლაღად ჩამოდიოდა კიბეზე. ღიმილით შეეგება მამას. კაბაზე ერთ ნაკეცსაც ვერ შეამჩნევდით, თითქოს ახლახან გაეუთოებინოს. ნაღვლიანად გავიფიქრე, ანა მხოლოდ მაშინ გამოვიდა ოთახიდან, როცა მანქანის ხმა გაიგონა. თუმცა შეეძლო, უფრო ადრე გამოსულიყო და ჩემთან ესაუბრა... თუნდაც გამოცდებზე, რომელიც, სხვათა შორის, ვერ ჩავაბარე!.. ამ აზრმა დამამშვიდა.

მამა მისკენ გაეშურა და ხელზე აკოცა.

– მთელი თხუთმეტი წუთი ვიდექი სადგურის ბაქანზე თაიგულით ხელში და სულელივით ვიღიმებოდი. მადლობა ღმერთს, უკვე აქა ხართ! ელზა მაკენბურს ხომ იცნობთ?

თვალი ავარიდე.

– თუ არ ვცდები, ერთმანეთს შევხვედრივართ! – მომესმა ანას თავაზიანი ხმა, – რა მშვენიერი ოთახი შეგირჩევიათ ჩემთვის! რა კეთილი ხარ, რეიმონ, რომ დამპატიჟეთ... ისე დაღლილი ვიყავი...

მამა ფუსფუსებდა. მის თვალებში ვერავითარ ღელვას ვერ ამოიკითხავდით. თან ლაპარაკობდა, თან ბოთლებს ხსნიდა. მე კი ხან სირილის ვნებიან სახეს ვიხსენებდი, ხან ანას გამომეტყველებას, სულიერი ტანჯვით შეცვლილ ამ ორ სახეს და ვფიქრობდი, გამართლდებოდა თუ არა მამაჩემის წინასწარმეტყველება, შესანიშნავად დავისვენებთო, რომ თქვა.

პირველმა სადილმა მხიარულად ჩაიარა. ანამ და მამამ საერთო ნაცნობები გაიხსენეს, მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტად კოლორიტული. მე სიამოვნებით ვუგდებდი ყურს. როცა მამაჩემის კომპანიონს ანამ მიკროკეფალი უწოდა, არ მომეწონა. იგი ბევრს კი სვამდა, მაგრამ სასიამოვნო მოსაუბრე იყო. მე და მამას არაერთხელ გვისადილია მხიარულად მასთან ერთად.

– ლომბარი იქნებ უცნაურია, ანა, მაგრამ შეუძლებელია მასთან ყოფნა მოგწყინდეთ! – შევეკამათე მე.

– დამეთანხმეთ, მაინც გონებაშეზღუდული კაცია და მისი იუმორიც...

– შეიძლება დიდი ინტელექტის პატრონი არ იყოს, მაგრამ...

– რასაც თქვენ დიდ ინტელექტს უწოდებთ, ასაკის წყალობაა, – ლმობიერად შემაწყვეტინა მაშინვე.

ამ ამომწურავმა განსაზღვრამ მომხიბლა.

ზოგი ფრაზა ფაქიზ, ინტელექტუალურ ბურუსში მახვევს ხოლმე და თუნდაც სრულად ვერ ჩავწვდე მის აზრს, მაინც მიმორჩილებს. ახლა კი ანას ფრაზამ სურვილი აღმიძრა, ფანქარი და ქაღალდი ამეღო ხელში და ჩამეწერა. ეს სურვილი ანას გავუზიარე.

მამაჩემს სიცილი წასკდა.

– კიდევ კარგი, ღვარძლიანი არა ხარ!

არც შეიძლებოდა ვყოფილიყავი, რადგან ანა სულაც არ გახლდათ ბოროტი. მის გულგრილობას აშკარად ვგრძნობდი, სამაგიეროდ, მის მსჯელობებს სიავის ნატამალი არ გააჩნდა, ოღონდ ესაა, ძალიან გატკენდათ გულს.

ამ პირველ საღამოს ანამ თითქოს ვერ შეამჩნია ელზას უნებური თუ ნებსითი დაბნეულობა, როცა პირდაპირ მამაჩემის ოთახში შევიდა.

ანამ ნაქსოვი მაისურა ჩამომიტანა თავისი კოლექციიდან, მაგრამ მადლობის თქმა არ მაცალა, მადლიერების გამოხატვა ნერვებს უშლიდა და რაკი არც მე მეხერხებოდა აღფრთოვანების გამომჟღავნება, თავი აღარ შემიწუხებია.

– სასიამოვნო ქალია ეს ელზა! – თქვა მან, ვიდრე ოთახიდან გავიდოდა.

თვალი თვალში გამიყარა. არ იღიმებოდა, ეტყობა, უნდოდა ჩემს სახეზე ისეთი რამ ამოეკითხა, რის გაქარწყლებასაც ცდილობდა. ალბათ, მისი დილანდელი თავშეუკავებლობა უნდა დამევიწყებინა!

– დიახ, დიახ... მშვენიერი... ჰმ... ქალიშვილია... ძალიან სიმპათიური.

ენა მებმოდა. სიცილი აუტყდა. მეტისმეტად აფორიაქებული წავედი დასაძინებლად. სირილზე ფიქრში ჩამეძინა: ალბათ გოგოებთან ცეკვავს-მეთქი კანში!

ვგრძნობ, მავიწყდება, იძულებული ვარ დავივიწყო მთავარი: ზღვა, მისი განუწყვეტელი, რიტმული გუგუნი, მზე; არც პროვინციული პანსიონის ეზოში დარგული ოთხი ცაცხვი მაგონდება, არც მათი სურნელება, არც ორი წლის წინ სადგურის ბაქანზე მდგარი მამაჩემი, როცა პანსიონიდან გამოსულს უხერხული ღიმილი შემომაგება, რადგან იმ ხანებში ნაწნავებს ვატარებდი და ძალიან უშნო, მუქი, თითქმის შავი კაბა მეცვა. შემდეგ მანქანაში ერთბაშად გამხიარულდა, თითქოს გამარჯვების ნაღარას სცემსო, ალბათ მიხვდა, თვალებითა და ტუჩებით მას ვგავდი და ძვირფასი, უჩვეულო სათამაშო ვიქნებოდი მისთვის. მე ხომ ჯერ არაფერი გამეგებოდა; იგი პარიზს გამაცნობდა, ფუფუნებას, ადვილ ცხოვრებას შემაჩვევდა! ჩემი აზრით, ფულს უნდა ვუმადლოდე ყველა იმ სიამოვნებას, მაშინ რომ მივიღე: მანქანით თავაწყვეტილი სეირნობა, ახალი კაბები, ფირფიტები, წიგნები, ყვავილები. დღესაც არ მრცხვენია იმ ქარაფშუტული დროსტარებისა. სხვათა შორის, ქარაფშუტულს იმიტომ ვუწოდებ, რომ ჩემ ირგვლივ ყველა ამ სახელით მოიხსენიებდა. სამაგიეროდ, სიამოვნებით დავთმობდი, ადვილად ვიტყოდი უარს ჩემს დარდებზე ან ჩემს მისტიკურ განწყობაზე! ჩემი ხასიათის ერთადერთი ლოგიკური მხარე სწორედ სიამოვნებისადმი, ბედნიერებისადმი ლტოლვა გახლავთ! იქნებ საკმაოდ ნაკითხი არ ვიყავი? პანსიონში მხოლოდ ჭკუის დამრიგებლურ წიგნებს გვაკითხებდნენ. პარიზში კითხვის დრო არ მქონდა: როგორც კი ლექციები დაგვიმთავრდებოდა, ამხანაგები მაშინვე კინოში მიმათრევდნენ. ძალიან უკვირდათ, მსახიობთა გვარები რომ არ ვიცოდი. ზოგჯერ კაფეების წინ ვისხედით, მზის გულზე. დიდ სიამოვნებას მგვრიდა იქ ყოფნა: ირგვლივ ხალხი ირეოდა, ნელ-ნელა შევექცეოდით ღვინოს, მერე ვინმე თვალს თვალში გამიყრიდა, ხელს მომიჭერდა, ხალხის ტალღას მომაშორებდა, ქუჩა-ქუჩა დავყავდი; სახლთან რომ მივიდოდით, სადარბაზოში მიმიმწყვდევდა და მკოცნიდა. კოცნის სიტკბოსაც მაშინ გავუგე გემო. ამ მოგონებებს სახელს არ ვარქმევ – ჟანი, ჰუბერტი, ჟაკი... ეს სახელები საერთოა ყველა ქალიშვილისთვის. საღამოობით ხანდაზმული ქალივით დავდინჯდებოდი, მამას მივყვებოდი სტუმრად, სადაც არაფერი საქმე არ მქონდა, და სადაც ის ჭრელი საზოგადოება იკრიბებოდა, მეც რომ მართობდნენ და თვითონაც ჩემი ახალგაზრდობით ერთობოდნენ. შინ დაბრუნებისას მამა სახლთან გადმომსვამდა მანქანიდან და თვითონ რომელიმე მეგობარი ქალის გასაცილებლად მიდიოდა. შინ როდის ბრუნდებოდა, ვერ ვგებულობდი.

არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს მამა ტრაბახობდა თავისი სასიყვარულო ამბებით. უბრალოდ, მათ არსებობას არ მიმალავდა, უფრო ზუსტად, ცდილობდა, ყალბი და რაღაც საკადრისი საბაბი არ გამოეძებნა ზოგიერთი მისი მეგობარი ქალის ჩვენთან სტუმრობის ან ჩვენს ბინაში – საბედნიეროდ დროებით – ჩამოსახლების ასახსნელად. სულ ერთია, დიდი ხნით მაინც არ დამიმალავდა, რა ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს "სტუმრებთან". ეტყობა, ჩემი ნდობის დაკარგვაც არ უნდოდა. შესანიშნავი წინდახედულება გახლავთ!... მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ ილუზიასმოკლებული ცინიზმი შთამაგონა სიყვარულზე, ხოლო ჩემი ასაკისა და გამოუცდელობის გამო, ასე მეგონა, სიყვარული ბედნიერების მომნიჭებელი კია, მაგრამ ღრმა კვალს მაინც არ ტოვებს-მეთქი. ძალიან ხშირად, თანაც სიამოვნებით, ვიმეორებდი მოსწრებულ ფრაზებს. მათ შორის ოსკარ უაილდის ერთი ნაკვესი მომწონდა: "თანამედროვე ცხოვრების ტილოზე მხოლოდ ცოდვაა შერჩენილი მჭახე ფერთაგან". ეს სიტყვები ისე შევისისხლხორცე, და მგონი, ისე ჩემეულად ვირწმუნე, თითქოს ცხოვრებაშიც გამომეყენებინოს. მიმაჩნდა, ჩემი ცხოვრებაც ამ დევიზით

უნდა ამეგო, ამ ფრაზით უნდა ყოფილიყო შთაგონებული, რომელიღაც სურათის უნიათო მიბაძვა უნდა ყოფილიყო. არაფრად ვაგდებდი არსებობის არარაობას, მის ცვალებადობას, ყოველდღიურ კეთილ შეგრძნებებს. სულმდაბლობითა და სისაძაგლით სავსე ცხოვრებაღა მესახებოდა იდეალურად.

III

მეორე დილით მზის ირიბმა, მწველმა სხივმა, ჩემს საწოლს რომ დაჰფენოდა, უცნაური, არეული სიზმრებიდან გამომარკვია. რაკი ჯერ ისევ ბურანში ვიყავი, ვცდილობდი, მცხუნვარე მზის აბეზარი ათინათი ხელით მომეშორებინა სახიდან, მაგრამ მერე თავი მივანებე. ათი საათი იყო. პიჟამით გავედი ტერასაზე. იქ ანა დამხვდა; გაზეთებს ათვალიერებდა. შევამჩნიე, კრემის თხელი ფენა ლამაზად ედო სახეზე. ყურადღება არ მოუქცევია; ფინჯანი ყავა და ფორთოხალი ავიღე, კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი და დილის ნეტარებას მივეცი თავი; ფორთოხალს ვკბეჩდი, ტკბილი წვენი პირში მეწვეთებოდა, მაშინვე ცხელ, შავ ყავას ვაყოლებდი, მერე ისევ ხილის წვენით ვიგრილებდი პირს. მზე თმას მიხურებდა, წოლისგან გაჩენილ ნაოჭებს მისწორებდა კანზე. ხუთი წუთის შემდეგ საბანაოდ მივდიოდი.

ანას ხმამ შემაკრთო:

– სესილ, რატომ არაფერს ჭამთ?

– დილით ყავა მირჩევნია, რადგან...

– თუ გინდათ, ადამიანური იერი გქონდეთ, სამი კილო მაინც უნდა მოიმატოთ. ყბები ჩაცვენილი გაქვთ, ხოლო ფერდებზე ნეკნებს დაითვლის კაცი. წადით, ბუტერბროდი მოიტანეთ!

შევეედრე, ბუტერბროდს ნუ დამაძალებთ-მეთქი. ის-ის იყო, უნდა დაემტკიცებინა, რა აუცილებელია ეს ჩემთვის, რომ მამაჩემიც გამოჩნდა; საუცხოო წინწკლებიანი ხალათი ეცვა.

– რა შესანიშნავი სანახაობაა! – თქვა მან, – ორი შავგვრემანი გოგონა მზის გულზე ზის და ბუტერბროდზე საუბრობს!

– ვაი რომ, აქ მხოლოდ ერთი გოგონაა! – გაეცინა ანას, – მე თქვენი კბილა ვარ, ჩემო საბრალო რეიმონ.

მამა დაიხარა და ანას ხელს დასწვდა:

– რა ენაკვიმატი ხართ! – ნაზად უსაყვედურა მან.

შევამჩნიე, ანამ ისე დაახამხამა ქუთუთოები, თითქოს მოულოდნელად აკოცესო.

შემთხვევით ვისარგებლე და გავიქეცი. კიბეზე ელზას შევეფეთე. ეტყობა, ის წუთია ამდგარიყო. თვალები დასიებოდა, მზისგან გაწითლებულ სახეზე ბაგეები უფერული უჩანდა. კინაღამ შევაჩერე და ვუთხარი, ანა ქვემოთ ზის, პირის კანი მოვლილი და გაკრიალებული აქვს, მალე მასაც მოეკიდება მზე, ოღონდ ზომიერად, ყოველგვარი აფორაჯების გარეშე-მეთქი. ერთი სიტყვით, მინდოდა გამეფრთხილებინა, მაგრამ გადავიფიქრე, ვაითუ ცუდად გამიგოს-მეთქი.

საბანაო კოსტიუმს ხელი დავტაცე და ყურეს მივაშურე. როგორ გამიკვირდა, სირილი უკვე იქ რომ დამხვდა თავისი ნავით. დინჯად შემომეგება და ხელი მომკიდა.

– გუშინდელი ჩემი საქციელისთვის უნდა მოგიბოდიშოთ! – მითხრა მან.

– მე თვითონა ვარ დამნაშავე.

არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობდი, ამიტომ უფრო გამაოცა მისმა საზეიმო იერმა.

– ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია... – წამოიწყო ხელახლა და ნავი ზღვაში შეაცურა.

– ამაოდ ირჯებით! – ლაღად ვუთხარი მე.

– როგორ გეკადრებათ!

მე უკვე ნავში ვიჯექი. სირილი მუხლებამდე იდგა წყალში და ნავის ცხვირს ისე დაყრდნობოდა, თითქოს სასამართლოს კათედრაზე დგასო. მივხვდი, მანამ არ ჩაჯდებოდა ნავში, სანამ ბოლომდე არ იტყოდა სათქმელს. მეც დაძაბული ვუსმენდი. მისი სახე უკვე კარგად მქონდა შესწავლილი და ამიტომაც ადვილად ვხვდებოდი ყველაფერს. გავიფიქრე, იგი ოცდახუთი წლისაა, ალბათ გოგოს შემცდენელად წარმოუდგენია-მეთქი თავი, და სიცილი წამსკდა:

– ნუ იცინით! – მითხრა სირილმა, – იცით, გუშინ საღამოს სასტიკად გავბრაზდი ჩემს თავზე. თქვენ ხომ უმწეო გოგონა ხართ... მამათქვენი, ის ქალი... ვერაფერი სახარბიელო მაგალითია... უკანასკნელი არამზადაც რომ ვყოფილიყავი, ალბათ მაინც მენდობოდით... შეგეძლოთ გეფიქრათ...

დაცინვა აღარ შეიძლებოდა. ვგრძნობდი, მეტად კეთილი ყმაწვილი იყო და შემიყვარებდა კიდეც... მეც სიამოვნებით შევიყვარებდი... ხელები კისერზე მოვხვიე, ლოყა ლოყაზე მივადე. მთელი ტანით ვიგრძენი, რა მკვრივი სხეული ჰქონდა, რა მხარბეჭიანი იყო...

– რა კარგი ხართ, სირილ! – წავჩურჩულე, – თქვენ ჩემი ძმობილი იქნებით.

ერთი კი ამოიყვირა გაბრაზებით, მკლავები მომხვია და ნავიდან ფრთხილად ამომიყვანა. მერე ხელში ამიტატა, მკერდზე მიმიკრა და თავი მხარზე ჩამომადებინა. იმ წუთში ნამდვილად მიყვარდა. დილის შუქზე ჩემსავით ქერა, სანდომიანი, ნაზი იყო და თანაც ჩემი მფარველი. როცა მისი ტუჩები ჩემსას შეეხო, სიამოვნებისაგან ორივენი ავცახცახდით. ჩვენს კოცნას არც სინდისის ქენჯნა ეტყობოდა, არც

სირცხვილი. იყო მხოლოდ ჩურჩულით შეწყვეტილი შეცნობის წყურვილი. ხელიდან გავუსხლტი და ნავისკენ გავცურე, რომელიც დინებას წაეღო. გონს მოსასვლელად და გასაგრილებლად წყალში ჩავყვინთე... წყალი მწვანე იყო. ბედნიერი ვიყავი, ბედნიერი და უდარდელი.

თორმეტის ნახევარზე სირილი წავიდა. მამა და მისი ქალები ბილიკზე გამოჩნდნენ. შუაში მოდიოდა და მისთვის ჩვეული თავაზით აშველებდა ხელს ორივეს რიგ-რიგად.

ანას დილის ხალათი ეცვა, მშვიდად გაიხადა და ზედ წამოწვა. წვრილი წელი, ჩამოსხმული წვივები, – ოდნავი მოდუნება თუ ეტყობოდა კანს აქა-იქ, თორემ სხვა მხრივ ვერაფერს დაუწუნებდი. უეჭველია წლების მანძილზე გამუდმებული ზრუნვითა და მოვლით შეენარჩუნებინა ასე დიდებულად სხეული. მოწონების ნიშნად წარბები ავზიდე და რატომღაც მამაჩემს შევხედე. გამიკვირდა, თვალი რომ ვერ გამისწორა და მაგრად დახუჭა. საბრალო ელზა სავალალო სანახავი იყო: ტანზე ზეთს ისვამდა. ერთი კვირის ვადას ვაძლევდი მამას, რომ...

ანამ ჩემკენ მოიხედა:

– ასე ადრე რატომ დგებით, სესილ? მახსოვს, პარიზში შუადღემდე გეძინათ.

– მაშინ სამუშაო მქონდა და ფახზე ძლივს ვიდექი.

არ გაღიმებია. ხათრით არასოდეს იღიმებოდა სხვებივით, მხოლოდ მაშინ გაიღიმებდა, როცა სურდა.

– გამოცდების საქმე როგორა გაქვთ?

– ჩავიჭერი, – გატაცებით ვუპასუხე, – სამარცხვინოდ ჩავიჭერი!

– ოქტომბერში ხელახლა უნდა ჩააბაროთ, აუცილებლად!

– რა საჭიროა? – ჩაერია მამა, – დიპლომი არა მქონია, მაგრამ მაინც ხელგაშლილად ვცხოვრობ.

– სამაგიეროდ, ქონება გქონდათ! – მოაგონა ანამ.

– ჩემი შვილი მუდამ იპოვის ისეთ მამაკაცს, კარგად რომ აცხოვრებს, – დინჯად მიუგო მამამ.

ელზას სიცილი წასკდა, მაგრამ სამი წყვილი თვალი რომ მიაჩერდა, გაისუსა.

– არდადეგებზე უნდა იმუშაოს, – მტკიცედ განაცხადა ანამ, თვალები დახუჭა და ლაპარაკიც ამით მოათავა.

სასოწარკვეთილი მივაჩერდი მამას. პასუხის ნაცვლად უხერხულად გამიღიმა. უცებ წარმოვიდგინე, ბერგსონის წიგნზე დახრილს, როგორ მიხტოდა თვალწინ შავი ასოები, ხოლო ქვევიდან სირილის სიცილი მესმოდა. ამის გაფიქრებამ ამაფორიაქა. ანასთან მივცოცდი და ხმამაღლა დავუძახე. თვალები გაახილა. შეშინებული,

მავედრებელი სახით დავიხარე მისკენ, ლოყები ღრმად შევისრუტე, მინდოდა გონებრივი შრომით გადაღლილ ადამიანს დავმსგავსებოდი და შევეხვეწე:

– ანა, ასეთ სისასტიკეს ნუ ჩაიდენთ! ამ სიცხეში მუშაობას ნუ მაიძულებთ. რომ იცოდეთ, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია ჩემთვის ამ არდადეგებს...

ერთხანს დამაშტერდა, შემდეგ უცნაურად გაიღიმა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

– ამ "სისასტიკეს" აუცილებლად ჩავიდენ!.. და როგორც თქვენ ამბობთ, სწორედ ამ სიცხეში. თქვენი ხასიათი რომ ვიცი, ორი დღე იბუზღუნებთ, სამაგიეროდ, გამოცდებს ჩააბარებთ.

– არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერ შევურიგდები... – ვთქვი დინჯად.

დამცინავად და გამომწვევად გადმომხედა. ისევ გავწექი ქვიშაზე შეწუხებული. ელზა გატაცებით ლაპარაკობდა კურორტის დროსტარებაზე, მამა ყურს არ უგდებდა: ორი ქალის სხეულებისგან შექმნილ სამკუთხედს წვერში მოქცეოდა და ანას პროფილსა და შიშველ მხრებს თვალს არ აშორებდა. მამაჩემის ამ ჯიქურ, შეუპოვარ გამოხედვას კარგად ვიცნობდი!.. ნელა, ფრთხილად შლიდა და კუმშავდა ხელს ქვიშაზე, შლიდა და კუმშავდა ნარნარი მოძრაობით. ზღვას მივაშურე და შიგ ჩავხტი... გული მიკვნესოდა. რა სასიამოვნოდ ვაპირებდით ზაფხულის გატარებას და როგორ ჩაგვმწარდა! დრამის მოქმედი პირნი აქვე იყვნენ: მაცდური მამაკაცი, დემიმონდენი და ჭკვიანი მანდილოსანი... ზღვის ფსკერზე ლამაზი ნიჟარა შევნიშნე, ცისფერხალებიანი ვარდისფერი ქვა, მის ამოსაღებად ჩავყვინთე და საუზმემდე ხელიდან არ გამიშვია. გადავწყვიტე, ჩემი თილისმა იქნება და მთელი ზაფხული უნდა ვატარო-მეთქი. თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ არ დავკარგე... მე ხომ ყველაფერს ვკარგავ?!. ახლაც ხელში მიჭირავს ეს ვარდისფერი, თბილი ქვა და ტირილის სურვილს მიღვიძებს.

IV

მომდევნო დღეებში ანა ისე გულთბილად ექცეოდა ელზას, პირდაპირ გამაოცა. ელზასთვის სულელური ყბედობა ერთხელაც არ შეუწყვეტინებია გესლიანად და არც გაუმასხარავებია. ანას მოთმინებითა და დიდსულოვნებით აღტაცებული ვიყავი და ვერ წარმომედგინა, მის საქციელში რაიმე მზაკვრობა თუ ერია. ანას სუსხიანი ენაკვიმატობა ალბათ მალე მობეზრდებოდა მამაჩემს, ახლა კი, პირიქით, არ იცოდა, რით გამოეხატა თავისი მადლიერება. სინამდვილეში, მადლიერების ეს გრძნობა მხოლოდ საბაბი იყო. რასაკვირველია, ანას ისე ეპყრობოდა, როგორც მეტად პატივსაცემ ქალს, როგორც მისი ქალიშვილის დედობილს: ამას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, სთხოვდა, თვალი ედევნებინა ჩემთვის, ჩემი საქციელისთვის პასუხისმგებლობასაც აკისრებდა. თითქოს ამით მისი უფრო მეტად დაახლოება, ჩვენს ოჯახთან უფრო მჭიდროდ დაკავშირება უნდოდა. რაც მთავარია, ისე უყურებდა, ისე ექცეოდა ანას, როგორც ექცევიან ხოლმე ქალს, რომელსაც არ იცნობენ, მაგრამ მისი გაცნობა ინტიმურ კავშირში სწადიათ. ასე ზოგჯერ სირილი მიყურებდა

და მაშინ ორი სურვილი აღმეძრებოდა ხოლმე: მინდოდა გავცლოდი, გავშორებოდი, თან მისი გაღიზიანებაც მწადდა. ეტყობა, ასეთი შემოხედვა ჩემზე უფრო მოქმედებდა, ვიდრე ანაზე. იგი გულგრილად, თავშეკავებული თავაზიანობით ელაპარაკებოდა მამაჩემს. ამიტომ მეც მშვიდად ვიყავი. ბოლოს ისიც გავიფიქრე, ანას ჩამოსვლის დღეს შევცდი-მეთქი; იმას კი ვერ ვამჩნევდი, რომ ეს აუღელვებელი თავაზი უკიდურესად აღიზიანებდა მამას. განსაკუთრებით კი ანას გარინდება... ისეთი ბუნებრივი, ისეთი ტაქტიანი გაჩუმება იცოდა... ელზას განუწყვეტელი ლაქლაქი და ანას გარინდება ერთგვარ ანტითეზას ქმნიდა, ვითარცა მზე და ჩრდილი. საცოდავი ელზა... ნამდვილად ვერაფერს ამჩნევდა, ისევ ისეთივე აღგზნებული, აწრიალებული, მზეზე შეტრუსული იყო.

მაგრამ აი, ერთ დღეს, ეტყობა, მამაჩემის შემოხედვა დაიჭირა და მიხვდა; საუზმის წინ რაღაც წასჩურჩულა ყურში: მამა ერთხანს დაბნეული, გაოცებული იყურებოდა, შემდეგ გაუღიმა და თავი დაუქნია. დავლიეთ თუ არა ყავა, ელზა წამოდგა. კართან მისულმა, მიბნედილი სახით – დარწმუნებული ვარ, ამერიკელი კინომსახიობისგან ჰქონდა გადაღებული – და ჭეშმარიტი ფრანგული კეკლუცობით იკითხა:

– მოდიხარ, რეიმონ?

მამა ადგა, სახეზე წამოწითლდა, წაილაპარაკა, ამ პაპანაქება სიცხეში შუადღის დასვენება სასარგებლოაო, და ელზას გაჰყვა. ანა არ განძრეულა, თითებში გარჭობილ სიგარეტს ბოლი ასდიოდა. გადავწყვიტე, რაღაც მეთქვა:

– ამბობენ, შუადღის სიცხეში დასვენება სასარგებლოაო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არაა მართალი...

სიტყვა გამიწყდა, ერთბაშად მივხვდი, ორაზროვანი ნათქვამი გამომივიდა.

– ჰოდა, დაისვენეთ! – მკვახედ მითხრა ანამ.

ნართაულად არ უთქვამს, უბრალოდ ჩემს უკბილო ხუმრობას მიმიხვდა. შევხედე. შინაგანად ისეთი დაძაბული იყო, ისე ცდილობდა, წყნარი სახე შეენარჩუნებინა, შემეცოდა. ვინ იცის, იმ წუთში იქნებ კიდეც შურდა ელზასი. მის დასამშვიდებლად ერთი ცინიკური აზრი მომივიდა თავში, და როგორც ყოველთვის, კიდეც აღმაფრთოვანა: ასეთი აზრები რწმენას მიმტკიცებდა, საკუთარ თავთან თანამზრახველობის გამაბრუებელ გრძნობას მიღვიძებდა. ამიტომაც ვეღარ მოვითმინე და ხმამაღლა ვთქვი:

– მხედველობაში თუ მივიღებთ მზეზე შეტრუსულ ელზას ტანს, ვერც ერთი და ვერც მეორე ვერავითარ სიამოვნებას ვერ იგრძნობს ამ დასვენებისაგან.

ჯობდა, კრინტი არ დამეძრა.

– მძაგს ასეთი ლაპარაკი, – თქვა ანამ, – თქვენს ასაკში კი ეს არა მარტო სისულელეა, აუტანელიცაა!

ერთბაშად ავენთე:

– ვიხუმრე, მაპატიეთ. ისე კი, ეჭვი არ მეპარება, ორივენი კმაყოფილნი დარჩებიან.

განაწამები სახე ჩემკენ მოაბრუნა. მაშინვე ბოდიში მოვუხადე. თვალები მილულა და წყნარად, მოთმინებით ჩაილაპარაკა:

– ცოტა არ იყოს, გამარტივებული წარმოდგენა გაქვთ სიყვარულზე. ეს არაა ცალკეული შეგრძნებების უბრალო თანმიმდევრობა...

გავიფიქრე, ყველა ჩემი სასიყვარულო განცდები სწორედ ასეთი იყო-მეთქი. რომელიმე სახის დანახვით რაიმე მოძრაობის, კოცნის შედეგად უეცარი აღელვება... ერთმანეთისგან მოწყვეტილი, დამათრობელი წამები – აი, მხოლოდ ასეთი მოგონებაღა შემრჩა გონებაში.

– ეს სულ სხვა რამაა, – განაგრძო ანამ, – არსებობს მარადიული სიყვარული, ნაზი ლტოლვა, ისეთი გრძნობა, თითქოს ვიღაც გაკლია... თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

უცნაურად ჩაიქნია ხელი და გაზეთი აიღო. მერჩივნა, გაბრაზებულიყო, გულგრილად არ შეგუებოდა ჩემს ემოციურ უსაფუძვლობას. გავიფიქრე, ანა მართალია, პირუტყვივით ვცხოვრობ, სხვის ჭკუაზე დავდივარ, საცოდავი და უსუსური ადამიანი ვარ-მეთქი. თავი შემჯავრდა, ეს კი საშინლად მძიმე იყო ჩემთვის, რადგან ასეთ გრძნობას შეჩვეული არ ვიყავი, საკუთარ თავს არასოდეს ვკიცხავდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარ თავზე არც კარგი, არც ცუდი წარმოდგენა არ გამაჩნდა. ავდექი და ჩემს ოთახში შევედი, თავში ათასი ბუნდოვანი აზრი მიტრიალებდა, ხოლო ყურში ანას სიტყვები მესმოდა: "ეს სულ სხვა რამაა... თითქოს ვიღაც გაკლია..." მაკლდა კი ოდესმე ვინმე?

იმ ორი კვირის ამბები დაწვრილებით აღარც მახსოვს. აკი ვთქვი, რაიმე გარკვეულის, რაიმე მუქარის წინასწარ შემჩნევა არ მსურდა. მომდევნო დღეები, რა თქმა უნდა, ძალიან ზუსტად მახსოვს, რადგანაც მთელი ჩემი გულისყური, მთელი ჩემი გამომგონებლური უნარი მისკენ მქონდა მიპყრობილი. მაგრამ ეს სამი კვირა, ერთი სიტყვით, სამი პირველი ბედნიერი კვირა... სახელდობრ, რომელ დღეს დააშტერდა მამა ანას ბაგეებს, რომელ დღეს უსაყვედურა ხმამაღლა, ნაძალადევი ხუმრობით, გულგრილი ხართო? სახელდობრ, რომელ დღეს შეადარა ერთმანეთს ანას გონივრულობა ელზას სიჩერჩეტეს, თანაც ღიმილი წუთითაც არ შეჰპარვია მის სახეს? ჩემი სიმშვიდე იმ საფუძველს ემყარებოდა, რომ მეგონა, თხუთმეტი წელია ერთმანეთს იცნობენ და თუკი ერთმანეთის შეყვარება უნდოდათ, ადრეც მოახერხებდნენ-მეთქი. "თუკი ეს ამბავი მაინც უნდა მოხდეს, – ვირწმუნებდი თავს, – მამას სამიოდე თვე ეყვარება ანა, რომელსაც ამ რომანიდან რამდენიმე ვნებიანი მოგონება და ცოტაოდენი დამცირების გრძნობაღა შერჩება. ნუთუ არ ვიცოდი, ანა არ იყო ისეთი ქალი, ასე რომ მიეტოვებინათ? მაგრამ გვერდით სირილი მყავდა, სხვა რამეზე ფიქრი არ შემეძლო. საღამოობით ხშირად დავდიოდით სენ-ტრაპეზის რესტორანში, კლარნეტის წყნარ ხმაზე ვცეკვავდით და სასიყვარულო სიტყვებს ვეჩურჩულებოდით ერთმანეთს, რაც იმწუთას ტკბილად მესმოდა ყურში, მეორე დილით კი აღარც მახსოვდა. დღისით აფრიანი ნავით ზღვის ნაპირას მივცურავდით, ხანდახან მამაც მოგვყვებოდა ხოლმე. ძალიან მოსწონდა სირილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სირილმა განგებ წააგო კროლით ცურვაში. მამა მას "ყმაწვილო

სირილ”-ს ეძახდა, სირილი კი – “ბატონოთი” მიმართავდა, ხოლო მე იმაზე ვფიქრობდი, რომელი მათგანია უფრო ახალგაზრდა-მეთქი.

ერთ ნაშუადღევს სირილის დედამ ჩაიზე მიგვიპატიჟა. ეს იყო მშვიდი, მოღიმარი მოხუცი; იგი გვესაუბრა იმ სიძნელეებზე, რაც მარტო დარჩენილ ქალსა და დედას გადაეტანა. მამა თანაგრძნობით ესაუბრებოდა, მრავალ ქათინაურს ეუბნებოდა მანდილოსანს და თან ანას მადლიერი თვალებით უყურებდა. უნდა მოგახსენოთ, მამაჩემს ამაოდ დაკარგული დრო არასოდეს ენანებოდა. ანა ღიმილით შესცქეროდა ამ სცენას. შინ მისვლისას კიდეც განაცხადა, რა სასიამოვნო მოხუციაო. მე აუგად მოვიხსენიე ამ ტიპის მოხუცი ქალები. მამამ და ანამ დამცინავი ღიმილით შემომხედეს, რამაც წონასწორობა დამაკარგვინა:

– ნუთუ ვერ შეამჩნიეთ, რა კმაყოფილი იყო თავისი თავით! – ვყვიროდი მე, – იგი ამაყობს თავისი ცხოვრებით, აქაოდა, ჩემი ვალი მოვიხადეო და...

– კი მაგრამ, ეს ხომ ასეცაა! – თქვა ანამ, – როგორც იტყვიან, მან პირნათლად მოიხადა დედისა და მეუღლის ვალი...

– კახპის ვალიც? – ვიკითხე მე.

– უხეშობა არ მიყვარს, – თქვა ანამ, – თუნდაც პარადოქსული.

– სულაც არაა პარადოქსული. იგი ისევე გათხოვდა, როგორც ყველა თხოვდება, თავისი სურვილით ან იმიტომ, რომ ასე უნდა მომხდარიყო. გააჩინა შვილი... ალბათ იცით, როგორ ჩნდება შვილი!

– რა თქმა უნდა, თქვენებრ კარგად არ ვიცი, – ირონიით მიპასუხა ანამ, – მაგრამ რაღაც წარმოდგენა მეც მაქვს.

– ჰოდა შემდეგ გაზარდა ეს შვილი. შესაძლებელია, საყვარელი იმიტომ არ გაიჩინა, ღალატით გამოწვეულ უსიამოვნებებსა და უხერხულობას აარიდა თავი. ისიც ისევე ცხოვრობდა, როგორც მრავალი და მრავალი ქალი ცხოვრობს, ის კი ამაყობს ამით. გესმით თუ არა? იგი მუდამ იყო ნამდვილი ახალგაზრდა ბურჟუა ქალი, მეუღლე და დედა, თითიც არ გაუნძრევია იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა შეეცვალა. ახლა იმით კი არ მოაქვს თავი, რაც გააკეთა, არამედ იმით, რაც არ გაუკეთებია.

– ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, – თქვა მამამ.

– ეს ხომ თვალის ახვევაა! – წამოვიყვირე მე, – დაიჩემო, მოვალეობა მოვიხადეო, მხოლოდ იმიტომ, რომ არაფერი გაგიკეთებია?! ბურჟუაზიულ წრეში დაბადებული ეს ქალი კახპა რომ გამხდარიყო, აი, მაშინ იქნებოდა პატივისცემის ღირსი!

– ამ თქვენს მოდურ აზრებს ფასი არა აქვს! – თქვა ანამ.

იქნებ მართალიც იყო. მე იმას ვამბობდი, რასაც ვფიქრობდი, თუმცა უნდა გამოვტყდე, ეს აზრები სხვისგან მქონდა გაგონილი. მიუხედავად ამისა, ჩემი და მამაჩემის ცხოვრება სწორედ ამ თეორიას ეყრდნობოდა. და თუკი ანა მას ამრეზით უყურებდა, ამით შეურაცხმყოფდა. თავქარიანობას ისევე შეიძლება შეეჩვიოს კაცი,

როგორც სხვა რამეს. მაგრამ საქმე ისაა, ანას საერთოდ არ სურდა მოაზროვნე ადამიანი დაენახა ჩემში. ვგრძნობდი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ახლავე დამემტკიცებინა, რომ იგი ცდებოდა. რა ვიცოდი, თუ შემთხვევა ასე ჩქარა მომეცემოდა, ანუ თუ ამ შემთხვევით ვისარგებლებდი. თუმცა ისიც დასაშვებად მიმაჩნდა, რომ ერთი თვის შემდეგ სულ სხვა აზრისა ვიქნებოდი ამავე საკითხზე და რომ ეს ჩემი რწმენა შეიცვლებოდა. ჰოდა, როგორღა უნდა მქონოდა დიდსულოვნების რაიმე პრეტენზია?!

V

და აი, ერთ დღეს ყველაფერი დაიმსხვრა. დილით მამაჩემმა გადაწყვიტა კანში წავსულიყავით, საღამო იქ გაგვეტარებინა, გვეთამაშა და გვეცეკვა. მახსოვს, როგორ გაეხარდა ელზას. კაზინოს ატმოსფეროს შეჩვეულს, იმედი ჰქონდა ხელახლა დაიბრუნებდა ფატალური ქალის სახეს, რადგან ჩვენი, თითქმის კარჩაკეტილი ცხოვრებისა და მზის ალხის წყალობით, დარეტიანებულივით დადიოდა საცოდავი. მოლოდინი არ გამიმართლდა: მეგონა, ანა წინააღმდეგი იქნებოდა მაღალი საზოგადოების ჩვევების გამომჟღავნებისა; არამცთუ დათანხმდა, კმაყოფილიც კი დარჩა. ნასადილევს მშვიდად ავედი ჩემს ოთახში ერთადერთი საგარეო კაბის ჩასაცმელად. ეს კაბა მამამ შემირჩია. რაღაც ეგზოტიკური ქსოვილისგან იყო შეკერილი... დიახ, ქსოვილი მეტად ეგზოტიკური გახლდათ ჩემი ასაკის ქალიშვილისთვის. არ ვიცი, ასეთი გემოვნება ჰქონდა თუ შეჩვეული იყო ასეთ მორთულობას, მამა მუდამ ბედნავსიან ქალსავით მაცმევდა. ქვევით ჩავედით. მამას ახალთახალი სმოკინგი ეცვა და დიდებული სანახავი იყო. კისერზე ჩამოვეკიდე.

– შენზე ლამაზი მამაკაცი არ შემხვედრია.

– სირილის გარდა! – მითხრა მან, თუმცა თვითონვე არ სჯეროდა თავის ნათქვამის, – შენზე ლამაზი გოგო კი მართლა არ მინახავს!

– ელზასა და ანას გარდა! – ვუთხარი და არც მე მჯეროდა ჩემი ნათქვამის.

– რაკი აქ არ ბრძანდებიან და იმდენად გაკადნიერდნენ, აქამდე გვალოდინებენ, მოდი შენ ბებერ, რევმატიზმიან მამას ეცეკვე!

მე კვლავ განვიცადე ის სიხარული, რასაც სახლიდან გასვლის წინ განვიცდიდი ხოლმე. რა თქმა უნდა, იგი ბებერ მამას სულ არ ჰგავდა. ვცეკვავდი და თან ვგრძნობდი ნაცნობ სურნელებას – მისი ოდეკოლონის, მისი თამბაქოს სუნს, მისი სხეულის სითბოს. რიტმულად ცეკვავდა, თვალმილულული და ჩემი არ იყოს, მასაც ბედნიერი ღიმილი უკრთოდა პირის კილოებში.

– ბი-ბოპი უნდა მასწავლო! – მითხრა და რევმატიზმი გადაავიწყდა.

უცებ ცეკვა შეწყვიტა და უნებურად მოწონების ჩურჩული აღმოხდა. კიბეზე ელზა ჩამოდიოდა, მწვანე კაბა ეცვა და იმედგაცრუებული მაღალი წრის ქალის ღიმილი

ეფინა სახეზე – ალბათ ასეთ ღიმილს აფრქვევდა მუდამ კაზინოში. ჩანდა, ბევრი იწვალა, სანამ ზღვის წყლისგან გახეხეშებულ თმასა და მზეზე შეტრუსულ კანს ჯეროვან იერს მისცემდა, თუმცა შედეგით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა. კიდევ კარგი, მგონი, თვითონ ამას ვერ ხვდებოდა.

– მივდივართ თუ არა?

– ანა ჯერ არ მოსულა! – ვთქვი მე.

– ადი, ნახე, მზადაა თუ არა! – მითხრა მამამ, – სანამ კანში მივალთ, შუაღამე იქნება.

კიბეს ავუყევი. გრძელი კაბა ფეხებში მებლანდებოდა. ანას ოთახის კარს მივუკაკუნე. შემოდითო, დამიძახა. კარის ზღურბლზე შევჩერდი. ნაცრისფერი კაბა ეცვა, უცნაური რუხი ფერისა, თითქმის თეთრი, და სინათლეზე ისე ლივლივებდა, როგორც ზღვა რიჟრაჟზე. ასე იტყოდით, მთელი ქალური სიმშვენიერე იმ საღამოს ანასთვის მიუმადლებიათო.

– დიდებულია! – წამოვიძახე, – ოო, ანა, რა ლამაზი კაბაა!

ანამ სარკეში გამიღიმა; ასე იმ ადამიანს უღიმიან, ვისთან განშორებასაც აპირებენ.

– ეს რუხი ფერი მართლაც შეუდარებელია! – თქვა მან.

– შეუდარებელი თქვენ თვითონა ხართ! – ვუთხარი მე.

ყური ამიწია, თვალებში ჩამხედა. ლურჯი თვალები ჰქონდა. შევამჩნიე, როგორ აუციმციმდა, ღიმილი ჩაუდგა.

– კარგი გოგო ხართ, თუმცა ზოგჯერ აუტანელიც.

წინ ისე გამატარა, ჩემი კაბისთვის ყურადღება არ მიუქცევია, კიდეც გამიხარდა და გულიც მეტკინა. კიბეზე ანა ჩემს წინ ჩავიდა. დავინახე, როგორ გამოეშურა მისკენ მამაჩემი. კიბის პირველ საფეხურზე შედგა ფეხი, მერე შეჩერდა და ანას მიაჩერდა. ელზაც უყურებდა კიბიდან ანას ჩამოსვლას. ზუსტად მახსოვს ეს სურათი: წინა პლანზე, პირდაპირ ჩემს წინ ანას ოქროსფერი კეფა, უმშვენიერესი მხრები, ოდნავ ქვევით – მამაჩემის გაოგნებული სახე, წინ გაშვერილი და სადღაც შორს – ელზას სილუეტი.

– ანა, – უთხრა მამამ, – რა არაჩვეულებრივი ხართ!

ანამ გაუღიმა, გვერდზე ჩაუარა და მანტო აიღო.

– იქ შევხვდეთ ერთმანეთს, – თქვა მან, – სესილ, თუ გინდათ, ჩემი მანქანით წამოდით!

მანქანის წაყვანის ნება დამრთო. ღამით გზა ისეთი ლამაზი იყო, ნელა მიმყავდა. ანა დუმდა. რადიომიმღების ხმაც თითქოს არ ესმოდა. როცა მამას მანქანამ მოსახვევთან ჩაგვიქროლა, წარბიც არ შეუხრია. ვგრძნობდი, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ისეთ სპექტაკლს ვესწრებოდი, რომელშიც ვერ ჩავერეოდი.

კაზინოში მისვლისას მამამ იმდენი მოახერხა, მალე დავკარგეთ ერთმანეთი. მე ბარში აღმოვჩნდი ელზასა და მის ერთ ნაცნობ სამხრეთამერიკელთან, თეატრალურ მუშაკთან, რომელიც უკვე შეზარხოშებული იყო, მაგრამ მაინც დიდი გატაცებით და საინტერესოდ ლაპარაკობდა თავის საქმიანობაზე. მე თითქმის სიამოვნებით გავატარე მასთან ერთი საათი, სამაგიეროდ, ელზამ მოიწყინა. იგი თეატრის თითო-ოროლა ცნობილ მოღვაწეს იცნობდა, მაგრამ ამ პროფესიასთან დაკავშირებული საკითხები სულაც არ აინტერესებდა. უცებ მკითხა, მამა სად არისო, თითქოს მისი ასავალ-დასავალი აუცილებლად უნდა მცოდნოდა, და გაგვშორდა. სამხრეთამერიკელი ერთხანს დანაღვლიანდა, მერე ერთი ჭიქა ვისკი გადაჰკრა და ლაპარაკის საღერღელი ხელახლა აეშალა. მე არაფერზე არ ვფიქრობდი და რაკი ზრდილობის გულისთვის მისი ღრეობის მონაწილე გავხდი, საუცხოოდ ვგრძნობდი თავს. სასაცილო ის იყო, ცეკვა რომ მოინდომა. რა მექნა, ორივე ხელი წელზე მოვხვიე, რომ არ წაქცეულიყო, თან ფხიზლად ვიყავი, ფეხი არ დაებიჯებინა, და ასე წვალებით ვცეკვავდით. ისე ვხარხარებდით, როცა ელზამ მხარზე დამკრა ხელი და მისი გამომეტყველება დავინახე, კინაღამ ვუთხარი, თავიდან მომწყდი-მეთქი. ნამდვილ კასანდრას ჰგავდა.

– ვერსად ვიპოვე, – თქვა მან.

გაუბედურებული სახე ჰქონდა, პუდრი გადასცლოდა, აქერცლილი კანი უჩანდა, სახის ნაკვთები ჩამოგრძელებოდა. შეგებრალებოდათ. ერთბაშად საშინლად გავბრაზდი მამაჩემზე. საოცარი უზრდელობა გამოიჩინა.

– აა, ვიცი სადაც არიან, – ღიმილით ვთქვი და ისეთი სახე მივიღე, თითქოს მათი გაქრობა ბუნებრივი ამბავია და საგანგაშო არაფერი იყო, – ახლავე დავბრუნდები!

რაკი სამხრეთამერიკელს საყრდენი გამოეცალა ჩემი სახით, ელზას ჩაუვარდა მკლავებში და, ვგონებ, კმაყოფილიც დარჩა. ელზას ჩემზე უკეთესი ფორმები აქვს და რას ვიზამ, ამ კაცზე არ უნდა გავბრაზდე-მეთქი, გავიფიქრე ნაღვლიანად. ამაოდ შემოვუარე ორჯერ ამ უზარმაზარ კაზინოს, ყველა ტერასაც შევამოწმე და ბოლოს მანქანა გამახსენდა.

მანქანის ძებნაში კარგა ხანს ვიწრიალე პარკში. მანქანაში ისხდნენ. უკანიდან მივეპარე და სარკეში ორივე დავინახე. ფარნის შუქზე საოცრად ლამაზი, ორი დაფიქრებული, ერთმანეთს მიახლოებული პროფილი... ბაგეების მოძრაობით მივხვდი, რაღაცაზე საუბრობდნენ. მინდოდა იქაურობას გავცლოდი, მაგრამ ელზა გამახსენდა და კარი გამოვაღე.

მამას ანას მკლავზე ედო ხელი. ძლივს იკადრეს და შემომხედეს.

– ხომ კარგად ერთობით? – თავაზიანად ვიკითხე.

– რა მოხდა? – გაანჩხლებით მომმართა მამამ, – აქ რას აკეთებ?

– თქვენ რაღას აკეთებთ? მთელი საათია ელზა დაგეძებთ.

ანამ ნელა, უხალისოდ მოაბრუნა თავი.

– ჩვენ შინ ვბრუნდებით, უთხარით, რომ დავიღალე და მამათქვენმა სახლში წამიყვანა. როცა დროსტარება მოგბეზრდებათ, ჩემი მანქანით დაბრუნდით.

აღშფოთებისგან ვკანკალებდი, სიტყვა ვერ მომეძებნა.

– დროსტარება რომ მოგვბეზრდება, არა? კი მაგრამ, ფიქრობთ, რას ამბობთ? ეს ხომ საზიზღრობაა?

– რა არის საზიზღრობა? – გაოცებით მკითხა მამამ.

– ზღვაზე მოგყავს წითური ქალი, მზეს რომ ვერ იტანს და როცა კანი გადაექერცლა, თავს ანებებ? რა ადვილი საქმეა! ელზას რაღა ვუთხრა?

ანამ დაქანცული სახე მამაჩემისკენ მიაბრუნა, რომელიც იღიმებოდა, მე კი ყურს არ მიგდებდა. წონასწორობა დავკარგე:

– მე ვეტყვი... ვეტყვი, რომ მამაჩემს სხვა ქალი უშოვია, სხვა ქალთან უნდა წოლა, ხოლო შენ სხვა დროს მოდი-მეთქი. ასე ვუთხრა, ხომ?

მამას შეყვირება და ანას სილის გარტყმა ერთდროულად მოხდა. სწრაფად გამოვწიე თავი მანქანიდან. ანას გარტყმული ძალიან მეტკინა.

– ბოდიში მოიხადე! – მიბრძანა მამამ.

ფიქრებაშლილი, გაოგნებული ვიდექი მანქანის კართან. კეთილშობილურ პოზას გვიან მოვისაზრებ ხოლმე.

– აქ მოდით! – მითხრა ანამ.

მის ხმაში მუქარა არ იგრძნობოდა. მივუახლოვდი. ლოყაზე ხელი მომითათუნა და ტკბილად, მშვიდად გამიბა მასლაათი, თითქოს დებილს ელაპარაკებოდა:

– ნუ ხართ ასეთი ავი! ელზა ძალიან მეცოდება, მაგრამ თქვენ ისეთი სათუთი ბუნებისა ხართ, ამ საქმეს უკეთ მოაგვარებთ. ხვალ კი მოვილაპარაკოთ. ძალიან გატკინეთ?

– არა, რას ბრძანებთ! – ზრდილობიანად მივუგე მე.

ამ მოულოდნელმა დაყვავებამ, ჩემმა უხეშმა საქციელმა გული ამიჩუყა და ტირილი მომინდა. როცა წავიდნენ, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სული დამიცარიელდა. ერთადერთ ნუგეშად ჩემი სათუთი ბუნების აღიარებაღა დამრჩა. ნელი ნაბიჯით დავბრუნდი კაზინოში, სადაც ელზა და მის მკლავზე ჩამოპორწიალებული სამხრეთამერიკელი მელოდებოდნენ.

– ანა ცუდად შეიქნა, – ლაღად წამოვიწყე, – მამა იძულებული გახდა შინ წაეყვანა. დავლიოთ რამე?

ელზა უსიტყვოდ მომაჩერდა. შევეცადე, დამაჯერებელი საბუთი მომეძებნა:

– გული აერია... საშინელება იყო! კაბა სულ დაესვარა.

ჩემი აზრით, ამ დეტალს წყალი არ გაუვიდოდა, მაგრამ ელზას ტირილი წასკდა. ჩუმად, გულისმომკვლელად ატირდა, დაბნეული შევყურებდი.

– სესილ, – თქვა ბოლოს, – სესილ, რა ბედნიერები ვიყავით!..

და ხელახლა აქვითინდა. სამხრეთამერიკელიც აქვითინდა და იმეორებდა:

– ჩვენ ისეთი ბედნიერები ვიყავით... ისეთი ბედნიერები...

იმ წუთში ანაც მძაგდა და მამაჩემიც. მზად ვიყავი ყველაფერი ჩამედინა, ოღონდ ელზას ცრემლები არ მენახა, თვალებიდან წასმული საღებავი არ გადაგლესოდა და ამერიკელსაც არ ესლუკუნა.

– ჯერ კიდევ ეშველება ამ საქმეს, ელზა. წამომყევით!

– ამ დღეებში მოვალ ბარგის წასაღებად, – ქვითინებდა ელზა, – მშვიდობით, სესილ! ჩვენ ისე კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს...

ელზასთან ამინდზე და მოდაზე თუ მისაუბრია მხოლოდ, მაგრამ ასე მეგონა, ძველ მეგობარს ვკარგავდი. ერთბაშად მოვტრიალდი და მანქანისკენ გავეშურე.

VI

მეორე დილით საშინელ გუნებაზე გამომეღვიძა, წინა ღამით შესმული ვისკის ბრალი თუ იყო. საწოლზე გარდიგარდმო ვიწექი. ბნელოდა; პირი მიშრებოდა, ხელ-ფეხი გაოფლიანებული მქონდა. დარაბების ჭრილიდან მზის სხივები ატანდა, შიგ მტვრის სვეტები რიალებდა. არც ლოგინიდან წამოდგომა მინდოდა, არც წოლა. თავში გამიელვა ელზა რომ დაბრუნდეს, ანა და მამა რა პირით შეხვდებიან-მეთქი. ვცდილობდი მათზე მეფიქრა, იქნებ ამან მაინც წამომაყენოს-მეთქი ლოგინიდან, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, წამოვდექი და გაბრუებულმა, გულდამძიმებულმა იატაკის გრილ ფილაზე დავდგი ფეხი. სარკის წინ შევჩერდი და ჩემ გამოსახულებას მივაშტერდი. სავალალო სანახავი ვიყავი: გაფართოებული თვალები, დასიებული ტუჩები, ეს უცნობი სახე... ჩემია... ნუთუ ამ ტუჩების, ამ ნაკვთების გამო, იმის გამო, რომ უნებურად ამ საძაგელ ჩარჩოში ვარ მომწყვდეული, შეიძლება უსუსური და ლაჩარი ვიყო? და თუ მართლა ჩარჩოში ვარ მომწყვდეული, ასე ულმობლად, ასე მძიმედ რატომღა ვრწმუნდები ამაში? ერთხანს იმით გავერთე, რომ მძულდა ჩემი თავი, მძულდა ეს ჩემი ბოროტი სახე, დაღარული და ლოთობისგან გაცრეცილი. სიტყვას “ლოთიფოთი!” ყრუდ ვიმეორებდი და ჩემს ორეულს თვალებში შევცქეროდი; მერე დავინახე, ვიღიმებოდი. მართლაცდა, რის ლოთიფოთი, რა ლოთიფოთი! რაღაც ორიოდე პატარა ჭიქა ვისკი, სილის გარტყმა და ქვითინი. ეს იყო და ეს! სასწრაფოდ კბილები გამოვიხეხე და ძირს ჩავედი.

მამა და ანა უკვე გვერდიგვერდ ისხდნენ ტერასაზე, წინ საუზმით სავსე სინი ედგათ. დილა მშვიდობისა-მეთქი, წავიბუტბუტე და მათ პირდაპირ დავჯექი.

სირცხვილისგან ვერც ერთს ვერ შევხედე, მაგრამ ისე დუმდნენ, იძულებული გავხდი თავი ამეღო: ანას სახის ნაკვთები დაგრძელებოდა, ალერსში გატარებულ ღამეს მხოლოდ ეს ნიშანი დაეტყო მისთვის. ორივე ბედნიერად იღიმებოდა. ამან ჩემზე იმოქმედა: ბედნიერება მუდამ სიმართლისა და გამარჯვების ნიშნად მიმაჩნდა.

– კარგად გეძინა? – მკითხა მამამ.

– ისე,რა! წუხელ ბევრი ვისკი დავლიე.

ყავა დავისხი, მოვსვი, მაგრამ ფინჯანი მაშინვე დავდგი. მათ დუმილში ისეთი მოლოდინი გამოსჭვიოდა, თავს უხერხულად ვგრძნობდი. მე კი ისეთი მოთენთილი ვიყავი, ამ გრძნობას დიდხანს ვერ გავუძლებდი.

– რა მოხდა? ეგეთი იდუმალი სახე რატომ გაქვთ?

მამამ სიგარეტს მოუკიდა, ცდილობდა მშვიდი იერი ჰქონოდა. ანამ შემომხედა, ამჯერად შეცბუნება აშკარად ეტყობოდა.

– მინდოდა, რაღაც მეთხოვა თქვენთვის, – მითხრა ბოლოს.

უარესის მოლოდინში გავისუსე.

– კვლავ მაბარებთ რამეს ელზასთან?

ანამ მამას შეხედა.

– მე და მამათქვენმა გადავწყვიტეთ დავქორწინდეთ! – თქვა მან.

ჯერ ანას დავაშტერდი, მერე მამას. მისგან რაიმე ნიშანს ველოდი, მეგონა თვალს ჩამიკრავდა, რაც ალბათ კიდეც აღმაშფოთებდა, კიდეც დამამშვიდებდა. იგი ხელებს დასცქეროდა. შეუძლებელია-მეთქი, ერთი კი გავიფიქრე, თუმცა ვიცოდი, რაც მითხრეს, მართალი იყო.

– ძალიან კარგი აზრია! – ვთქვი ბოლოს დროის მოსაგებად.

ვერაფერი გამეგო: მამა ხომ მუდამ წინააღმდეგი იყო ქორწინების, ყოველგვარი ბორკილებისა და ახლა, ერთ ღამეში გადაწყვიტა?.. ეს ამბავი ჩვენს ცხოვრებას თავდაყირა აყენებდა. დამოუკიდებლობას ვკარგავდით. უცებ წარმოვიდგინე ჩვენი სამეულის ერთად ცხოვრება, ანას დახვეწილი გემოვნებით, გონივრულად აწყობილი ცხოვრება, ანასეული ცხოვრება, რომლისა კიდეც მშურდა წინათ. ჭკვიანი, ტაქტიანი მეგობრები, ბედნიერი, მშვიდი საღამოები... უეცრად შემზიზღდა ჩვენი ხმაურიანი სუფრა, სამხრეთამერიკელები, ყოველი ჯურის ელზები... სიამაყისა და უპირატესობის გრძნობა თავში ამივარდა.

– ძალიან, ძალიან კარგი აზრია! – გავიმეორე და ორივეს გავუღიმე.

– ასეც ვიცოდი, ფისო, რომ გაგიხარდებოდა! – მითხრა მამამ.

დამშვიდდა. გამხიარულდა. ანას კი ისეთი გულღია, ისეთი ნაზი გამომეტყველება ეფინა ალერსით მოქანცულ სახეზე, როგორიც არასოდეს შემინიშნავს.

– აქ მოდი, ფისო! – დამიძახა მამამ.

ორივე ხელი გამომიწოდა, ჯერ თავისკენ მიმიზიდა, მერე ანასკენ. თითქმის დაჩოქილი ვიდექი მათ წინ, ორივე აღელვებით მიყურებდა, ალერსით მისვამდა ხელს თავზე. ვფიქრობდი, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ წუთიდან იცვლება ჩემი ცხოვრება, იქნებ მართლაც მხოლოდ ფისო, პატარა ერთგული ცხოველი ვარ მათთვის-მეთქი. ვგრძნობდი, ისინი სადღაც შორს იყვნენ, ზემოდან დამფარფატებდნენ, რაღაც ისეთი წარსული, ისეთი მომავალი აკავშირებდათ, რაც ჩემთვის უცნობი იყო, რისგანაც მე თავისუფალი ვიყავი. განგებ დავხუჭე თვალები, თავი მუხლებში ჩავრგე, მათთან ერთად ვიცინოდი, ხელახლა შევედი როლში. მართლაცდა, რატომ არ უნდა ვიყო ბედნიერი? ანა დიდებული ქალია, მისთვის უცხოა ყოველგვარი წვრილმანი გრძნობა. ჩემი მეგზური იქნება ცხოვრებაში, ყოველი საქციელის პასუხისმგებლობასაც ამაშორებს, რაც არ უნდა მოხდეს, გზას გამიკაფავს და სულ მალე მეც და მამაც სრულფასოვანი ადამიანები გავხდებით!..

მამა წამოდგა, შამპანურის მოსატანად გავიდა. რატომღაც ყველაფერი შემძაგდა. რაც მთავარია, მამა ბედნიერია, თუმცა, განა პირველად ვხედავდი ქალის წყალობით გაბედნიერებულს?..

– ცოტა არ იყოს, თქვენი მეშინოდა! – მითხრა ანამ.

– რატომ?

მისთვის რომ მოგესმინათ, იფიქრებდით, ჩემი უარით შემეძლო ამ ორი მოზრდილი ადამიანისთვის ქორწინება ჩამეშალა.

– ვამბობდი, ვაითუ ჩემი შეეშინდეს-მეთქი! – თქვა ანამ და გაეცინა.

მეც გამეცინა, რადგან მე ხომ მართლა მეშინოდა მისი! მაგრძნობინა, რომ ამას ხვდებოდა და რომ ჩემი შიში უსაფუძვლო იყო.

– ორი ბებრის ქორწინება სასაცილოდ არ მიგაჩნიათ?

– სულაც არა ხართ ბებრები, – რაც შეიძლება მეტი დარწმუნებით ვუთხარი, რადგან იმ წუთში იღლიაში ბოთლამოჩრილი მამაჩემი ვალსის ცეკვა-ცეკვით შემოვიდა.

ანას გვერდით მიუჯდა, მხრებზე მოხვია ხელი. ანა მთელი ტანით აეკრა და მე თვალები დავხარე. აი, რატომ დათანხმდა ცოლად გაჰყოლოდა: მამას ძლიერი, ნდობის აღმძვრელი მკლავები ჰქონდა, უყვარდა სიცილი, უყვარდა სიცოცხლე, მთელი მისი ბუნება სითბოს აფრქვევდა. ამას ემატებოდა, ალბათ, ანას ასაკიც – ორმოცი წელი, მარტოობის შიში, გრძნობის უკანასკნელი მოძალება... ანას მე მუდამ ვუყურებდი არა როგორც ქალს, არამედ როგორც ერთგვარ აბსტრაქციას: მასში ვხედავდი თავდაჯერებას, ელეგანტურობას, ინტელექტს, ოღონდ არა ქალური მგრძნობიარობის ან სისუსტის განსახიერებას... ვხვდებოდი, როგორ ამაყობდა მამა: მას ცოლად მიჰყვებოდა ქედმაღალი, გულგრილი ანა ლარსენი. უყვარდა კი? ან

დიდხანს ეყვარებოდა? შემეძლო განმესხვავებინა ანასადმი მისი გრძნობა იმ გრძნობისგან, რასაც ელზას მიმართ იჩენდა? თვალები დავხუჭე. მზემ მომთენთა. სამივენი უცნაური გარინდებით, ფარული შიშითა და ბედნიერებით შეპყრობილნი ვისხედით ტერასაზე.

იმ დღეებში ელზა ერთხელაც არ გამოჩენილა. სწრაფად გაირბინა ერთმა კვირამ, შვიდმა ბედნიერმა, სასიამოვნო შვიდმა დღემ! ათასნაირ გეგმებს ვადგენდით: როგორ მოვაწყობდით ბინას, როგორი განრიგი გვექნებოდა. მე და მამა იმ ადამიანებივით ვირთობდით თავს, ვხლართავდით, განგებ ვართულებდით გეგმებს, ვისაც წარმოდგენა არა აქვს არავითარ წესრიგზე. ნუთუ სერიოზულად გვჯეროდა ამ გეგმებისა? ნუთუ მამა მართლა აპირებდა ყოველდღე, პირველის ნახევარზე შინ დაბრუნებულიყო სასაუზმოდ, ესადილა ერთსა და იმავე ადგილას და მერე არსად წასულიყო?! და მაინც, სიხარულით თმობდა ბოჰემურ ცხოვრებას, ხოტბას ასხამდა წესრიგს, ბურჟუის ზომიერ, ლამაზ ყოფას. უეჭველია, ყოველივე ეს მისთვის, ისევე როგორც ჩემთვის, გონებრივი მსჯელობა იყო და მეტი არაფერი.

ამ კვირის მოგონებები აქამდე შემომრჩა მეხსიერებაში. დღესაც სიამოვნებით ვავლებ თვალს, მინდა შევამოწმო ჩემი თავი. ანა წყნარი, ნდობით სავსე, საოცრად გულთბილი იყო. მამას უყვარდა. დილით მკლავგაყრილნი ჩამოდიოდნენ ტერასაზე, თვალებამოღამებულნი გულიანად იცინოდნენ და, გეფიცებით, გულით მწადდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელებულიყო ასე. საღამოობით ხშირად მივდიოდით სანაპიროზე აპერიტივის დასალევად ყავახანის ბანზე. ყველგან ისე გვიყურებდნენ, როგორც ჩვეულებრივ, ტკბილ ოჯახს. და მე, მამასთან მარტო სიარულსა და ხალხის ეშმაკურ ან სიბრალულით სავსე შემოხედვასა და ღიმილს შეჩვეულს, ახლა ჩემი ასაკის გოგოს შესაფერ როლში გამოჩენა მიხაროდა. ქორწინება პარიზში უნდა მომხდარიყო, სექტემბრის დამდეგს.

ჩვენმა ოჯახურმა ცვლილებებმა საწყალი სირილი, ეტყობა, გააოგნა. მაგრამ ეს კანონიერი დასასრული მასაც ახარებდა. ნავით მარტო ვსეირნობდით, თუკი სურვილი გვქონდა, კიდეც ვკოცნიდით ერთმანეთს და ზოგჯერ, როცა ტუჩებით ჩემს ბაგეებს ეხებოდა, ანას მოთენთილი სახე მაგონდებოდა, მაგონდებოდა ის ზანტი, ბედნიერი დაუდევრობა, რასაც ალერსი აძლევდა მის მოძრაობას, და მშურდა მისი. ხვევნა-კოცნასაც ბოლო აქვს და სირილს რომ ნაკლებ ვყვარებოდი, იმ კვირაში, ალბათ, მისი საყვარელი გავხდებოდი.

ექვს საათზე კუნძულიდან დაბრუნებისას, სირილს ქვიშიან ნაპირზე ამოჰქონდა ნავი. შინ ფიჭვნარით ვბრუნდებოდით და ინდურ თამაშს ვიწყებდით, ჰანდიკაპურის სრბოლა რომ ჰქვია. სახლთან მისულს, სირილი უეჭველად დამეწეოდა, გამარჯვების ყიჟინით მომვარდებოდა, ფიჭვის გირჩებზე დამაგდებდა, მკლავებს გადამიგრეხდა და მკოცნიდა. ახლაც კი მახსოვს იმ სუნთქვისშემკვრელი კოცნის გემო და ჩემს გულთან სირილის გულის ძგერა, ქვიშაზე მომწყდარი, ტალღებთან ხმაშეწყობილი გულისცემა: ერთი, ორი, სამი, ოთხი – ძგერდა გული, და ქვიშაზე ნელა სრიალებდა ზღვა – ერთი, ორი, სამი... ერთი: სირილი სულს მოითქვამდა, კოცნაც ზუსტი, ჯიუტი გამოსდიოდა და მე უკვე აღარ მესმოდა ზღვის ხმაური, ყურებში მხოლოდ საკუთარი სისხლის სწრაფი, განუწყვეტელი ბიძგები ბუბუნებდა.

ერთ საღამოს ანას ხმამ გაგვთიშა. სირილი ჩემ გვერდით გაშოტილიყო; ჩამავალი მზის მოწითალო სხივებსა და ჩრდილებში გახვეულნი, ნახევრად ტიტველნი ვიწექით. გასაგებია, ამას შეეძლო ანა შეცდომაში შეეყვანა. მკაცრი ხმით დამიძახა.

სირილი სწრაფად წამოხტა და, რა თქმა უნდა, შერცხვა. მეც ავდექი, ოღონდ ზანტად და ანას შევხედე. იგი სირილს მიუბრუნდა და ხმადაბლა, თითქოს ვერც ამჩნევსო, უთხრა:

– იმედი მაქვს, ამის შემდეგ აღარ გნახავთ.

სირილს არაფერი უპასუხია, დაიხარა, მხარზე მაკოცა და წავიდა. ამ საქციელმა გამაცა და კიდეც ამაღელვა, თითქოს მან ამით რაღაც აღთქმა მომცა.

ანა თვალს არ მაშორებდა, დინჯად, გულგრილად მიყურებდა, თითქოს სულ სხვა რამეზე ფიქრობსო. გავბრაზდი: თუ სხვა რამეზე ფიქრობს, ამდენი არ უნდა ელაპარაკა. მივუახლოვდი და ზრდილობის გულისთვის დარცხვენილი სახე მივიღე. ანამ მექანიკურად მომაშორა ფიჭვის წიწვი და თითქოს მხოლოდ მაშინ დამინახა. მაშინვე ის მედიდური, ამრეზილი ნიღაბი, დაღლილი და გამკილავი იერი აიფარა სახეზე, რაც მას ასე ძალიან უხდებოდა, მე კი შიშს მგვრიდა.

– იცოდეთ, მსგავსი თავშექცევა მუდამ კლინიკაში მთავრდება! – თქვა მან.

ფეხზე იდგა, თვალმიშტერებით მელაპარაკებოდა. საშინლად დავიბენი. ანა ქალთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც შეუძლიათ წელგამართული, გაუნძრევლად იდგნენ და გელაპარაკონ. მე კი სავარძელში უნდა ვიჯდე, ხელში რაიმე ნივთს უნდა ვატრიალებდე, სიგარეტს ვეწეოდე ან ფეხს ვაქნევდე და მის მოძრაობას თვალს ვადევნებდე...

– გაზვიადება არაა საჭირო... – სიცილით ვუთხარი, – მე მხოლოდ ვაკოცე სირილს, ამან კი არა მგონია კლინიკის კარამდე მიმიყვანოს.

– მე გთხოვთ, დღეიდან ამ ყმაწვილს აღარ შეხვდეთ! – ისეთი ტონით მითხრა, თითქოს თვლიდა, რომ მე ვტყუოდი, – ნუ მეკამათებით: თქვენ ჩვიდმეტი წლისა ხართ, ამიერიდან მე ვაგებ ერთგვარად პასუხს თქვენს საქციელზე და არ დავუშვებ, რომ ცხოვრება აირიოთ. სხვათა შორის, სამუშაო გაქვთ, ეს შეგივსებთ თავისუფალ დროს.

ზურგი შემაქცია და ჩვეული დინჯი ნაბიჯებით გაემართა შინისკენ. თავზარდაცემული გავშეშდი ადგილზე. ის მუდამ დარწმუნებულია თავის ნათქვამში: ჩემს არგუმენტებს, შედავებას ისე გულგრილად, უფრო სწორედ, ისეთი სიძულვილით ეკიდება, თითქოს საერთოდ არ ვარსებობდე, თითქოს მე ის სესილი კი არა ვარ, ვისაც დიდი ხანია იცნობს, და რომლის დასჯაც გაუჭირდება, არამედ ის ნივთი, რომელსაც თავისი ადგილი უნდა მოუძებნოს. ერთადერთ იმედად მამაღა მრჩებოდა. იგი ალბათ იტყვის: “ვინაა ის ყმაწვილი, ფისო? ლამაზი და ჯანმრთელი თუა მაინც? მატრაბაზებს მოერიდე, ჩემო გოგო!” სწორედ ასე უნდა შეხვდეს ამ ამბავს მამაჩემი, თორემ მთელი არდადეგები ჩაშხამდება.

სადილობამ კოშმარივით ჩაიარა. ანას ერთხელაც არ უგრძნობინებია ჩემთვის: “მამათქვენს არაფერს ვეტყვი. ენატანია არა ვარ, ოღონდ პირობა მომეცით, რომ კარგად იმეცადინებთ!” ასეთი მორიგებები უცხო გახლდათ მისთვის. ეს კიდეც მახარებდა და კიდეც მაბრაზებდა, რადგან საბაბი მექმნებოდა შემეძულებინა ანა. ამიტომ ახლაც ისევე მოერიდა მცდარი ნაბიჯის გადადგმას, როგორც სხვა შემთხვევაში, და თითქოს მხოლოდ მაშინ მოაგონდა დღევანდელი ინციდენტი, როცა წვნიანს მოვრჩით.

– რეიმონ, მე მინდა გონივრული დარიგება მისცეთ თქვენს ქალიშვილს. ამ საღამოს ფიჭვნარში ვნახე სირილთან. ეტყობა, ძალიან ახლო კავშირში არიან.

საბრალო მამა შეეცადა ხუმრობაში ჩაეტარებინა ანას ნათქვამი:

– რას მეუბნებით?! მაინც რას აკეთებდნენ?

– ვკოცნიდი, – წამოვიყვირე გაცეცხლებულმა, – ანას კი ეგონა...

– არაფერიც არ მეგონა! – შემაწყვეტინა ანამ, – მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ერთხანს თუ შეწყვეტს მასთან სიარულს და ფილოსოფიაში წაიმუშავებს.

– საბრალო გოგო! – თქვა მამამ, – სასიამოვნო ყმაწვილი თუა მაინც ეს სირილი?

– სესილიც სასიამოვნო გოგონაა, – თქვა ანამ, – სწორედ ამიტომ მეტკინება გული, რაიმე ხიფათს რომ გადაეყაროს. და რაკი მას სრული თავისუფლება ეძლევა, წამით არ შორდება იმ ყმაწვილს და უსაქმურად არიან, რა თქმა უნდა, ხიფათი არ ასცდება. თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?

“თქვენც ხომ ასე ფიქრობთო”, რომ გავიგონე, მაშინვე მამას გადავხედე. დაიბნა და თვალები დახარა.

– ალბათ მართალი ხართ! – თქვა ბოლოს, – მართლაც უნდა იმეცადინო, სესილ. ხელმეორედ ხომ არ ჩაიჭრები ფილოსოფიაში?

– რაში მჭირდება? – მოკლედ მოვუჭერი.

მამამ ერთი კი შემომხედა და მაშინვე ამარიდა თვალი. დავიბენი. მივხვდი, უზრუნველობა – ერთადერთი გრძნობა, ჩვენს ცხოვრებას სულს რომ უდგამდა – თავდაცვის არგუმენტად აღარ გამომადგებოდა.

– ყური მიგდეთ, – მითხრა ანამ და ხელი მომკიდა, – ნუთუ ძნელია უარი თქვათ გაველურებული გოგონას როლზე და ბეჯითი მოწაფე გახდეთ, ისიც მხოლოდ ერთი თვით? მითხარით, განა ეს ძნელია?

ანა თვალს არ მაშორებდა, მამა ღიმილით მიყურებდა: ასეთ პირობებში კამათი გულუბრყვილობა იქნებოდა. ფრთხილად გავითავისუფლე ხელი.

– დიახ, ძნელია! – მივუგე ბოლოს.

ეს ისე ხმამაღლა ვთქვი, ვერც კი გაიგეს ან იქნებ არც მოისურვეს მოსმენა. მეორე დილით მე უკვე ბერგსონის ფრაზას ვუკვირდებოდი. სანამ მის აზრს მივხვდებოდი, რამდენიმე წუთი დავხარჯე: "როგორი განსხვავებულიც არ უნდა მოგეჩვენოთ ერთი შეხედვით ფაქტები და მათი მიზეზები, თუმცა ქცევის წესების მიხედვით ვერ იმსჯელებთ საგანთა არსზე, კაცობრიობის სიყვარულის ძალა მხოლოდ ადამიანთა მოდგმის ამოსავალ პრინციპებთან კავშირში შეიძლება იგრძნოთ!" რომ არ გავღიზიანებულიყავი, ამ ფრაზას ჯერ ხმადაბლა ვიმეორებდი, შემდეგ მთელი ხმით. თავზე მივიდე ხელები და ყურადღებით დავუკვირდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი, თუმცა ისევე გულგრილად და უსუსურად ვიგრძენი თავი, როგორც პირველად წაკითხვისას. ვეღარ განვაგრძე: მომდევნო სტრიქონებს დიდი მონდომებითა და გულისყურით ვკითხულობდი, მაგრამ ერთბაშად რაღაცამ გრიგალივით ამიტაცა და საწოლზე მიმაგდო. სირილი გამახსენდა. იგი ოქროსფერ ყურესთან მელოდა; ვფიქრობდი ტალღებზე მოქანავე ნავზე, კოცნაზე, ვფიქრობდი ანაზე. ანაზე ფიქრმა ლოგინიდან წამომაგდო, დავჯექი, გული საშინლად მიძგერდა და ვიმეორებდი, რომ ეს სისულელეა, საშინელებაა, რომ მე განებივრებული, ზარმაცი გოგო ვარ და უფლება არა მაქვს, ასე ვფიქრობდე-მეთქი. მაგრამ, ჩემდა უნებურად, თავისთავად მიტრიალებდა აზრები იმის შესახებ, რომ ანა ბოროტია, საშიშია და გზიდან უნდა ჩამოვიშორო-მეთქი. გამახსენდა, პირმოკუმული რომ ვიჯექი საუზმეზე ამ დილით. ღვარძლმორეული, ნაწყენი ვგრძნობდი, რომ თავი მძაგდა, რომ ჩემი განცდები სასაცილო იყო... სწორედ ამაში ვადანაშაულებდი ანას, იგი ხელს მიშლიდა მყვარებოდა თავი. ბუნებით ლაღი, ბედნიერებისათვის, უზრუნველი ცხოვრებისათვის გაჩენილი, მისი წყალობით საყვედურებისა და სინდისის ქენჯნის სამყაროს უნდა ვზიარებოდი, სადაც უიმედოდ ჩავიძირებოდი, რადგან თვითანალიზის უნარი სულ არ გამაჩნდა. სამაგიეროდ, რას მთავაზობდა? მის ძალას, შესაძლებლობას ვამოწმებდი: მოისურვა მამაჩემი – კიდეც მიიღო. ნელ-ნელა ანა ლარსენი გვაქცევდა ქმრად და გერად, ესე იგი ცივილიზებულ, ზრდილობიან და ბედნიერ ხალხად! იგი მართლაც გაგვაბედნიერებდა. წინასწარ ვგრძნობდი, ჩვენისთანა სუსტი ნებისყოფის მამა-შვილი რა ადვილად წამოვეგებოდით მის ანკესზე, რა ადვილად გამოგვამწყდევდა ჩარჩოში და უარს გვათქმევინებდა ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე. მეტისმეტად ძლიერი იყო მისი გავლენა ჩვენზე. მამა უკვე მშორდებოდა, თვალწინ მედგა, მტანჯავდა მისი ამდილანდელი დაბნეული, დარცხვენილი სახე. ცრემლები ყელში მებჯინებოდა, როცა ვიგონებდი ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას, ჩვენს გულიან სიცილს, ალიონზე პარიზის მტრედისფერი ქუჩებით მანქანით შინ რომ ვბრუნდებოდით. ყოველივეს ბოლო მოეღო. ანა მალე მეც ხელში ჩამიგდებს, მომარჯულებს, თავის ჭკუაზე მატარებს. და, რაც მთავარია, უბედურადაც არ ჩავთვლი თავს; ჭკვიანურად იმოქმედებს, ირონიასა და ალერსს მოიშველიებს. მე უკვე აღარა მაქვს ძალა, ექვს თვეში კი სურვილიც აღარ მექნება წინააღმდეგობის გაწევისა.

აუცილებელია რაღაც გავაკეთო, მამა დავიბრუნო, წინანდებური ცხოვრება დავიბრუნო. რა მომხიბვლელად მეჩვენებოდა ის ორი წელი, მხიარული, უზრუნველი ორი წელი, რაზედაც სულ ახლახან ასე სწრაფად ვთქვი უარი!.. გქონდეს უფლება ისე იფიქრო, როგორც გინდა, იფიქრო ცუდად ან სულაც არ იფიქრო, გქონდეს უფლება ისე იცხოვრო, როგორც მოგეწონება, იყო ისეთი, როგორიც მოგესურვება! არ შემიძლია ვთქვა: "იყო შენი თავი", რადგან მე მხოლოდ საძერწავი თიხა ვარ, მაგრამ ისეთი, ვერც ერთ ყალიბს რომ ვერ იგუებს.

ვიცი, ჩემი გუნება-განწყობილების ცვლილება რთული მოტივებით შეიძლება ახსნან, შეიძლება საოცარი კომპლექსებიც მომაწერონ: სისხლაღრევითი სიყვარული მამისადმი, არაჯანსაღი გატაცება ანათი. მაგრამ მე ხომ ვიცი ნამდვილი მიზეზები: სიცხე, ბერგსონი, სირილი, ან უკეთ, სირილის უნახაობა. მთელი ნახევარი დღე ამაზე ვფიქრობდი, ვფიქრობდი უსიამოვნო გრძნობით, რადგან ყველაფერი ერთი აღმოჩენიდან მომდინარეობდა: ჩვენ ანას ხელთ ვიყავით! დაფიქრება არ მჩვეოდა და ამიტომაც გავღიზიანდი. როგორც დილით, სადილობისასაც ხმა არ ამომიღია. მამამ მოვალედ ჩათვალა თავი, ეხუმრა.

– მიყვარს ახალგაზრდების გიჟმაჟი ხასიათი და საუბარი...

გამკილავად, მკაცრად შევხედე. რაც მართალია, მართალია, ახალგაზრდები ნამდვილად უყვარდა და მეც ვისთან ვსაუბრობდი სიამოვნებით, თუ არა მასთან? რა თემაზე არ გვიმუსაიფია: სიყვარულზე, სიკვდილზე, მუსიკაზე. ახლა კი თვითონვე მიმატოვა, თვითონვე ამყარა ფარხმალი. ვუყურებდი და ვფიქრობდი: "წინანდებურად აღარ გიყვარვარ, შენ მე მიღალატე!" ვცდილობდი უსიტყვოდ შთამეგონებინა ჩემი აზრები. ნამდვილ ტრაგედიას განვიცდიდი. თვითონაც შემომხედა, ერთბაშად აფორიაქდა, ალბათ მიხვდა, რომ ეს უკვე აღარ იყო თამაში და რომ ჩვენს ურთიერთობას საფრთხე ემუქრებოდა. შევამჩნიე, როგორ გაქვავდა და თვალებით რაღაცას მეკითხებოდა.

ანა მომიბრუნდა:

– ცუდად გამოიყურებით, ვწუხვარ, რომ გაიძულეთ და გამუშავეთ!

პასუხი არ გამიცია. თავი შემძაგდა, ასე რომ გავბერე ეს დრამატული კონფლიქტი, მაგრამ შეჩერება აღარ შემეძლო. ვისადილეთ. სასადილო ოთახის ფანჯრიდან შემოჭრილი სხივი ნათელ სწორკუთხედს აჩენდა ტერასაზე. თვალი მოვკარი ანას ხელს, გრძელ, ათრთოლებულ ხელს, უცებ რომ შეინძრა და მამაჩემის ხელი იპოვა. სირილი მომენატრა. მინდოდა ჭრიჭინებითა და მთვარის შუქით დაცხრილულ ამ ტერასაზე ხელში ავეყვანე; მინდოდა მეც მომფერებოდნენ, ვენუგეშებინე, საკუთარ თავთან შევერიგებინე.

მამა და ანა დუმდნენ. მათ ელოდათ ხვევნა-ალერსით სავსე ღამე, მე კი – ბერგსონი! მინდოდა მეტირა, თავი შემბრალებოდა. ამაოდ. მე უკვე ანა მეცოდებოდა, თითქოს წინასწარ ვიცოდი, რომ დავამარცხებდი.

ნაწილი მეორე

I

ამ წუთიდან ყველაფერი ისე ცხადად მახსოვს, თვითონვე მიკვირს. მე უფრო მეტი გულისყურით ვუკვირდებოდი სხვებსაც და საკუთარ თავსაც. აქამდე უშუალობა, უაზრო ეგოიზმი ბუნებრივ ფუფუნებად მიმაჩნდა, და მეც ასეთ გარემოში ვცხოვრობდი. მაგრამ ამ რამდენიმე დღემ ისე ამიფორიაქა სული, დაფიქრება დავიწყე, შორიდან ვუკვირდებოდი თავს. თვითანალიზის ყოველი მტანჯველი მხარე გადავიტანე, მაგრამ საკუთარ თავს მაინც ვერ შევურიგდი. "ჩემი გრძნობები ანას მიმართ, – ვირწმუნებდი თავს, – სულელური და უბადრუკია, ხოლო ჩემი სურვილი – დავაშორო იგი მამაჩემს, სასტიკია". თუმცა ასე რად ვკიცხავ თავს? რაკი საუთარი "მე" მაქვს, ნუთუ ჩემი უფლება არაა განვიცადო, რაც ირგვლივ ხდება? პირველად ჩემს ცხოვრებაში ჩემი "მე" თითქოს გაორდა და ამ გაორების აღმოჩენამ საოცრად გამაკვირვა. თავის გასამართლებლად დამაჯერებელ საბუთებს ვპოულობდი, ვჩურჩულებდი ჩემთვის, მიმაჩნდა, რომ გულწრფელი ვიყავი, მაგრამ ერთბაშად ჩემი მეორე "მე" ხმას იმაღლებდა, ჩემს არგუმენტებს უარყოფდა, მიყვიროდა, ამაოა თავის მოტყუებაო, თუმცა გარეგნულად ვერც ერთ ჩემს საბუთში ვერავინ შეიტანდა ეჭვს. ვინ იცის, იქნებ სწორედ ჩემი მეორე "მე" მატყუებდა? იქნებ სწორედ ეს გამჭრიახობა იყო ჩემი მთავარი შეცდომა? მთელი საათების განმავლობაში ვიჯექი ოთახში, ვცდილობდი გამეგო, გამართლებული იყო თუ არა ის შიში და მტრული განწყობილება, რასაც იმხანად ანა იწვევდა ჩემში, ან იქნებ მე განებივრებული, თავკერძა გოგო ვიყავი, რომელსაც მოჩვენებითი დამოუკიდებლობა სწყურია!

ამასობაში დღითი დღე ვხდებოდი. ზღვის ნაპირზე მხოლოდ მეძინა, ხოლო სუფრასთან ჩემდა უნებურად ჯიუტად ვდუმდი, რაც ბოლოს და ბოლოს აუტანელი გახდა მათთვის. მე ვუკვირდებოდი ანას, გამუდმებით ვუთვალთვალებდი მის ყოველ მოძრაობას და ვფიქრობდი: "ისე გადაიწია მისკენ, ეტყობა, ესაა სიყვარული, ნამდვილი სიყვარული, ასეთ სიყვარულს მამა ვერსად შეხვდება. ან როგორ შეიძლება გავბრაზდე ანაზე, როცა ვხედავ, რა შეშინებული თვალებით მიღიმის?!" მაგრამ, როგორც კი იტყოდა: "როცა ქალაქში დავბრუნდებით, რეიმონ...", როცა წარმოვიდგენდი, როგორ შემოიჭრებოდა ჩვენს ცხოვრებაში, მისი მონაწილე გახდებოდა, მაშინვე ყალყზე ვდგებოდი. იგი უკვე მოხერხებულ, გულცივ ადამიანად მესახებოდა. ვფიქრობდი: "ეს ქალი ცივია, ჩვენ სისხლი გვიდუღს; იგი ბრძანების მოყვარულია, ჩვენ დამოუკიდებლობა გვიყვარს; იგი გულგრილია, ხალხი არ აინტერესებს, ჩვენ საზოგადოება გვიზიდავს; იგი თავშეკავებულია, ჩვენ მხიარულება გვიყვარს. მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ ცოცხალი არსებები, ის კი ცდილობს ჩვენ შორის შემოიჭრას, ჩვენი სიახლოვით გათბეს, ნელ-ნელა ჩამოგვაშოროს ჩვენი უზრუნველობის ეს სასიამოვნო სითბო და ლამაზი ქვეწარმავალივით გაგვძარცვოს..." ლამაზი ქვეწარმავალი... ლამაზი ქვეწარმავალი... ვიმეორებდი. ანა პურს მაწვდიდა, ერთბაშად გამოვხფიზლდებოდი და ლამის მეყვირა: "კი მაგრამ, ეს ხომ სიგიჟეა! ეს ხომ ანაა, ჭკვიანი ანა, რომელმაც ჩემზე ზრუნვა იკისრა! ეს გულცივობა უბრალოდ მისი ბუნებაა, არავითარი ანგარება აქ არაა; გულგრილობა ათასნაირი ცხოვრებისეული სისაძაგლისაგან იცავს მას. იგი კეთილშობილების საწინდარია!" ლამაზი ქვეწარმავალი... სირცხვილისგან ვფითრდებოდი, შევცქეროდი და გულში პატიებას ვევედრებოდი. ზოგჯერ ანა იჭერდა ჩემს გამოხედვას და, გაოცებულსა და დაეჭვებულს, სახე ექუფრებოდა, სიტყვა უწყდებოდა, უნებურად მამის შემოხედვას ეძებდა, ის კი აღტაცებით ჟინმორეული შეჰყურებდა, ვერ ხვდებოდა მისი შეშფოთების მიზეზს. ბოლოს და ბოლოს მივაღწიე იმას, რომ აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა და სწორედ ამიტომ მძაგდა თავი.

მამა იმდენად იტანჯებოდა, რამდენადაც მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი შეიძლება დაიტანჯოს, ესე იგი, ცოტათი, რადგან გაგიჟებით უყვარდა ანა, სიამაყისა და კმაყოფილებისაგან თავგზა ერეოდა და მხოლოდ ამ სიყვარულით ცოცხლობდა. მიუხედავად ამისა, ერთ დღეს, როცა ზღვაში ვიბანავე, ნაპირზე გავიშოტე და ვთვლემდი, გვერდით ჩამომიჯდა და დამაცქერდა. მაშინვე ვიგრძენი მისი შემოხედვა, მინდოდა წამოდგომა, ნაძალადევად მხიარული სახით, უკვე ჩვევად რომ მექცა, შემეთავაზებინა, წამო, ვიბანაოთ-მეთქი, მაგრამ თავზე ხელი დამადო და სიბრალულით ჩაილაპარაკა:

– ანა, ნახეთ, როგორ გახდა ეს კალია! თუ ეს მეცადინეობის ბრალია, თავი უნდა დაანებოს.

ეგონა, საქმეს მოაგვარებდა. ცხადია, ათი დღის წინ რომ ეთქვა ეს, იქნებ ეშველა რამე. მაგრამ მე უკვე გავიხლართე ათასნაირ წინააღმდეგობებში და დღისით მეცადინეობა სულაც არ მაწვა მძიმე ტვირთად: ბერგსონის შემდეგ მე ხომ არც ერთი წიგნი არ გადამიშლია!

ანა მოგვიახლოვდა. მე ისევ ქვიშაზე ვიწექი პირდაღმა, მთელი გულისყური მისი ნაბიჯებისკენ მქონდა. მეორე მხარეს ჩამომიჯდა და წაიჩურჩულა:

– მართალია, მუშაობამ ცუდი გავლენა მოახდინა, თუმცა უკეთესი იქნებოდა, ემეცადინა და ოთახში უსაქმოდ არ ებორიალა.

შემოვბრუნდი, ორივეს შევხედე. საიდან იცის, რომ არ ვმეცადინეობდი? იქნებ ჩემს ფიქრებსაც კითხულობს? იგი ხომ ყოვლისშემძლეა! ამ აზრმა თავზარი დამცა.

– სულაც არ ვბორიალებ ოთახში, – შევეპასუხე მე.

– იქნებ იმ ყმაწვილზე დარდობ? – მკითხა მამამ.

– არა!

სულმთლად გულწრფელი პასუხი არ გამომივიდა. მაგრამ სირილზე ფიქრის დრო მართლა არ მქონდა.

– ასეა თუ ისე, ცუდად გამოიყურები, – მკაცრად მითხრა მამამ, – ანა, ერთი შეხედეთ! გამოშიგნულ წიწილას არა ჰგავს, მზეზე რომ გამოუდვიათ შესახრუკად?!

– ჩემო პატარა სესილ, – თქვა ანამ, – თავს ძალა დაატანეთ. ცოტ-ცოტა წაიმეცადინეთ და მეტი ჭამეთ. ამ გამოცდას დიდი მნიშვნელობა აქვს...

– მიმიფურთხებია ამ გამოცდისთვის, – დავიყვირე მე, – გესმით? მიმიფურთხებია!

სასოწარკვეთილი, პირდაპირ სახეში მივაჩერდი, მინდოდა მიმხვდარიყო, რომ გამოცდებზე მეტად სხვა რამაა მნიშვნელოვანი. მინდოდა ეკითხა: “მაშ, რა მოხდა?” კითხვა კითხვაზე დაეყარა, გამოვეტეხე. ამით გადამაფიქრებინებდა, ყველაფერს გამაკეთებინებდა, სამაგიეროდ ამ მომწამვლელ, ბოროტ ზრახვებს თავიდან მომაშორებდა. მაგრამ ანა დაკვირვებით დამაცქერდა მხოლოდ. მოლოდინითა და საყვედურით დანისლოდა ლაჟვარდისფერი თვალები. მივხვდი, არასოდეს

დამიწყებდა გამოკითხვას, არასოდეს შემიმსუბუქებდა დარდს, ასეთი რამ აზრადაც არ მოუვიდოდა; თვლიდა, ასეთი რამ არ ხდებაო. ვერც კი წარმოედგინა, რა ფიქრები მაწვალებდა და კიდეც რომ წარმოედგინა, ამრეზითა და გულგრილად მოეკიდებოდა ჩემს აზრებს, რასაც, სხვათა შორის, კიდეც ვიმსახურებდი. მას ისე კარგად ეხერხებოდა ყოველი საგნისთვის ზუსტი მნიშვნელობის გამოძებნა, ცხადია, ვერასოდეს, ვერასოდეს გამოვნახავდი საერთო ენას მასთან. ხელახლა დავეგდე ცხელ ქვიშაზე, ალერსით დავადე თავი, ამოვიოხრე და ავკანკალდი. ანას მშვიდი, მტკიცე ხელი ვიგრძენი კეფაზე და ერთხანს, სანამ ნერვული ცახცახი არ დამიცხრა, განძრევის საშუალება არ მომცა.

– ცხოვრებას ამაოდ ირთულებთ! – მითხრა მან, – თქვენ ხომ მუდამ კმაყოფილი, გიჟმაჟი, ქარიხვეტია გოგონა იყავით და უცებ ასეთი გონიერი და სევდიანი როგორ გახდით? ეს სულ არ გიხდებათ.

– ვიცი, მე ახალგაზრდა, უგუნური, ჯანსაღი ვარ... მხიარული და სულელი.

– წამოდით, ვისაუზმოთ! – თქვა მან.

მამა წინ გაგვიძღვა. ასეთი კამათი მუდამ ეჯავრებოდა. გზაში ხელი მომკიდა და დიდხანს არ გაუშვია. ეს იყო ღონიერი, საიმედო ხელი: ამ ხელმა შემიშრო პირველი სიყვარულის ცრემლი, ამ ხელს ეჭირა ჩემი ხელი, როცა მშვიდად, უდარდელად, ბედნიერად ვგრძნობდით თავს, ეს ხელი მიჭერდა ხოლმე მალულად, როცა ვანცობდით და თავშეუკავებლად ვხარხარებდით. ეს ხელი მინახავს მანქანის საჭეზე თუ გასაღებზე, როცა ღამით ამაოდ ცდილობდა კარის საკეტისთვის მორგებას, ეს ხელი მინახავს ქალის მხარზე თუ სიგარეტით. მაგრამ ამ ხელს უკვე აღარ შეეძლო ჩემი შველა. მაგრად მოვუჭირე. გადმომხედა და გამიღიმა.

II

ორი დღე გავიდა. ისევ დავბორიალებდი ოთახში, გავწამდი. თავიდან ვერ მომეშორებინა აკვიატებული აზრი: ანა სიცოცხლეს გაგვიმწარებს! სირილის ნახვა არ მიცდია, ალბათ დამამშვიდებდა, ცოტაოდენ სიხარულსაც მომიტანდა, მე კი ეს სულაც არ მინდოდა. გადაუწყვეტელ საკითხებზე ფიქრი, წარსულ დღეთა მოგონება, მომავლისადმი შიში ერთგვარ სიამოვნებასაც მგვრიდა. საშინლად ცხელოდა; დარაბებდახურულ ჩემს ოთახში თითქმის ბნელოდა, მაგრამ არც ეს მშველოდა, აუტანელი, მძიმე, დახუთული ჰაერი იდგა. ლოგინზე მივეგდე, თავი უკან გადავხარე, თვალები ჭერს მივაპყარი, დროდადრო ოდნავ შევინძრეოდი ხოლმე, ზეწარზე გრილ ადგილს ვეძებდი. ვერ დავიძინე. საწოლის ფეხებთან ფირსაკრავი დავდგი, ხშირ-ხშირად ვცვლიდი ფირფიტებს და უმელოდიო, მაგრამ რიტმიან, შენელებულ მუსიკას ვუსმენდი. ბევრს ვეწეოდი, დეკადენტად წარმომედგინა თავი და ეს მომწონდა. არც ამან მიშველა: მაინც ნაღვლიანი, დაბნეული ვიყავი.

ერთ ნაშუადღევს მოახლემ კარზე მომიკაკუნა და იდუმალი სახით მომახსენა, ქვემოთ ვიღაც გიცდითო. გავიფიქრე, ალბათ სირილია-მეთქი და ჩავედი. სირილის

ნაცვლად ელზა დამხვდა. გულთბილად ჩამომართვა ხელი. ისე გალამაზებულიყო, სახტად ვიდექი და შევყურებდი. როგორც იქნა, მზე მოჰკიდებოდა, ზომიერი, კრიალა ნამზეური კარგად ესადაგებოდა მის მოვლილ, თვალისმომჭრელ გარეგნობას.

– ბარგის წასაღებად მოვედი, – თქვა მან, – მართალია, ჟუანმა რამდენიმე კაბა მიყიდა, მაგრამ არ მყოფნის.

წამით დავფიქრდი, ნეტა ჟუანი ვინ არის-მეთქი; ამის გამორკვევას მაინც არ შევუდექი. ელზას ხელახლა ნახვა ძალიან გამიხარდა: მან თან მოიტანა ხასის სამყარო, ლუდხანების, უდარდელი საღამოების ატმოსფერო და ბედნიერი დღეები მომაგონა. გამოვუტყდი, ძალიან მესიამოვნა-მეთქი თქვენი ნახვა. თვითონაც დამიწყო მტკიცება, ჩვენ მუდამ გვესმოდა ერთმანეთის, რადგან ბევრი საერთო გვაქვსო. შევცბი, მაინც არ შევიმჩნიე და შევთავაზე ჩემს ოთახში ამოსულიყო. ამით მამასთან და ანასთან შეხვედრას ავიცილებდი. როცა მამა ვახსენე, უნებურად ისე გადააქნია თავი, მივხვდი, მიუხედავად ჟუანისა და მისი ნაყიდი კაბებისა, ჯერ კიდევ უყვარდა... ისიც გავიფიქრე, სამი კვირის წინ ამ მოძრაობას ვერც კი შევამჩნევდი-მეთქი.

ოთახში შესვლისთანავე ელზამ ხმამაღლა დაიწყო მოყოლა, რა შესანიშნავად ატარებდა დროს კურორტის მაღალ საზოგადოებაში. ყურს ვუგდებდი და ვგრძნობდი, რა უცნაური აზრები მეუფლებოდა. ნაწილობრივ ამის მიზეზი ელზას შეცვლილი იერსახეც გახლდათ. ბოლოს, როგორც იქნა, შეწყვიტა ლაპარაკი, ალბათ შეამჩნია, რომ ვდუმდი, ოთახში გაიარა და ისე მკითხა, ჩემთვის არ შემოუხედავს:

– ბედნიერი თუა მაინც რეიმონი?

გულში გავიფიქრე ერთი ქულა ჩემს სასარგებლოდაა-მეთქი და მაშინვე მივხვდი, რატომ. უამრავი გეგმა, განზრახვა მერეოდა თავში და ვგრძნობდი, ჩემი არგუმენტების სიმძიმეს ვერ გავუძლებდი. მაშინვე მოვისაზრე, რა უნდა მეპასუხა:

– ბედნიერი! მეტისმეტად ხმამაღალი ნათქვამი გამოგივიდათ! უბრალოდ, ანა ცდილობს შთააგონოს, რომ ასეა. ძალიან მარჯვე ქალია.

– ძალიან! – ამოიოხრა ელზამ.

– ვერც კი წარმოიდგენთ, რა გადაწყვეტილება მიაღებინა... ცოლად ირთავს!

ელზა შეძრწუნებული სახით შემობრუნდა:

– ცოლად ირთავს? რეიმონი? რეიმონი ცოლის შერთვას აპირებს?

– დიახ. რეიმონი ცოლს ირთავს.

გიჟური ხარხარი მომინდა. ხელები მიკანკალებდა. ელზა ისე გაოგნებული იდგა, თითქოს თავში ჩაარტყესო. დაფიქრების საშუალება არ უნდა მიმეცა, იმ დასკვნამდე არ უნდა მისულიყო, რომ მამაჩემის ასაკში ცოლის შერთვა ბუნებრივი ამბავია... აბა, მთელ ცხოვრებას ხასებთან ხომ არ გაატარებდა! წინ გადავიხარე და მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად ხმას დავუწიე:

– ელზა, ეს არ უნდა მოხდეს. მამა უკვე გაწვალდა. თქვენც კარგად გესმით, რომ ეს შეუძლებელია მოხდეს!

– რა თქმა უნდა!

მონუსხულივით იდგა, სიცილი მახრჩობდა, კანკალმა ამიტანა.

– თქვენ გიცდიდით, – განვაგრძე მე, – მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ შეებრძოლოთ ანას. აქ თქვენისთანა ქალია საჭირო.

აშკარად ეტყობოდა, გულით ეწადა დაეჯერებინა ჩემი ნათქვამი.

– კი მაგრამ, რაკი ცოლად ირთავს, ალბათ კიდეც უყვარს! – შემეკამათა იგი.

– კარგით ერთი! – ალერსიანად ვუთხარი, – მას მხოლოდ თქვენ უყვარხართ, ელზა! ნუ შეეცდებით დამარწმუნოთ, თითქოს არ იცოდეთ.

ელზამ თვალები აახამხამა, თავი მიაბრუნა, უნდოდა დაემალა ის სიხარული და იმედი, ჩემმა სიტყვებმა რომ ჩაუსახა. მე თითქოს ზეშთაგონებით ვმოქმედებდი, ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა მეთქვა.

– ნუთუ ვერ ხვდებით? ანა იმდენს ელაპარაკა ოჯახურ იდილიაზე, ზნეობაზე, ანკესზე წამოაგო.

ჩემივე სიტყვები მზარავდა... რადგან, ბოლოს და ბოლოს, იმას გამოხატავდნენ, რასაც ვგრძნობდი, თუნდაც უხეში, პრიმიტიული ფორმით, სულ ერთია, ჩემს აზრებს შეესაბამებოდა.

– ეს ქორწინება თუ შედგა, სამივეს გაგვიმწარდება ცხოვრება, ელზა. მამა უნდა დავიცვათ, ის ხომ დიდი ბავშვია, ელზა... დიდი ბავშვი...

დარწმუნებით ვიმეორებდი, დიდი ბავშვია-მეთქი. ცოტა არ იყოს, მელოდრამას წააგავდა ყოველივე ეს, მაგრამ ელზას მშვენიერი, მწვანე თვალები უკვე დანისლულიყო სიბრალულით. ბოლოს, ჰიმნივით დავასრულე:

– დამეხმარეთ, ელზა. ამას თქვენთვის ვამბობ, მამაჩემისთვის, თქვენი და მამაჩემის სიყვარულისთვის.

– კი მაგრამ, მე რა შემიძლია? მკითხა ელზამ, – ვფიქრობ, ეს შეუძლებელია!

– თუ ასე გგონიათ, ახლავე თქვით უარი! – განვაცხადე ეგრეთ წოდებული ჩამქრალი ხმით.

– ოო, ის კახპა, ისა! – ჩაიბუტბუტა ბოლოს.

– ზედგამოჭრილი სახელია! – ვთქვი და ამჯერად მე ავარიდე თვალი.

ელზა ხელახლა გამოცოცხლდა. დასცინეს, არა? არა უშავს, მალე აჩვენებს იმ ინტრიგანს, რა ძალა აქვს ელზა მაკენბურს! რეიმონს იგი უყვარდა, ეს მუდამ იცოდა. ჟუანმა ვერ დაავიწყა რეიმონის მომხიბვლელობა. რასაკვირველია, ოჯახური კერის

სიხარულზე არასოდეს ულაპარაკია მასთან, სამაგიეროდ, არც არასოდეს აბეზრებდა თავს, არასოდეს ცდილა...

– ელზა, მისი ატანა აღარ შემიძლია, – ახლავე მიდით სირილთან და ჩემი სახელით უთხარით, რომ თავშესაფარი მოგცეთ. დედამისს როგორმე მოელაპარაკება. სირილს გადაეცით, რომ დილით მეც მოვალ და სამივემ ერთად მოვითათბიროთ.

ჭიშკრამდე მივაცილე და გავეხუმრე:

– იცოდეთ, ელზა, საკუთარ ბედნიერებას იცავთ!

დინჯად დამიქნია თავი, თითქოსდა ამ ბედნიერებას ხელთათმანივით არ იცვლიდა, თავის მარჩენალ უამრავ მამაკაცებთან ერთად! ვუყურებდი, როგორ მიაბიჯებდა მზისგულზე ტანის რხევით და დარწმუნებული ვიყავი, ერთი კვირაც არ გაივლიდა, რომ მამაჩემი ხელახლა აინთებოდა ელზას სიყვარულით!

ოთხის ნახევარი იყო: მამას ალბათ ანას მკლავებში ეძინა. ბედნიერებისა და სიამოვნებისგან მოთენთილს, სიცხით გათანგულ ანასაც ვერ გაერთმია ძილისთვის თავი... უამრავი გეგმა ელვის სისწრაფით მესახებოდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ გავრკვეულიყავი საკუთარ თავში, შეუსვენებლივ დავბორიალებდი ოთახში, მივიდოდი ფანჯარასთან, სწრაფად გადავავლებდი თვალს წყნარ ზღვას, ნაპირზე რომ გართხმულიყო, კართან ვბრუნდებოდი, მერე ისევ ფანჯარას ვუახლოვდებოდი. ათასნაირი ვარაუდი მიჩნდებოდა, ყოველი მხრიდან ვუდგებოდი დაბრკოლებებს, ვძლევდი; არასოდეს არ წარმომედგინა, ასეთი გამჭრიახი, მოხერხებული თუ იყო ადამიანის გონება. საშიშ და საოცრად მარჯვე ქალად მესახებოდა თავი და საკუთარი თავის მიმართ ზიზღს, ელზასთან საუბრის დროს რომ გამიჩნდა, ახლა სიამაყის, წინააღმდეგობისა და მარტოობის გრძნობაც ემატებოდა.

მაგრამ, როცა ბანაობის დრო დადგა, – ღირს კი ამის თქმა? – მთელი ეს ამბავი ჩაიშალა. სინდისი მქენჯნიდა, არ ვიცოდი, როგორ გამომესწორებინა დანაშაული ანას წინაშე. სანაპიროზე მისი ჩანთა მიმქონდა; წყლიდან ამოსვლისას სწრაფად მივაშურე და ხალათი მივაწოდე, ყურადღებას, თავაზიან სიტყვებს არ ვაკლებდი; რამდენიმე დღის დუმილის შემდეგ ასეთი უეცარი ცვლილება აოცებდა და კიდეც ახარებდა ანას. მამა აღტაცებული იყო. ანა ღიმილით მიხდიდა მადლობას, მხიარულად მპასუხობდა, მე კი ყურში მიწიოდა: “ოო, ეს კახპა, ესა! ზედგამოჭრილი სახელია!” ეს როგორ ვთქვი, როგორ ავყევი ელზას როშვას! ხვალვე ვურჩევ წავიდეს, ვეტყვი, შევცდი-მეთქი! ყველაფერი წინანდებურად დარჩება და, ბოლოს და ბოლოს, რატომ არ უნდა ჩავაბარო გამოცდა! ბაკალავრის ხარისხის მიღება უეჭველად სასარგებლო საქმეა!

– ხომ ასეა?

ანას ვეკითხებოდი:

– ბაკალავრის ხარისხის მიღება ხომ სასარგებლოა?

ანამ შემომხედა და გადაიხარხარა. მეც გამეცინა. გამეხარდა, ასე რომ გამხიარულდა.

– ვერაფერს გაგიგებთ კაცი! – თქვა მან.

მართალს ამბობდა, ნამდვილად ვერაფერს გამიგებდა კაცი. თანაც რომ სცოდნოდა, რა განვიზრახე ამ დილით! ვკვდებოდი, ისე მინდოდა მეამბნა მისთვის ყველაფერი, რათა დაენახა, რამდენად ძნელი იყო ჩემი გამოცნობა! "წარმოიდგინეთ, ელზა კომედიის გასათამაშებლად ავაგულიანე: მას თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, ვითომ სირილი უყვარს, მის სახლში უნდა დასახლებულიყო, ნავით ესეირნათ, ტყეში, სანაპიროზე ესეირნათ. ელზა ისე გალამაზდა. ოჰ, რასაკვირველია, თქვენებრ მშვენიერი როდია, მაგრამ მას აქვს ის მიწიერი მომხიბვლელობა, მამაკაცებს შეუმჩნეველი რომ არ რჩებათ. მამა დიდხანს ვერ გაუძლებდა ცდუნებას: ვერ შეურიგდებოდა აზრს, ლამაზი ქალი, რომელიც მას ეკუთვნოდა, ასე სწრაფად რომ დამშვიდდა, სხვა იშოვა და ისიც თითქმის მის თვალწინ, თანაც მასზე ახალგაზრდა! გესმით, ანა? თუმცა მამას თქვენ უყვარხართ, თავის დასამშვიდებლად სულ მალე მოისურვებს ელზას ხელში ჩაგდებას. იგი ძალიან პატივმოყვარეა, ან იქნებ თავის თავში არაა დარწმუნებული, ეს უკვე არ ვიცი, თავად განსაჯეთ, ელზა ისე მოიქცეოდა, როგორც ვეტყოდი. ერთ მშვენიერ დღეს, მამა გიღალატებდათ, თქვენ ამას ვერ აიტანდით, ხომ ასეა? თქვენ იმ ქალთა რიცხვს არ ეკუთვნით, გაყოფას რომ ეგუებიან. ჰოდა, აქედან წახვიდოდით, მეც ეს მინდოდა. ჰო, სისულელეა, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი თქვენზე ბერგსონის გამო, სიცხის გამო, წარმომედგინა, რომ... იმდენად აბსტრაქტული და სასაცილოა, თქმასაც ვერ ვბედავ. ამ გამოცდის გამო მზად ვიყავი წაგჩხუბებოდით თქვენ, დედაჩემის მეგობარს, ჩვენს მეგობარს! თუმცა ბაკალავრის ხარისხის მიღება ძალიან სასარგებლოა!"

– ხომ ასეა?

– რა არის ასე? – მკითხა ანამ, – ბაკალავრის ხარისხის მიღება?

– ჰო.

არა, არ ღირს ყველაფრის მოყოლა, სულ ერთია, მაინც ვერ გამიგებს. არის ზოგი ისეთი რამ, რისი გაგებაც ანას არ შეუძლია. წყალში ჩავხტი, მამას დავეწიე, ველლაბუცებოდი, კვლავ მესიამოვნა ეს თამაში, წყალი, დამშვიდებული სინდისი. ხვალვე სხვა ოთახში გადავბარგდები, სხვენზე მოვეწყობი, წიგნებს ავიტან. რა თქმა უნდა, ბერგსონს არ წავიღებ, რა საჭიროა გადაჭარბება?! ორი საათი მუყაითი შრომა, მარტოობა, ჩუმი გულმოდგინეობა, მელნისა და ქაღალდის სუნი... ოქტომბერში – წარმატება, მამაჩემის გაოცებული სიცილი, ანას შექება, დიპლომი. მე გავხდები ჭკვიანი, განათლებული, ანასავით ოდნავ გულცივი... ვინ იცის, იქნებ უჩვეულო ნიჭი აღმომაჩნდეს... აკი ხუთ წუთში შევძელი ლოგიკური – თავისთავად საძაგელი, მაგრამ მაინც ლოგიკური გეგმის დამუშავება?! კი მაგრამ ელზა? ქალი თავის ჩემოდნის წასაღებად მოვიდა, მე კი მის პატივმოყარეობაზე, მის გრძნობებზე ვითამაშე, თვალის დახამხამებაში ავიყოლიე. საოცარია პირდაპირ: ელზა ნიშანში ამოვიღე, შევამჩნიე მისი სუსტი ადგილი და სანამ რამეს ვეტყოდი, ზუსტად გამოვიანგარიშე დარტყმის ძალა. პირველად განვიცადე ეს უჩვეულო სიამოვნება: გამოიცნო ადამიანის ბუნება, მის სულში ხელი აფათურო, სააშკარაოზე გამოიტანო და მერე მტკივან ადგილას უჩხვლიტო! ფრთხილად, თითქოს ზამბარაზე დამედოს თითი, ვცდილობდი ვინმე მომეძებნა და აი, ეს ზამბარა მაშინვე ამოქმედდა. მიზანში მოვარტყი! წინათ ასეთი რამ არასოდეს განმიცდია, მეტისმეტად იმპულსური ვიყავი. თუკი ვინმეს

შევეხებოდი მტკივნეულ ადგილას, ეს მხოლოდ წინდაუხედაობით მომდიოდა. და აი, ერთბაშად აღმოვაჩინე ადამიანის რეაქციების საოცარი მექანიზმი, სიტყვის ძალა... რა საწყენია, მოტყუების გზით რომ მოხდა ეს! მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მთელი გულით შევიყვარებ ვინმეს და ასევე ფრთხილად, ნაზი, მთრთოლვარე ხელით მოვძებნი გზას მისი გულისკენ...

III

მეორე დღეს, როცა სირილის აგარაკისკენ მივდიოდი, ინტელექტუალურ სიმტკიცეს ვეღარ ვგრძნობდი. წინადღით, ვახშმობისას გამოჯანსაღების აღსანიშნავად ბევრი დავლიე და კიდეც შევზარხოშდი. მამას ვარწმუნებდი, ფილოლოგიაში დავიცავ დისერტაციას, განათლებული ხალხის წრეში ვიტრიალებ, სახელგანთქმული და მოსაწყენი ქალი გავხდები, ხოლო ჩემი კარიერის ხელშესაწყობად შენ რეკლამისა და სკანდალის ყოველგვარი საშუალებების გამოყენება მოგიხდება-მეთქი. ერთმანეთს არ ვაცლიდით სულელური გეგმების შედგენას და გიჟებივით ვხარხარებდით. ანაც იცინოდა, ოღონდ არც ისე ხმამაღლა და ოდნავ შემწყნარებლობით. როცა ჩემი აზრები ლიტერატურისა და წესიერების ჩარჩოებს სცილდებოდა, ანას სიცილი აღარ ისმოდა. არაფერს ამბობდა, რადგან გრძნობდა, მამა აშკარად ბედნიერი იყო, ამ ჩვენს სულელურ მხიარულებასთან ერთად წინანდელი დამოკიდებულება რომ დაგვიბრუნდა, ბოლოს ლოგინში ჩამაწვინეს, საბანი შემომიკეცეს. მხურვალე მადლობას ვუხდიდი ორივეს, ვამბობდი, თქვენ რომ არ მყავდეთ, რა მეშველება-მეთქი. მამამ მართლა არ იცოდა, სამაგიეროდ, ანას საკმაოდ სასტიკი აზრი ჰქონდა ამაზე. ვეხვეწებოდი, მითხარით-მეთქი, ისიც დაიხარა, მაგრამ სწორედ ამ დროს მომერია ძილი. შუაღამისას ცუდად გავხდი. დილითაც საშინელ გუნებაზე გამომეღვიძა. თავგაბრუებული, გულდამძიმებული მივაბიჯებდი ფიჭვნარში და ვერც დილის ზღვის სიმშვენიერეს ვამჩნევდი, ვერც აწრიალებულ თოლიებს.

სირილი ბაღის ჭიშკართან შემხვდა. მომაშურა, მკლავები მომხვია, მაგრად მიმიხუტა, უთავბოლოდ ბუტბუტებდა:

– საყვარელო, ისე ვღელავდი... ამდენი ხანი... არ ვიცოდი, რა მოგივიდა, იქნებ ის ქალი გაწვალებდა... არ მეგონა, ასე თუ დავიტანჯებოდი... ყოველ ნაშუადღევს ყურის გასწვრივ წინ და უკან დავაცურებდი ნავს... არ მეგონა, ასე თუ მიყვარდი...

– არც მე მეგონა.

მართლაც გაოცებული და აღელვებული დავრჩი. ვწუხდი, გული რომ მერეოდა და ჩემი გრძნობების გამოხატვა არ შემეძლო.

– რა ფერმკრთალი ხარ, – მითხრა სირილმა, – არა უშავს, ამიერიდან მე ვიზრუნებ შენზე, არავის მივცემ ნებას, ასე ცუდად მოგეპყრან!

მივხვდი, ელზას ფანტაზიის ნაყოფი იყო. სირილს ვკითხე, დედაშენმა როგორ მიიღო-მეთქი ელზა.

– ჩემს ობოლ მეგობრად გავაცანი. სხვათა შორის, ელზა არაა ცუდი, პირიქით. ყველაფერი მიამბო იმ ქალზე. საკვირველია, რა დახვეწილი, კეთილშობილი გარეგნობა აქვს და რა ინტრიგანული ხრიკები სცოდნია!

– ელზას გაუზვიადებია, – ზანტად ვუთხარი, – სწორედ ის მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ...

– მეც მინდა გითხრა, – შემაწყვეტინა სირილმა, – სესილ, ცოლად უნდა შეგირთო.

წამით შემეშინდა. რაღაც უნდა მეღონა, რაღაც უნდა მეთქვა. ოჰ, ასე საშინლად რომ არ მერეოდეს გული...

– მე შენ მიყვარხარ, – მეუბნებოდა სირილი, -იურისპრუდენციას თავს დავანებებ, ბიძაჩემი... კარგ სამსახურს მთავაზობს... მე ოცდაექვსი წლის გავხდი, პატარა ბიჭი აღარა ვარ. სერიოზულად გელაპარაკები. შენ რას იტყვი?

ამაოდ ვცდილობდი გამომეძებნა რაიმე კარგი, ორაზროვანი პასუხი. სულაც არ მინდოდა ცოლად გავყოლოდი სირილს. მიყვარდა, მაგრამ ცოლად გაყოლა არ მინდოდა. საერთოდ არავინ მინდოდა ქმრად. დავიღალე.

– შეუძლებელია! – წავიბუტბუტე ბოლოს, – მამაჩემი...

– მამას მე მოველაპარაკები, – თქვა მან.

– ანა არ იზამს. ანას მიაჩნია, რომ ჯერ ბავშვი ვარ. ხოლო რაკი ის არ დათანხმდება, მამაც უარს გეტყვის. მე ისე დავიქანცე, სირილ... ამდენი მღელვარებისგან მუხლები მეკეცება. დავსხდეთ. აგერ ელზაც.

ელზა საშინაო ხალათით ჩამოდიოდა კიბეზე, სახეგაბრწყინებული, გაახალგაზრდავებული. მის გვერდით უფერული, დალეული ვჩანდი. ორივეს ჯანსაღი, აღგზნებული, ლაღი გამომეტყველება ჰქონდა და ამან უფრო მეტად მომშალა. ელზამ დამსვა, ისეთი მზრუნველობით მექცეოდა, თითქოს ეს-ესაა საპატიმროდან გამოვსულიყავი.

– რეიმონი როგორაა? – მკითხა მან, – იცის, თქვენთან რომ ვიყავი?

იმ ქალის ბედნიერი ღიმილით ლაპარაკობდა, რომელმაც აპატია და ახლა იმედოვნებს. არ შემეძლო მეთქვა, რომ მამას გადავიწყებული ჰყავდა, ვერც სირილისთვის გამემჟღავნებინა, მასზე გათხოვების სურვილი რომ არა მქონდა. თვალები დავხუჭე; სირილი ყავის მოსატანად გაიქცა. ელზა კი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა გაუთავებლად. ეტყობა, მეტად გამჭრიახ ადამიანად მთვლიდა, მთელი გულით მენდობოდა. ყავა მაგარი, არომატული იყო, მზემაც შემმატა ძალა.

– ბევრი ვიფიქრე, მაგრამ გამოსავალი ვერ ვიპოვე, – თქვა ელზამ.

– გამოსავალი არ არსებობს, – განაცხადა სირილმა, – ისეთ გატაცებას, ისეთ გავლენას წავაწყდით, ვერაფერს გავხდებით.

– არის გამოსავალი! – ვთქვი მე, – არის ერთი საშუალება. თქვენ კი წარმოსახვის ნატამალიც არ გაგაჩნიათ!

მეამაყებოდა, ასე ყურადღებით რომ მისმენდნენ; თუმცა ჩემზე ათი წლით უფროსები იყვნენ, მოფიქრების უნარი არც ერთს არ ჰქონდა.

– ეს წმიდა ფსიქოლოგიური საკითხია! განვაცხადე მე.

დიდხანს ვლაპარაკობდი, მთელი გეგმა გადმოვულაგე. ისინი იმავე სიძნელეებს აწყდებოდნენ, წინადღით მე თვითონ რომ ვუყენებდი ჩემსავე გეგმებს. და ამ სიძნელეების გადასალახავი საშუალებები რომ მოვახსენე, თვითონვე დავრჩი კმაყოფილი. ყველაფერი უსაფუძვლო იყო, მაგრამ იმდენად მინდოდა მათი დარწმუნება, ამ გეგმამ მე თვითონ გამიტაცა. დავუმტკიცე, რომ ჩემი გეგმის განხორციელება შეიძლებოდა. ახლა ისღა დამრჩენოდა, ორივე დამეყოლიებინა, რომ ამის გაკეთება არაა საჭირო, მაგრამ დამაჯერებელ საბუთებს ვერ ვპოულობდი.

– ეგ ხრიკები სულაც არ მომწონს, – თქვა სირილმა, – მაგრამ თუკი შენს შესართავად სხვა საშუალება არაა, მზადა ვარ.

– ანა აქ არაფერ შუაშია, – ვუთხარი მე.

– კარგად იცით, თუ ის თქვენთან დარჩა, ცოლად იმას გაჰყვებით, ვისაც თვითონ მოისურვებს! – თქვა ელზამ.

ალბათ მართალი იყო. ერთბაშად წარმოვიდგინე: როგორც კი ოცი წელი შემისრულდება, ანა ვინმე ყმაწვილს გამაცნობს, დიპლომიანს, ბრწყინვალე მომავლის მქონეს, ჭკვიანს, თავდაჭერილს და, რა თქმა უნდა, ერთგულს. ერთი სიტყვით, სირილს რომ ემგვანება. გამეცინა.

– გეხვეწები, ნუ იცინი, – წამოიძახა სირილმა, – პირობა მომეცი, ელზას მიჯნურის როლს რომ გავითამაშებ, შენ არ იეჭვიანებ! მაინც როგორ მოიფიქრე ასეთი რამ? ნუთუ არ გიყვარვარ?

ხმადაბლა ლაპარაკობდა. ელზა დელიკატურად მოგვშორდა. შევყურებდი სირილის მზემოკიდებულ, დაძაბულ სახეს, მუქ თვალებს. ნამდვილად ვუყვარდი, მე კი უცნაურ გრძნობას ავეტანე. ვუყურებდი მის ალისფერ ტუჩებს, ასე ახლოს რომ იყო ჩემთან... ინტელექტუალურ ქალიშვილად აღარ მომქონდა თავი. ოდნავ მომიახლოვა სახე, ჩვენი ბაგეები ერთმანეთს შეეხნენ, იცნეს ერთმანეთი. თვალგახელილი ვიჯექი, ტუჩებზე ვგრძნობდი მის ცხელ, ძლიერ ტუჩებს; მერე ბაგეები აუთრთოლდა და ამ თრთოლვის შესაჩერებლად, უფრო მაგრად, მარჯვედ მაკოცა... მივხვდი, დისერტაციის დაცვის ნაცვლად მზის გულზე ბიჭის კოცნა უფრო მემარჯვებოდა... სუნთქვა შემეკრა და სირილი ნელა მოვიშორე.

– სესილ, ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ. მე თანახმა ვარ გავითამაშო ეს კომედია ელზასთან.

მე კი იმაზე ვფიქრობდი, ზუსტად გამოვიანგარიშე თუ არა ყველაფერი-მეთქი! ამ კომედიის სული, რეჟისორი მე გახლდით. ყოველ წუთს შემეძლო მისი ჩაშლა.

– უცნაური აზრები მოგდის თავში, – მითხრა სირილმა და ცალყბად გამიღიმა. ზედა ტუჩი ასწეოდა და ყაჩაღს, ლამაზ ყაჩაღს დამსგავსებოდა...

– მაკოცე, – წავჩურჩულე, – ჩქარა მაკოცე!

ასე წამოვიწყე ეს კომედია: ჩემდა უნებურად, უდარდელობითა და ცნობისმოყვარეობით. ზოგჯერ მგონია, უკეთესი იქნებოდა შეგნებულად, სიძულვილით, სიავით დამეწყო... ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავს დავაბრალებდი ყოველივეს, საკუთარ თავს და არა სიზარმაცეს, მზეს და სირილის კოცნას.

ერთი საათის შემდეგ საკმაოდ უგუნებოდ მივატოვე შეთქმულები. რა თქმა უნდა, დასამშვიდებელი საბუთი მრავლად მომეპოვებოდა: ადვილი შესაძლებელია, ჩემი გეგმა უგერგილო გამომდგარიყო, ხოლო მამას სიყვარული ანასადმი იმდენად ძლიერი, რომ სამუდამოდ მისი ერთგული დარჩენილიყო. ვერც სირილი, ვერც ელზა ჩემი დახმარების გარეშე ვერაფერს გახდებოდნენ. მე კი ამ თამაშის შესაწყვეტად მუდამ გამოვძებნიდი რაიმე საბაბს, თუკი მამაჩემი ანკესზე წამოეგებოდა. ვფიქრობ, შექცევად მაინც ღირდა იმის შემოწმება, სწორი იყო თუ არა ჩემი ფსიქოლოგიური ვარაუდი.

მით უმეტეს, სირილს ვუყვარდი, ჩემი შერთვა უნდოდა! ეს აზრი მამხნევებდა და კარგ გუნებაზე მაყენებდა. თუკი დათანხმდება და ერთ-ორ წელიწადს დამიცდის, სანამ სრულწლოვანი გავხდები, მის წინადადებას მივიღებ. წარმოვიდგინე, როგორ ვიცხოვრებდი სირილთან, დავიძინებდი მის გვერდით, არასოდეს დავშორდებოდი. კვირაობით მამასთან და ანასთან ვისადილებდით, იქნებ სირილის დედაც წაგვეყვანა, რაც ჩვენს სტუმრობას ოჯახური ატმოსფეროს იერს მისცემდა.

ანა ტერასაზე შემხვდა, სანაპიროზე მიდიოდა, მამა იქ ეგულებოდა. ისე ირონიულად შემომხედა, წინადღით ნაქეიფარ ხალხს რომ შეხედავენ. ვკითხე, წუხელ ძილის წინ რის თქმას აპირებდით-მეთქი. სიცილით მიპასუხა, ვერ გეტყვით, გეწყინებათო. მამა წყლიდან ამოვიდა, მხარბეჭიანი, კუნთმაგარი... დიდებული სანახავი იყო. ანას გავყევი საბანაოდ. ლაღად ცურავდა, თავაწეული, თმა რომ არ დასველებოდა. მერე სამივენი გვერდიგვერდ გავწექით ქვიშაზე, შუაში მე ვიყავი და ვიწექით ასე, მშვიდად გარინდულნი. სწორედ ამ დროს აფრააშვებული ნავი გამოჩნდა ყურის ბოლოს. პირველად მამამ შეამჩნია.

– ჩვენმა სირილმა მეტი ვეღარ მოითმინა – სიცილით თქვა მან, – ანა, ვაპატიოთ? მართალი გითხრათ, კარგი ყმაწვილია.

თავი ავწიე და საფრთხე ვიგრძენი.

– რას აკეთებს? – გაუკვირდა მამას, – ყურეს უვლის? ოო, მარტო არ ყოფილა!

ამჯერად ანამაც ასწია თავი. ნავი ჩვენს ახლოს მოცურავდა ნაპირთან. სირილის სახე გავარჩიე, გულში ვევედრებოდი, სასწრაფოდ წასულიყო აქედან.

მამაჩემის წამოძახილზე შევკრთი. თუმცა ორი წუთის წინაც ველოდი ამ ხმას:

– კი მაგრამ... ეს ხომ ელზაა? აქ რას აკეთებს?

მერე ანას მიუბრუნდა:

– რა უცნაური ქალია! ეტყობა, საცოდავი ბიჭი ხელში ჩაიგდო და მოხუცი მანდილოსნის გულიც მოიგო.

ანა ყურს არ უგდებდა. მე მიყურებდა. თვალი თვალში გამიყარა, შემრცხვა და თავი ქვიშაში ჩავრგე. ანამ ხელი მომითათუნა კისერზე.

– შემომხედეთ, ხომ არ მიბრაზდებით?

თვალი გავახილე: ანას თავი დაეხარა და შიშით, თითქმის ვედრებით შემომცქეროდა. პირველად მიყურებდა ისე, როგორც უყურებენ მგრძნობიარე, ფიქრის უნარის მქონე ადამიანს... ისიც სწორედ იმ დღეს, როცა... კვნესა ამომხდა და ანას ხელი რომ მომეშორებინა, მამაჩემისკენ გავიწიე. მამა აფრიან ნავს ადევნებდა თვალს.

– საბრალო ჩემი პატარა, – ხელახლა გაისმა ანას წყნარი ხმა, – საბრალო სესილი. ეს ცოტათი ჩემი ბრალიცაა, ალბათ ასეთი მოუთმენლობა არ უნდა გამომეჩინა... მაგრამ მერწმუნეთ, თქვენთვის გულის ტკენა სულაც არ მინდოდა.

თავზე ხელს მისვამდა, მეფერებოდა. არ გავნძრეულვარ. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, როგორც ტალღის მიქცევის დროს, თითქოს ქვიშა ფეხქვეშ რომ გეცლება. გულით მწადდა დავმარცხებულიყავი და საოცრად თბილი გრძნობა ჩამეღვარა სხეულში. არავითარ სხვა გრძნობას – არც სიბრაზეს, არც რაიმე სურვილს – ასეთი სიძლიერით არ შევუპყრივარ. მინდოდა ახლავე შემეწყვიტა ეს კომედია, მთელი ჩემი ცხოვრება ანასთვის მიმენდო, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მის ხელში ვყოფილიყავი. არც ასეთი გადაულახავი, ასეთი უსაზღვრო სისუსტე განმიცდია ოდესმე. თვალები დავხუჭე. ასე მეგონა, გულის ძგერა შემიჩერდა-მეთქი.

IV

მამას გაკვირვების მეტი არავითარი სხვა გრძნობა არ ეტყობოდა. მოახლემ მოახსენა, ელზა ჩემოდნის წასაღებად მოვიდა და მაშინვე გაბრუნდაო. არ ვიცი, ჩვენი შეხვედრა რატომ დაუმალა. ეს სოფლელი ქალი მეტად რომანტიკული პიროვნება გახლდათ და ჩვენი ურთიერთობა ალბათ საკმაოდ მაცდუნებელ ფერებში ესახებოდა. მით უმეტეს, სწორედ მას უხდებოდა ბარგის გადატანა ერთი ოთახიდან მეორეში.

ამგვარად, მამასა და ანას სინდისი ქენჯნიდათ და ყურადღებითა და ალერსით მეპყრობოდნენ. პირველ ხანებში ეს ყურადღება აუტანელი იყო ჩემთვის, მერე კიდეც მომეწონა. მართალი გითხრათ, თუმცა ამ საქმის მოთავე მე გახლდით, სულაც არ მსიამოვნებდა ხელგადახვეული სირილისა და ელზას ერთად ნახვა; მით უმეტეს აშკარად ეტყობოდათ, რომ ძალიან შეხმატკბილებულად გრძნობდნენ თავს. ნავით

სეირნობა მე აღარ შემეძლო, სამაგიეროდ, ამავე ნავში ელზას ვხედავდი, რომელსაც ქარი ისევე უწეწდა თმას, როგორც წინათ მე. ამიტომ არ მიძნელდებოდა მათთან შეხვედრისას გულჩათხრობილი, გულგრილი სახის მიღება. ვხვდებოდით მათ ყველგან: ფიჭვნარში, სოფელში, შარაგზაზე. ანა გადმომხედავდა, სხვა თემას შეარჩევდა სასაუბროდ და ჩემს გასამხნევებლად მხარზე მადებდა ხელს. მგონი, ვთქვი, ანა გულკეთილია-მეთქი. იქნებ მისი ეს სიკეთე გონების დახვეწილი ფორმა ან სულაც გულგრილობა იყო? არ ვიცი, მაგრამ იგი მუდამ პოულობდა საჭირო სიტყვას, ზუსტ მოძრაობას და მე რომ მართლა მქონოდა რაიმე ტანჯვა გადასატანი, უკეთეს მხარდამჭერს ვერც ვიშოვიდი.

ამიტომ, რაიმე განსაკუთრებული შიშის გარეშე განვაგრძობდი თამაშს. როგორც ვთქვი, მამას ეჭვიანობის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა. ერთი მხრივ, ეს იმის მაუწყებელი იყო ჩემთვის, რომ მას ანა უყვარდა, მეორე მხრივ, შეურაცხმყოფდა, რადგან ჩემი გეგმების ამაოებას ამტკიცებდა.

ერთხელ მე და მამა ფოსტიდან ვბრუნდებოდით და ელზას შევხვდით; ისე ჩაგვიარა, თითქოს ვერ შეგვამჩნია. მამაჩემმაც ისე გააყოლა თვალი, უცნობს რომ გადახედავენ, და დაუსტვინა:

– ერთი შეხედე, როგორ გალამაზდა ელზა! – თქვა მან.

– სიყვარული მოუხდა! – ვთქვი მე.

გაკვირვებით შემომხედა.

– ამ ამბავს შენ უფრო ადვილად შეხვდი, ვიდრე...

– რას იზამ? ისინი თანატოლები არიან, ჩანს, ბედი ყოფილა...

– ანა რომ არა, ბედი აქ არაფერ შუაშია... – გაანჩხლებით ლაპარაკობდა – იქნებ გგონია, ჩემი სურვილის გარეშე წამართმევდა ქალს ასეთი ლაწირაკი?

– და მაინც, ასაკს მნიშვნელობა აქვს, – დინჯად ვუთხარი.

მხრები აიჩეჩა. შინ სახემოქუფრული დაბრუნდა: ეტყობა, ჩემმა ნათქვამმა, სირილისა და ელზას ახალგაზრდულ ასაკს გარკვეული მნიშვნელობა აქვს-მეთქი, – დაარწმუნა, ხოლო რაკი თვითონ თავის ტოლ ქალს ირთავდა ცოლად, ამით უკვე გამოაკლდებოდა იმ მამაკაცთა კატეგორიას, ვინც არავითარ ყურადღებას არ აქცევს ასაკს. ჩემდა უნებურად, გამარჯვების შეგრძნება დამეუფლა. მერე ანას თვალებთან და ბაგეებთან ნაოჭები შევამჩნიე და შემრცხვა. მაგრამ რა მექნა? საკუთარი იმპულსების აყოლა და მერე სინანული მეადვილებოდა...

გავიდა ერთი კვირა. სირილმა და ელზამ არ იცოდნენ, რა ხდებოდა ჩვენთან და, ალბათ, ყოველდღე მელოდნენ. ვერ გადამეწყვიტა მათთან მისვლა, ვიცოდი, ახალი ხრიკების გამოგონებას მაიძულებდნენ, მე კი ეს აღარ მინდოდა. ამას გარდა, ყოველ ნაშუადღევს ჩემს ოთახში ავდიოდი, ვითომდა სამეცადინოდ. სინამდვილეში არაფერს ვაკეთებდი: იოგების წიგნი ჩამივარდა ხელში და გულდასმით შევუდექი მის შესწავლას. ზოგჯერ სიცილი ამიტყდებოდა და მეშინოდა, ანას არ გაეგონა, მე ხომ

ვეუბნებოდი, თავაუღებლივ ვმეცადინეობ-მეთქი! მე კვლავ ვთამაშობდი სიყვარულში ხელმოცარული გოგოს როლს, ერთადერთ ნუგეშად ნამდვილ სწავლულად გახდომა რომ დარჩენია. ასე მეგონა, უკვე პატივსაც მცემდა, თქვენ წარმოიდგინეთ, სადილობისას კანტის ციტატებიც მოვიშველიე რამდენჯერმე, რამაც მამაჩემი სასოწარკვეთაში ჩააგდო.

ერთხელ საბანაო პირსახოცში გავეხვიე, მინდოდა ინდოელს დავმსგავსებოდი, მარჯვენა ფეხი მარცხენა თეძოზე შემოვიდე და სარკის წინ დავჯექი; ოღონდ საკუთარი გამოსახულებით კი არ ვტკბებოდი, ნამდვილი იოგის პოზა მინდოდა მიმეღო. კარზე დააკაკუნეს. გადავწყვიტე, მოახლე იქნება-მეთქი, და რადგან იგი არაფერს აქცევდა ყურადღებას, გავძახე, შემოდით-მეთქი.

ანა იყო. ერთხანს მონუსხულივით იდგა, შემდეგ გაეღიმა:

– რას თამაშობთ?

– იოგობანას! ოღონდ ეს თამაში კი არა, ინდური ფილოსოფიაა.

მაგიდას მიუახლოვდა და წიგნი ხელში აიღო. შიშმა ამიტანა. წიგნი მეასე გვერდზე იყო გადაშლილი და ჩემი მინაწერებით აჭრელებული: "განუხორციელებელია!" "დამქანცველია!"

– ფრიად ბეჯითი ბრძანდებით! – თქვა ანამ, – კი მაგრამ, ის ცნობილი თხზულება სადღაა პასკალზე, ამდენს რომ გველაპარაკებოდით?

მართლაც, სუფრასთან პასკალის ერთ ფრაზაზე იმდენ მსჯელობას მოვყევი, მინდოდა მეჩვენებინა, თუ რამდენს ვფიქრობდი და ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, ერთი სიტყვა არ დამიწერია ამის შესახებ. გაქვავებული ვიდექი. ანა დამაკვირდა და ყველაფერს მიხვდა.

– რომ არ მუშაობთ და სარკის წინ მანჭვა-გრეხას უნდებით, ეს თქვენი საქმეა! მაგრამ მამასა და მე რომ გვატყუებთ, ეს უკვე მეტისმეტია. სხვათა შორის, მე მუდამ მაოცებდა გონებრივი შრომისადმი თქვენი ასეთი უეცარი გულმოდგინება...

თქვა და გავიდა. თავზარდაცემული ვიდექი საბანაო პირსახოცში გახვეული, ვერ გამეგო, რატომ ეძახდა ამას "მოტყუებას". პასკალზე იმიტომ ვესაუბრებოდი, მინდოდა მესიამოვნებინა, მან კი ასე ხელაღებით ამითვალწუნა. ბოლო ხანებში უკვე შევეჩვიე, სულ სხვაგვარად მექცეოდა და ახლა მისმა მშვიდმა, დამამცირებელმა ტონმა, რითაც ჩემდამი სიძულვილი გამოხატა, საშინლად გამაბრაზა. სწრაფად ჩამოვიგლიჯე ჩემი სამოსი, შარვალი და ძველი ბლუზა ჩავიცვი და სახლიდან გავვარდი. თაკარა სიცხე იდგა, მაგრამ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ამ გაშმაგებაში სირცხვილის გრძნობა არ ერია! სირილის აგარაკთან გავჩნდი და აქოშინებული, ჭიშკართან შევჩერდი. ნაშუადღევის ამ პაპანაქებაში სახლები თითქოს გარინდულიყვნენ, ღრმა ძილს მისცემოდნენ და თავიანთ საიდუმლოს ფრთხილად სდარაჯობდნენ. ზევით ავედი, სირილის ოთახში: იმ დღეს მაჩვენა, როცა სტუმრად ვიყავით დედამისთან. კარი გავაღე. საწოლზე იწვა, ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და ეძინა. ერთხანს დავყურებდი: ჩვენი ნაცნობობის

პერიოდში ასეთი უსუსური, გულის ამაჩუყებელი არასოდეს მინახავს. ხმადაბლა დავუძახე. თვალები გაახილა და ჩემს დანახვაზე, მაშინვე წამოჯდა.

– შენ? აქ როგორ გაჩნდი?

ვანიშნე, ჩუმად ელაპარაკა: დედამისი რომ მოსულიყო და მის ოთახში დავენახე, ვინ იცის, რას იფიქრებდა... თუმცა ყველა ასე იფიქრებდა... ერთბაშად შემეშინდა და კარისკენ გავეშურე.

– სად მიდიხარ? – დამიყვირა სირილმა, – დაბრუნდი... სესილ!

სიცილით წამავლო ხელი და შემაჩერა. შემოვბრუნდი, დავაკვირდი. გაფითრდა, ეტყობა, მეც ფერი დავკარგე, მაშინვე გამიშვა ხელი. მერე ხელახლა მომხვია მკლავები და წამათრია. გაურკვევლად ვიმეორებდი გულში: ეს უნდა მომხდარიყო, უნდა მომხდარიყო-მეთქი. შემდეგ დაიწყო სიყვარულის ფერხული, შიშნარევი სურვილი, ალერსი და გაშმაგება, ბოლოს გაუსაძლისი ტკივილი, რასაც გამარჯვებული სიამოვნება მოჰყვება ხოლმე. მე ბედი მქონია, სირილს კი საჭირო სილბო, რომ ეს სიამოვნება იმ დღესვე აღმომეჩინა.

ერთი საათი დავყავი მასთან, გაოცებული, გაოგნებული. წინათ ჩემთან სიყვარულზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც მსუბუქ რამეზე, მეც აგდებით, ჩემი ასაკისთვის დამახასიათებელი უმეცრებით მილაპარაკია. ახლა კი მეგონა, ვერასოდეს ასე უხეშად, ხელაღებით ვეღარ ვახსენებ-მეთქი სიყვარულს. სირილი გულში მიკრავდა და ირწმუნებოდა, რომ ჩემი შერთვა უნდოდა, რომ მთელი სიცოცხლე ერთად უნდა ვყოფილიყავით. ეტყობა, ჩემი გარინდება აშინებდა. საწოლიდან წამოვდექი, შევხედე და ვუთხარი, ჩემი სიყვარული ხარ-მეთქი. დაიხარა. მის კისერზე ათრთოლებულ ძარღვს ვაკოცე და წავჩურჩულე: “სირილ, ჩემო საყვარელო, სირილ!” არ ვიცი, იმწუთას მართლა მიყვარდა თუ არა. მუდამ მერყევი ვიყავი და ამიტომაც არ მინდა, სხვაგვარად მოგაჩვენოთ თავი. მაგრამ საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა, შემეძლო სიცოცხლეც გამეწირა მისთვის. გამომშვიდობებისას მკითხა, ხომ არ მიბრაზდებიო. გამეცინა. ასეთი ბედნიერება მომანიჭა და განა გაბრაზება შემეძლო?

მოთენთილი, მოდუნებული, ნელი ნაბიჯებით გავუყევი გზას ფიჭვნარით. სირილს ვთხოვე, არ გამაცილო-მეთქი, ძალიან სახიფათო იქნებოდა. მეშინოდა, სახეზე, ჩამუქებულ უპეებზე, დასიებულ ტუჩებზე, ათრთოლებულ სხეულზე სიამოვნების აშკარა ნიშნები არ ამოეკითხა ვინმეს. ანა შეზლონგზე იწვა სახლის წინ და წიგნს კითხულობდა. შინიდან გასვლის მიზეზის ასახსნელად ტყუილი მზად მქონდა, მაგრამ არაფერი უკითხავს; მას საერთოდ არ უყვარდა რამის კითხვა. მის ახლოს ჩამოვჯექი, ოღონდ ხმა არ ამომიღია, მახსოვდა, გაბუტულები რომ ვიყავით. გაუნძრევლად ვიჯექი, თვალმილულული, ვცდილობდი საკუთარი სუნთქვა, თითების ცახცახი დამეოკებინა. დროდადრო სირილის სხეული, წამიერი ბედნიერება მაგონდებოდა და გულიდან სისხლი მეწრიტებოდა. მაგიდიდან სიგარეტი ავიღე, ასანთს გავკარი. ჩაქრა. მეორედ გავკარი ფრთხილად. ქარი არ ქროდა, მაგრამ ხელი მიკანკალებდა. როგორც კი ანთებული ასანთი სიგარეტს მივუახლოვე, მაშინვე ჩაქრა. ბუზღუნით ავიღე ასანთის მესამე ღერი. და თვითონ არ ვიცი, რატომ, ეს მესამე ღერი ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცა. იქნებ იმიტომ, რომ ანა უცებ გამოერკვა და დინჯად, დაკვირვებით შემომხედა. იმ წუთში

ყველაფერი დამავიწყდა: დროც, ადგილიც, დარჩა მხოლოდ ასანთი, ჩემი თითები, ნაცრისფერი კოლოფი და ანას შემოხედვა. გული ისე ამიძგერდა, ლამის საგულედან ამომვარდნოდა. თითები ასანთის ღერს მოვუჭირე, გავკარი, აინთო და სახე ალს მივუშვირე. სიგარეტი ალს შეეხო და ჩააქრო. ასანთის კოლოფი ხელიდან გამივარდა, თვალები დავხუჭე. ანას მკაცრი, გაოცებული მზერა მძიმე ლოდად მაწვა. ვნატრობდი, ოღონდაც ამ ლოდინს ბოლო მოეღოს-მეთქი! ანამ სახე ამიწია, თვალები მაგრად მოვხუჭე, მეშინოდა, ჩემი მზერა არ დაეჭირა. ვგრძნობდი, დაღლილობის, სირცხვილის, სიამოვნების ცრემლები ღაპაღუპით რომ მცვიოდა. და აი, მაშინ, თითქოს უარს ამბობს ყოველგვარ დაკითხვაზეო, ანამ მშვიდად ჩამომისვა ხელი პირისახეზე და მომეშვა. შემდეგ ანთებული სიგარეტი პირში ჩამჩარა და წიგნის კითხვა განაგრძო.

შევეცადე, ანას ხელის მოძრაობისთვის სიმბოლური მნიშვნელობა მიმეცა. მაგრამ დღესაც, როცა სიგარეტი ჩამიქრება ხოლმე, ხელახლა განვიცდი იმ უცნაურ წუთს, ჩემსა და ჩემს მოძრაობას შორის გაჩენილ უფსკრულს, ანას მძიმე შემოხედვას და ირგვლივ ამ სიცარიელეს, ამ დაძაბულ სიცარიელეს...

V

ცხადია, ამბავი, რაც ეს-ეს არის გიამბეთ, უშედეგოდ არ ჩაივლიდა. როგორც თავშეკავებულსა და თავის თავში დარწმუნებულ ადამიანებს სჩვევიათ, ანაც ვერ იტანდა კომპრომისებს. ჰოდა, მისი მკაცრი ხელები, ერთბაშად ასე ალერსიანად რომ შეეხო ჩემს სახეს, მისთვის სწორედ კომპრომისი გახლდათ. იგი რაღაცას მიხვდა, შეეძლო კიდეც გამოვეტეხე, მაგრამ ბოლო წუთს შევებრალე, ანდა გულგრილობამ სძლია. ჩემზე ზრუნვა, ჩემი გაწვრთნა ისევე ძნელი იყო მისთვის, როგორც ჩემს მარცხთან შეგუება. მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის გრძნობა აიძულებდა ეკისრა ჩემი მეურვის, აღმზრდელის როლი. რაკი მამაჩემს ცოლად მიჰყვებოდა, თავს ვალდებულად თვლიდა, ჩემზეც ეზრუნა. მის ამ გამუდმებულ გაკიცხვას, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, მერჩივნა გაღიზიანება ან რაიმე უფრო ზერელე გრძნობა გამოემჟღავნებინა: ჩვეულება სწრაფად დააჩლუნგებდა ამ გრძნობას. სხვის ნაკლს ადვილად ეჩვევი, თუკი მის გამოსწორებას მოვალეობად არ თვლი. გავიდოდა ექვსიოდე თვე და ანას დაღლილობისა და გულთბილობის გრძნობა გაუჩნდებოდა ჩემ მიმართ. მე კი ამაზე კარგს რას ვისურვებდი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ გრძნობას მე ვერ აღვუძრავდი ანას, იგი მუდამ ჩემი საქციელის პასუხისმგებლად ჩათვლიდა თავს და ნაწილობრივ მართალიც იქნებოდა, რადგან მე ჯერ კიდევ დამჯერე ვიყავი. დამჯერე და ჯიუტი.

ერთი სიტყვით, ანა უკმაყოფილო იყო თავისი საქციელით და კიდეც მაგრძნობინა ეს. რამდენიმე დღის შემდეგ, სადილობისას ხელახლა ატყდა კამათი ამ აუტანელი საზაფხულო მეცადინეობის ირგვლივ. ცოტა არ იყოს, უტიფრად ვლაპარაკობდი და მამა უხერხულობისგან იშმუშნებოდა. ანას ხმა არ აუმაღლებია, მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, ოთახში გასაღებით ჩამკეტა. ეს მე არ შემიმჩნევია. როცა მომწყურდა და კარს მივადექი, მაშინღა მივხვდი, რომ გარედან ჩავეკეტე. გავცოფდი. ჩემს

სიცოცხლეში არავის ჩავუკეტივარ ოთახში. საშინელმა პანიკამ მომიცვა. ფანჯარას მივვარდი, იქიდან გადახტომა არასგზით არ შეიძლებოდა. გიჟივით გამოვბრუნდი და ისევ კარს ვეტაკე. მხარი ვიტკინე. საშველად მოხმობა ვითაკილე და, კრიჭაშეკრულმა, კლიტის გატეხვა მოვინდომე. ფრჩხილების ქლიბი შიგ ჩამიტყდა. ერთხანს გაქვავებული, მკლავებდაშვებული ვიდექი შუა ოთახში; მერე თანდათან მოვედი გონს, დავფიქრდი და მხოლოდ ეს უცნაური სიმშვიდე, გარინდება იპყრობდა ჩემს ყურადღებას. პირველად შევეჯახე სისასტიკეს, ვგრძნობდი, თანდათან როგორ ისახებოდა იგი ჩემში და ფესვს იკიდებდა. საწოლზე წამოვწექი და გულდასმით ჩავუფიქრდი ჩემს გეგმას. ჩემი გაშმაგება იმდენად შეუსაბამო იყო მის გამომწვევ მიზეზთან, რომ ნაშუადღევს ორჯერ თუ სამჯერ წამოვდექი, ოთახიდან გასვლა დავაპირე და მიკვირდა, კარი რატომაა დაკეტილი-მეთქი.

ექვს საათზე მამამ გამიღო კარი. როცა ოთახში შემოვიდა, უნებურად წამოვდექი. უხმოდ შემომხედა და ასევე უნებურად გავუღიმე.

– გინდა ვისაუბროთ? – მითხრა მან.

– რაზე? ჩემი არ იყოს, შენც გეჯავრება ყოველგვარი ახსნა-განმარტება. რაც მთავარია, აზრი არა აქვს...

– მართალი ხარ, – თითქოს შვება იგრძნო, – ანას უფრო გულთბილად უნდა მოექცე, უნდა მოითმინო.

ბოლო სიტყვამ გამაოცა: მე მოვუთმინო ანას!.. ამან ყველაფერი თავდაყირა დააყენა. გულის სიღრმეში მიაჩნდა, რომ ანა ძალით მოახვია თავს საკუთარ შვილს, და არა პირიქით. იმედი ჩამესახა.

– ცუდად მოვიქეცი, – ვთქვი მე, – ანას ბოდიშს მოვუხდი.

– მითხარი, შენ... შენ ბედნიერი ხარ?

– რასაკვირველია, – უდარდელად მივუგე მე, – გარდა ამისა, თუკი ანას ვერ შევეწყობი, ცოტათი ადრე გავთხოვდები და ის იქნება.

ვიცოდი, ასეთი გამოსავალი გულს ატკენდა.

– ამაზე ფიქრიც ზედმეტია... შენ ხომ “თოვლის დედოფალი” არ ხარ?.. ნუთუ ასე გულარხეინად მიმატოვებ და ისიც ასე ადრე? ჩვენ ხომ მხოლოდ ორი წელი ვიცხოვრეთ ერთად?

ეს აზრი ასევე აუტანელი იყო ჩემთვის, როგორც მამასთვის. მივხვდი, წუთიც და ტირილით მივვარდებოდი, დაკარგულ ბედნიერებაზე, ჩემს განცდებზე გულს გადავუხსნიდი. და მაინც, თანამზრახველად ვერ ვიგულე.

– შენც ხომ იცი, რომ გაზვიადება მიყვარს, მე და ანა შესანიშნავად შევეწყვეთ. თუკი ერთმანეთს დავუთმობთ...

– ჰო, – თქვა მან, – რა თქმა უნდა...

ეტყობა, ჩემსავით გაიფიქრა, ეს დათმობა მაინც ცალმხრივი იქნებოდა და ისიც ჩემი მხრიდან.

– გესმის ჩემი? მე მშვენივრად ვხვდები, რომ ანა მუდამ მართალია. მან გაცილებით მეტს მიაღწია ცხოვრებაში, ვიდრე ჩვენ... ამიტომ მის ცხოვრებას გაცილებით მეტი აზრი აქვს...

უარყოფის ნიშნად ხელი გაიქნია, მაგრამ მე ვითომ ვერ შევამჩნიე და განვაგრძე:

– ...გაივლის ერთი-ორი თვე, ანას აზრებს შევეგუები და ამ უაზრო კამათსაც ბოლო მოეღება. ოღონდ მოთმინებაა საჭირო.

დაბნეული და შეშინებული მიყურებდა. რადგან აღარც თავისი ანცობის ამყოლი ეყოლებოდა მომავალში და წარსული ცხოვრებიდანაც კარგავდა ცოტაოდენს.

– ნუ გავაზვიადებთ! – წაილუღლუღა მან, – ვაღიარებ, ცოტა არ იყოს, შენი ასაკისთვის... ჰმ... ასევე ჩემთვისაც შეუფერებელი ცხოვრება მოგახვიე თავს, მაგრამ ჩვენი ცხოვრება სულაც არ ყოფილა უაზრო ან უბედური... არა. ერთი სიტყვით, ამ ორი წლის განმავლობაში არც მოწყენილები ვყოფილვართ და არც... ჰმ... კალაპოტიდან ამოვარდნილნი. არაა საჭირო ყველაფრის უგულებელყოფა მხოლოდ იმისთვის, რომ ანას ოდნავ განსხვავებული შეხედულებები აქვს!

– უგულებელყოფა არა, მაგრამ თავის დანებება კი საჭიროა. – დარწმუნებით ვუთხარი მე.

– რა თქმა უნდა! – ჩაილაპარაკა საბრალომ და ქვევით ჩავედით.

ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოვუხადე ბოდიში ანას. პასუხად მითხრა, ბოდიში საჭირო არაა, ყველაფერი სიცხის ბრალიაო. ჩემთვის სულ ერთი იყო ყველაფერი და გავმხიარულდი.

როგორც დავთქვით, სირილს ფიჭვნარში შევხვდი; ავუხსენი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. შიშნარევი აღფრთოვანებით მომისმინა. მერე მკლავებში მომიმწყვდია, მაგრამ გვიანი იყო, შინ უნდა დავბრუნებულიყავი. თვითონვე მიკვირდა, ისე გამიჭირდა მასთან დაშორება. ჩემი სხეული მისკენ მიილტვოდა, მას ეძებდა, მის გვერდით ითქვამდა სულს. მაგრად ვაკოცე, მინდოდა ტკივილი მიმეყენებინა, რაღაც კვალი დამემჩნია, რომ ერთი წუთითაც არ დავვიწყებოდი, იმ ღამეს და სიზმარშიც მე ვენახე. რადგან ღამე უსასრულოდ გრძელი იქნებოდა უმისოდ, მისი სიახლოვის, მისი სიფაქიზის, ანაზდეული გახელებისა და ხანგრძლივი ალერსის გარეშე.

VI

მეორე დილით მამა შარაგზაზე გავიყოლე სასეირნოდ. მხიარულად ვმასლაათობდით. შევთავაზე, ფიჭვნარით დავბრუნებულიყავით აგარაკზე. ზუსტად

თერთმეტის ნახევარი იყო. დროზე მივედით. ბილიკი ვიწრო და გაბარდული იყო. მამა კი წინ მიდიოდა და, ეკლებს რომ არ დავეკაწრე, მაყვლის ბუჩქნარს განზე წევდა. უცებ შეჩერდა, მივხვდი, დაინახა... მივუახლოვდი. სირილი და ელზა ფიჭვის გირჩებზე იწვნენ და ტკბილად ეძინათ. ნამდვილი სოფლის იდილია იყო. რასაკვირველია, ჩემი მითითებით მოქმედებდნენ, მაგრამ როცა ასეთ პოზაში დავინახე, გულში რაღაც ჩამწყდა. მერე რა, რომ ელზას მამაჩემი უყვარდა, ხოლო სირილს – მე, ამ ახალგაზრდა, ლამაზ წყვილს რა შეუშლიდა ხელს?!.. მამას გადავხედე. გაქვავებული იდგა, სახეზე მკვდრისფერი ედო და თვალმიშტერებით მისჩერებოდა ორივეს. მკლავში წავავლე ხელი.

– ნუ გავაღვიძებთ, წავიდეთ აქედან! – ჩავილაპარაკე.

უკანასკნელად შევავლე თვალი ელზას, გულაღმა მწოლიარეს, მის ახალგაზრდა, ლამაზ, ოქროსფრად მოელვარე სხეულს, წითურთმიან ელზას, ბაგეზე ღიმილაკიაფებულს, ახლახან დაჭერილ ნორჩ ნიმფას რომ წააგავდა... მამა ერთბაშად მოსწყდა ადგილს და სწრაფი ნაბიჯებით წავიდა წინ.

– კახპა, – ბუტბუტებდა, – კახპა!

– რატომ ამბობ ასე? განა თავისუფალი ქალი არაა?

– ამაში არაა საქმე! შენ რა, ძალიან გესიამოვნა, სირილი მის მკლავებში რომ ნახე?

– მე იგი აღარ მიყვარს, – ვთქვი მე.

– არც მე მიყვარს ელზა, – გაანჩხლებით დაიყვირა, – და მაინც, არ მესიამოვნა. ნუ დაგავიწყდება, რომ მე... ჰმ... მასთან ვცხოვრობდი! ეს კი გაცილებით უარესია, ვიდრე...

განა არ ვიცოდი, რომ უარესი იყო! ჩემი არ იყოს, ალბათ, მასაც უნდოდა მივარდნოდა, გაეთიშა ისინი, ხელახლა დაებრუნებინა თავისი საკუთრება.

– ანა რომ გისმენდეს ახლა...

– რაო? ანა რომ მისმენდეს?.. რა თქმა უნდა, ვერ გამიგებდა ან სულაც შეურაცხყოფილი დარჩებოდა, ეს ბუნებრივიცაა! მაგრამ შენ? შენ ხომ ჩემი ღვიძლი შვილი ხარ. ნუთუ უკვე აღარ გესმის ჩემი? ნუთუ შენც შეურაცხყოფილი ხარ?

რა ადვილი იყო სურვილისამებრ წარმემართა მისი ფიქრები! ცოტა არ იყოს, კიდეც შემაშინა ამ გარემოებამ, რომ ასე კარგად ვიცნობდი მამას.

– შეურაცხყოფილი არა ვარ, – ვთქვი მე, – მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ფაქტს პირდაპირ უნდა შევხედოთ სახეში: ელზას მოკლე ჭკუა აქვს, სირილი მოსწონს, იგი შენთვის დაკარგულია. მით უმეტეს, გაიხსენე, როგორ მოექეცი... ასეთი რამ არ ავიწყდებათ!..

– საკმარისია მოვინდომო... – წამოიწყო მამამ, მაგრამ, შემცბარს ხმა ჩაუწყდა.

– ვერაფერს გახდებოდი! – ისე დაბეჯითებით ვუთხარი, თითქოს მსჯელობა იმ იმედებზე, რაც ელზას დაბრუნებისთვის გაუჩნდა, ბუნებრივი ყოფილიყო.

– კი მაგრამ, ამაზე არც მიფიქრია! – თქვა უკვე გონს მოსულმა.

– რა თქმა უნდა! – მხრები ავიჩეჩე.

მხრების აჩეჩა კი ნიშნავდა: "შეუძლებელია, ჩემო კარგო! შენ უკვე გამოხვედი თამაშიდან!" სახლამდე ხმა არ ამოუღია. შინ მისულმა, ანას მკლავი მოხვია, გულზე მაგრად მიიკრა და კარგა ხანს იდგა ასე, თვალდახუჭული. გაოცებული ანა იღიმებოდა. ოთახიდან გავედი და დერეფანში ტიხარს მივეყრდენი. სირცხვილით ვიწვოდი.

ორ საათზე სირილის ჩუმი სტვენა შემომესმა და ნაპირზე ჩავედი. მაშინვე შემეშველა ნავში ჩასაჯდომად და შუა ზღვისკენ გაცურა. ზღვაზე არავინ იყო, ან ვის ექნებოდა ბანაობის თავი ამ პაპანაქებაში! ნაპირს მოშორებულმა, აფრა აუშვა და შემომხედა. აქამდე თითქმის არ დავლაპარაკებივართ ერთმანეთს.

– ამ დილით... – წამოიწყო სირილმა.

– გაჩუმდი! – ვუთხარი, – ოო, გაჩუმდი!

ფრთხილად გადამაწვინა ბრეზენტზე. ორივენი ოფლში ვცურავდით, სულსწრაფნი, უგერგილონი; ნავი ირწეოდა; მზე პირდაპირ თვალებში მაჭყეტდა. უცებ სირილის ნაზი, მბრძანებლური ჩურჩული მომესმა... მზე ზესკნელს მოწყდა, აბრდღვიალდა, თავზე ჩამომემხო... სადა ვარ? ზღვის, დროის, სიამოვნების ფსკერზე?.. ხმამაღლა ვუხმობდი სირილს, არ გამომეხმაურა, ან რად უნდა გამომლაპარაკებოდა!

შემდეგ მარილიან წყალში გავგრილდით. მზის სხივებით დაბრმავებულნი, მოთენთილები, მადლიერები ერთმანეთს ვუცინოდით. ჩვენ გვეკუთვნოდა მზე და ზღვა, სიცილი და სიყვარული... ვიგრძნობდით კი ოდესმე ყოველივე ამას ისეთივე ბრწყინვალებითა და სიძლიერით, როგორსაც ამ ზაფხულს შიში და სინდისის ქენჯნა აძლევდა მათ?

სიყვარული მარტო ფიზიკურ და რეალურ სიამოვნებას კი არ მანიჭებდა, არამედ მასზე ფიქრით ერთგვარ ინტელექტუალურ სიამოვნებასაც განვიცდიდი. გამოთქმას "სიყვარულით თავშექცევა" თავისებური, წმინდა სიტყვიერი მომხიბვლელობა აქვს, რომელიც მას თავისი მნიშვნელობისგან განასხვავებს. აღტაცებაში მოვყავდი ამ მატერიალური, კონკრეტული ტერმინის "თავშექცევა" შეხამებას სიტყვის "სიყვარულის" პოეტურ აბსტრაქციასთან. წინათ ამ სიტყვებს ყოველგვარი სირცხვილის, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე წარმოვთქვამდი და მათი სიტკბოც არ შემინიშნავს. ახლა უკვე ვმორცხვობდი. თვალებს ვხრიდი, როცა მამა დიდხანს მიაჩერდებოდა ანას, როცა ანა ახლებურად, ჩუმად, ურცხვად იცინოდა; ამ დროს მეც და მამაც ვფითრდებოდით და ფანჯრისკენ ვიხედებოდით. ანასთვის რომ გვეთქვა, ალბათ არ დაგვიჯერებდა. ანას მამასთან თავი ეჭირა არა როგორც საყვარელს, არამედ როგორც მეგობარს, საყვარელ მეგობარს. სამაგიეროდ, ღამით ალბათ... თავს ვუკრძალავდი ამაზე ფიქრს, ამაფორიაქებელი აზრები მეჯავრებოდა.

გადიოდა დღეები. ნელ-ნელა მავიწყდებოდა ანაც, მამაც და ელზაც. სიყვარულით აღტყინებული, თვალგახელილი ვცხოვრობდი, როგორც სიზმარში, თავაზიანი და დამშვიდებული. სირილმა მკითხა, ფეხმძიმობის არ გეშინიაო? ვუპასუხე, შენი იმედით ვარ-მეთქი, და, ჩანს, ჩემი პასუხი ბუნებრივად ჩათვალა. იქნებ სწორედ ამიტომაც დავნებდი ასე ადვილად: სირილი ყოველგვარ პასუხისმგებლობას მაშორებდა. ფეხმძიმედ თუ შევიქნებოდი, მისი ბრალი იქნებოდა. თუმცა არა მჯეროდა, რომ დავორსულდებოდი; ისეთი გამხდარი, კუნთმაგარი ვიყავი... პირველად ჩემს სიცოცხლეში მიხაროდა, მოზარდის აღნაგობა რომ მქონდა.

ამასობაში ელზა მოთმინებას კარგავდა. შეკითხვებით სული შემიწუხა. თანაც მეშინოდა, ელზასთან ან სირილთან არავის დავენახე. ელზა ახერხებდა წამდაუწუმ შეემჩნია მამაჩემს, ყოველ ნაბიჯზე შეხვედროდა. სიხარულით ცას ეწეოდა, ეჩვენებოდა, რომ გაიმარჯვა, რომ მამა მის დანახვაზე აღტაცებას ვერ მალავდა. გაოცებით შევყურებდი ამ ქალს, რომლის ხელობა ძალიან ცოტათი განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მეძავის ხელობისგან, რომელიც შეჩვეული იყო მამაკაცების წუთიერი კაპრიზების ასრულებას, ახლა რომანტიკული გამხდარიყო და ყოველ უბრალო გამოხედვას თუ მოძრაობას ექსტაზში მოჰყავდა. მართალია, რთული როლების შესრულება არ უხდებოდა, სამაგიეროდ ის როლი, რასაც ახლა ასრულებდა, ეტყობა, ფსიქოლოგიური დახვეწილობის მწვერვალად მიაჩნდა.

ელზაზე ფიქრი დღითი დღე უფრო მეტად არ ასვენებდა მამაჩემს, ანა კი ვერაფერს გრძნობდა. მამა არასოდეს ყოფილა მის მიმართ ასეთი გულთბილი, ყურადღებიანი. სწორედ ეს მაშინებდა, რადგან მის საქციელს შეუცნობელი სინდისის ქენჯნით ვხსნიდი. ვნატრობდი, ამ სამი კვირის მანძილზე არაფერი მომხდარიყო, მერე პარიზში დავბრუნდებოდით, ელზაც წავიდოდა და თუკი მამა და ანა არ გადაიფიქრებდნენ, კიდეც დაქორწინდებოდნენ. პარიზში სირილიც იქნებოდა და როგორც აქ ვერ დამიშალა ანამ მისი სიყვარული, ვერც პარიზში დამიშლიდა მასთან შეხვედრას. პარიზში სირილს ცალკე ოთახი ჰქონდა, დედის სახლიდან მოშორებით. თვალწინ მედგა ფანჯარა, ლურჯ და ვარდისფერ ცას, პარიზის განუმეორებელ ცას რომ გადაჰყურებდა... კარნიზებზე მოღუღუნე მტრედები... მე და სირილი ვიწრო საწოლზე...

VII

რამდენიმე დღის შემდეგ მამაჩემმა წერილი მიიღო ერთი ჩვენი მეგობრისგან, სენ-რაფაელის ბარში ეპატიჟებოდა აპერიტივის დასალევად. მამამ მაშინვე გვაცნობა ამის შესახებ, გახარებული იყო, ცოტა ხნით თავს რომ დააღწევდა ჩვენს ნებაყოფლობით, მაგრამ მაინც ნაძალადევ კარჩაკეტილ ცხოვრებას. მეც, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ შევატყობინე სირილსა და ელზას, შვიდ საათზე "მზის" ბარში ვიქნებით და თუ მოვიდოდნენ, იქ დავხვდებოდით. საუბედუროდ, ელზა იცნობდა იმ ჩვენს მეგობარს და ამან უფრო გაუცხოველა წამოსვლის სურვილი. უკვე შემეშინდა საქმის გართულებისა და შევეცადე გადამეფიქრებინებინა. ამაოდ.

– შარლ უები მაღმერთებს, – განაცხადა მან ბავშვური გულუბრყვილობით, – როგორც კი მნახავს, მაშინვე დაითანხმებს რეიმონს, დამიბრუნდეს.

სირილისთვის სულ ერთი იყო, წავიდოდით თუ არა სენ-რაფაელში. მისთვის მთავარი გახლდათ ყოფილიყო იქ, სადაც მე ვეგულებოდი. ეს მის თვალებში ამოვიკითხე, და მართალი გითხრათ, გული სიამაყით ამევსო.

დაახლოებით ექვს საათზე გავედით შინიდან. ანამ თავისი მანქანით წაგვიყვანა. მე მომწონდა მისი მანქანა: ამერიკული ღია მანქანა იყო და რეკლამის მოთხოვნებს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ანას გემოვნებას. სამაგიეროდ, ჩემს გემოვნებას სავსებით შეესატყვისებოდა: უამრავი ბრჭყვიალა საგანი ჰქონდა, უხმოდ მისრიალებდა, სამყაროს იყო მოწყვეტილი და ძნელ მოსახვევებში გვერდზე იხრებოდა. ამასთანავე, სამივე თავისუფლად ვისხედით წინ. არსად ისე არა ვარ მეგობრულად განწყობილი, როგორც მანქანაში. ერთმანეთს იდაყვებით ვეკვროდით, სისწრაფით, ქარით და იქნებ ერთად სიკვდილით გამოწვეულ საერთო სიამოვნებას მოწყურებულნი! მანქანა ანას მიჰყავდა, თითქოს ამით ჩვენი მომავალი ოჯახის შექმნას სიმბოლურად გამოხატავდა. იმ ღირსშესანიშნავი საღამოს შემდეგ კანში, მე მისი მანქანით არ მიმგზავრია და ამან მოგონებები ამიშალა.

“მზის” ბარში შარლ უები გველოდა მეუღლითურთ. იგი თეატრალურ რეკლამას განაგებდა, მისი ცოლი კი ქმრის ფულებს თვალის დახამხამებაში ფლანგავდა ახალგაზრდა მამაკაცებთან. უები დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, სად ეშოვა მეტი ფული, ამიტომაც მუდამ შეწუხებული, აფუსფუსებული და, ვიტყოდი, რაღაც უსიამოვნო იყო. იგი ელზას საყვარელი ყოფილა დიდი ხნის მანძილზე; მიუხედავად ასეთი მშვენიერი გარეგნობისა, ელზა ფულზე დახარბებული არასოდეს ყოფილა და სწორედ ეს ხიბლავდა შარლ უებსაც.

მისი ცოლი ავყია ქალი იყო. ანა წინათ არ შეხვედრია მას და მის მშვენიერ სახეზე მაშინვე შევამჩნიე ის ამრეზილი და დამცინავი გამომეტყველება, საზოგადოებაში რომ არ შორდებოდა ხოლმე. შარლ უები, როგორც ყოველთვის, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, დროდადრო გამომცდელი თვალებით აკვირდებოდა ანას. აშკარად ეტყობოდა, უკვირდა, რა საერთო უნდა ჰქონოდათ მასთან ქალების მუსუს რეიმონსა და მის ქალიშვილს. სიამაყით მევსებოდა გული, როცა წარმოვიდგენდი, საცაა იგი ყველაფერს გაიგებს-მეთქი. მამამ ისარგებლა წუთიერი პაუზით, მისკენ დაიხარა და უცებ მიახალა:

– ახალი ამბავი უნდა შეგატყობინო, ძმობილო! 5 ოქტომბერს მე და ანა დავქორწინდებით.

გაოგნებული უები ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს. მე სიხარულისგან ცას ვეწიე, ხოლო უების ცოლი – თავზარდაცემული იჯდა: დიდი ხანია თვალი ეჭირა მამაჩემზე.

– მომილოცავს! – ომახიანად დაიყვირა ბოლოს უებმა, – შესანიშნავი აზრი მოგსვლიათ! ქალბატონო, დიდებული ქალი ბრძანდებით, ასეთი უქნარას მოდრეკა რომ გიკისრიათ!.. მსახურო... ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ!

ანა მშვიდად, ძალდაუტანებლად იღიმებოდა. უცებ უებს სახე გაებადრა; მე თავის მობრუნება არ დამჭირვებია, მივხვდი.

– ელზა? ღმერთო ჩემო, ეს ხომ ელზა მაკენბურია!.. ვერ დამინახა. რეიმონ, ერთი შეხედე, როგორ დამშვენებულა!..

– აბა რა! – ბედნიერ მესაკუთრესავით თქვა მამამ.

ერთბაშად გაახსენდა ყველაფერი და სახე შეეცვალა.

შეუძლებელია ანას არ შეემჩნია მისი კილო. სწრაფად მოაბრუნა ჩემკენ სახე. უკვე რაღაცის თქმას აპირებდა, რომ წავჩურჩულე:

– ანა, თქვენი ელეგანტურობით ყველა მოხიბლეთ! აი, ის მამაკაცი თვალს არ გაშორებთ.

ვითომ საიდუმლოდ ვუთხარი, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ მამაჩემს გაეგონა. მართლაც იგი, სწრაფად შემობრუნდა და იმ კაცს შეხედა.

– ეს მე არ მომწონს! – თქვა და ანას ხელი აიღო.

– რა ლამაზი წყვილია! – ირონიულად, დათაფლული ტონით შენიშნა ქალბატონმა უებმა, – შარლ, ამ შეყვარებულებისთვის მყუდროება არ უნდა დაგერღვიათ. საკმარისი იყო პატარა სესილი დაგეპატიჟათ.

– პატარა სესილი არ მოვიდოდა, – მივახალე პირდაპირ.

– რატომ? მეთევზეებში ხომ არ გაგიჩენიათ მიჯნური?

ერთხელ დამინახა, ავტობუსის კონდუქტორს რომ ვემუსაიფებოდი და იმის შემდეგ ისე მექცეოდა, როგორც დეკლასირებულ პიროვნებას, ე. ი. ვისაც თვითონ თვლიდა “დეკლასირებულად”.

– რა თქმა უნდა! – თავს ძალა დავატანე და მხიარულად მივუგე.

– ბევრს თუ თევზაობთ, მაინც?

საშინელი ის იყო, რომ თავი ენამახვილ ქალად მოჰქონდა. სიბრაზემ ამიტანა.

– სკუმბრიის ჭერაში არა ვარ დახელოვნებული, ისე კი ნათევზავებს არ ვუჩივი.

სიჩუმე ჩამოვარდა; მერე ანას მშვიდი ხმა გაისმა:

– რეიმონ, თუ შეიძლება მსახურს სთხოვეთ, საწრუპავი ჩხირები მოგვიტანოს. ისე ფორთოხლის წვენის დალევა შეუძლებელია.

შარლ უებმა მაშინვე გამაგრილებელ წყლებზე ჩამოაგდო სიტყვა. მამა ძლივს იკავებდა სიცილს და პირიდან ჭიქას არ იშორებდა. ანამ ვედრებით შემომხედა. და, როგორც ეს იმათ შორისაა მიღებულია, ვინც კინაღამ იჩხუბა, გადავწყვიტეთ ერთად გვესადილა.

სადილზე ბევრი დავლიე. მინდოდა დამევიწყებინა ანას სახე: შეშფოთებული, როცა მამას შეჰყურებდა, და მადლიერი – როცა მე გადმომხედავდა. ქალბატონ უებს

გაბადრული სახით ვუღიმოდი, როგორც კი ჩემს გაკენწვლას მოახერხებდა. ამ ტაქტიკამ წონასწორობა დააკარგვინა. ანა მანიშნებდა, თავი შემეკავებინა. გრძნობდა, ქალბატონი უები სკანდალს არ მოერიდებოდა, ანას კი აყალმაყალი ეჯავრებოდა. პირადად მე შეჩვეული ვიყავი, ჩვენს წრეში ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ; ამიტომ ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ვუსმენდი ქალბატონი უების ყბედობას.

ნასადილევს სენ-რაფაელის ღამის კაბარეში წავედით. მალე ელზა და სირილიც გამოჩნდნენ. ელზა კარის ზღურბლთან შეჩერდა, ხმამაღლა გამოელაპარაკა მეგარდერობეს და საცოდავი სირილის თანხლებით დარბაზში შემოვიდა. თავში გამიელვა, შეყვარებული ქალივით კი არა, მეძავივით იქცევა-მეთქი. მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, ეტყობა, ამის უფლებაც მისცა თავს.

– ეს კოხტაპრუწა ვინღაა? – იკითხა შარლ უებმა, – პირზე რძე არ შეშრობია...

– აი, ესაა სიყვარული! – ატიტინდა მისი ცოლი, – ბედნიერი სიყვარული...

– აბა სწორედ! – მკვახედ თქვა მამამ, – მორიგი ინტრიგაა, ესაა და ეს!

ანას შევხედე. ელზას ისევე მშვიდად, გულგრილად შესცქეროდა, როგორც მისი მოდელების დემონსტრაციის დროს მანეკენებს ან უბრალოდ, ძალიან ახალგაზრდა ქალებს უყურებდა ხოლმე, ყოველგვარი სიავის გარეშე. აღტაცებული დავრჩი ქალით, ვისთვისაც ეჭვი და წვრილმანი გრძნობები უცხო იყო. თუმცა, რა უნდა შეშურებოდა ელზასი? ანა მასზე გაცილებით ლამაზი, დახვეწილი იყო. და რაკი მთვრალიც ვიყავი, პირდაპირ ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. ანამ ცნობისმოყვარეობით შემომხედა.

– ელზაზე ლამაზი ვარ? ასე გგონიათ?

– უეჭველად!

– სასიამოვნოა. მაგრამ თქვენ ბევრს სვამთ. მომეცით აქ ჭიქა! განა არ გწყინთ, თქვენი სირილი აქ რომ ზის? თუმცა, ეტყობა, მოწყენილია:

– სირილი ჩემი საყვარელია! – მხიარულად ვთქვი მე.

– ნამდვილად მთვრალი ხართ! კიდევ კარგი, შინ წასვლის დროა.

უებებს გამოვემშვიდობეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. ნახვამდის, ძვირფასო ქალბატონო-მეთქი, დინჯად ვუთხარი უების ცოლს. მამა საჭეს მიუჯდა, მე კი მხარზე თავი ჩამოვადე ანას.

ვფიქრობდი, ანა უებებსაც სჯობია და ჩვენს ყველა ნაცნობსაც-მეთქი. მათზე უკეთესიცაა, კეთილშობილიც, ჭკვიანიც-მეთქი. მამა თითქმის არ ლაპარაკობდა. ალბათ ელზას გამოცხადება ახსენდებოდა.

– სძინავს? – ჰკითხა ანას.

– პატარა გოგოსავით. კიდევ კარგად ეჭირა თავი, თუ რამდენიმე ნართაულს არ ჩავთვლით სკუმბრიაზე...

მამას გაეცინა. სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ისევ მამაჩემის ხმა მომესმა:

– ანა, მე თქვენ მიყვარხართ, მხოლოდ თქვენ მიყვარხართ. ხომ გჯერად ჩემი?

– ასე ხშირად ნუ მიმეორებთ... უკვე მეშინია.

– ხელი მომეცით!

მინდოდა გამეფრთხილებინა: "არა, ოღონდ ახლა არა, მანქანა უფსკურულის პირას მიდის". მაგრამ მთვრალი ვიყავი. ანას სუნამომ გამაბრუა, ზღვიდან მოდენილი სიო თმას მიწეწავდა, მხარზე ნაკაწრიც მეწვოდა – სირილთან ალერსის ნაკვალევი. ერთი სიტყვით, საკმაო მიზეზი მქონდა ბედნიერი ვყოფილიყავი და მეყუჩა. რული მეკიდებოდა. ელზასა და საბრალო სირილს ალბათ მოტოციკლეტი აჯანჯღარებდათ. დედამისმა დაბადების დღეს აჩუქა სირილს მოტოციკლეტი. ამან რატომღაც ისე ამაღელვა, თვალებზე ცრემლი მომადგა. ანას მანქანა ისეთი მყუდრო იყო, ისე მისრიალებდა, თითქოს დასაძინებლად იყო განკუთვნილი... სამაგიეროდ, ქალბატონ უებს ნამდვილად გაუტყდებოდა ძილი! ვინ იცის, მის ასაკში იქნებ მეც გადავუხადო ბიჭებს ფული, ოღონდაც შემიყვარონ, რადგან სიყვარული ყველაზე სასიამოვნო, ყველაზე ნაღდი, ყველაზე გონივრული რამაა ცხოვრებაში. იმას არა აქვს მნიშვნელობა, რითი იხდი მის საფასურს. მთავარი სხვა რამაა. არ გაბოროტდე, ისეთი შურიანი არ გახდე, როგორიც ქალბატონი უებია ელზასა და ანას მიმართ. ჩუმად ჩამეცინა. ანამ ოდნავ მოღუნა მკლავი მხართან: "დაიძინეთ!" – მიბრძანა მან. და მეც ჩამეძინა.

VIII

დილით შესანიშნავ გუნებაზე გამომეღვიძა, ოღონდ წუხანდელ მოთენთილობას ვგრძნობდი და თავი მქონდა დამძიმებული. რაც, ცხადია, იმის შედეგი იყო, რომ წუხელ ზედმეტის დალევა მომიხდა. ჩვეულებისამებრ ჩემი საწოლი ამ დილითაც მზის სხივებით იყო გასხივოსნებული; საბანი გადავიხადე, პიჟამის ზედატანი გავიძრე და შიშველი ზურგი მზეს მივუშვირე; თავი მოხრილ მკლავს დავაყრდენი და ხან ზეწრის მსხვილ ნაქსოვს ვათვალიერებდი, ხან იატაკზე ბუზის ფუსფუსს ვადევნებდი თვალს. მზის სხივები ისეთი ნაზი და თბილი იყო, ასე მეგონა, საგანგებოდ ზრუნავს ძვლებიც კი გამითბოს-მეთქი. გადავწყვიტე, მთელი დილა ასე ვყოფილიყავი გარინდული.

ნელ-ნელა წუხანდელი საღამო ზუსტად აღმიდგა მახსიერებაში. მომაგონდა, ანას ვუთხარი, სირილი ჩემი საყვარელია-მეთქი, და სიცილი ამიტყდა. აკი ამბობენ, ფხიზელს გულში ჰქონდაო, მთვრალმა წამოროშაო! მაგრამ არავის რომ არა სჯერა! ქალბატონი უები და მასთან წაკინკლავებაც გავიხსენე. ამ ტიპის ქალებს შეჩვეული ვიყავი. ისინი აუტანელნი არიან ამ ასაკში თავიანთი უსაქმურობისა და სიცოცხლის

მოჭარბებული წყურვილის გამო. ანას სიმშვიდემ კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა, რაოდენ უჭკუო და მოსაბეზრებელი იყო ის დედაკაცი. თუმცა ამას მოველოდი კიდეც: მამაჩემის ნაცნობ ქალებში არავინ მეგულებოდა ისეთი, ვინც ანას შეედრებოდა. თუ გსურთ, მისებრ ადამიანებთან ერთი საღამო მაინც გაატაროთ სიამოვნებით, ან მთვრალი უნდა იყოთ და ხუმრობით კამათი დაუწყოთ ან არადა, ცოლთან და ქმართან ინტიმური ურთიერთობა უნდა გქონდეთ. მამაჩემისთვის ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა: თვითონაც და უებიც ქალების მუსუსნი იყვნენ: "გამოიცანი, ვინ ივახშმებს დღეს ჩემთან და ვინ აღმოჩნდება ჩემს საწოლში? პატარა მარსი, სორელი რომ იღებდა თავის ფილმში. დიუპუასთან შევიარე და..." მამა იცინოდა, მხარზე უტყაპუნებდა ხელს: "ბედნიერი კაცი ხარ. ეს ქალი ელზასავით ლამაზია თითქმის!" გიმნაზიელების ანგლობა! მაგრამ მე მაინც მომწონდა, ორივენი იმდენ ცეცხლს, იმდენ აღტყინებას ამჟღავნებდნენ ამ საუბარში! ანდა, ლომბარის ნაღვლიანი აღსარება: კაფეს ტერასაზე იჯდა და მთელი საღამოს განმავლობაში წუწუნებდა: "რეიმონ, იმ ქალის მეტი არავინ მყვარებია! გახსოვს ის გაზაფხული, სანამ მიმატოვებდა?.. რა თქმა უნდა, სისულელეა მამაკაცი მთელი სიცოცხლე ერთ ქალს მისტიროდეს!" როცა ორი მამაკაცი თითო ჭიქა ღვინოს უზის და გულს უხსნის ერთმანეთს, ამაზე უცნაური, დამამცირებელი და მაინც ადამიანური გრძნობა წარმოუდგენელია!

ანას მეგობრები ამგვარი საუბრის უფლებას ალბათ არასოდეს მისცემდნენ თავს. და რა თქმა უნდა, ასეთი თავგადასავლები არ ექნებოდათ; ან რომც ელაპარაკათ, უეჭველია, დაიმორცხვებდნენ და ხუმრობაში გაატარებდნენ ამას. მე მზად ვიყავი გამეზიარებინა ანას ეს შემწყნარებლური დამოკიდებულება ჩვენი ნაცნობების მიმართ – თავაზიანი და ერთგვარად გადამდები შემწყნარებლობა... მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, ოცდაათი წლის ასაკში უფრო მეტად მაინც ჩვენს მეგობრებს დავემსგავსებოდი, ვიდრე ანას. ასეთი გულჩათხრობილობით, გულცივობით, თავშეკავებულობით სული შემეხუთებოდა. პირიქით, თხუთმეტი წლის შემდეგ, უკვე გულმოყირჭებული, ჩემსავით ცხოვრებით მოქანცულ, მომხიბვლელ რომელიმე მამაკაცს ვეტყოდი: "ჩემს პირველ საყვარელს სირილი ერქვა. თვრამეტი წლისაც არ ვიყავი. ზღვაზე ცხელოდა..."

სიამოვნებით წარმომედგინა ამ მამაკაცის სახე. მამაჩემივით მასაც წვრილ-წვრილი ნაოჭები ექნებოდა.

კარზე დააკაკუნეს. სასწრაფოდ გადავიცვი პიჟამა და დავიყვირე, შემოდით-მეთქი. ანა იყო, ყავის ფინჯანი ფრთხილად მოჰქონდა.

– ვიფიქრე, ყავა არ გაწყენდათ... ძალიან ცუდად გრძნობთ თავს?

– პირიქით, ძალიან კარგად ვარ. გუშინ, მგონი, ცოტა გადავამლაშე...

– როგორც ყოველთვის, როცა ხალხში ხართ... – გაიცინა. – უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან გამართეთ. რა დაუსრულებელი საღამო იყო!

აღარც მზეს ვაქცევდი ყურადღებას, აღარც ყავის გემოს. ანასთან საუბარი მუდამ ახშობდა ჩემს ფიქრებს, ასე მეგონა, საერთოდ არ ვარსებობ-მეთქი, თუმცა მხოლოდ

ის მაიძულებდა, სხვა თვალით დავკვირვებოდი, უნდობლობით მოვკიდებოდი საკუთარ თავს. მის გვერდით მუდამ მძიმე და დაძაბულ წუთებს განვიცდიდი.

– სესილ, ნუთუ უებებისა ან დიუპეების მსგავსი ადამიანები გაინტერესებთ?

– აუტანელი მანერები აქვთ, სამაგიეროდ ძალიან სასაცილონი არიან.

ანაც იატაკზე ბუზის ფუსფუსს ადევნებდა თვალს. ალბათ ეს ბუზი ხეიბარია-მეთქი, გავიფიქრე.

ანას გრძელი, მძიმე ქუთუთოები ჰქონდა, შემწყნარებლობა ნამდვილად არ გაუძნელდებოდა.

– ვერ წარმოიდგენთ, რა ერთფეროვანი და... როგორა ვთქვა... რა აუტანელია მათი საუბარი. ნუთუ არ გბეზრდებათ მთელი ეს მათი მსჯელობა კონტრაქტებზე, ქალებზე, დროსტარებაზე?

– იცით რა, მე ათი წელი დავყავი მონასტერში; და რაკი იმ ხალხს მორალური წესები არ გააჩნია, ამას ჩემთვის ჯერ კიდევ აქვს რაღაც მიმზიდველობა.

ვერ გავბედე და ვერ გამოვუტყდი, რომ ასეთი ცხოვრება დიახაც მომწონდა.

– კი მაგრამ, უკვე ორი წელია... – თქვა ანამ, – სხვათა შორის, ეს არც გონების საკითხია და არც ზნეობისა: უბრალოდ, შინაგანი სიცარიელის, მეექვსე გრძნობის საკითხი გახლავთ...

ეტყობა, ეს მეექვსე გრძნობა მე არ გამაჩნდა. აშკარად ვგრძნობდი, ამ მხრივ მართლა მაკლდა რაღაც.

– ანა, – ვკითხე ერთბაშად – როგორ გგონიათ, მე ჭკვიანი ვარ?

ისე პირდაპირ დავუსვი კითხვა, გაეცინა.

– რა თქმა უნდა! რატომ მეკითხებით?

– იდიოტიც რომ ვიყო, მაინც ასე მიპასუხებდით, – ამოვიოხრე მე, – ზოგჯერ ისე მწვავედ ვგრძნობ თქვენს უპირატესობას...

– ეს მხოლოდ ასაკის საკითხია, – მითხრა მან, – სამწუხარო იქნება, თქვენზე მეტი რწმენა რომ არ მქონდეს საკუთარი თავისა. მაშინ ხომ თქვენი გავლენის ქვეშ მოვექცევი!

გადაიხარხარა. მეწყინა.

– ვინ იცის, იქნებ, არც ისე საშიში იყოს?

– ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება, – თქვა მან.

უცებ შეცვალა ხუმრობის კილო და თვალებში ღრმად ჩამხედა. შევცბი. დღემდე ვერ შევგუებივარ ზოგიერთის ჩვევას: გელაპარაკებიან და თვალებში მოგშტერებიან, ანდა

წინ დაგიდგებიან, რა არის, დარწმუნდნენ, ყურს უგდებთ თუ არა! სხვათა შორის, ამაოდ ირჯებიან, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ დავუსხლტე ხელიდან, თავი ავარიდო და ვბუტბუტებ: "დიახ, დიახ!", ფეხს ვიცვლი, ვცდილობ და კიდეც ვახერხებ ოთახის მეორე ბოლოში გაქცევას; მათი ასეთი ჩაციება, მოურიდებლობა, მიკერძოება მაცოფებს. საბედნიეროდ, ანას საჭიროდ არ მიაჩნია ამ ხერხით ჩემი ხელში ჩაგდება, ოღონდ თვალს არ მაშორებს, და ამიტომ მასთან საუბრისას ძალიან მიჭირს იმ ძალდაუტანებელი, უდარდელი ტონის შენარჩუნება.

– იცით, რა ბოლო მოელით უებისთანა მამაკაცებს?

გულში დავუმატე: "და მამაჩემსაც!"

– ღობის ძირას ამოხდებათ სული! – გავიხუმრე.

– დადგება დრო, როცა გარეგნულ მომხიბვლელობასაც, და, როგორც იტყვიან, "ფორმასაც" კარგავენ. სმა აღარ შეუძლიათ, ქალებზე ფიქრს მაინც არ ეშვებიან; ოღონდ ამჯერად ამ სიამოვნებისთვის ფულის გაღება უხდებათ, ათასნაირ დათმობაზე მიდიან, ოღონდაც მარტოობას დააღწიონ თავი. ისინი უკვე სასაცილონი, უბედურნი არიან. და სწორედ ამ დროს ხდებიან სანტიმენტალურნი და მომთხოვნნი... რამდენი მინახავს ცხოვრებიდან გარიყული...

– საცოდავი უები! – ვთქვი მე.

თავგზა ამებნა. მართლაც ასეთი ბოლო ელოდა მამაჩემსაც! ყოველ შემთხვევაში, ემუქრებოდა, ანას რომ არ ეკისრა მასზე ზრუნვა.

– თქვენ ამაზე არ დაფიქრებულხართ, – თანაგრძნობით მითხრა ანამ, – საერთოდ ცოტას ფიქრობთ მომავალზე, ხომ ასეა? ახალგაზრდების უპირატესობა სწორედ ესაა!

– ძალიან გთხოვთ, ჩემს ახალგაზრდობას დანაშაულად ნუ მითვლით. პირადად მე არასოდეს ამოვფარებივარ ამ უპირატესობას. სულაც არ მიმაჩნია, რომ ახალგაზრდობა რაღაც უპირატესობას მაძლევდეს ან მამართლებდეს. მე მას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

– მაინც რას ანიჭებთ მნიშვნელობას? თქვენს სიმშვიდეს, თქვენს დამოუკიდებლობას?

ასეთი საუბარი მუდამ მაშინებდა, მით უმეტეს ანასთან.

– არაფერს, – ვუპასუხე მე, – თქვენც ხომ იცით, მე საერთოდ არ ვფიქრობ.

– თქვენც და მამათქვენიც, ცოტა არ იყოს, მაღიზიანებთ... "არაფერზე არ ვფიქრობთ... არაფერში არ ვართ გამოსადეგნი, არაფერი არ ვიცით!" ნუთუ მაგით იწონებთ თავს?

– სულაც არ მომწონს თავი. არც მიყვარს და არც ვცდილობ, რომ შევიყვარო... ოღონდ ზოგჯერ თქვენ მაიძულებთ ცხოვრება გავირთულო და ამის გამო კიდეც ვბრაზობ თქვენზე.

ანა ჩაფიქრდა და ღიღინს მოჰყვა. ნაცნობი მელოდია იყო, თუმცა ვერასგზით ვერ გავიხსენე.

– რა სიმღერაა, ანა? მაღელვებს...

– არ ვიცი, – ხელახლა გამიღიმა, ოღონდ ამ ღიმილს იმედის გაცრუება ეტყობოდა, – იწექით, დაისვენეთ, მე კი წავალ და სხვაგან განვაგრძობ ოჯახის ინტელექტუალური ანკეტის შესწავლას.

“რა თქმა უნდა, – გავიფიქრე, – მამას ეს არ გაუჭირდება”. თითქოს ყურში მესმოდა მისი პასუხი: “მე არაფერზე ვფიქრობ იმიტომ, რომ თქვენ მიყვარხართ, ანა”. და როგორი ჭკვიანი ქალიც არ უნდა იყოს, ანა ამ პასუხს ნამდვილად სარწმუნო საბუთად ჩათვლის. მე ნელა, გემრიელად გავიზმორე და ხელახლა ჩავრგე თავი ბალიშში. იმის საწინააღმდეგოდ, რაც ანას ვუთხარი, მე ძალიან ბევრს ვფიქრობდი. რასაკვირველია, ანას მუქ ფერებში წარმოუდგენია ყოველივე: ოცდახუთი წლის შემდეგ მამაჩემი სიმპათიური, ჭაღარა, სამოცი წლის მამაკაცი იქნება, ვისკითა და კოლორიტული მოგონებებით ოდნავ შელახული. ჩვენ ისევ ერთად ვივლით სტუმრად. მე მას გავანდობ ჩემს თავგადასავლებს, ის კი რჩევას მომცემს. ვგრძნობდი, ანა ამოშლილი მყავდა ჩვენი მომავალი ცხოვრებიდან: არ შემეძლო, ვერ მომეხერხებინა მისთვის გამომეძებნა იქ რაიმე ადგილი. ვერ წარმომედგინა, ჩვენს არეულ ბინაში, რომელიც ზოგჯერ გამოცარიელებული იყო, ზოგჯერ კი ყვავილებით დახუნძლული, სადაც ისმოდა უცხო ხმები, სადაც მუდამ ეყარა ვიღაცის ჩემოდნები, აი ასეთ ბინაში წესრიგი, სიჩუმე და ჰარმონია დამყარებულიყო, უძვირფასესი განძივით რომ შეჰქონდა ანას ყველგან. საშინლად მეშინოდა, რომ მოწყენილობა მომკლავდა. მართალია, იმის შემდეგ, რაც სირილის წყალობით ნამდვილი, ფიზიკური სიყვარული განვიცადე, გაცილებით ნაკლებ მეშინოდა ანას გავლენისა. ამ სიყვარულმა მრავალი სხვა შიშიც გამიქრო საერთოდ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მოწყენილობისა და სიმშვიდის მეშინოდა. შინაგანი სიმშვიდისათვის მე და მამას გარეგანი მოუსვენრობა გვჭირდებოდა. ანა კი ამას ვერასოდეს შეეგუებოდა.

IX

მე დაწვრილებით ვყვები ანაზე, საკუთარ თავზე, მამაზე კი ძალიან ცოტას. იმიტომ კი არა, რომ ამ ამბავში მთავარი მოქმედი პირი არ იყო, არც იმიტომ, თითქოს ნაკლებად მაინტერესებდეს. არავინ არასოდეს მამაზე ძალიან არ მყვარებია და ყველა იმ გრძნობიდან, რაც იმ ხანებში მაღელვებდა, ყველაზე სტაბილური, ყველაზე ღრმა გრძნობა მისდამი მქონდა და განსაკუთრებულად სანუკვარიც იყო ჩემთვის. მე მას იმდენად კარგად ვიცნობ, მასზე ლაპარაკი არც გამიჭირდება, თანაც ძალიან ვგავართ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, მისი საქციელი რომ გავამართლო, პირველ რიგში სწორედ მისი ხასიათი უნდა აგიხსნათ. მამა არ გახლდათ არც პატივმოყვარე, არც თავკერძა კაცი. ოღონდ თავქარიანი იყო, უსაშველოდ თავქარიანი. მე იმასაც ვერ ვიტყვი, თითქოს ღრმა გრძნობები არ გააჩნდა, თითქოს უპასუხისმგებლო ყოფილიყო. ჩემდამი მისი სიყვარული შეუძლებელია თავქარიანობას მივაწეროთ ან

უბრალოდ მამობრივი ჩვევით ავხსნათ. არავის იმდენი თავსატეხი არ გაუჩენია მისთვის, რამდენიც მე. და განა მე თვითონაც იმიტომ არ ვიყავი ასე სასოწარკვეთილი იმ ღირსსახსოვარ დღეს, როცა თითქოს ხელი ჩაიქნია ჩემზე და თვალი ამარიდა?.. თავისი ვნებების გულისთვის ერთხელაც არ გავუწირივარ. მხოლოდ იმისთვის, რომ ღამით შინ მივეცილებინე, უების სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენჯერ "გაუშვია ხელიდან ბრწყინვალე შემთხვევა!" სხვა მხრივ, – ამას ვერ უარვყოფ, – სიამოვნებას არ იკლებდა. მერყევი ბუნებისა იყო, ქარიფანტია და ფიქრით თავს არ იწუხებდა. ცდილობდა, ყველაფერი ფიზიოლოგიური მიზეზებით აეხსნა, რასაც, მისი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: "გეჯავრება შენი თავი? მეტი იძინე, ნაკლები დალიე!" ასევე მსჯელობდა, როცა რომელიმე ქალი ცხოველ ჟინს აღუძრავდა: სურვილის დაოკება ან უფრო ღრმა გრძნობად გადაქცევა აზრად არ მოსდიოდა. მატერიალისტი გახლდათ, ამასთან ძალიან ფაქიზი, გულთბილი და ძალიან კეთილი.

ელზასადმი ლტოლვა მძიმე ტვირთად აწვა, ოღონდ არა იმ მნიშვნელობით, როგორიც შეიძლება წარმოვიდგინოთ! იმას კი არ ფიქრობდა: "ანას მოტყუებას ვაპირებ... მაშასადამე, ნაკლებად მიყვარს!" პირიქით: "დასანანია, ხელახლა რომ გამიჩნდა ელზას ხელში ჩაგდების სურვილი! რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვათავო ეს საქმე, თორემ ანასთან საქმე გამირთულდება". მიუხედავად ამისა, ანა ნამდვილად უყვარდა, აღმერთებდა, მისი წყალობით საბოლოოდ ჩამოშორდებოდა იმ ქარაფშუტა, ჭკუამოკლე ქალებს, ბოლო წლებში რომ ხვდებოდა. ანა პატივმოყვარეობასაც უკმაყოფილებდა, მგრძნობელობასაც და ვნებასაც, რადგან ანას ესმოდა მისი, თავისი ჭკუითა და გამოცდილებით ეხმარებოდა; სამაგიეროდ, ღრმად არა ვარ დარწმუნებული, ხვდებოდა თუ არა მამაჩემი, რამდენად ძლიერი გრძნობა ჰქონდა ანას მისდამი! მას მიაჩნდა, რომ ანა იდეალური საყვარელი იქნებოდა მისთვის და იდეალური დედა – ჩემთვის! საკითხავია, თვლიდა თუ არა მას "იდეალურ მეუღლედ"? ხვდებოდა თუ არა, რა შედეგი ექნებოდა ამ მოვალეობას? არა მგონია. დარწმუნებული ვარ, სირილისა და ანას თვალში, ჩემი არ იყოს, მამაც არანორმალური იყო ემოციური თვალსაზრისით. მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს მშფოთვარედ გაეტარებინა დრო, რადგან ცხოვრება ბანალურად მიაჩნდა და ამიტომაც მთელ თავის სიცოცხლისუნარიანობას მასში აქსოვდა.

როცა ჩვენი ცხოვრებიდან ანას გაძევება განვიზრახე, მამაჩემზე ფიქრი სულ არ მაწუხებდა. ვიცოდი, ახლაც ისევე სწრაფად დამშვიდდებოდა, როგორც ყოველთვის. განშორებას უფრო ადვილად გადაიტანდა, ვიდრე წესიერ ცხოვრებას. ჩემი არ იყოს, მისი მოტეხა და გულის მოკვლა მხოლოდ ჩვევასა და ერთფეროვნებას შეეძლო. მე და მამა ერთი ტომისანი ვიყავით; მას ხან მომთაბარეთა დიდებულ, წმინდა რასას ვარქმევდი, ხან დარდიმანდთა, უსუსურ, გამოფიტულ რასას.

ამჯერად მამა იტანჯებოდა, ყოველ შემთხვევაში, სასოწარკვეთილი იყო. ელზა წარსული ცხოვრების, საერთოდ ახალგაზრდობის, კერძოდ კი თავისი ახალგაზრდობის სიმბოლოდ ექცა. ვგრძნობდი, ერთი სული ჰქონდა ანასთვის ეთქვა: "ძვირფასო, ერთი დღით გამიშვით. ეს გოგო უნდა დავარწმუნო, რომ ჯერ კიდევ არა ვარ ბებრუცუნა. საკმარისია ხელახლა ვიგრძნო ვნებით მოთენთილი მისი სხეული და მაშინვე დავმშვიდდები". მაგრამ ამის თქმა არ შეეძლო. იმიტომ კი არა, ანა ეჭვიანი ან სათნოების განსახიერება ყოფილიყოს და ამგვარი წინადადებით ვერ მიუდგებოდა, არა, უბრალოდ, მამაჩემთან ცხოვრებას ერთი პირობით დათანხმდა ალბათ: უაზრო

დებოშების ხანა დამთავრდა, ამიერიდან გიმნაზიელივით ვერ მოიქცეოდა, გახდებოდა ისეთი მამაკაცი, რომელსაც თავის ბედს ანდობდა, მაშასადამე, თავდაჭერა მართებდა და უნიათო მამაკაცივით საკუთარი ჟინის მონა არ უნდა გამხდარიყო. განა ამისათვის ანას ვინმე დაძრახავდა? ეს ხომ სავსებით ბუნებრივი, ჯანსაღი პირობა იყო. მიუხედავად ამისა, ელზას დასაბრუნებლად ამ აზრს ხელი არ უნდა შეეშალა მამაჩემისთვის. მას კი ეს სურვილი უფრო უძლიერდებოდა, ისეთი გაუსაძლისი ხდებოდა, აკრძალული ხილისადმი რომ უჩნდებოდა ხოლმე.

და რასაკვირველია, ამ მომენტში ჩემს ხელთ იყო საქმის მოგვარება. ამისთვის კი საკმარისი იყო ელზასთვის მერჩია, დაუთმე-მეთქი და რაიმე საბაბით ანა ცოტა ხნით ნიცაში ან სადმე სხვაგან წამეყვანა. შინ დაბრუნებულთ მამა დამშვიდებული დაგვხვდებოდა, კანონიერი სიყვარულით ხელახლა ანთებული, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმ სიყვარულით ანთებული, პარიზში დაბრუნებისას კანონიერ სახელს რომ მიიღებდა. ანა ხომ არასოდეს დათანხმდებოდა დარჩენილიყო მამას საყვარლად, ესე იგი სხვებივით დროებით საყვარლად! რომ იცოდეთ, როგორ გვიძნელებდა ცხოვრებას ანას ეს კეთილშობილება, თავისი თავისადმი პატივისცემა!

ჯერჯერობით არც ელზას ვეუბნებოდი დაეთმო მამასთვის, არც ანას ვთხოვდი ნიცაში გამომყოლოდა. მინდოდა, ფარულ სურვილს ისე დაეღრღნა მამა, დანაშაული ჩაედინა. ჩვენი წარსული ცხოვრებისადმი ანას ქედღმაღლობას ვეღარ ვიტანდი, ვეღარ ამეტანა იმის ათვალწუნება, რაც ჩემი და მამაჩემის ბედნიერებას წარმოადგენდა. არ იფიქროთ, თითქოს მისი დამცირება მსურდა, არა, ვცდილობდი ისეთივე შეხედულება ჰქონოდა ცხოვრებაზე, როგორც ჩვენ. მას უნდა სცოდნოდა, რომ მამამ მოატყუა, მაგრამ ეს წმინდა ხორციელ ვნებად უნდა მიეღო და არა პირადი ღირსებისა და კეთილშობილების ხელყოფად. მას ხომ სურდა, სიმართლე მის მხარეზე ყოფილიყო? ჰოდა, კეთილი ენება და ჩვენთვისაც მოეცა საშუალება, დავრწმუნებულიყავით, რომ მართლა ვართ დამნაშავე.

ამასობაში თავი ისე მეჭირა, თითქოს მამაჩემის ტანჯვას ვერ ვამჩნევდი. მთავარი იყო, საშუალება არ მიმეცა, ჩემთვის გაენდო თავისი ფიქრები, თანამზრახველად არ ვექციე, იძულებული არ გავეხადე, ელზას მოვლაპარაკებოდი და ანაც სადმე გამეტყუებინა. იძულებული ვიყავი ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ანასადმი მის სიყვარულს ისევე წმიდათაწმიდად ვთვლიდი, როგორც თვით ანას პიროვნებას. უნდა გამოგიტყდეთ, ეს არც მიძნელდებოდა. იმის გაფიქრება, რომ მამას შეეძლო ანა მოეტყუებინა, შეურაცხყოფა მიეყენებინა, შიშის ზარსაც მცემდა და რაღაც გაურკვეველ აღფრთოვანებასაც მგვრიდა.

ასე რომ, ჯერჯერობით სიამტკბილობაში ვატარებდით დღეებს: შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდი, როგორმე გამეღიზიანებინა ელზასადმი მამაჩემის ლტოლვა. ანას სახე სინდისის ქენჯნას აღარ იწვევდა ჩემში. ზოგჯერ გავიფიქრებდი, თავის ხვედრს შეურიგდება და სულ მალე ჩვენებურ ცხოვრებას თავის გემოვნებასაც მიუსადაგებს-მეთქი. ამასთან, სირილსაც ხშირად ვხვდებოდი მალულად. მისი სხეულის სიახლოვე, ფიჭვის სუნი, ზღვის ხმაური. სირილს სინდისი ქენჯნიდა: როლი, მე რომ თავს მოვახვიე, სძაგდა და თუ მთანხმდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვარწმუნებდი, ჩვენი სიყვარულისთვის ასეა საჭირო-მეთქი. ყოველივე ეს ჩემგან მოითხოვდა ორპირობას, საკუთარ თავთან შეკამათების აკრძალვას, სამაგიეროდ –

თითქმის არავითარ ძალდატანებასა და ტყუილს (აკი უკვე ვთქვი, სხვა არაფერი მაიძულებდა დამნაშავედ მეცნო თავი, გარდა ჩემი საქციელისა).

ამ პერიოდზე დიდხანს არ ვჩერდები, მეშინია, ძებნა-ძებნაში ისეთი მოგონებები არ გამოვჩხრიკო, თავზარს რომ დამცემს. ისიც კმარა, ანას ბედნიერ სიცილს რომ გავიხსენებ, ჩემდამი მის კეთილგანწყობილებას რომ გავიხსენებ, მაშინვე ვგრძნობ, თითქოს რაღაც ჩამარტყეს, გაუსაძლისი ტკივილი მომაყენეს და, საკუთარ თავზე გაბრაზებული, ლამის დავიხრჩო. ამ წუთში მე ისეთ წამებას განვიცდი, "არასუფთა" სინდისით გამოწვეულს რომ უწოდებენ, და აი მაშინ, უბრალო მოძრაობებში ვეძებ შველას: სიგარეტს უნდა მოვუკიდო, ფირსაკრავზე ფირფიტა დავდო, მეგობარს დავურეკო. ნელ-ნელა სხვა რამეზე გადამაქვს ფიქრები. ეს კია, ძალიან არ მომწონს, ჩემს სუსტ მეხსიერებას, გონების სიჩლუნგეს რომ მოვიმიზეზებ ხოლმე, ნაცვლად იმისა, რომ შევებრძოლო მათ! არ მიყვარს ჩემი ამ თვისებების აღიარება, თუნდაც ისინი სიხარულს მანიჭებდეს.

X

საოცარია, ბედისწერას როგორ უყვარს უღირსი ხალხი შეარჩიოს თავის მაცნედ! იმ ზაფხულს ელზას სახით გამოგვეცხადა ეს ბედისწერა. რა გვეთქმის, ფრიად ლამაზი, უკეთ – მიმზიდველი იერსახე გახლდათ! თანაც ელზამ უჩვეულო სიცილი იცოდა, გადამდები, გულიანი, სწორედ ისეთი, ტუტუცებს რომ სჩვევიათ. მალე შევამჩნიე, ამ სიცილის ხიბლი როგორ მოქმედებდა მამაჩემზე. ამიტომაც ვაქეზებდი ელზას, როგორც კი მე და მამა სირილთან "წაგასწრებთ", რაც შეიძლება მეტი ძალით გამოიყენეთ-მეთქი ეს სიცილი. ვეუბნებოდი: "როცა მე და მამას დაგვინახავთ, ხმა არ ამოიღოთ, გაიცინეთ!" და მართლაც, ამ გულიანი სიცილის გაგონებაზე მამას მაშინვე სიბრაზის ელდა გადაურბენდა სახეზე. მე კვლავ მომწონდა რეჟისორის როლი. მუდამ მიზანში ვარტყამდი: ელზასა და სირილის დანახვაზე, რომლებიც აღარ ერიდებოდნენ არარსებული, მაგრამ სავსებით შესაძლებელი ინტიმური ურთიერთობის გამომზეურებას, ორივე ვფითრდებოდით, ორივეს სისხლი გვეწრიტებოდა გულიდან; ეს გახლდათ ღრმად ჩამარხული ვნება, რომელიც ყოველგვარ წამებაზე უარესია. სირილი, ელზასკენ თავდახრილი სირილი!.. ეს ხილვა გულს მიფლეთდა, თუმცა სირილსა და ელზასთან ერთად მე თვითონვე ვამზადებდი ამ სცენას; და მაინც ვერ წარმომედგინა, რა ძალა ჰქონია მას. სათქმელად ადვილიცაა და მარტივიც, მაგრამ საკმარისი იყო შემემჩნია სირილის პროფილი მისი შავგვრემანი, მოქნილი კისერი, მისკენ მიქცეული ელზას გაბადრული სახე, რას არ მივცემდი, ოღონდ ეს არ დამენახა. მავიწყდებოდა, თვითონვე რომ მოვაწყვე ყოველივე.

ამ ამბებს თუ არად ჩავაგდებთ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სავსე იყო ნდობით, ალერსით და – გული მტკივა ამ სიტყვის წარმოთქმაზე – ანას ბედნიერებით. არასოდეს ასეთი ბედნიერი არ მინახავს. იგი ჩვენ, თავკერძა ადამიანებს, გვენდობოდა და ვერც კი წარმოედგინა, რა გადაულახავი სურვილები გვამოძრავებდა, რა სულმდაბლურ ხრიკებს მივმართავდი პირადად მე. სწორედ ამის

იმედი მქონდა: ანა ისეთი თავშეკავებული, ამაყი იყო, ინსტინქტურად გაურბოდა ყოველგვარ ხრიკებს მამაჩემის ხელში ჩასაგდებად; მისთვის უცხო გახლდათ ყოველნაირი კეკლუცობა, გარდა ერთისა – იყო ლამაზი, ჭკვიანი და ალერსიანი! თანდათან უკვე მეცოდებოდა ანა. სიბრალული ისეთივე სასიამოვნო და მიმზიდველი გრძნობაა, როგორც სამხედრო ორკესტრის მუსიკა. ამაში ვერავინ გამამტყუნებს.

ერთ დილით მოახლე აღელვებული შემოვიდა და ელზას ბარათი გადმომცა: "საქმეს კარგი პირი უჩანს. მოდით!" ამ სიტყვებმა თავზარი დამცა. კვანძის გახსნა მეჯავრება. და მაინც მივედი ზღვის ნაპირზე, სადაც ელზამ გაბრწყინებული სახე შემომაგება.

– ერთი საათის წინ მამათქვენი ვნახე!

– რა გითხრათ?

– მითხრა, ძალიან ვნანობ, რაც ჩვენ შორის მოხდა, ნამდვილ ხეპრესავით მოვიქეციო. მართლაც ასე არ იყო?

მეტი რა გზა მქონდა, დავეთანხმე.

– შემდეგ ისეთი ქათინაურებით ამავსო, როგორიც მხოლოდ მას შეუძლია... იცით, ამ დროს ოდნავ გულგრილი ტონით ლაპარაკობს, ძალიან ხმადაბლა, თითქოს სიტყვებს ეძებსო... ისეთი ტონით...

იდილიური მოგონებები სწრაფად შევაწყვეტინე:

– მაინც რა მინდაო?

– არაფერი... თუმცა, როგორ არა, ჩაიზე დამპატიჟა სოფელში... ამით უნდა დავუმტკიცო, რომ მასზე არ ვბრაზობ, რომ მე პროგრესული ქალი ვარ, ფართო შეხედულებებით...

ჟღალთმიანი ქალების პროგრესულ შეხედულებებზე მამაჩემის აზრები გამახსენდა და სიცილი წამსკდა.

– რა გაცინებთ? წავიდე თუ არა?

კინაღამ ვუპასუხე, რა ჩემი საქმეა-მეთქი. მერე მომაგონდა, თავისი წარმატების პასუხისმგებლად მემთვლიდა. არ ვიცი, სამართლიანი იყო თუ არა, მაგრამ ამან გამაღიზიანა.

ვიგრძენი, მახეში გავები.

– არ ვიცი, ელზა. თქვენზეა დამოკიდებული; ყოველ წუთს ნუღარ მეკითხებით, როგორ უნდა მოიქცეთ. ვინმეს ეგონება, თითქოს მე გაიძულებდეთ...

– რა თქმა უნდა, თქვენ! – წამოიძახა მან, – განა თქვენი წყალობით არ...

ისე აღტაცებული ლაპარაკობდა, ერთბაშად შემეშინდა.

– თუ გინდათ, წადით, ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, ნუღარაფერს მომიყვებით!

– კი მაგრამ... ის ქალი ხომ უნდა ჩამოვაშოროთ, სესილ?

გავიქეცი. რაც უნდა, ის გააკეთოს მამაჩემმა! როგორც უნდა, ისე დააღწიოს თავი ანას! თანაც სირილთან პაემანი მქონდა. ასე მეგონა, მხოლოდ ალერსი ამაშორებდა ამ შემაძრწუნებელ შიშს.

სირილმა უხმოდ მომხვია ხელი და წამიყვანა. მის გვერდით არავითარი სიძნელე აღარ არსებობდა, ვნებამ და სიამოვნებამ წალეკა ყოველივე. ცოტა ხნის შემდეგ, როცა, გათანგული და დაბნეული, მის ოქროსფერ, ოფლით დანამულ სხეულს ვეკვროდი, სირილს ვუთხარი, ჩემი თავი მეზიზღება-მეთქი. ღიმილით ვთქვი, რადგან მართალია, ასე ვფიქრობდი, მაგრამ ამის გამო გულისტკივილს არ ვგრძნობდი, არამედ სასიამოვნო უდრტვინველობას. ჩემი ნათქვამი სირილს სერიოზულად არც მიუღია.

– არა უშავს! მე ისე ძალიან მიყვარხარ, მაგ აზრის შეცვლას როგორმე მოვახერხებ. მე ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ...

ამ ფრაზის რიტმი წამით არ მომშორებია სადილობისას: “მე ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ... “ ამიტომაც, მიუხედავად მთელი ჩემი მცდელობისა, იმდღევანდელი ამბები დაწვრილებით აღარ მახსოვს. ანას სოსანისფერი კაბა ეცვა, ზუსტად თვალების ქვეშ დაცემული ჩრდილის ფერი, თვით მისი თვალების ფერი. მამა აშკარად გალაღებული ჩანდა, იცინოდა, საქმე კარგად აეწყო მისთვის. დესერტს შევექცეოდით, როცა გამოაცხადა, საღამოს სოფელში უნდა წავიდეო. გულში გამეცინა. დაღლილი ვიყავი. ბედისწერას აყოლილმა გავიფიქრე, რაც მოსახდენია, მოხდეს-მეთქი. ერთადერთი სურვილი მქონდა: ზღვაში მებანავა!

ოთხ საათზე ნაპირზე ჩავედი. ტერასაზე მამას შევეჩეხე, სოფელში მიდიოდა; არაფერი მითქვამს, რჩევაც არ მიმიცია, გაფრთხილდი-მეთქი.

ზღვა თბილი და წყნარი იყო. ანა არსად ჩანდა, ალბათ ოთახში იჯდა და მოდელების ხატვით იყო გართული; მამა კი ამ დროს ელზას ეკურკურებოდა. ორი საათის შემდეგ მზე აღარ აცხუნებდა, ტერასაზე ავედი, სავარძელში ჩავჯექი და გაზეთი გავშალე.

სწორედ ამ დროს ანას მოვკარი თვალი; ტყიდან გამოვიდა. მორბოდა, სხვათა შორის, ძალიან უგერგილოდ, იდაყვები ფერდებზე მიეკრო და ისე მორბოდა. ერთბაშად უსიამოვნო ფიქრმა გამკენწლა, ვიღაც ბებერი ქალი მორბის და საცაა დაეცემა-მეთქი. გავშეშდი: ანა სახლისუკან იმ მხარეს მიეფარა თვალს, სადაც გარაჟი იდგა. იმწამსვე მივხვდი და გავედევნე.

უკვე მანქანაში იჯდა, ძრავა ჩაერთო. მივვარდი და მანქანის კარს ჩამოვეკიდე.

– ანა, ანა, არ წახვიდეთ, ეს გაუგებრობაა, ეს ჩემი ბრალია. ახლავე აგიხსნით...

ყურს არ მიგდებდა, არც მიყურებდა, მუხრუჭის მოსაშვებად დაიხარა.

– ანა, თქვენ ხომ საჭირო ხართ ჩვენთვის.

წელში გაიმართა. სახე მოღრეცოდა. ტიროდა. ახლაღა მივხვდი, რომ ხელი აღვმართე არა აბსტრაქციაზე, არამედ ცოცხალ არსებაზე, რომელსაც გრძნობისა და ტანჯვის უნარი აქვს. ოდესღაც ისიც იყო პატარა გოგო, ალბათ ოდნავ გულჩათხრობილი, შემდეგ გაიზარდა, დაქალდა, ახლა ორმოცი წლისაა, მარტოსული, შეუყვარდა და იმედი ჰქონდა საყვარელ ადამიანთან ბედნიერად იცხოვრებდა ათ, იქნებ ოც წელიწადს მაინც. მე კი... მისი სახე... ეს სახე ჩემი ნამოღვაწარია... თავზარი დამეცა და ავკანკალდი.

– თქვენ არავინ გჭირდებათ, – წაიბუტბუტა ანამ, – არც თქვენ, არც მას.

ძრავა ამუშავდა. თავგზა ამებნა. ასე როგორ გავუშვა?

– მაპატიეთ, გეხვეწებით...

– თქენ რა უნდა გაპატიოთ?

ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა. ეტყობა, ვერც ამჩნევდა, გაქვავებული იყო.

– ჩემო საბრალო გოგონა!..

წამით ხელი მომისვა ლოყაზე და წავიდა. მანქანა სახლს მიეფარა. სასოწარკვეთილი, აფორიაქებული ვიდექი. რა სწრაფად მოხდა ყველაფერი! რა სახე ჰქონდა! რა სახე ჰქონდა!..

ფეხის ხმა მომესმა. მამა იყო. სახიდან ელზას პომადის კვალისა და კოსტუმზე ფიჭვის წიწვების მოშორება მოესწრო. შემოვბრუნდი და მივვარდი:

– არამზადავ! არამზადავ!

ქვითინი წამსკდა.

– რა მოხდა? ნუთუ ანამ... სესილ, მითხარი, სესილ...

XI

ვახშამზე შევხვდით ერთმანეთს. ორივეს მძიმედ გვაწვა ასე ერთბაშად დაბრუნებული პირისპირ დარჩენის შესაძლებლობა. ლუკმა არ გადამდიოდა ყელში. არც მამას. ორივემ ვიცოდით, ანას დაბრუნება აუცილებელი იყო. პირადად მე დიდხანს ვერ გავუძლებდი მისი აფორიაქებული სახის მოგონებას. ვერც იმის ფიქრს, რომ იგი გაუბედურებული იყო და რომ მე ვიყავი დამნაშავე. ჩემი თანდათან მომზადებული და კარგად მოფიქრებული გეგმები სულ გადამავიწყდა. დაბნეული, კალაპოტიდან ამოვარდნილი დავრჩი და ასეთივე გრძნობა ამოვიკითხე მამაჩემის სახეზეც.

– როგორ ფიქრობ, დიდი ხნით მიგვატოვა? – მკითხა ბოლოს.

– ნამდვილად პარიზში წავიდოდა.

– პარიზში... – დაფიქრებით წაიბუტბუტა მან.

– ვინ იცის, იქნებ ვერასოდეს ვნახოთ...

უმწეოდ შემომხედა და ხელი მომიჭირა.

– წარმომიდგენია, როგორ ბრაზობ ჩემზე! თვითონაც არ ვიცი, რა მომეჩვენა... მე და ელზა ტყით მოვდიოდით. ის... ერთი სიტყვით, ვაკოცე. ალბათ სწორედ ამ დროს გამოიარა ანამ...

ყურს არ ვუგდებდი. ფიჭვის ჩრდილში გადახვეულ ელზასა და მამაჩემის სხეულები ერთგვარი ვოდევილის უხორცო პერსონაჟებად მესახებოდა და სულაც ვერ აღვიქვამდი. იმ დღის ერთადერთი რეალური, გაუსაძლისად რეალური ხატი ანას სახე იყო, უკანასკნელ წუთში დანახული სახე, ტანჯვისგან დამახინჯებული იმ ადამიანის სახე, რომელსაც უღალატეს. მამას კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე. ამასაც ვერ იტანდა ანა: სადილობისას პაპიროსის წევას. მამას გავუღიმე.

– მესმის შენი: შენი ბრალი არაა... როგორც იტყვიან, სისუსტის ერთი წუთი... მაგრამ საჭიროა ანამ გვაპატიოს, უკეთ – შენ გაპატიოს.

– რა ვქნათ? – მკითხა მან.

ძალიან გაუბედურებული სახე ჰქონდა. შემეცოდა. მერე თავიც შემეცოდა. რატომ მიგვატოვა ასე ანამ? ნუთუ მხოლოდ იმისთვის უნდა დაგვსაჯოს, რაც, ბოლოს და ბოლოს, წამიერი ანცობა იყო და მეტი არაფერი! ნუთუ არავითარ პასუხისმგებლობას აღარ გრძნობს ჩემდამი?

– წერილი მივწეროთ, – ვთქვი მე, – და პატიება ვთხოვოთ.

– გენიალური აზრია! – წამოიძახა მამამ.

მთელი სამი საათი ვისხედით, სინდისის ქენჯნისგან ხელ-ფეხშებოჭილები, და აი, როგორც იქნა, მამას საშუალება მიეცა თავი დაეღწია ამ უმოქმედობისათვის.

ვახშამი აღარც დაგვიმთავრებია, სუფრა და ჭურჭელი განზე გავწიეთ, მამამ მაგიდის დიდი ლამპა, კალმისტრები, სამელნე და საფოსტო ქაღალდები მოიტანა. მერე ერთმანეთის პირისპირ დავსხედით და ამ მიზანსცენის წყალობით ანას დაბრუნება იმდენად ვირწმუნეთ, მკრთალად გავუღიმეთ ერთმანეთს. ფანჯრის წინ ღამურამ წრე შემოხაზა. მამამ თავი დახარა და წერას შეუდგა.

აუტანელი, სასტიკი ცინიზმით ვიხსენებ იმ გულთბილ წერილებს, ანას რომ მივწერეთ იმ ღამეს. ლამპის შუქზე ორ ბეჯით, მაგრამ უსუსურ მოწაფესავით ვისხედით ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში და უმძიმესი დავალების შესრულებას ვცდილობდით: “ანას დაბრუნება”! და მაინც ამ თემაზე ორი შედევრი დავწერეთ, გულწრფელი მობოდიშებით, სიყვარულით და მონანიებით სავსე შედევრები. წერილი რომ დავასრულე, თითქმის არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ანა ვერაფერს გახდებოდა, რომ შერიგება გარდაუვალი იყო. უკვე თვალწინ მედგა პატიების სცენა,

სადაც ჩვენ, იუმორნარევ, მორცხვ პოზაში ვიდგებოდით... ეს მოხდებოდა პარიზში, ჩვენს სასტუმრო ოთახში, ანა შემოვიდოდა და...

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ღამის ათი საათი იყო. ჯერ გაკვირვებით შევხედეთ ერთმანეთს, შემდეგ იმედით: ანაა, ანა რეკავს, გვატყობინებს, რომ გვაპატია და ბრუნდება. მამა ტელეფონს მივარდა დამხიარულად ჩასძახა ყურმილში: "ალო!"

მერე ჩამქრალი ხმით იმეორებდა: "დიახ, დიახ! სად? დიახ!" ფეხზე წამოვდექი: შიშმა ამიტანა. ვუყურებდი მამას, მის ხელს, მექანიკურად რომ ისვამდა სახეზე. ბოლოს ფრთხილად დადო ყურმილი და ჩემკენ შემობრუნდა:

– მანქანა კატასტროფაში მოხვდა... – თქვა მან, – ესტერილის გზაზე... მისი მისამართი დიდხანს ვერ უპოვიათ. პარიზში დაურეკავთ და აქაური ტელეფონის ნომერი მიუციათ.

უაზროდ ლაპარაკობდა, მონოტონურად. მეც ვერ გავბედე და ვერაფერი ვკითხე.

– ყველაზე სახიფათო გზაზე მომხდარა... ამბობენ, პირველი შემთხვევა არააო... მანქანა ორმოცდაათი მეტრის სიმაღლიდან გადავარდნილა. სასწაული იქნებოდა, ცოცხალი რომ გადარჩენილიყო...

ის ღამე კოშმარივით მახსოვს: ფარებით განათებული გზა, მამაჩემის გაქვავებული სახე, საავადმყოფოს კარები... მამამ ნება არ დამრთო ანა მენახა. მოსაცდელ ოთახში ვიჯექი გრძელ სკამზე და ლითოგრაფიულ სურათს ვუცქეროდი, ვენეციის ხედის გამოსახულებით. არაფერზე არ ვფიქრობდი. სანიტარმა ქალმა მიამბო, ამ ზაფხულს მეექვსე კატასტროფა მოხდა ამ ადგილასო. მამა იგვიანებდა.

ჰოდა, აი მაშინ გავიფიქრე, თავისი სიკვდილით ანამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენგან განსხვავდებოდა. ჩვენ რომ თავის მოკვლა გადაგვეწყვიტა – თუ ვთქვათ და საამისოდ ვაჟკაცობა გვეყოფოდა – მეც და მამაც ალბათ ტყვიას დავიხლიდით თავში, თანაც ბარათსაც დავტოვებდით და ამით დამნაშავეებს სამუდამოდ დავუფრთხობდით ძილსა და მოსვენებას. ანამ კი მეფური საჩუქარი გაგვიკეთა – შესანიშნავი შესაძლებლობა მოგვცა გვერწმუნა, უბედური შემთხვევა მოხდაო: სახიფათო ადგილი, სუსტი მუხრუჭი! იმდენად უსუსურები ვიქნებოდით, ამ საჩუქარსაც მივიღებდით. და საერთოდ, თუკი დღეს თვითმკვლელობაზე ვლაპარაკობთ, ჩემი მხრივ ეს დიდი რომანტიკულობა გახლავთ. განა შეიძლება, თავი მოიკლა ისეთი ადამიანებისთვის როგორებიც მე და მამაჩემი ვართ, ისეთი ხალხისთვის, ვისაც არავინ სჭირდება, არც ცოცხალი, არც მკვდარი? სხვათა შორის, მე და მამა ანას დაღუპვას მუდამ უბედურ შემთხვევას მივაწერდით.

მეორე დღეს, სამ საათზე დავბრუნდით შინ. ელზა და სირილი კიბის საფეხურზე გველოდებოდნენ. მაშინვე ფეხზე წამოდგნენ და ორ უნიათო, მივიწყებულ ფიგურასავით იდგნენ ჩვენ წინ. არც ერთი და არც მეორე არ იცნობდა ანას, არც ერთს არ უყვარდა იგი. იდგნენ ასე, თავიანთი პატარა სასიყვარულო განცდებით, რასაც ორმაგ მომხიბვლელობას აძლევდა მათი სილამაზე, მათი უხერხული გრძნობა. სირილმა ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი, მხარზე ხელი ჩამომადო. შევხედე: არასოდეს არ მყვარებია იგი. ვიცოდი, რომ კეთილი და მიმზიდველი იყო, ხოლო სიყვარულით მე მხოლოდ ის სიამოვნება მიყვარდა, რასაც სირილი მანიჭებდა; ახლა აღარ მჭირდება.

სულ მალე აქაურობას გავეცლები, დავტოვებ ამ სახლს, ამ ყმაწვილს, ამ ზაფხულს. გვერდით მამა მედგა, მკლავში მომკიდა ხელი და შინ შევედით. სახლში ანას ჟაკეტი, ანას ყვავილები, ანას ოთახი, ანას სუნამოს სურნელი დაგვხვდა. მამამ დარაბები დახურა, მაცივრიდან ბოთლი გამოიღო და ორი ჭიქაც გამოაყოლა. ეს იყო ერთადერთი ჩვენი ნუგეში. მონანიებით სავსე ჩვენი წერილები მაგიდაზე ეყარა. ხელის ერთი მოძრაობით გადაფრიალდნენ იატაკზე. მამამ ჭიქები შეავსო და ჩემკენ წამოვიდა, შეყოყმანდა, მერე წერილებს შემოუარა, ზედ ფეხი რომ არ დაედგა. ეს მოძრაობა სიმბოლურად მივიღე, ცუდი გემოვნების ნიშნად. ჭიქა ორივე ხელით ჩამოვართვი და სულმოუთქმელად გამოვცალე. ოთახში ბინდი იდგა, ფანჯრის წინ მამაჩემის აჩრდილი აყუდებულიყო. ზღვა ნაპირს ეხეთქებოდა.

XII

დაკრძალვის დღეს პარიზში მზიანი ამინდი იდგა. იყო ცნობისმოყვარეთა ბრბო, იყო ძაძები. მე და მამამ ანას მოხუც ნათესავ ქალებს მივუსამძიმრეთ. ცნობისწადილით ვათვალიერებდი მათ: ისინი, ალბათ, წელიწადში ერთხელ მოვიდოდნენ ჩვენთან ჩაის დასალევად. მამას თანაგრძნობით უყურებდა ხალხი: ეტყობა, უებს მათი ქორწინების ამბავი გაევრცელებინა. სირილსაც მოვკარი თვალი, გასასვლელთან მელოდა. თავი ავარიდე. მისდამი ჩემი ბოღმა ყოვლად გაუმართლებელი იყო, მაგრამ თავს ვერაფერი მოვუხერხე... ჩვენ ირგვლივ ხალხი გულწრფელად წუხდა ამ ბრმა, ტრაგიკულ ამბავს და რადგან მე ჯერ კიდევ მეეჭვებოდა, იქნებ მართლა უბედური შემთხვევა იყო-მეთქი, მთელი ეს თანაგრძნობა სიამოვნებას მანიჭებდა.

სასაფლაოდან მანქანით დავბრუნდით. მამამ ხელი მომკიდა და მაგრად მომიჭირა.

გავიფიქრე: ჩემ გარდა აღარავინ დაგრჩა, არც მე დამრჩა შენ გარდა ვინმე, მარტონი ვართ, უბედურები"... და პირველად ავტირდი. თითქმის სასიამოვნო ცრემლები იყო, არაფერი ჰქონდათ საერთო იმ სიცარიელესთან, იმ საშინელ სიცარიელესთან, რასაც საავადმყოფოში ვგრძნობდი ლითოგრაფიული სურათის წინ, ზედ აღბეჭდილი ვენეციის ხედით. მამამ უსიტყვოდ, გაწამებული სახით მომაწოდა ცხვირსახოცი.

მთელი თვე ისე ვცხოვრობდით, როგორც ქვრივსა და ობოლს შეეფერებოდა. ვსადილობდით, ვვახშმობდით ერთად, სტუმრად არ დავდიოდით. დროდადრო ანასაც ვიგონებდით: "გახსოვს იმ დღეს..." ვახსენებდით ფრთხილად, თვალს ვერ ვუსწორებდით ერთმანეთს, გვეშინოდა, გული არ გვტკენოდა, გვეშინოდა, რომელიმე ჩვენგანს არ დასცდენოდა ის საბედისწერო სიტყვა. ამ ურთიერთგაფრთხილებისა და გულთბილობისთვის ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა. მალე ჩვეულებრივი ტონით ვსაუბრობდით ანაზე, როგორც ძვირფას ადამიანზე, ვისთანაც ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ღმერთმა წაგვართვა. "ღმერთს" ვწერ "შემთხვევის" ნაცვლად, თუმცა ღმერთი ჩვენ არ გვწამდა. კიდევ კარგი, ასეთ მდგომარეობაში შემთხვევისა მაინც გვჯეროდა.

მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა მეგობარმა თავისი ნათესავი გამაცნო. მოვეწონე. მთელი კვირა ისე ხშირად, ისე აშკარად დავდიოდი მასთან ერთად, როგორც ეს

სიყვარულის დასაწყისში ხდება; მამამაც ვეღარ აიტანა მარტოობა, და სად არ მხვდებოდა ხოლმე ერთ ახალგაზრდა, ფრიად პატივმოყვარე ქალთან ერთად. როგორც მოსალოდნელი იყო, ცხოვრება წინანდებურად აეწყო. მე და მამა ვხვდებით ერთმანეთს, ვიცინით, ვყვებით ჩვენ-ჩვენი წარმატებების ამბებს. რასაკვირველია, მამა გრძნობს, რომ ფილიპთან ჩემი ურთიერთობა სულაც არაა პლატონური, მეც კარგად ვიცი, ახალ მეგობარს ძალიან ბევრ ფულს ახარჯებს, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ. ზამთარი იწურება. იმავე აგარაკს არ დავიქირავებთ, ჟუან-ლე-პენთან ახლოს მოვძებნით რამეს.

ოღონდ ესაა, ზოგჯერ ალიონზე, როცა ჯერ კიდევ ლოგინში ვწევარ, ხოლო პარიზის სიმშვიდეს მანქანების ხმაურიღა არღვევს, მეხსიერება უცებ მიმუხთლებს: ახლოვდება ზაფხული და თან მოაქვს მოგონებები. ანა! ანა! ძალიან ჩუმად, ძალიან დიდხანს ვიმეორებ ამ სახელს სიბნელეში. და აი მაშინ, ყელში რაღაც მიჭერს, თვალებს ვხუჭავ და ამ რაღაცას თავისი სახელით ვეგებები: “სალამი სევდავ!”

დასასრული.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

www.ChiaturaINFO.GE